


ამბროსი ბრიშკაშვილი



რიშარდ კავუშინსკი -  
უკოვართა მესაიდუმლე

ამბროსი გრიშიკაშვილი

რიშარდ კაპუშჩინსკი -  
უპოვართა მესაიდუმლე

20 თბილისი 19

პირადად მე წიგნი სულმოუთქმელად წავიკითხე: რომ დავიწყე, ვეღარ მოუშორდი. ძალიან საინტერესოდ იკითხება. კარგადაა მოფიქრებული არქიტექტონიკა, გადასვლები, ვრცლადაა ნაჩვენები გმირის ცხოვრება, მისი ინტერესების სფერო, საკმაოდ დაწვრილებითაა დახასიათებული მისი შემოქმედება.

წიგნი მდიდარია ინფორმაციულად, შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას იმ ქვეყნებზე, რომლებშიც უმოგზაურია კაპუშჩინსკის. ერთი სიტყვით, საინტერესო ნაშრომია იმ ჟანრში, "გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას" რომ ეძახდნენ ძველად.

**რაულ ჩილაჩავა,**

მწერალი, დიპლომატი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე



**პოლონური  
ინსტიტუტი  
თბილისში**

გამოცემა დაფინანსებულია „პოლონური ინსტიტუტი თბილისში“ მიერ.

**This publication has been supported by  
the Polish Institut w Tbilisi**

რედაქტორისაგან . . . . .	5
შესავალი . . . . .	9
მწერლის ბავშვობა . . . . .	24
სწავლის პერიოდი . . . . .	29
კაპუშჩინსკი და პოლიტიკა . . . . .	33
უნივერსიტეტის დასრულება და სამსახურის დაწყება . . . . .	35
რეპორტიორობის დაწყება . . . . .	37
კაპუშჩინსკი ჩინეთში . . . . .	43
ჩინური აზროვნება . . . . .	47
აფრიკაში . . . . .	52
აფრიკული ლომები . . . . .	73
როგორ იზოცებიან სპილოები . . . . .	76
მონებით ვაჭრობა აფრიკაში . . . . .	77
უწყლოობა აფრიკაში . . . . .	82
რეპორტიორული საქმიანობის სირთულეები . . . . .	87
საქართველოში . . . . .	104
80-ანი წლების პოლონეთში . . . . .	107
ცხოვრების კიდევ ერთი დღე . . . . .	109
კონგოში . . . . .	116
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში . . . . .	118
ალჟირში . . . . .	122
ლათინურ ამერიკაში . . . . .	135
საფეხბურთო ომი . . . . .	142
რატომ იტაცებენ პარტიზანები დიპლომატებს? . . . . .	166
კვლავ აფრიკაში . . . . .	167
ციხე აკრში . . . . .	168
ლიბერია . . . . .	170
ოგადენი . . . . .	175
ვიზიტი . . . . .	180
ირანში - „შაპინშაპი“ . . . . .	180
უაკლინ კენედი და კაპუშჩინსკი . . . . .	189

კაპუშცინსკი და ჰანგტინგტონის თეორია . . . . .	191
კაპუშცინსკი ფოტორეპორტიორი . . . . .	193
ბოლო წლები . . . . .	195
კაპუშცინსკი და უშიშროების სამსახური . . . . .	198
კაპუშცინსკი non-fiction . . . . .	199
ნობელის პრემიაზე . . . . .	205
ქართველი მკითხველი და კაპუშცინსკი . . . . .	206
რ.კაპუშცინსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო თბილისის უნივერსიტეტში . . . . .	223
პროფესია რეპორტიორი . . . . .	225

## რედაქტორისაგან

რიშარდ კაპუშჩინსკი - მსოფლიო ჟურნალისტიკის ვარსკვლავი გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ მშურს იმ მკითხველისა, ვინც ამბროსი გრიშიკაშვილის ამ წიგნის წყალობით პირველად გაიცნობს გამოჩენილ პოლონელ მწერალსა და ჟურნალისტს რიშარდ კაპუშჩინსკის. მშურს, რადგან მას წინ ელოდება დაუვიწყარი შეხვედრა და ვირტუალური ურთიერთობა უბადლო ვირტუოზთან, რომელმაც ჟურნალისტიკის ყოველდღიური, ხშირად რუტინული და მომქანცველი საქმიანობა ჭეშმარიტ ხელოვნებას გაუტოლა, აქცია იგი სიტყვაკაზმული მწერლობის განუყოფელ ნაწილად.

რიშარდ კაპუშჩინსკი ბელორუსიაში დაბადებული პოლონელი იყო (ისევე, როგორც ადამ მიცკევიჩი და პოლონური კულტურის ბევრი მნიშვნელოვანი მოღვაწე), რომელიც ეთნიკურ სამშობლოში დედასთან და უმცროს დასთან ერთად ცხრა წლის ასაკში დაბრუნდა, როცა უკვე მეორე მსოფლიო ომის ხანძარი მძვინვარებდა. მალე პოლონეთში ჩამოაღწია მამამისმაც, რომელიც სმოლენსკთან მდებარე კატინის ტყეში შინსახკომის ტყვეებს გადაურჩა. ჯერ კიდევ სკოლაში გამოავლინა პოეტური ნიჭი, რომელსაც მოგვიანებით პუბლიცისტიკა ამჯობინა, თუმცა შინაგანი კავშირი პოეზიასთან არასოდეს გაუწყვეტა (80-იან წლებში გამოვიდა კიდევ მისი ორო პოეტური კრებული). როგორც რიშარდ კაპუშჩინსკის ბიოგრაფები ბეატა ნოვაკა და ზიგმუნდ ზენტეკი შენიშნავენ, ლაპიდარობა, მეტაფორული აზროვნებისკენ მიდრეკილება, სიტყვის გრძნობა და ცოდნა მას სწორედ პოეზიიდან გამოპყვა. 1956 წელს დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტი და დაიწყო მუშაობა გაზეთში „ახალგაზრდობის დროშა“, რომელშიც სკოლის მერხიდან იბეჭდებოდა მისი ლექსები. თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან საკმაოდ მწკვეე პუბლიკაციისთვის რედაქციიდან მალე გაანთავისუფლეს. ჭაბუკი რიშარდი მიხვდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გასცლოდა სამამულო ჟურნალისტიკის

შიდა სამხარეულოს და პროფესიული თავისუფლება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში, შემოვლითი გზებით ეძებნა. საამისოდ ყველაზე ოპტიმალური გამოდგა პოლონეთის პრესის სააგენტოს საზღვარგარეთელი კორესპონდენტის თანამდებობა. ეს, ჯერ ერთი, საშუალებას აძლევდა ბევრი ემოგზაურა და საკუთარი თვალით ეხილა ის დიდი გარდაქმნები, რომლებიც მაშინდელ მსოფლიოში ხდებოდა, მეორეც, შორს ყოფილიყო პარტიული იდეოლოგიებისა და სპეცსამსახურების განუწყვეტელი კონტროლისგან. მან ოროვე ჩინებულად მოახერხა და ცალკერძ დიდი შემოქმედებითი პოტენციალისა და ცალკერძ კიდევ მოპოვებული თავისუფლების წყალობით შესძლო შეექმნა სერია კლასიკური წიგნებისა, რომელთა გარეშეც დღეს უკვე წარმოუდგენელია არა მარტო თანამედროვე პოლონური, არამედ მსოფლიოს დოკუმენტური პროზაც („იმპერია“, „შაშინშაჰი“, „ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან“, „მოგზაურობა პეროდოტესტან ერთად“ და სხვა). ჟურნალისტური კვლევის არეალად მან თავადვე განსაზღვრა ინდოეთი, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ახლო აღმოსავლეთი, სადაც იგი წლების მანძილზე სწავლობდა ადგილობრივი ხალხების ცოვილიზაციურ თავისებურებებს, კულტურულ და პოლიტიკურ ტრადიციებს, ღრმად და დამაჯერებლად აშუქებდა იქ მიმდინარე რმებს, ეთნიკურ კონფლიქტებს, სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს. რიშარდ კაპუშჩინსკი მისივე მტკიცებით ე.წ. შესამე სამყაროში ოცდაშვიდი რევოლუციის უშუალო მომსწრე გახდა, რომლებიც მან დიდი ექსპრესიულობითა და საქმის ცოდნით აღწერა საკუთარ რეპორტაჟებში, ესეებსა და დოკუმენტურ მოთხრობებში. რეპორტიორის შესანიშნავ ტექსტებს თან ერთვის არანაკლებ დამაჯერებელი და შთამბეჭდავი ფოტოების სერია, რომელიც სიტყვის დიდოსტატთან ერთად გამოჩენილ ფოტოხელოვანსაც გვაცნობს. დაუცხრომელი ჟურნალისტური საქმიანობისთვის რიშარდ კაპუშჩინსკის სხვადასხვა დროს მიღებული აქვს ბოლესლავ პრუსის, გოეთეს, ვიარეჯოს, გრინცანე კავურიისა და ასტურიის უფლისწულის,

ელზა მორანტეს პრემიები, არაერთგზის იყო ნობელის პრემიის ნომინანტი, მინიჭებული ჰქონდა პოლონეთისა და მსოფლიოს არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. რიშარდ. კაპუშჩინსკიმ მართლაც უჩვეულო და განუმეორებელი ცხოვრებით იცხოვრა. ის დაბადებული იყო ჟურნალისტად, რეპორტიორად და მას ბედმა გაუღიმა, რომ განგების მიერ დაკისრებული ამ მისიის აღსრულება ღირსეულად შესძლო. რიშარდ კაპუშჩინსკის შემოქმედება ჟურნალისტიკის ეტალონია, დოკუმენტური პროზის, პუბლიცისტიკისა და რეპორტიორული ხელოვნების ოსტატური ნაზავია, მასში ირეკლება ეპოქის სული, გამოკვეთილია მისი უმთავრესი პრობლემები, დახატულია იმ მოღვაწეთა პორტრეტები, რომლებიც ჰქმნიდნენ თანამედროვეობის პოლიტიკურ ლანდშაფტს და საგრძნობ გავლენას ახდენდნენ კაცობრიობის ბედ-იღბალზე. სწორედ იმაზე, თუ როგორ ააღწია პოლონელმა ჟურნალისტმა საგაზეთო ხელოვნების ასეთ თვალშეუბამ მწვერვალამდე, როგორ მოახერხა გამხდარიყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გაბედული, ცნობილი და ტიტულოვანი კალმოსანი, მოგვითხრობს პოლონური ლიტერატურისა და კულტურის აქტიური პროპაგანდისტი საქართველოში ამბროსი გრიშიკაშვილი. მისი ბიოგრაფიული წიგნი რიშარდ კაპუშჩინსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სულმოუთქმელად იკითხება. კარგადაა მოფიქრებული თხრობის არქიტექტონიკა, წიაღსელები, ვრცლადაა ნაჩვენები გმირის პირადი და საჯარო ცხოვრება, მისი ფათურაკებით აღსავსე თავგადასავლები, ინტელექტუალური ინტერესების სფერო, საკმაოდ დაწერილებითაა დახასიათებული მისი ჟურნალისტური მონაგარი. მოთხრობა მდიდარია ინფორმაციულად, შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას იმ ქვეყნებზე, რომლებშიც უმოგზაურია კაპუშჩინსკის. ეს წიგნი რ. კაპუშჩინსკის ცხრა წიგნის ქართულად მთარგმნელს ამბროსი გრიშიკაშვილს უნდა დაეწერა და სრულიად კანონზომიერია, რომ მან ეს გააკეთა. დარწმუნებული ვარ, ავტორს არ დასჭირვებია ზედმეტი ქექვა არქივებსა და ბიბლიოთეკებში, რადგან საკუთარი გმირის

ბიოგრაფიისა და შემოქმედების უზადო ცოდნა საშუალებას აძლევდა საკუთარ საწერ მაგიდასთან მშვიდად ემუშავა. სწორედ ამ დინჯი და ფიქრიანი გარჯის ნაყოფია ეს წიგნი, რომელიც დაწვრილებით გაგაცნობთ თანამედროვე მსოფლიო ჟურნალისტიკის ერთ-ერთ კაშკაშა ვარსკვლავს რიშარდ კაპუშჩინსკის. საშური საქმე იქნება, თუკი ამბროსი გრიშიკაშვილის წინამდებარე ნაშრომი მომავალ ქართველ ჟურნალისტებსა და მათ აღმზრდელებსაც დააინტერესებს. დაბეჯითებით შემიძლია ვამტკიცო: ძალიან გამოადგებათ!

**რაულ ჩილაჩავა,**

მწერალი, დიპლომატი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

## შესავალი

ჩემი სამყარო ვრცელდება. ის შედგება ყველა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი მისამართისაგან, მას ჰქმნის უამრავი ქალაქი, ასობით ქუჩა, ათასობით სახლი, რომელთა კარის გაღებაც შეუძლია, ავტობუსები, რომელთა ნომრები და განჩერებებიც მახსოვს, გაზეთების ჯიხურები, ადამიანთა სახეები და მათი ხმები.

*რიშარდ კაპუშინსკი*

*(04.03.1932 წ. პინსკი-22.01.2007 წ. ვარშავა)*

„რამდენიმე ავტობიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ დავადგინე, რომ ავტობიოგრაფია არ არის მხოლოდ მოვლენების კატალოგი და რომ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, სხვა ადამიანებისათვის ერთგვარ მაგალითად იქცეს“ - ხელსონ მანდელა „საუბრები საკუთარ თავთან“.

ვფიქრობ, ანალოგიურის თქმა შეუძლება დიდი ადამიანის ბიოგრაფიაზეც. ამ ფიქრით იწერებოდა წინამდებარე წიგნიც.

ახლა, როდესაც დიდი პოლონელი ჟურნალისტის, რეპორტიორისა და მწერლის, რიშარდ კაპუშინსკის ცხრა წიგნის ჩვენეული თარგმანიდან ნაწილს („იმპერია“; „იმპერატორი“; „შაპინშაპი“; „ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან“; „მოგზაურობა პეროდოტესთან ერთად“) უკვე იცნობს ქართველი მკითხველი და ნაწილიც („ცხოვრების კიდევ ერთი დღე“; „აბანოზი“; „საფეხბურთო ომი“ და „რეპორტიორის ავტოპორტრეტი“) სასტამბოდ მაქვს მომზადებული, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მის ბიოგრაფიასაც გავეცნოთ. ეს აზრი განსაკუთრებით გავვიმტკიცდა მის ნაწარმოებებზე მკითხველის გამოხმაურებების (სიტყვიერი თუ წერილობით, იხ. ბიოგრაფიის ბოლოს) გაცნობის შემდეგ. მით უმეტეს, რომ რიშარდ კაპუშინსკის, განსხვავებით მრავალი სხვა მწერლისაგან, მეტად საინტერესო, რთული და მძიმე ცხოვრება ჰქონდა.

ასე წარმოსდგა ეს წიგნი.

რიშარდ კაპუშჩინსკის პირადად არ ვიცნობდი. მხოლოდ ორჯერ მეყვანანხი და მისი ლექცია (მოხსენება) მოსმენილი: პირველად ვარშავის უნივერსიტეტში, როდესაც ის მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული პოლონური ლიტერატურის მთარგმნელებთან, პოლონური კულტურის პოპულარიზატორებთან შესახვედრად მოიწვიეს და ძალზე საინტერესოდ და გულახდილად გვესაუბრა, ლექციის ბოლოს კი საჩუქრად თავისი ახლადგამოსული წიგნი - „ლაპიდარიუმი“ საჩუქრად დაგვირიგა. მეორედ, კრაკოვში, 2006 წლის ზაფხულში, სადაც ის I საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა (კონფერენცია სიტყვით მან გახსნა) მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან მიწვეული მწერლების, ჟურნალისტების, პოლონური ლიტერატურის მთარგმნელთა წინაშე.

ამ გამოსვლაში მან განსაკუთრებით მთარგმნელთა პროფესიას მიაქცია ყურადღება, რთული და საპასუხისმგებლო უწოდა მას და თქვა, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მას ხალხთა ურთიერთგაცნობის, დაახლოების საქმეში. აი, ზოგიერთი მისი მოსაზრება: როგორი იქნებოდა ჩვენი ცოდნა იმ ხალხის კულტურაზე, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რომ არა მთარგმნელთა შრომა?! როგორი იქნებოდა ჩვენი ცოდნა ჩვენგან შორს მცხოვრები ხალხის ცივილიზაციის, აზროვნების წესის და გრძნობების შესახებ, რომ არ შეგვძლებოდა წერილობითი ლიტერატურის ჩვენთვის მისაწვდომ ენაზე გაცნობა?! სწორედ მთარგმნელი გვათავისუფლებს მკითხველებს ამგვარი ბარიერებისაგან შეუცნობელი ცივილიზაციის შესწავლის გზაზე, სწორედ იგი ხდება მეგზური ჩვენთვის უცხო ენაზე დაწერილი შედეგების გაცნობისას, რომლებიც მის გარეშე ჩვენთვის უცნობი დარჩებოდა. ამასთან, მთარგმნელის შრომა მხოლოდ უცხო ენის უზადო ფლობა როდია. იგი მთითხოვს მთელი იმ ლიტერატურის კარგად ცოდნას, რომელსაც ნაწარმოები მიეკუთვნება, ცოდნას იმ ქვეყნის წეს-ჩვეულებებისა, სადაც ნაწარმოები შეიქმნა, მთითხოვს დიდ ტალანტს

და წლობით შრომას, თუ მთარგმნელს სურს დაძლიოს ის სიძნელეები, რომლებიც უხვად შეჭვდება დანტესა თუ შექსპირის, პასკალისა თუ სერვანტესის თარგმნისას. მთარგმნელი დამსახურებული შუამავალია ჩვენსა და ლიტერატურის ამაღლებულ სულებს შორის, იგი არის მსახურიც და იმავდროულად ჩვენი უახლოესი მეგობარიც. დიდი პატივი და დაფასებაა კარგი მთარგმნელი გერქვას. და კიდევ: რა გვაფიწყდება მაშინ, როდესაც მთარგმნელებზე და მთარგმნელობით საქმიანობაზე ვფიქრობთ? ის, რომ მთარგმნელებიც მწერლები არიან. რატომ? იმიტომ, რომ სხვისი ტექსტის საფუძველზე ისინი საკუთარ ნაწარმოებებს ჰქმნიან. ყოველი კარგი თარგმანი ლიტერატურის დამოუკიდებელი ნიმუშია. ხშირად ისიც კი ხდება, ეს ნიმუში ორიგინალზე უკეთესიც გამოდის. კარგი თარგმანია ის, რომელიც მკითხველის გულამდე აღწევს, ხოლო თუ თარგმანი ამას ვერ ახერხებს, მასზე ვერ ვიტყვი, კარგიაო, თუნდაც რომ უაღრესად ერთგულებდეს ორიგინალს.

სხვათაშორის, თავად ერთადერთი ნაწარმოები ჰქონდა ნათარგმნი: „ჩე გეგარა, ბოლივიური დღიურები“. ეს წიგნი გამომცემლობა „წიგნი და ცოდნა“-მ ათი ათასი. ეგზემპლარი დაბეჭდა 1969 წელს.

მისი ბავშვობის მეგობრების განცხადებით, პატარა რიშარდი ძალზე მორიდებული, მორცხვი ბავშვი იყო. როგორც ჩანს, ხასიათის ეს თვისება მას ზრდასრულ ასაკშიც შემორჩა. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა და მსოფლიო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, უამრავი ქვეყნიდან მოხდიოდა თხოვნა მოხსენებით წარსდგომისათვის, მკითხველთან შეხვედრისათვის, მწერალი ძალზე საგულდაგულოდ ემზადებოდა საზოგადოების წინაშე ყოველი გამოსვლისათვის. განსაკუთრებით მკითხველთა კითხვებზე პასუხის გაცემას უდგებოდა დიდი გულისყურით.

სწორედ მაშინ, კრაკოეში, მწერლის მოხსენების მოსმენისას, გადაწყვიტე მისი ნაწარმოებების თარგმნა და მწერლის ქართული მკითხველისათვის გაცნობა. ეს აზრი კიდევ უფრო

განძიმტკიცა ჩემმა შვეიცარიელმა კოლეგამ, როდესაც მითხრა, რომ „ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან“ და „იმპერიის“ თარგმნით კარგ საქმეს გავაკეთებდი. მით უფრო, რომ ამ ნაწარმოებებში საქართველოს საკმაოდ ვრცელი ადგილი ეთმობაო.

გადაუწყვეტე და განზრახვა განვახორციელე კიდევ. ამჟამად, როგორც ზევითაც აღვნიშნე, რ. კაკუშჩინსკის მრავალი ნაწარმოების წაკითხვა შეუძლია ქართველ მკითხველს.

2006-2007 წლებში გამოსაცემად ვაშჩადებული მის წიგნებს: „იმპერია“-სა და „შაჰინშაჰს“ („შაჰინშაჰი“ გამოც. „ინტელექტმა“ დაბეჭდა, „იმპერია“ სხვა სტამბამ, ამაზე ქვევით). მაშინ უკვე კარგად ვიცნობდი და ხშირი ურთიერთობა მქონდა მის ლიტერატურულ აგენტ ჩესლაგ აპეციუკთან, რომელიც დიდ პატივს სცემდა ავტორს და ცდილობდა, რომ ჩემთვისაც, როგორც მისი ნაწარმოებების მთარგმნელისათვის, ყველა შესაძლო დახმარება აღმოეჩინა. როდესაც 2006 წლის სექტემბერში ბატონ ჩესლაგს ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში შევხვდი, საუბრის ძირითადი თემა კაკუშჩინსკი და მისი ნაწარმოებები იყო. შევთავაზე, „იმპერიის“ თარგმნა თითქმის დასრულებული მაქვს და იქნებ გაზაფხულზე თბილისში ამ ნაწარმოების პრეზენტაციაზე (მაშინ, ვარშავაში ყოფნისას, დიდი სურვილი მქონდა ბატონი რიშარდის გაცნობისა, მაგრამ ვერ მოვახერხე – იტალიაში იმყოფებოდა) ჩამოხვიდეთ მეთქი. მან აღმითქვა, გაზაფხულზე არა, მაგრამ, აი, როდესაც მეორე წიგნსაც გამოსცემ, მაშინ კი ნამდვილად ჩამოვალთო. და როგორი მაცდური და დაუნდობელია წუთისოფელი. ტყუილად კი არაა ნათქვამი, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო: ვინ იფიქრებდა, რომ არ გავიდოდა ორიოდე თვე და მწერალი ამ ქვეყანას გამოეთხოვებოდა. 2007 წლის 23 იანვარს მთელ მსოფლიოს მოედო ცნობა, რომ გამოჩენილი პოლონელი მწერალი, ჟურნალისტი და რეპორტიორი რიშარდ კაკუშჩინსკი გარდაიცვალა. იქნებ მწერალი კიდევ ერთხელ გვსტუმრებოდა (რამდენიმეჯგუფის არის საქართველოში ნამყოფი, მისი წიგნების - „ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან“ და „იმპერიის“ ნაწილი, საქართველოსაც ეხება), რომ

არა მისი მუხანათი სიკვდილი.

წინამდებარე წიგნით გვინდა თვალი გავადევნოთ ამ ადამიანის, რეპორტიორისა და მწერლის მოღვაწეობას, მასთან ერთად გავიაროთ ის გზა, რომელმაც კაპუშჩინსკი მსოფლიოში ცნობილ ჟურნალისტად, მწერლად აქცია. ეს არის გზა რეპორტიორისა, რომელიც დაუღალავმა შრომამ და თავგანწირვამ ნობელის პრემიის ნომინანტთა რიგებში ორჯერ მოახვედრა და რომ არა მისი შედარებით ნაადრევი გარდაცვალება, ალბათ მიიღებდა კიდევ ამ სანუკვარ ჯილდოს.

რიმარდ კაპუშჩინსკისადმი მიძღვნილ წიგნში „Hombre Kapuscinski“, მწერალი და ჟურნალისტი, კაპუშჩინსკის მეგობარი მიროსლავ იკონოვიჩი მასთან ერთ შეხვედრას იხსენებს. იმ დროს უკვე ხანში შესულ კაპუშჩინსკის დანებებული ჰქონდა უშუალოდ რეპორტიორობის, ჟურნალისტობისათვის თავი, აღარ მოგზაურობდა და მანამდე მოპოვებული, დაგროვილი მასალის დამუშავებით, წიგნების წერით იყო დაკავებული. მაშინ კაპუშჩინსკის მისთვის უთქვამს: „მწერლობა და ჟურნალისტიკა ერთი და იმავე მდინარის ორი ნაპირია. მე ახლა ამ მდინარის მეორე ნაპირზე გადავცურე“.

რაიმეს თარგმნისას, გინდა თუ არა, სათარგმნი ტექსტის მრავალგზის წაკითხვა გიწევს: ხან როგორც მთარგმნელს, ხან როგორც სტილისტს, ხანაც როგორც რედაქტორს და სხვ. ამიტომ ტექსტი თუ ძალიან საინტერესო არაა, მასზე მუშაობა ტანჯვაა, რომელიც აქად არა ღირს. რ. კაპუშჩინსკის ნაწარმოებები სწორედ იმ სახის ტექსტებია, რომელთა კითხვაც არ მოგწყინდება, ყოველი წაკითხვისას სრულიად ახალი თვალით უყურებ სამყაროს, ახალ რამეს აღმოაჩენ, მით უფრო იმ სამყაროს შესახებ, სადაც არ ყოფილხარ და ალბათ ვერც ვერასოდეს ვერ მოხვდები. ეს კი სწორედ რ. კაპუშჩინსკის წყალობაა და ძალიან ბევრ რამეზე ლაპარაკობს.

ნამდვილად ამის გამოა, რომ რ. კაპუშჩინსკი შედის პოლონელ მწერალთა იმ ხუთეულში, რომელთა ნაწარმოებები ყველაზე ხშირად ითარგმნება უცხოურ ენაზე. კერძოდ, სტანისლავ

ლემი და თადეუშ რუჟევიჩი თარგმნილია 42 ენაზე, ვისლავა შიმბორსკა - 36 ენაზე, ვიტოლდ გომბროვიჩი და რ. კაპუშჩინსკი - 31 ენაზე.

მწერალი, თავად მისივე აღიარებით, ყოველ ტექსტზე ძალიან ბევრს მუშაობდა: ჯერ წინადადებებზე, შემდეგ აზბაცებზე, ბოლოს, გვერდებზე, ხოლო დასასრულს - მთელ წიგნზე. მთელი მისი გულისხმევა იქით იყო მიმართული, რომ მცირე რაოდენობის სიტყვით, რაც შეიძლება, მკაფიო სურათი დაეხატა.

ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები კაპუშჩინსკის ერთ დამახასიათებელ თვისებას - მოსმენის უნარს გამოყოფენ. ის ყოველთვის და ყველანაირ საზოგადოებაში საუბარს მოსმენას ამჯობინებდა. საინტერესო ამბების გაგება მისი ვნება იყო. ამასვე ვერ ვიტყვით მის მიერ რაიმეს მოყოლაზე, რაიმე ამბის გახსენებაზე. როგორც მისი მეუღლე, ალისია წერს, როდესაც საზღვარგარეთიდან დაბრუნებული მისი ქმარი ძალზე მოკლედ შემოიფარგლებოდა ან საერთოდ უარს ამბობდა რაიმეს მოთხრობაზე: რომ მოგიყვით, ვეღარ დავწერო - იყო მისი პასუხი. დაჯდომა და წერის დაწყება კი მით უფრო საშური და საჩქარო საქმე იყო, რადგან კაპუშჩინსკი იშვიათად იწერდა რამეს დღიურში. „რაც მნიშვნელოვანია, დაგამახსოვრდება, ხოლო რაც არ დაგამახსოვრდება, ის არც ისე ღირებული ყოფილა“ - ამბობდა ის.

რ. კაპუშჩინსკის ნაწარმოებები უსიუჟეტო, ეგრეთ წოდებული Non fiction ტექსტებია. არადა, კაპუშჩინსკის წიგნების მკითხველს შეიძლება გული დაწყდეს, სინანულმა შეიპყროს: როგორ ერთი სიუჟეტისანი რომანი მაინც არ დაწერაო ამის ავტორმა?! ისევე, როგორც სინანული გიპყრობს იმაზე ფიქრისას, რომ ერთი ოპერაც კი არ დაგვიტოვა მისმა თანამემამულე, გენიალურმა შოპენმა, ანდა ერთი რომანი მაინც არ დაწერა ქართველმა ნოვლისტმა რეჟაზ ინანიშვილმა.

ასეთი ნაწარმოების დაწერის ნიჭი და უნარი რომ ჰქონდა, ამაზე მწერლის ყველა ნაწარმოებში მიმოხილული ლამაზი ადგილები გვიდასტურებს.

„როგორც მარკსია თანამედროვე რომანის უდიდესი ჯადოქარი, ისე კაკუშჩინსკი მოგვევლინა რეპორტაჟების დიდ მესაიდუმლედ. მისი ტექსტები მწერლური მაგიის სრულყოფილი ნიმუშია“ - წერდა მის შესახებ ჯონ ლე კარუ.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ ყოველი ახალი ნაწარმოების დაწყებამდე რ. კაკუშჩინსკი არჩევდა ენას, რომელიც უფრო შეეფერებოდა აღსაწერ ამბავს და იმ დროსა და ეპოქას, როდესაც ეს ამბავი ხდებოდა. მაგალითად, „იმპერატორზე“ მუშაობის დაწყებამდე მან ძალზე ბევრი, ძველპოლონურ ენაზე დაწერილი ლიტერატურულს ნაწარმოებს გაეცნო. ეს იმიტომ დასჭირდა, რომ ახალი წიგნი შედარებით არქაული ენით დაწერას მოითხოვდა. მისი აზრით, ტოტალიტარული, ავტორიტარული რეჟიმის დახასიათება ყველაზე კარგად ამ ენით მოხერხდებოდა. ოდენ ამ ენით იყო შესაძლებელი იმპერატორის კარზე გაბატონებული სტრუქტურის, იერარქიის, ურთიერთობების გადმოცემა.

„მის ნაწერებში უჩვეულო ატმოსფეროა გამეფებული. მეტაფორები, რომლებსაც კაკუშჩინსკი მიმართავს, ყოველთვის საოცრად გამოიყურება. მათი წერისას ავტორი ვარდება ერთგვარ ტრანსში და უნიშვნელო დეტალებსაც კი ისე დიდხანს და ისე საგულდაგულოდ ამუშავებს, ვიდრე მითის ბრწყინვალეობას არ შესძენს“ - წერდა ტერენტი ლაფერტი.

ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელია „იმპერიის“ ის ადგილი, სადაც რ. კაკუშჩინსკი სიგარეტის წვეისა და შიმშილის ურთიერთკავშირზე მსჯელობს. წევა კი მან ძალიან ადრეულ ბავშვობაში, 8 წლისამ დაიწყო. სიგარეტი მას საკვების მაგიერობას უწევდა. ეს ადგილი მით უფრო იმიტომ გამოვიდა ასე მძაფრი, რომ კაკუშჩინსკი საკუთარ თავგადასავალს, ომის შემდგომდროინდელ ცხოვრების ეპიზოდს, ყინვიანი ღამით პურის რიგში დგომას იხსენებს:

„ალიონზე რიგში მდგომთ რული მოერიათ. არაფერს შველოდა გაფრთხილება, რომ ყინვაში ძილი თითქმის სიკვდილის ტოლფასი იყო. უკვე აღარავის შეეძლო, რომ ფინხი მოეძებნა კო-

ცონისათვის ანდა ეთამაშა. ყინვა თანდათან ძლიერდებოდა, გაყინულ თითებს უკვე ვეღარ ვამოძრავებდით. თავის გადასარჩენათა და ღამის როგორმე გასათუნებლად რიგში მდგომნი სულ ახლოს და ახლოს ვიწვევდით ერთმანეთთან. ეს იყო ძალითა და სასოწარკვეთილებით ერთმანეთზე გადაბმული ჯაჭვი, რომელსაც თანდათან სტოვებდა სითბო, თოვლიც უფრო უმატებდა ბარდნას და თეთრი, რბილი საბანივით გვეფარავდა“.

რ. კაპუშჩინსკის მწერლურ წარმატებებზე ფიქრისას ადამიანს უნებლიედ შექმდევი დააინტერესებს: დღეს ჩვენი სამყარო ჟურნალისტებით, რეპორტიორებითაა დაქსელილი, მაგრამ მასავით ბრწყინვალე წარმატებისათვის მიღწევა, თითქმის ვერაფერს ვერ შეძლო. შემთხვევითი როდია მისი ორგზის წარდგენა ნობელის პრემიაზე და იქნებ მიეღო კიდევ ეს ძვირფასი ჯილდო, რომ არა მისი ნაადრევი, მუხთალი სიკვდილი. მაშ რა იყო ასეთი დიდი მიღწევების მიზეზი? ვფიქრობ, რომ მის მიერ არჩეული საქმისადმი, პროფესიისადმი თავდადება, მთელი სიცოცხლის მისთვის მიძღვნა. მსოფლიოში ალბათ იშვიათია ასეთი გაბედული რეპორტიორი. ისეთი ცხელი წერტილი არა ყოფილა მსოფლიოში, აფრიკიდან დაწყებული ლათინური ამერიკით დამთავრებული, რომ დაუყოვნებლივ იქ არ გაჩენილიყო. ხიფათშიც ბევრჯერ აღმოჩენილა და სიკვდილისთვისაც ბევრჯერ ჩაუხედავს თვალებში. რეპორტიორად მუშაობის განმავლობაში კაპუშჩინსკი ოთხჯერ გადაურჩა დახვრეტას. ჯარისკაცებს, რომელთაც ის ხვდებოდა, ეგონათ, რომ მათი მტრის სასარგებლოდ მუშაობდა. ლათინურ ამერიკაში ერთ-ერთმა მებრძოლმა მხარემ სასიკვდილო განაჩენიც გამოუტანა მას და რომ არა იმ ჯარისკაცის სიმთვრალე, რომელსაც სასჯელი უნდა მოეყვანა სისრულეში და რომელსაც რევოლვერი ძლივს ეკავა აკანკალებულ ხელში, მწერლის სიცოცხლე გაცილებით ადრე დასრულდებოდა.

აკი ჩაწერს კიდევ დღიურში: „რეპორტიორის მრავალი საშიშროება ემუქრება, შიშმილი და უწყლოობა, აჯანყებულობა და გადამღები დაჯადებები, მაღალი, ფიცხელი მიწები და აქაფე-

ბული მდინარეები“.

სამაგიეროდ, ამგვარ განსაცდელს თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა. როგორც შემდეგ იტყვის მწერალი: „მე წილად მერგო მეოცე საუკუნის შუა წლებში მესამე სამყაროს დაბადების მოწმე და მისი მეისტორიე გავმხდარიყავი. ამ მასშტაბის მოვლენა კი არც ყოფილა და აღარც იქნება კაცობრიობის ისტორიაში“. ეს კი ცოტა სულიერ კმაყოფილებას როდი გვარგუნებს.

სხვათაშორის, ამ პერიოდში ახალი სამყაროს დაბადების მომენტიხათვის მთელ მსოფლიოში გაბატონდა მოსაზრება, რომ აფრიკის, აზიის თუ ლათინური ამერიკის ჩამორჩენილი ქვეყნების წამოწევა და ცხოვრების დონის მთელ მსოფლიოში გათანაბრება დროის საკითხი იყო და რომ განსაყვისუფლებული ქვეყნები ამას ადვილად შეძლებდნენ. დრომ ამის საპირისპირო უჩვენა. უთანასწორობა მდიდარ ჩრდილოეთსა და ღარიბ სამხრეთს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა და ეს პროცესი ჯერ-ჯერობით შეუქცევადი ჩანს. „მსოფლიოს 368 ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობს ქონებას, რომელიც ჩვენი პლანეტის ნახევარი მოსახლეობის შემოსავლის თანაბარია“ - წერს კაპუშჩინსკი.

რ. კაპუშჩინსკის მწერლურ და მოქალაქეობრივ გაბედულებაზე შემდეგი ფაქტებიც მეტყველებს: ანგოლის შესახებ წიგნის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად ისიც იქცა, რომ არც ერთ ჟურნალისტს იქ წასვლა არ ეწადა, კაპუშჩინსკი კი დაუფიქრებლად გაემგზავრა. ასევე მოხდა ირანთან დაკავშირებითაც: რადგან ამ ქვეყანაში, ისევე, როგორც ადრე ანგოლაში, მეტად ძძიმე პოლიტიკური ვითარება იყო, რეკოლუცია მწიფდებოდა, იქ წასვლა მისმა კოლეგამ გადაიქრა და ირანში კაპუშჩინსკი გაემგზავრა. მწერლის დიდი ხნის განმავლობაში ირანში, თეირანის სასტუმროში გაჩერების შედეგად დაიწერა მშვენიერი წიგნი „მაჰინშაჰი“.

მსგავს დრამატულ, სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებაში მწერალი იშვიათად როდი აღმოჩენილა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კაპუშინსკის დამოკიდებულება ყველა ადამიანისათვის, ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი შიშის გრძნობისადმი. მისი აზრით, ადამიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ ის განასხვავებს, თუ რა ღონით შეუძლიათ შიშის დაძლევა-დამორჩილება. ამასთან, ეს ის უნარია, რომელიც ასაკთან ერთად სუსტდება. „შიშით მეც მეშინია, როდესაც ძველი, მოფახულებული თვითმფრინავით იმ აეროპორტში ვეშვები, სადაც ისვრიან. მაგრამ ამ თვითმფრინავში ვჯდები იმ რწმენით, რომ მას სროლას აუტეხავენ. სიკვდილი კორესპონდენტის ცხოვრების თანამდევია. როდესაც ანგოლაში მივდიოდი, ვუშვებდი იმის შესაძლებლობას, რომ იქიდან იქნებ სახლში ველარ დაებრუნებულყავი. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, რომ უკან დამეზია და გადაწყვეტილება შემეცვალა. როგორც ჩანს, არის ჩემში რაღაც უფრო ძლიერი, ვიდრე სიკვდილის წინაშე შიშია. ის, ვინც ამბობს, რომ არ ეშინია, ცრუობს“.

კაპუშინსკისათვის რისკი თვითმიზანი როდია. მას ჰქონდა ამბიციის მოვლენების ეპიცენტრში, ფრონტის წინა ხაზზე ყოფილიყო. ასეთ დროს კი ის რისკზე, სიცოცხლის შესაძლო დაკარგვაზე არ ფიქრობდა, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ იქ მოხვედრილიყო, რის ფასად, მნიშვნელობა არა ჰქონდა. მხოლოდ შემდეგ ჩაფიქრდებოდა ხოლმე იმაზე, რომ იქიდან შესაძლოა ცოცხალი ვერ დაბრუნებულიყო.

ამასთან, რეპორტიორის ცხოვრებისათვის მხოლოდ ამგვარი დრამატული მომენტები როდია დამახასიათებელი. რეპორტიორი სულ მოგზაურობს, სულ ეულია. მარტობა ამ პროფესიის განუყოფელი თანამგზავრია. მიდის სადმე, უცხო ქვეყანაში, უცხო ადგილას, სადაც ის მთელი დღის განმავლობაში დადის, მასალას აგროვებს, ცხოვრობს დიდი დამაბულობისა და სტრესების ქვეშ, შემდეგ ბრუნდება სასტუმროში და საკუთარ ფიქრებთან მარტო რჩება, ხმის გამცემი არა ჰყავს, ვისაც შეეძლება აზრი გაუზიაროს, ეჭვები გაანდოს, გრძნობები გაუმხილოს. როგორც კაპუშინსკი წერს, მარტობაში ცხ-

ორება, მასთან შეგუება ურთულესი პრობლემაა რეპორტიორის პროფესიაში.

ფიქრობ, ასეთ ვითარებაში, სიმარტოეში ადამიანს განსაკუთრებით უმახვილდება სამშობლოსადმი სიყვარული. ასე იყო კაპუშჩინსკის შემთხვევაშიც. როგორც თავად წერს, პოლონეთი მისთვის დედაც იყო და მამაც. ეს ის მიწა იყო, რომელზედაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ. პოლონეთს გარეთ მას მუდმივად ყოფნა ვერ წარმოედგინა. რა თქმა უნდა, მას მოუწია მრავალი წლის განმავლობაში უცხოეთში განერება, მაგრამ ყველაგან ცხოვრობდა და მუშაობდა პოლონეთზე ფიქრით. ყოველთვის, როცა და სადაც არ უნდა წასულიყო, იცოდა უკან დაბრუნების თარიღი. იმაზე, დაბრუნებულიყო თუ არა, არასოდეს უყოყმანია, ყოველთვის იცოდა, სად იყო მისი მუდმივი საცხოვრებელი.

1968 წელს მწერალი ლათინურ ამერიკაშია, სადაც ხუთწელიწადზე მეტს დაჰყოფს. კაპუშჩინსკი ჩილეში, მექსიკაში, ბოლივიასა და ბრაზილიაში ცხოვრობდა. აქაური შთაბეჭდილებები მან წიგნში - „საფეხბურთო ომი“ - ასახა.

სხვათაშორის, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საშუალება მიეცა ცილ-შვილიც წაეყვანა და ერთად ეცხოვრათ.

რ. კაპუშჩინსკის წიგნების გამოცემასთან დაკავშირებული ერთი ამბის გახსენება მსურს. მისი ორი წიგნი - „შაპინშაპი“ და „იმპერია“ პოლონეთის საელჩოსა და კრაკოვის წიგნის ინსტიტუტის დაფინანსებით უნდა გამოგვეცა. შევარჩიეთ გამოცემლობა „ინტელექტი“ (დირექტორი კახბერ კუდავა). გამოცემლობამ „შაპინშაპი“ დაბეჭდა, მაგრამ „იმპერიის“, რომელშიც საკმარის დიდი ადგილი საქართველოს ეთმობა, იმ სახით დაბეჭდვაზე, როგორც ის მომზადებული იყო, თავი შეიკავა. გამოცემლობის დირექტორისა და ზოგიერთი მისი ახლობელი ლიტერატორის აზრით, ნაწარმოების ავტორი მეტად სუბიექტური იყო ჩვენ ქვეყანასთან მიმართებაში. მათ მოითხოვეს წიგნისათვის შემდეგი შენიშვნის დართვა:

„მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს და უცნაურის მო-

ქვენოს, რომ რიშარდ კაპუშჩინსკი გვერდს უვლის და საერთოდ არ ახსენებს გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში განვითარებულ პროცესებს. თუნდაც 9 აპრილის ტრაგედიას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა იმპერიის ნგრევაში. ავტორი არა მარტო ტენდენციურია მიმდინარე მოვლენების შეფასებაში, არამედ ნებსით თუ უნებლიედ, ამახინჯებს კავკასიის ისტორიას.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ამ წიგნს მხოლოდ იმ მიზნით გამოსცემს, რომ ქართველმა მკითხველმა იცოდეს ამ მცდარი შეხედულების შესახებ და სათანადო დასკვნა გააკეთოს“.

მე, როგორც მთარგმნელმა, წიგნისათვის ამგვარი შენიშვნის დართვა არასწორად, უფრო მეტიც, შეურაცყოფადაც მივიჩნიე ისეთი ავტორის მიმართ, როგორც ჩვენი ქვეყნის გულწრფელად მოყვარული რ. კაპუშჩინსკი იყო, უარი ვუთხარი გამომცემლობას წიგნის დაბეჭდვაზე და სხვა სტამბაში დავბეჭდე ის.

აი, მისი სამუშაოსათვის მზადების კიდევ ერთი დეტალი: როდესაც აფრიკის შესახებ წიგნის „აბანოზის“ წერას შეუდგა, 200 მეტი წიგნი გადაიკითხა.

რიშარდ. კაპუშჩინსკის განსაკუთრებით უჭირდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობა და მუშაობა. მან ამ სახელმწიფოს შესახებ წიგნის „იმპერიის“ დასაწერად აქ ინტენსიური მოგზაურობა 1989 წლიდან დაიწყო და რამდენიმე წელიწადს გააგრძელა. ამ ხნის განმავლობაში მას გამუდმებით თან სდევდა შიში, რომ თვითმფრინავის რეისზე არ დაეგვიანა. ასეთი დაგვიანება მით უფრო გაართულებდა საქმეს პოლარული წრის იქით, სადაც ასეთ შემთხვევაში მომდევნო რეისამდე სულ ცოტა ორი-სამი თვის ლოდინი მოუწევდა. 2 ათასი რუბლი, რომელიც მწერალმა ჰონორარის სახით მიიღო, მას უზარმაზარ იმპერიაში ნორმალური მოგზაურობის საშუალებას არ აძლევდა. რ. კაპუშჩინსკიმან 60 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა და 1500-ზე მეტ ადამიანთან საუბარი ჩაიწერა. მხოლოდ მოსკოვს ერიდებოდა, რადგან აქ თითქმის ყველა საუბარი პოლიტიკას ეხებოდა, მას

გვერდს ვერ უქცევდა. ეს კი მის მწერლურ ინტერესებში არ შედიოდა.

ამ საუბრების საფუძველზე დაწერილმა „იმპერიამ“ დასავლეთში ნამდვილი ფურორი მოახდინა. მწერლის ნაწარმოებები მაშინ უკვე ხშირად ითარგმნებოდა და იცემოდა. კერძოდ, „იმპერია“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 28-ჯერ და მეტად გამოიცა (გასაგები მიზეზების გამო რუსულად თარგმნილი არაა). „მშვენიერი ნაწარმოებია, რომელიც სკოლებში უნდა ისწავლებოდეს“ - ასეთი აზრი გამოთქვა „იმპერიის“ შესახებ ემიგრაციაში მოღვაწე დიდმა პოლონელმა მწერალმა გუსტავ ჰერლინგ-გრუძინსკიმ.

თუმცა წიგნის მისამართით საყვედურებიც გამოითქმოდა: „იგი შეიცავს მხოლოდ შავ ტონებს და ცალმხრივად გვიჩვენებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ოდენ მწუხარების სამეფო იყოს“ - წერდნენ კრიტიკოსები. ავტორი ნაწილობრივ ეთანხმებოდა მათ და ამბობდა, რომ წიგნში მხოლოდ მოგზაურის სუბიექტური შთაბეჭდილებებია გადმოცემული. „მთელი მხატვრული ლიტერატურა - ამბობდა მწერალი - ესაა ამა თუ იმ ავტორის ვერსია მოცემულ თემაზე. სხვა სახის ლიტერატურა არ არსებობს“.

მწერლის წარმოუდგენელმა შრომისმოყვარეობამ დააწერინა სახელგანთქმულ ინდოელ პოეტს სალმან რუშდის რ. კაპუშჩინსკის ერთ-ერთი, ლონდონში გამოსული წიგნის წინასიტყვაობაში: „ერთი რ. კაპუშჩინსკი სჯობს ათასობით ფანტაზიორსა და მოწუწუნე კანცელარიის ვირთხას“. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ფრ. ენკელსმა რომ დაწერა ბალზაკზე: მისი ერთი ნაწარმოებიდან უფრო მეტს ვიგებთ იმდროინდელი საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის შესახებ, ვიდრე ისტორიკოსების უამრავი წიგნიდანო.

რუშდისვე ეკუთვნის კაპუშჩინსკის წიგნის „იმპერიის“ შემდეგი დახასიათება: „ნაწარმოებში მოვლენების კაპუშჩინსკისეული აღწერა იმ დონემდე აღის, რისი მიღწევაც საერთოდ ხელუწონებას ხელეწიფება: ჩვენს წარმოდგენას ფრთებს ასხამს. მის წიგნებში რეპორტაჟი და ხელოვნება ისეა ერთმანეთს შერწყმულ-

შესახებ ხორცეულები, რომ ბოლოს ფრიად ვუახლოვდებით იმას, რისი გადმოცემის შესაძლებლობასაც თავად კაპუშინისკი უარყოფს - სამყაროს ჭეშმარიტ ხატებას“.

რ. კაპუშინისკის დიდად აუვასებს პოლონელი და არა მხოლოდ პოლონელი ხალხი. 2017 წლის 22 იანვარს ვარშავაში გაიმართა ლიტერატურული საღამო, სადაც მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს და მისი ლექსების კრებული და პროზაული ნაწარმოებების ხუთტომეული წარუდგინეს საზოგადოებას. ხუთტომეულში შეტანილია მისი შემდეგი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებები: „იმპერატორი“, „აბანოსი“, „იმპერია“, „მოგზაურობა ჰეროდოტესთან“ და „შაჰინშაჰი“ (შეგვიძლია ერთგვარი სიამაყით განვაცხადოთ, რომ ყველა ეს ნაწარმოები ჩვენეული თარგმანის მეოხებით ქართველი მითხველისათვის ხელმისაწვდომია). საღამოზე სიტყვით ერთ-ერთი გამომსვლელი იყო აღმოსავლეთის შესწავლის ცენტრის ანალიტიკოსი, პოლიტოლოგი, მწერალი ვოიცეხ გურეცკი. მის კალამს ეკუთვნის „წინაპართა სადღეგრძელო“, რომელიც ძირითადად საქართველოსადმი მიძღვნილი, „პლანეტა კავკასია“ და „აფხაზეთი“. სამივე წიგნი ნათარგმნია ჩვენს მიერ და ქართველ მკითხველს მათი გაცნობის საშუალება აქვს.

აქვე გვსურს შემოგთავაზოთ ზოგიერთი ამონარიდი ვ. გურეცკის სიტყვიდან:

„კაპუშინისკი სამხრეთ კავკასიაში სამჯერაა ნამყოფი: 1967 წლის გაზაფხულზე, 1989 წლის შემოდგომაზე და 1990 წლის ზაფხულში. პირველად ის იქ წავიდა აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში ხუთწლიანი ყოფნის შორის ინტერვალში. წლების შემდეგ ის მეგობარს გაუმხელს: მე ყოველთვის მაინტერესებდა მესამე სამყარო (სხვათაშორის, მწერალი კი იყენებს ამ ტერმინს „მესამე სამყარო“, მაგრამ არ მიაჩნია მართებულად. ამ ტერმინის ქვეშ ხომ მრავალი ქვეყანა მოიაზრება სრულიად განსხვავებული პრობლემებით). „ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან“ უნდა გამხდარიყო ის წიგნი, რომელიც საბჭოთა კავშირის ამ ნაწილს, გაცილებით ნაკლებად გარუსებულს და ეკონომიკურად

ნაკლებ განვითარებულს მიეძღვნებოდა. რაც შეეხება „იმპერია“-ს, მის შესახებ განაცხადებს: „წავედი იმდროინდელი იმპერიის არარუსულ რესპუბლიკებში. რა გეცემოდა იქ თვალში? მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მკაცრი და მტკიცე არტახებისა, იქაურ მცირერიცხოვანმა, მაგრამ უძველესმა ხალხმა შეძლო თავისი ტრადიციის, თავისი იძულებით გამოწვეული დაფარული სიამაყისა და ღირსების შენარჩუნება. იქ მე დაეინახე მზეზე გადაშლილი აღმოსავლური ხალიჩა, რომელსაც ალაგ-ალაგ თავისი ძველი ფერები შეენარჩუნებინა და ადამიანის ყურადღებას თავისი ორიგინალური მოხატულობითა და მრავალფეროვნებით იწვევდა. იქ სიტყვა „საბჭოთა კავშირიც“ კი იშვიათად იხმარებოდა“.

პირველად ამ ნაწარმოების მიხედვით გამოთვალა თავად მისმა ავტორმა და დაასკვნა, რომ ყოველი ერთი გვერდის დასაწერად ასი გვერდი ჰქონდა წაკითხული. შემდეგ ეს პროპორცია მისთვის ასე დამახასიათებელი, საეიზიტო ბარათი გახდა.

საქართველოს შესახებ (თუმცა მას მხედველობაში მთელ კავკასია აქვს) წიგნში „ყირგიზი ჩამოღის ცხენიდან“ რ. კაპუშჩინსკი ასეთ რამეს წერს: „როდესაც ამ ხალხთან ლაპარაკობ, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ თითოეულმა მათგანმა ზედმიწევნით იცის თავისი დაბადების ადგილი: ვინ სად ცხოვრობს, რომელი გვარის წარმომადგენელია, რამდენი არიან, როგორი იყო მათ შორის კავშირი ადრე, გუშინ, როგორია დღეს“.

კაპუშჩინსკის, როგორც რეპორტიორის სანდოობაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ მისი ტექსტების ყოველი გვერდზე ყურადღებას იქცევს კონკრეტული ფაქტები, მოვლენების დეტალური აღწერა. უურნალისტსა და კაპუშჩინსკის მეგობარს უწერია მწერლის ერთი გამონათქვამის თაობაზე: „გახსოვდეს ყოველი რეპორტიორის უმნიშვნელოვანესი პრინციპი: შენ იქ იყავი, ყოველივე შენი თვალთ ნახე, შეეხე და ეს არის უმთავრესი არგუმენტი. ამას შენ ვერაფერს წაგართმევს“.

## მწერლის ბავშვობა

რიშარდი პატარა დასახლება პინსკში, პოლესიეში, პოლონეთში დაიბადა. პოლესიე ქვეყნის თითქმის ყველაზე წყალუხვი ადგილია. აქ ბევრია პატარა მდინარე, ტბა, ნაკადული, წყარო. დღეს ეს დასახლება ბელორუსს ეკუთვნის, მეორე მსოფლიო ომამდე კი პოლონეთის საზღვრებში შედიოდა. პატარა რიშარდი პინსკში, სუვოროვის ქუჩაზე 1933-1939 წლებში ცხოვრობდა.



რიშარდის დედა ბოხნიელი, მცირე პოლონეთიდან (მალ-ოპოლსკი), ხოლო მამა კვლცის საუბევოდოდან, დალუშიჩიდან იყვნენ. მათ ერთმანეთი აღმოსავლეთ პოლონეთში გაიცნეს,

იქორწინეს, პინსკში დასახლდნენ და სკოლაში მასწავლებლებად დაიწვეს სამსახური. სწორედ აქ, 1932 წლის 4 მარტს მოველინა ამქვეყნას რიშარდი. მალე მას წმინდა კარლ ბორომეუსის ეკლესიაში მონათლავენ.

იმ პერიოდში პინსკი მეტად საინტერესო დასახლება იყო. როგორც ერთხელ მწერალმა აღიარა, მას იმიტომ მოსწონდა ღარიბ ქვეყნებში ცხოვრება და მასზე რეპორტაჟების წერა, რომ ოდესღაც პინსკიც სწორედ ასეთი იყო. აქ მრავალი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი ცხოვრობდა: პოლონელები, ბელორუსები, ებრაელები, სომხები, ლიტველები. ყველა მათგანს სრულიად განსხვავებული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები ჰქონდა. ნამდვილად აქედან წარმოსდგება მწერლის გახსნილი ხასიათი. მისი შემგუებლობა სხვა ქვეყნის, სხვა ხალხებისადმი, რომელიც რ. კაპუშჩინსკის შემდგომ მრავალ წელს გაგრძელებული მოგზაურობისა და მწერლობაში დაეხმარება.

წლების შემდეგ მწერალი გაიხსენებს, რომ მთელი სიცოცხლე შემორჩა პინსკის სურნელის ცხოველი გრძნობა. იქ ხომ თითქმის ყველა სახლს ბაღა-ბაღი ჰქონდა, სადაც ყვავდა ალუბალი, ქლიავი, ვაშლი... შემოდგომობით ეს პატარა ქალაქი მურაბის სუნით იყო გაჟღენთილი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ დიასახლისები საზამთრო სამზადისს შედგომოდნენ. თავად მწერლისავე გადმოცემით, ძნელია ამ ყველაფრის გავლენის განსაზღვრა ადამიანის, შემოქმედის, მწერლის ჩამოყალიბების პროცესზე, მისი აზროვნებისა და გემოვნების დახვეწა-გამომუშავებაზე.

მაგრამ 1939 წლის სექტემბერში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო (პოლონეთს I სექტემბერს გერმანია დაარტყამს, ხოლო იმავე თვის 17-ში - საბჭოთა კავშირი; ეს ორი აგრესორი შუაზე გაიყოფს ქვეყანას. ამას ჩვენ, საბჭოთა ხალხს საგულდაგულოდ გვიძალავდნენ და ომის დაწყების თარიღად 1941 წლის 22 ივნისს გვიცხადებდნენ). როგორც ჩანს, პატარა რიშარის მუხსიერებაში ყველაზე მძაფრად ომის დაწყება აღიბეჭდა. განსაკუთრებით მისი ოჯახის ურმით სვლა, უფრო სწორედ, საბ-

ჭოთა ოკუპაციის ზონიდან დასავლეთისაკენ გაქცევა. გზაზე ყოველ ნაბიჯზე მკვდარი ცხენები გვხვდებოდა - გაიხსენებს შემდგომ მწერალი. - ზოგი პირდაპირ შუა გზაზე, ზოგი - გზის პირას, თხრილებში, ბევრი ასევე გზის გასწვრივ მინდორში იწვა. იწვნენ ასე, ცისკენ ფეხებაწეულები, თითქოს თავიანთი ჩლიქებით ცას მუქარას უთვლიდნენო. ეს მსვლელობა, ეს შშიერი გადაადგილება მრავალ ადამიანს მოგზაურობას შეაჯავრებდა, მაგრამ არა კაპუშინსკის: მას ამან პირიქით, უფრო გაუღვივა მოგზაურობისადმი წყურვილი: მე გზის ადამიანი ვიყავი - იტყვის შემდგომ.

საინტერესოა, მაშინ კაპუშინსკების ოჯახი საბჭოთა საოკუპაციო ზონაში რომ დარჩენილიყო, როგორ წავიდოდა მოძაველი მწერლის ცხოვრება. ის კი ნათელია, რომ ის ასეთ შემოქმედებით მწვერვალებს ვედარ მიადწევდა; რადგან შემოქმედებას თავისუფლება სჭირდება, რაც პოლონეთში საბჭოთა კავშირზე გაცილებით მეტი იყო.

რიშარდი შვიდი წლის იყო, ომი რომ დაიწყო. პირველი სურათი, რომელიც იმ დროიდან მწერლის მეხსიერებაში ხატონად შემოინახა, ასეთი იყო: უეცრად დაინახა, რომ ცაში მიწის უზარმაზარი მასა აიჭრა. ამ სანახაობამ პატარა ბიჭზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და მოუწია უფრო ახლოდან ენახა, თუ რა მოხდა, მაგრამ დედამ დაუშალა და უთხრა, რომ მიწაზე გაწოლილიყო.

ბავშვობის შემდგომდროინდელი ერთ-ერთი სურათიც ყოველთვის ახსოვდა: იგი ხედავდა დედას, რომელიც საათობით იდგა ფანჯარასთან და ქუჩაში იცქირებოდა. ბიჭს შიოდა, სახლში კი საჭმელი არა ჰქონდათ. ამ დროს დედამისი, მსგავსად მათი მეზობლებისა, იდგა ფანჯარასთან და ცქერას განაგრძობდა - რატომ იდგნენ, რას უყურებდნენ? - იკითხავს წლების შემდეგ მწერალი.

პატარა რიშარდი თანატოლ ბიჭებთან ერთად ხშირად ეზოებში დაქებტებოდა. რა იყო ეს - ახალი გატაცება თუ საჭმლის ძიება? მაღაზიები დაკუტილი ან გაქურდული იყო, ენ-

კავედე ხალხს იჭერდა. საჭმელი საბჭოთა ჯარისკაცებსაც არ ჰქონდათ, მათ ბიჭებისათვის მხოლოდ გაზეთში გამოხვეული თუთუნის შეთავაზება თუ შეეძლოთ.

როგორც კაპუშჩინსკის კოლეგა და ბავშვობის მეგობარი მიროსლავ იკონოვიჩი იხსენებს, მაშინ თავად ათასგვარი საგლანტერიო ნივთებით, ძაფებით, ნემსებით, მაკრატლებით სავსე ჩანთას დაათრევდა და ცდილობდა მათ გაყიდვას, რათა მიღებული ფულით რაიმე სურსათი შეეძინა, ხოლო კაპუშჩინსკი სოფელ-სოფელ დადიოდა და ოჯახურ პირობებში დამზადებული საპნის გაყიდვას ლამობდა, რომელიც მისთვის ვიღაცას ეჩუქებინა. მასში მიღებული ფულით ფეხსაცმელის ყიდვა სურდა. ზამთარი ახლოვდებოდა, ის კი ფეხსაცმლის გარეშე იყო დარჩენილი.

იმ დროს დაიწყო რიშარდმა სიგარეტის წვევა, რომელიც საკვების მაგივრობას უწევდა, შიმშილის გრძნობას უკლავდა.

რ, კაპუშჩინსკის ოჯახი განსაკუთრებით რელიგიური, კათოლიკური იყო. თუმცა მისი ოჯახის წევრები არა ყოფილან ჩაკეტილი, სხვა აღმსარებლობის ხალხისათვის შეუღწეველი. ისინი ღმობიერებით გამორჩეული ადამიანები იყვნენ. თავად რიშარდი ომის დროს მინისტრანტად, მნათედ მსახურობდა კასტიოლში (ეკლესია პოლონეთში). მწერალი თავისი ბავშვობის ამ პერიოდისადმი საკმაოდ კრიტიკულია. ის თავს ირლანდიელ მწერალს, ჯოისს უდარებს და წერს, რომ თუ 12 წლის ჯოისი საკმაოდ შინაარსიან წერილებს წერდა, მე ამ ასაკში მინდორში საქონელს ვაძოვებდი და ჯერ ერთი წიგნიც კი არა მქონდა წაკითხულიო. რა საინტერესოა ადამიანი, როგორი პარადოქსები ახასიათებს მას. სამაგიეროდ შემდეგ ისე შეუყვარდება კითხვა, რომ არა მხოლოდ თავის სახლში, ვარშავაში, ჰქონდა დიდი და საინტერესო ბიბლიოთეკა, არამედ ყველა იმ ქალაქშიც, აფრიკა იქნებოდა ეს თუ ლათინური ამერიკა, სადაც ხშირად უხდებოდა ცხოვრება. კერძოდ, მას პირადი ბიბლიოთეკა ჰქონდა ლაგოსში, მექსიკაში, დაკარში, აშშ-ში და ინგლისში - ოქსფორდში. მივლინებიდან სამშობლოში დაბ-

რუნებულს წიგნების დიდი შეკვრა მიჰქონდა სახლში.

„რამდენიმე ბიბლიოთეკა მაქვს. ჩემი წიგნების ნაწილი სხვადასხვა ადგილასაა გაბნეული - ლაგოსში, მექსიკაში, დაკარში, შტატებში, ოქსფორდში. როდესაც სადმე ჩავდივარ, საქმიანობას იმით ვიწყებ, რომ სასტუმროში ვჩერდები და ბიბლიოთეკას ვქმნი. ვყიდულობ იმ წიგნებს, რომლებიც ამ ქვეყანას გამაცნობენ, ვიძენ შესაბამის ლექსიკონებს. შემდეგ ვაწყვდები მათი წამოღების პრობლემას, ამიტომ მათ ნაწილს ნაცნობებს ვუტოვებ იმ იმედით, რომ ოდესმე იქ კვლავ დავბრუნდები“.

ომმა დიდად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბავშვის ფიქიკაზე (და ვისზე მოახდინა მან დადებითი გავლენა?!). ამის გამოისობით, როგორც თავად წერს, მას არ ახსოვდა, თუ რა იყო მშვიდობა და როდესაც ომი დასრულდა, მან მხოლოდ ჯოჯოხეთი იცოდა.

კაპუშინსკების ოჯახის პილიგრამობა დასავლეთისაკენ, 1946 წელს ვარშავაში დასრულდა. თუმცა მანამდე მათ ოჯახს ბევრი გაჭირვების გადატანა მოუხდა. მამამისი, იოსებ კაპუშჩინსკი კატიინისკენ მიმავალ გზაზე (1940 წლის 5 მარტს იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა ხელი მოაწერა 21 ათასი პოლონეთის მოქალაქის, ძირითადად, ოფიცრების დაზვერეტას, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის მტრებად გამოაცხადეს. აღსანიშნავია, რომ მათ შორის რამდენიმე ქართველიც იყო - ეჟი (გიორგი) მამალაძე და სხვ. ისინი კატიინის ტყეში დაზვერეტეს. დიდი ხნის მანძილზე მიიჩნეოდა, რომ ისინი ნაცისტებმა დახოცეს. მაგრამ 1990 წელს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხაელ გორბაჩოვმა გაასაჯაროვა დოკუმენტების ნაწილი კატიინის დაზვერეტების შესახებ და ისინი პოლონეთს გადასცა. სიმართლემ მსოფლიო შეძრა) დაუსხლტა ხელიდან მტარვალებს და ამის შემდეგ პოლონეთის განმათავისუფლებელ „არმია კრაიოვაში“ იბრძოდა. დედა რიშარდთან და მის უმცროს დასთან გაიქცა და საბჭოთა ტყვეობას დაადწია თავი. თუმცა მანამდე ამის გასაკეთებლად სულ გაყიდა ყველაფერი, რაც კი ებადა, დაიქირავა ფურმანკა (ცხენის ეტლი პოლონეთში) და მამის

კვალს ვარშავისაკენ გაუყვნენ. ბედმა გაუღიმათ და ის შემთხვევით მართლა იპოვეს.

ოჯახი სიერაკოვოში დასახლდა. მამამ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სოფლის სკოლაში მასწავლებლობა დაიწყო. ამიტომ ამ პერიოდში პატარა რიშარდის უმთავრეს საქმიანობას საკვების შოვნა წარმოადგენდა. სოფლის ახლოს, ტყეში კონსპირაციული საეკლესიო ჰოსპიტალი იდგა, სადაც დაჭრილები მიჰყავდათ. იმ ჯარისკაცთა გვაძები, რომელთა გადარჩენასაც ექიმები ვერ ახერხებდნენ, დიდ სამარეში მიჰქონდათ და ასვენებდნენ. ამ დროს რიშარდი მღვდელთან ერთად იდგა და მას განსვენებული სათავის წესის აგებაში ეხმარებოდა.

კაპუშინსკები თავიდან ოთხსულიანმა ოჯახმა შეიკვლდა, ხოლო შემდეგ საკუთარი ბინა მიიღეს. მართალია თავისი ტუალეტის, აბაზანის და საშხარეულოს გარეშე, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა, ეს იმ პირობებთან შედარებით, რა პირობებშიც მის ოჯახს აქამდე ცხოვრება უხდებოდა, სამოთხე იყო. კაპუშინსკები ვარშავაში, ვაველის ქუჩაზე, 1955 წლამდე ცხოვრობდნენ. იმ ადგილას, ანუ სარკინიგზო ჩიხში, სადაც ისინი დასახლდნენ, ციმბირს უწოდებდნენ. იქ ცემენტისა და აგურის მრავალი საწყობი იყო.

რამდენიმე ინტერვიუში ჰკითხეს მწერალს, მსოფლიოს ცხელ წერტილებში რეპორტიორად მუშაობისას, შიშს თუ გრძნობთო. მისი პასუხი ასეთი იყო: მისთვის ომი არც 1945 წელს და არც შემდეგ არ დაძთავრებულა, მსგავსად იმ ადამიანებისა, რომელთაც იგი გადაიტანეს. ამიტომ დამალვა, თავის შეფარება მისთვის ახლაც ისევე ბუნებრივია, როგორც ბავშვობაში.

## სწავლის პერიოდი

ომის შემდგომ პირველ წლებში რიშარდი სტანისლავ სტაშიცის სახელობის (ცნობილი პოლონელი მეცნიერი, რომლის სახელსაც პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია ატარებს)

გიმნაზიაში სწავლობდა. სიყმაწვილეში გამოჩენილი სპორტსმენიც იყო და ჭაბუკთა შორის ვარშავის ჩემპიონობამდეც მიაღწია.

ფეხბურთით თავის გატაცებაზე მწერალმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა. დაუფარავად თქვა, რომ სკოლაში მხოლოდ ერთი რამ იტაცებდა - ფეხბურთი. ჯერ სკოლის ნაკრების მეკარე იყო, შემდეგ „ლეგიას“ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. მთელ დღეებს სტადიონზე ატარებდა. ეს მისი ყველაზე დიდი ენება იყო. მაშინ უკვე ვეღარ გაიხსენა, თუ რა მიზეზით დაწერა თავისი პირველი ლექსი. რედაქციაში გააგზავნა და მოლოდინმაც არ დააყოვნა - დაუბეჭდეს. ამან განაპირობა მთელი მისი შემდგომი საქმიანობა. ლექსების წერა სტიქიურად დაიწყო, ყოველგვარი ოცნების გარეშე. არც თავად მალაგს, ცუდი ლექსები იყო. მათ მაიაკოვსკის გავლენით წერდა, თუმცა მხოლოდ მისი ბწყალების წაბაძვა შეძლო. ამ ლექსების უმრავლესობას მომხდარი მოვლენები ედო საფუძვლად, რამაც, სახელდობრ, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას მიიყვანა კაპუშინსკი ჟურნალისტიკამდე. როდესაც ჟურნალი „ახალგაზრდული დროშა“ დაფუძნდა, მის რედაქციაში შესთავაზეს მუშაობის დაწყება. იუარა: ჯერ სკოლა უნდა დაემთავრებინა. დაელოდნენ. დაასრულა გამოცდები თუ არა, ზუსტად მეორე დღეს რედაქციაში დაიწყო მუშაობა. ამიტომ, იმას, რომ ჟურნალისტი გახდა, პოეზიას უმადლის, თუმცა არც ისე კარგს, მაგრამ სამაგიეროდ საკუთარსა და ორიგინალურს. არადა, პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში მეკარედ თამაშზე ოცნებობდა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ მწერლის პოეზია საზოგადოებას კარგად მიიღო. 1951 წლის 1 აპრილს ის ახალგაზრდა პოეტთა საღამოზე მიიწვიეს, სადაც მთელი ქვეყნის პოეტები იყვნენ თავშეყრილი. როგორც ჩანს, თავის დროზე კაპუშინსკი მთლად სწორად ვერ აფასებდა თავისი პოეტურ პოტენციალს. როდესაც 1986 წელს მისი რამდენიმე ლექსი პატარა წიგნად გამოიცა, მას საკმაოდ კარგად შეხვდნენ კრიტიკოსები. „პროზაში, კაპუშინსკის შემოქმედების ყველაზე საუკეთესო ნაწილ-

ში - წერდა ერთი რეცენზენტი, - ავტორი არა ჩანს, როგორც ადამიანი, პოეზიაში კი იგი სრულად დავინახეთ - თავისი ღირსებებით და ნაკლოვანებებით“.



არადა, ამ ლექსების წყალობით რიშარდი გაიცნეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში და შესაფერისი სამსახურიც გამოუჩინეს. კერძოდ, გაზეთების კულტურის განყოფილებები მას ცნობილ მწერლებთან ინტერვიუს მომზადებას აუალებდნენ. ამგვარად გაიცნო რ. კაკუშინსკიმ გამოჩენილი მწერლები მარია დომბროვსკა, ზოფია ნალკოვსკა, ლეოპოლდ სტაფი, იულიამ ტუვიმი და სხვები.

ახალგაზრდობის შემდეგ ლექსები წერა აღარც გახსენებია. ამ ფორმით აზრის გამოთქმა ჩემ ძალებს აღემატებოდაო, დაწერს შემდეგ. სხვათაშორის, დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოისაც დიდად არ ეპიტნავენოდა პოეზია. ამბობდა, რომ რითმისა და რიტმის არტახები ადამიანს აზრის სრულად გამოთქმის საშუალებას არ აძლევენ. ამ მხრივ სხვა განსხვავებულ აზრსაც გამოთქვამს ტოლსტოი: მიუხედავად იმისა, რომ პუშკინი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც რუსული პოეზიის მეფე, ტოლსტოი მეფობის გვირგვინს ლერმონტოვს აკუთვნებდა.

მართალია, მისივე გულწრფელი აღიარებით კითხვა მოგვიანებით დაიწყო, მაგრამ სამაგიეროდ საკუთარ თავში მწერლობის ნიჭი ადრე, ლიცეუმში სწავლისას, აღმოაჩინა. ერთხელ, მშობლიური ლიტერატურის გაკვეთილის ექოს, ვარშავას ქარიშხალმა გადაუარა. მასწავლებელმა ბავშვებს თხოვა ამ ბუნებრივი მოვლენით გამოწვეული საკუთარი განცდების შესახებ დაქწერათ. როგორც კაკუშინისკი შემდგომ იხსენებს, პედაგოგის ამ წინადადებაში მასში მანამდე მიძინებული სამყაროსადმი ცნობისმოყვარეობა, მისი მექანიზმების მოქმედების მიზეზების შეცნობის სურვილი გამოაღვიძა. მაშინ დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ საიდან წარმოიშვება ქარიშხალი, რას წარმოადგენს ის, რატომ იწყებს ასე მოულოდნელად მოქმედებას და რა გავლენას ახდენს ის ქალაქსა და მის მაცხოვრებლებზე. თითქოს უბრალო ამოცანა იყო, მაგრამ ხშირად სწორედ ასე იწყება სამყაროს შემეცნება. ყველას გვაქვს სამყაროსადმი დაინტერესება, ცნობისმოყვარეობა, ზოგჯერ მცირე, ზოგჯერაც მომეტებული დოზით, როგორც წესი. გაუცნობიერებელი - ის ვლინდება ჩვენს საუბრებში, ჩვენს ურთიერთობებში სხვა ადამიანებთან. „ჟურნალისტი სწორედ ისაა, ვინც ამ ცნობისმოყვარეობას საკუთარ თავში განავითარებს და მას შეგნებულად საკუთარ იარაღად აქცევს“. ამას რ. კაკუშინისკი თავის წიგნში, „რეპორტიორის ავტობიოგრაფია“ წერს.

სკოლის დასრულების შემდეგ ყმაწვილი რიშარდი არჩევა-

ნის წინაშე დადგა: მას ან სამეცნიერო-კვლევითი სფერო უნდა აერჩია და მომავალში პროფესორი გამხდარიყო, ანდა საზოგადოებრივი ისტორიის ფესვები უნდა შეესწავლა და დაედგინა, რატომ განვითარდა ისტორია ასე და არა სხვანაირად. მან ეს მეორე გზა აირჩია. ყოველი კარგი ჟურნალისტი ზომ თავისებური ისტორიკოსიცაა. მისი ნაშრომი კვლევაა, იმ დროის გარკვევა და შესწავლაა, საიდანაც ისტორია იწყება. ასეთია კაპუშჩინსკიც. მისი ყოველი წიგნის, - აფრიკაზე იქნება ის, ლათინურ ამერიკაზე თუ საბჭოთა კავშირზე მიზანი ერთგვარი კვლევა, მოვლენის შემჩნევა და მისი გამოძვევენი მიზეზების დადგენაა. ისტორიკოსის ცოდნა და ინტუიცია ეხმარება მას ამ საქმეში. ეს თვისებები ზომ ფუნდამენტალური საფუძველია ყოველი ჟურნალისტის საქმიანობისა.

### კაპუშჩინსკი და პოლიტიკა

ამავე პერიოდს ეკუთვნის კაპუშჩინსკის სოციალისტური იდეებით გატაცება. როგორც თავად იტყვის, მას ძალიან რომანტიულად სწამდა სოციალისტური, უბრალო ხალხის კეთილდღეობისაკენ მიმართული ღობუნების. მისთვის ამაში იყო რაღაც რელიგიური ელემენტები, რომელიც ადამიანს ეხმარებოდა ომის შემდგომი კომპარისაგან, ოკუპაციით შექმნილი ვითარებისაგან თავის დაღწევაში. ადამიანს, ვისაც ომი საკუთარ თავზე არ გადაუტანია, გაუჭირდება ამის გაგება. ამ პერიოდის ახალგაზრდობისათვის ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობდა სინამდვილისაგან მათ გაქცევას, სიკეთე იყო. შემდგომში მწერალი გამოტყდება, რომ ძალიან გულუბრყვილო და გამოუცდელი ვაყავი მაშინ, თუცა რასაც ვაკეთებდი, ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ დიდი რწმენით ვაკეთებდიო.

კაპუშჩინსკის სტუდენტობის მეგობარი ელა ვიხუიცკა იხსენებს, თუ როგორ მივიდა ერთ დილას ვარშავის უნივერსიტეტში და საბეჭდ მანქანასთან თავჯდომარე მძინარე რიშარი დაინ-

ახა. იგი პოლონელ ახალგაზრდათა კავშირის თავჯდომარე იყო (საბჭოთა კავშირში არსებული კომკავშირის ანალოგიური). როგორც ჩანს, ღამენათუკი იყო. როდესაც გაიღვიძა, ელას უთხრა:

- იცი, პარტიაში შევდივარ და მთელი რამე ჩემს ბიოგრაფიას ვწერდი. კიდევ ერთი-ორი საათი მჭირდება და დავასრულებ.

რ. კაპუშჩინსკის პოლიტიკა მხოლოდ როგორც დაკვირვების ობიექტი, ისე აინტერესებდა. პოლიტიკას, როგორც ასეთს,



ვერ იტანდა. ყოველთვის ცდილობდა სამი პრინციპის შესაბამისად ცხოვრებას: არაეითარი ტიტულები, არაეითარი თანამდებობა და არაეითარი ფუნქცია. მას მიაჩნდა, რომ უბრალოდ უნდა ეწერა. ყველაფერს, რაც კი ამ საქმიანობას არ უკავშირდებოდა, დროის ფუჭად დაკარგვად თვლიდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას უფრო მეტად იდებოდა მისი მოსწონდა. მისი მეტად იდებოდა სიმპათიების დასადასტურებლად

გამოდგება მწერლის შემდეგი დასკვნა: მატერიალური უთანასწორობა პლანეტარული მასშტაბით ღრმადღება და სკანდალურ ხასიათს იღებს. საქმე იმაში როდია, რომ ეროს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა. პრობლემა ისაა, რომ ერთეულია ხელში კონცენტრირებული ეს სიმდიდრე საოცარი ფლანგვის მიზეზად იქცა.


სხვათაშორის, რ. კაკუშჩინსკი ამ მხრივ ჰგავს მეორე დიდ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს ადლერტს კამიუსს. ის კამიუსს იმ მხრივაც ემსგავსება, მის ცხოვრებაში კომპარტიის წევრობას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია არც მატერიალური თვალსაზრისით და არც იდეოლოგიურად. მსგავსელობაში მაქვს რეცენზენტის შეფასება კამიუსს დისერტაციისა: „მისი დისერტაციის კითხვისას ძნელია იმის დაჯერება, რომ მისი ავტორი იმავდროულად კომპარტიის წევრი იყო“.

### უნივერსიტეტის დასრულება და სამსახურის დაწყება

ვარშავის უნივერსიტეტის პოლონური განისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლას კაკუშჩინსკი 1951 წლიდან იწყებს. რადგან სტალინის რეჟიმის მიერ მათემატიკის ისტორიული მეცნიერება ბურჟუაზიულად მიიჩნეოდა, სოციალისტური ქვეყნების სტუდენტებს ახალი, საბჭოთა სახელმძღვანელოებიდან უნდა ესწავლათ, რომლებიც პოლონურ ენაზე ვერ არ იყო მათარგმნი. და რადგან სახელმძღვანელოს თარგმანა ვერ მოესწროთ მას ხელნაწერებიდან სწავლობდნენ: ერთი ტექსტს კითხულობდა, ხოლო დანარჩენი კურსელები, თითქმის 150 სტუდენტი იწერდა. ასე ისწავლეს ახალი ისტორია, რუსული ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოთი.

მწერლის პირველი რეპორტაჟები, პირველი მოგზაურობები 1955 წლიდან იწყება. ამ წელს ეურნალმა „ახალი კულტურა“ მეტად მძაფრი ხასიათის ლირიკული ნაწარმოები - „პოეზიის მოზრდილთათვის“ დაბეჭდა. ნაწარმოებმა, რომელიც მხატვრული ფორმით აღწერდა ნიუა ბუტას („ახალი ქარხანა“, მეცა-

ლურგიული ქარხანა კრაკოვის გარეუბანში, რომელიც საბჭოთა კავშირის წაბიძგებით ააშენეს პოლონეთში. როგორც პოლონელები ამბობენ, მისი მშენებლობა განგებ იყო ჩაფიქრებული ამ ისტორიული და ულამაზესი ქალაქის სიახლოვეს, რომ ქარხნიდან გამოსულ მჭარტლს წაებოდა ქალაქის ღირსშესანიშნაობები. სხვათაშორის, ამ დასახლებას „ამშვენება“ ლენინის ძეგლი. გარდაქმნების პერიოდში ოპოზიციონერებმა აქ მიიტანეს ძველი, დანჯღრეული ველოსიპედი, ლანჩამძვრალი ფეხსაცმელი და ძველს წაწერეს დატოვეს: აიღე ფეხსაცმელები და მოუსვი ქარხნიდანო (პოლონურად კარგად ირითმება - ვოხში ბუტი ი ვიეჟაი ს ხუტი. ბუტი - ფეხსაცმელი და ხუტა - ქარხანა). კაპუშჩინსკის ნაწაერმოებში აღწერილმა ხუტის მკვიდრთა დატაკმა და უიმედო ცხოვრებამ საზოგადოება შოკში ჩააგდო. კომპარტიამ ის ანტიკუმანურ, ანტიხალხურ ნაწარმოებად მიიჩნია და დაგმო. ეს არცაა გასაკვირი: ხუტა ხომ, ახლანდელი ტერმინი რომ ვიხმარო, ისე იყო გაპიარებული, როგორც „ქვეყნის ეკონომიკური ტრიუმფის“ სიმბოლო. მთელი მასმედია ჩაება ამ დისკუსიაში. ჟურნალმა „დროშამ“ თავის კორესპონდენტად ნოვა ხუტაში რ. კაპუშჩინსკი მიავლინა. ამ უკანასკნელმა იმავე წლის სექტემბერში დაწერა წერილი, რომელმაც დაადასტურა პოემაში აღწერილი ამბები და უშიშრად განაცხადა: ნოვა ხუტაში ხალხი შიმშილობს, გაღატაკებულია და მტვერსა და ბოლში იხჩვებო.



ამ რეპორტაჟისათვის, რომელმაც თუმცა ძალზე გაანაწყენა ხელისუფლება, რიშარდმა ცხოვრებაში პირველი ჯილდო მიიღო.

ახალგაზრდა, დამწყები ჟურნალისტი სათავეს ხელი რომ აეღებინებინათ მწვავედ, კრიტიკულად წერილსაგან, მაღალ პოლიტიკურ წრეებში ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ის თავიდან მოეშორებინათ. ამიტომ სამუშაოდ საზღვარგარეთ მიაგვლინეს.

1967 წელს კაპუშინისკიმ შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში, მათ შორის, საქართველოში იმოგზაურა. აქ რამდენიმეთვიანი მოგზაურობის შედეგად წარმოსდგა წიგნი „ყირგიზი ჩამოდის ცხენიდან“ (წიგნი 2015 წელს გამოვეცით „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობაში. მხოლოდ ქართულადაა ნათარგმნი). მასში მშრალი ფაქტების წარმოდგენის ნაცვლად მწერალი აქაურ მკვიდრთა ხასიათის სიღრმეს, მის უნიკალურობას სწვდება და გვაჩვენებს. სხვათაშორის, მასში საკმაოდ დიდი ადგილი საქართველოს აქვს დათმობილი. ის ამ მოგზაურობას საქართველოდან იწყებს და შემდეგ გადადის ჩვენს ძეგლებზე რესპუბლიკებში. სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს მხოლოდ თავიანთ სამშობლოში შეიძლება შეხვდეთ, წერს იგი. რა იცოდა, ორიოდ ათწლეულის შემდეგ როგორ აირეოდა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება და მილიონნახევარი ქართველი ლუკმა-პურის საძებრად უცხოეთში წავიდოდა.

### რეპორტიორობის დაწყება

როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი ალისია იხსენებს, რიშარდს მოგზაურობის ბაცილა სისხლში ჰქონდა გამჯდარი. იმ წლებში, როდესაც მწერალი უკვე ნაკლებს მოგზაურობდა, ნაცვლად იმისა, რომ თავის საყვარელ მოკოტოვის მინდორზე წასულიყო სასეირნოდ, მიდიოდა ოკენცის აეროპორტში, თვალს ადევნებდა აფრენილ თვითმფრინავებს და დიქტორის ცნობებს უსმენდა. როდესაც ალისიამ ამის შესახებ თავის ნათესავს, ახალ ზელანდიაში მცხოვრებ ექიმს, მოუყვა, ამ უკანასკნელმა ქალს შემდეგი რამ უთხრა:

- ეს დაახლოებით ახალზელანდიელების საქციელს ჰგავს. ისინი მსოფლიოსაგან მოშორებით გრძნობენ თავს, ამ გრძნო-

ბის გასაქარწყლებლად ველინგტონის მკვიდრნი ნაშუადღევს მიდიან აერობორტში, სხედან იქ თავიანთ ავტომანქანებში საათობით, მიირთმევენ ბუტერბროდს, სვამენ კოკა-კოლას და მელანქოლიურად ადევნებენ თვალს აფრენილ თვითმფრინავებს.



ამასთან, როგორც ქალბატონი ალისია და ასევე მისი მეგობრები იხსენებენ, კაპუშინისკი არა ყოფილა ტიპიური მაწამწალა ადამიანი. ის უფრო შინაყუდა იყო. მართალია ბევრს მოგზაურობდა, რადგან ასეთი პროფესია აირჩია, მაგრამ რომელ ქალაქშიც არ უნდა ჩასულიყო, სასტუმროში დაბინავებისას ჯერ სახლიდან წაღებულ ნივთებს მიუჩენდა ადგილს, რათა იქ

თავი შინაურულად ეგრძნო. ცის ქვეშეთში საკუთარი ადგილის შემოსაზღვრა ზომ თითოეულ ჩვენთაგანში ცოცხლობს. სადაც არ უნდა წასულიყო, სახლის გასაღები ყოველთვის თან მიჰქონდა - ამბობს ქალბატონი ალისია.

კაპუშჩინსკის აზრით, მოგზაურობა მაშინ როდი იწყება, როდესაც გზას ვადგებით. და არც მაშინ მთავრდება, როდესაც დანიშნულების ადგილს მივალწევთ. სინამდვილეში ის გაცილებით ადრე იწყება და არც არასოდეს მთავრდება, რადგან მეხსიერების ლენტა კვლავ ბრუნავს და პრაქტიკულად არასოდეს არ ჩერდება, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ადგილიდან არ ვიძვრით. არსებობს ერთგვარი მოგზაურობით დაავადება. ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც ვერაფრით და ვერასდროს ვერ განიკურნება.

1956 წელს კაპუშჩინსკი ინდოეთშია, შემდეგ მონახულებს პაკისტანსა და ავღანეთს. საინტერესოა მისი ახსნა-განმარტება იმისა, თუ რატომ გახდა რეპორტიორი და რატომ დადის მთელ მსოფლიოში: „რატომ მივდივარ? იმიტომ, რომ ვიარო, ვნახო, შევეკითხო, მოვუსმინო, ვიყოყმანო, ვიფიქრო და ბოლოს, დავწერო“. იმის გამო, რომ მხოლოდ პოლონური იცოდა, თავს მარტოსულად გრძნობდა. ამიტომ შეიძინა ჰემინგუეის ნაწარმოები „ვის უხმობს ზარი“, ასევე ინგლისურ-პოლონური ლექსიკონი და მის კითხვას შეუდგა. ასე ისწავლა ინგლისური.

ინდოეთი ის პირველი ქვეყანა იყო, სადაც რ. კაპუშჩინსკი უცხო სამყაროს შეეჩენა. ეს უჩვეულო შეხვედრა აღმოჩნდა. როგორც ის წერს, ამ მოგზაურობიდან მწერალი თავისი მცირე ნაკითხობით, უცოდინრობით, უკან დარცხვენილი დაბრუნდა. ის მაშინ დარწმუნდა იმაშიც, რომ უცხო კულტურა ასე ადვილად არ შეგიძვება თავის წიაღში, არ გაგანდობს თავის საიდუმლოებას, თუ საამისოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაფერისად არ მოემზადე. საინტერესოა მისი ასეთი ლტოლვა მოგზაურობისადმი. როგორც თავად წერს, სურდა ოლონდ კი საზღვარი გადაელახა და სულ ერთი იყო, თუ სად მოხდებოდა ეს, მისთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა თავად

საზღვრის გადალახვა, თითქმის მისტიკურსა და ტრანსცენდენტალურს. ამასთან, როგორც თავად აღიარებს, მოგზაურობა გამოსცდის კაცს, მისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. სამაგიეროდ ამის შედეგად ადამიანს შეიცნობს სამყაროს, სიცოცხლეს და საკუთარ თავსაც.



ინდოეთში მოგზაურობისას მწერალს თან ჰქონდა ძველი ბერძენი ისტორიკოსის, „ისტორიის მამის“, ჰეროდოტეს „ისტორია“. საოცარ მსგავსებას პოულობდა ძველ ბერძენთან, აკი ამიტომ გამოვიდა თავად მისი წიგნიც „მოგზაურობა ჰეროდოტესთან ერთად“, ასე საინტერესო. ინდოეთშივე დაიწყო ინგლისურის სწავლა-დახვეწა ჰემინგუეის „ვის უხმობს ხარისა“ და ჯიბის ინგლისურ-პოლონური ლექსიკონის მეშვეობით. ენის ცოდნის გარეშე იმდენად გაუჭირდა ინდოეთში ცხოვრება-მუშაობა, რომ უკან დაბრუნება გადაწყვიტა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ უკან დასაბრუნებელი ბილეთი გადანსკსა და ბომბეის შორის მცურავ გემ „ბატორზე“ ჰქონდა აღებული. მაშინ ამ გემს ინდოეთში ჩასვლა არ შეეძლო, რადგან ევკიპტის პრეზიდენტმა

ქემალ ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოახდინა, რაზედაც ინგლისმა და საფრანგეთმა შეიარაღებული ინტერვენციით უპასუხეს. ომი დაიწყო და არხი გადაიკეტა. კაპუშინისკი იძულებული გახდა ინდოეთში დარჩენილიყო.

დელში ჩაფრენის შემდეგ კაპუშინისკის ყოველ დღე სტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ ვერ მუშაობდა, როგორც რეპორტიორი, ვერ ახერხებდა მასალის მოგროვებას ტექსტის დასაწერად. აქ ტურისტად ხომ არ იყო წამოსული?! ის ხომ ინდოეთში იმისათვის გააგზავნეს, რომ შემდგომ ანგარიში ჩაებარებინა, გაეგზავნა მასალა, ახალი ამბები ეცნობებინა, ის კი ჯერჯერობით ხელცარიელი იყო.

თუმცა, როგორც თავად კაპუშინისკი წერს, ღრმა წყალში ჩაყარდნილს სულაც არ სურდა ჩახჩობა. მიხვდა, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ ენას შეეძლო. კაპუშინისკიმ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ პეროდოტე როგორ ჭრიდა ამ პრობლემას. როგორც ისტორიკოსები წერენ, მან ბერძნულის გარდა არც ერთი სხვა ენა არ იცოდა. მაგრამ ვინაიდან იმ პერიოდში ბერძნები თითქმის მთელ მსოფლიოს იყენენ მოდებული, ყველგან ჰქონდათ კოლონიები, ნავსადგურები და ფაქტორიები „ისტორიის“ ავტორს თანამემამულეთა და ხმარებით შეეძლო ესარგებლა, რომლებიც მას თარჯიმნობას, გიდობას გაუწევდნენ. ამასთან იმ ეპოქაში ბერძნული „ლინგუა ფრანცა“ იყო, ევროპა, აზიასა თუ აფრიკაში. მრავალი ადამიანი საუბრობდა ამ ენაზე (ის მოგვიანებით ლათინურმა შეცვალა, შემდეგ ფრანგულმა და ინგლისურმა). ენის შესწავლის გარეშე ის სამყარო შეუცნობელი დარჩებოდა ჟურნალისტი-სათვის, თუნდაც იქ წლები გაეტარებინა.

მწერლის პირველი რეაქცია იმის შეცნობის შემდეგ, რომ უცხო კულტურა სხვის წინაშე ძალისხმევის გარეშე არ აიხდის თავისი იდუმალების ფარდას და რომ მასთან შესახვედრად ხანგრძლივი და სერიოზული მომზადებაა აუცილებელი, ინდოეთიდან გაქცევა, მშობლიური, ნაცნობი ადგილებისა და ენისაკენ დაბრუნება იყო. დაბრუნება იმ სამყაროში, რომელიც გაცნობიერ-

ბული ჰქონდა დაბადებიდან, ყოველგვარი წინასწარ მეცადინიების გარეშე. თან საგულდაგულოდ ცდილობდა ინდოეთის დავიწყებას. ეს კი ძალზე ძნელი აღმოჩნდა. რაც უფრო ჰყინავდა პოლონეთში, კაპუშჩინსკი მით უფრო დიდი სიამოვნებით იხსენებდა ქერალს, რაც უფრო ბნელდებოდა, მით უფრო გაცხროველებით წარმოიდგენდა შხის ამოსვლას ქაშშირში.

თავისუფალ დროს ინდოეთის შესახებ ნაყიდ წიგნებს კითხულობდა. ახსენდებოდა, თუ როგორ მოუწოდებდა დეუსენი ევროპელებს ინდური ფილოსოფიის შესწავლისაკენ. „ევროპელებს სიზარმაცე უშლის ხელს თავი შეიწუხონ ინდური ფილოსოფიის შესასწავლად“ - წუხდა. ის. ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ თავის განუწყვეტელი არსებობისა და განვითარების ოთხიათას წლიანი ისტორიის განმავლობაში ეს ფილოსოფია ისეთ მაგნიტურ და უსაზღვრო სამყაროდ იქცა, რომ ნებისმიერ ადამიანს თრგუნავს და ახლო გაცნობის, მასში ჩაღრმავების ენთუზიაზმს უკარგავს.

ერთხელ ანტიკვარულ მაღაზიაში 1922 წელს გამოცემულ, გაცრეცილ იოგა რამა-ჩარაკის წიგნს გადააწყედა, სათაურით: „პათხა იოგა, იოგების მოძღვრება ფიზიკური ჯანმრთელობისა და სუნთქვის ხელოვნების შესახებ“. „ადამიანის სუნთქვა - წერდა მასში ავტორი - უაღრესად მნიშვნელოვანია, სწორედ ამ ფორმით ვამყარებთ კავშირს ჩვენს გარემომცველ სამყაროსთან. თუკი სუნთქვას შევწყვეტთ, სიცოცხლეც შეწყდება. აქედან გამომდინარე, სუნთქვის ხარისხი განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების ხარისხს, იმას, რომ ვიყოთ ჯანმრთელები, ძლიერები და გონიერები. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა, განსაკუთრებით დასავლეთში, ძალზე ცუდად სუნთქავს, რასაც მოსდევს ამდენი ავადმყოფობა და სულიერი დეპრესია“.

ამ წიგნის შემდეგ მწერალმა რაბინდრანათ თაგორის „მოგონებები“ და კიდევ მრავალი სხვა წიგნი წაიკითხა ინდოეთის შესახებ. ყოველი მათგანის წაკითხვისას კაპუშჩინსკის ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ინდოეთში მოგზაურობდა, იმ ადგილებს იხსენებდა, სადაც იყო და თანდა-

თან უფრო ღრმად ეცნობოდა ამ ქვეყნის იდუმალებით მოცულ ცხოვრებას. ამჯერად ეს მოგზაურობა გაცილებით მრავალგანზომილებიანს იყო, ვიდრე ამ ქვეყანაში პირველად ყოფნისას. იმავედროულად აღმოაჩინა, რომ ასეთი მოგზაურობები შეიძლება გააგრძელო, გაიმეორო წიგნების კითხვით, რუკების შესწავლით, ფოტოსურათების დათვალიერებით. უფრო მეტიც - მათ გარკვეული უპირატესობაც აქვთ რეალურ მოგზაურობასთან შედარებით, როდესაც ძნელი არაა, სადმე შეისვენო, გულდასმით შეისწავლო ყველაფერი. კვლავ წინანდელს დაუბრუნდე და ა.შ. რისი საშუალებაც ნამდვილი მოგზაურობის დროს ადამიანს არა აქვს.

ასე თანდათან უღრმავდებოდა მწერალი ამ უჩვეულო ქვეყნის სულიერ სიშიდრეს. ზოგჯერ ისიც კი ეჩვენებოდა, რომ ინდოეთი მისთვის თუმატური სამშობლო გახდა. ამასობაში, 1957 წლის ერთ მშენიერ დღეს, სამუშაო ოთახიდან რედაქციის ყოვლისმცოდნე მდივანმა გაიხმო და აცნობა:

—ჩინეთში მიდიხარ!

### კაპუშჩინსკი ჩინეთში

პეკინში, რედაქციაში კოლეგებმა კაპუშჩინსკი გულთბილად მიიღეს. მთავარმა რედაქტორმა უთხრა, რომ ნასიამოვნებია მისი ჩასვლით, ერთად შეკასრულებთ თავმჯდომარე მალს მითითებებს, რომელიც ასე ჟღერსო: დაე, გაიფურჩქნოს ასი ყვავილი!

კაპუშჩინსკივც არ დააყოვნა და მასპინძელ რედაქტორს აცნობა, რომ ჩატანილი აქვს თავმჯდომარე მალს „რჩეული წერილების“ სამი ტომი, რომელსაც თავისუფალ დროს შეისწავლის.

ამის თქმამ ყველა იქ მყოფს სიამოვნება მოჰგვარა, საუბარი თბილად წარიმართა, ჩაის სვამდნენ და თავმჯდომარე მალს გამუდმებით ხოტბას ასხამდნენ.

კაპუშინისკომ მათს წიგნის კითხვა დაიწყო. ეს დროის მოთხოვნასაც შეესაბამებოდა, რამეთუ ქუჩაში გაკრულ ყველა წითელ პლაკატზე წერდა: გულდასმით შევისწავლოთ თავმჯდომარე მათს აზრები.

ჩინეთში ყოფნისას მწერალზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ჩინეთის დიდი კედელი. ჩაიწერს კიდევ დღიურში ამის შესახებ; ჩინელები ამ კედელს საუკუნეების განმავლობაში, შესვენებებით მთელი ორი ათას წელს აშენებდნენ. მათ კედლის აგება მაშინ დაიწვეს, როდესაც ბუდა და ჰეროდოტეს ცოცხლები იყვნენ და მის მშენებლობას აგრძელებდნენ მაშინ, როდესაც ვეროპაში ლეონარდო და ვინჩი, ტიცციანი და იან სებასტიან ბაზი მოღვაწეობდნენ.

კედლის სიგრძედ სხვადასხვა ციფრს ასახელებენ: სამიდან ათი ათას კილომეტრამდე. არ არსებობს ერთი დიდი კედელი, ისინი რამდენიმეა, სხვადასხვა დროსა და განსხვავებული მასალისაგან აშენებული. მათ მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ: მოვიდოდა თუ არა რომელიმე დინასტია ხელისუფლების სათავეში, მაშინვე დიდი კედლის აშენებას იწყებდა, თუკი მშენებლობის გაგრძელებას შეწყვეტდა, ამის მიზეზი მხოლოდ ფინანსების ნაკლებობა იყო და ბიუჯეტის შევსებისთანავე კედლის აგებას აგრძელებდა.

დიდი კედელი მონღოლების ჩინეთზე თავდასხმის შესაჩერებლად შენდებოდა. ეს უკანასკნელნი უდიდესი ურდოების სახით დედაწულიანად დაიძვრებოდნენ ხოლმე მონღოლეთის სტეპებიდან, ალტაის მთებიდან, გობის უდაბნოდან, თავს ესხმოდნენ ჩინელებს, განუწყვეტლოდ საფრთხეს უქნიდნენ მათ სახელმწიფოს, სპობდნენ ან თან მიჰყავდათ ამ ქვეყნის მკვიდრნი.

ეს საოცარი კედელი ყინულოვანი აისბერგის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო, სიმბოლო, ნიშანი ჩინეთისა, გერბი ქვეყნისა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში კედლების სახელმწიფოს წარმოადგენდა, იგი ხომ ამ სახელმწიფოს მხოლოდ ჩრდილოეთ საზღვარს იცავდა. კედლები აშენებული იყო ასევე ერთმანეთს შორის მუბრძოლ პატარ-პატარა ჩინურ სახელმწი-

ფოებს, პროინციებსა თუ რეგიონებს შორის. ისინი იცაუნენ ქალაქებსა და სოფლებს, ნავსადგურებსა და ხიდებს, სასახლეებს, სამლოცველოებს, ციხეებს. გალაუნები ერტყა კერძო სახლებსაც, რომლებიც მეზობლებს ერთმანეთისაგან გამიჯნავდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩინელები მათ წლების განმავლობაში აგებდნენ და ჭიანჭველებით მუშაობდნენ, მაშინ მივიღებთ მილიონობით სამუშაო საათს, რომელიც გალაუნების აგებაზე იხარჯებოდა და არა ჯანმრთელობის დაცვაზე, განათლების მიღებაზე, ახალ-ახალი მინდვრების დამუშავებაზე და პირუტყვის მოშენებაზე.



აი, სად მიდის სამყაროს ენერჯია.

გალაუნს მხოლოდ დაცვა როდი შეუძლია. ის საშუალებას იძლევა გააკონტროლო ყველაფერი, რაც გალაუნის შიგნით

ხდება. მას აქვს გასასვლელი, ალაყაფის კარი, ამიტომ შეიძლება თვალის დევნება, ვინ შედის, ვინ გადის.

გალავნის ყველაზე ცუდი მხარე ისაა, რომ ის ბევრ ადამიანს გაუჩინებს, გამოუმუშავებს დამცველის კომპლექსს, აზროვნების ისეთ ფორმას ჩამოუყალიბებს, რომელიც ყველაფერში გალავანს, ბარიერს ხელავს, იგი სამყაროს ჰყოფს ბოროტად (რომელიც გალავანს გარეთაა) და კეთილად (მის შიდა მხარეს). ამასთან, გალავნის დამცველი აუცილებელი არაა გალავნის სიახლოვეს იყოს, მთავარია პატივს სცემდეს და ახსოვდეს ის წესები. რომლებსაც გალავნის ლოგიკა კარნახობს.

როგორც ჩანს, გალავნის აშენების ტრადიციამ დიდი დადი დაასვა ჩინელთა მენტალიტეტს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, სადაც ამ ქვეყნის საელჩოა, ხოლო ქუჩა ძალზე ვიწროა, საელჩოს შესვეურებმა შუა ტროტუარზე გალავნის აშენება დაიწყო. რომ არა მოსწავლეების, პედაგოგთა და ახლო-მახლო მცხოვრებთა პროტესტი, მშენებლობას ბოლომდე მიიყვანდნენ კიდევ, მაგრამ ბოლოს დაწყებული მშენებლობის დანგრევა მოუწიათ.

დროის გასვლასთან ერთად კაკუშჩინსკი ჩინურ კედელს დიდ შეტაფორად აღითქვამდა. ამ სამყაროს შეცნობა მის ძალებს აღემატებოდა. უნდა დაეწერა, მაგრამ ენა არ ესმოდა და რაზე დაეწერა?! პრესაც მხოლოდ ჩინურ ენაზე გამოდიოდა, მან ჩინელ კოლეგა ლის სთხოვა ზოგიერთი სტატიის თარგმნა, მაგრამ მის მიერ თარგმნილი ყველა წერილი ასე იწყებოდა: „როგორც თაემჯდომარე მათ გვასწავლის...“. კაკუშჩინსკის ეჭვი ეპარებოდა: ნუთუ გაზეთში მართლა ასე ეწერა?! როგორ უნდა შეემოწმებინა? გარე სამყაროსთან მას მხოლოდ ეს კოლეგა აკავშირებდა და სწორედ ის აღმოჩნდა გადაულახავი ზღუდე. მწერლის ყოველ თხოვნაზე, ვინმეს შეხვედროდნენ ან სადმე წასულიყვნენ, მისგან მხოლოდ ის ისმოდა, რომ რუდაქციას შეუთანხმებოდა და შემდეგ ამ თემას უკვე აღარ უბრუნდებოდა.

მთავარი მაინც ენის უცოდინრობა აღმოჩნდა. ამიტომ კა-

პუშჩინსკიმ მისი დამოუკიდებლად შესწავლა გადაწყვიტა. იერო-გლიფებსა და იდიომებში გარკვევაც სურდა, მაგრამ უშედეგოდ - ერთსა და იმავე ნიშანს უამრავი მნიშვნელობა ჰქონდა. მას ახსოვდა ოდესღაც წაკითხული, რომ არსებობდა „დაო დე ძინის“ 70 თარგმანი და ყველა მათგანი კომპეტენტური და სანდო იყო. ვერა, ვერ შეეძლებ ამ ენის სწავლას - აი, რა დასკვნამდე მივიდა მწერალი.

### ჩინური აზროვნება

დრო თავზესაყრელად ჰქონდა, ამიტომ კაპუშჩინსკი იჯდა და ჩინეთის შესახებ ჰონგკონგში ნაყიდ წიგნებს კითხულობდა. ისინი ისეთი საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ რაღაც დროის განმავლობაში სულ დაავიწყდა ბერძნებიც და ჰეროდოტეც. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ქვეყანაში მუშაობდა, ცდილობდა ბევრი შეეცყო თავად ქვეყნისა და მის მკვიდრთა შესახებ, მაშინ ანგარიშს არ უწევდა იმ ფაქტს, რომ იმ კორესპონდენტთა უმრავლესობა, რომლებიც ჩინეთზე ექსპაობდნენ, იხზდნენ ჰონგკონგში, ტოკიოსა თუ სეულში და ჩინური კარგად იცნობდნენ.

გამუდმებით დიდი კედლის არსებობას გრძნობდა, მაგრამ ეს არ იყო ის კედელი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ჩრდილოეთში ნახა, არამედ იყო გაცილებით საშიში და გადაულახავი, - დიდი ენობრივი ბარიერი. ეს კედელი გამუდმებით გარს ერტყა, მყისიერად აღიმართებოდა ხოლმე ჩინელ კოლეგა ლისთან საუბრისას, გაუგებარს ხდიდა მას, ყველგან ხელს უშლიდა, ვერაფერს კითხულობდა. ძალიან უნდოდა წაწყლო-მოდა მისთვის ნაცნობ ასოებს ან გამოსახულებას, ისე ეგრძნო თავი, როგორც საკუთარ სახლში, - მაგრამ ამაოდ! ყველაფერი მისთვის გამოუცნობ, გაუგებარ ენაზე ქწერა.

ინდოეთშიც ასე იყო. იქაც ვერაფერი გაუგო ადგილობრივ ჰინდურ ანბანს. საერთოდ საიდან გაჩნდა ეს ენობრივ-ანბანური ბაბილონის გოდოლი? როგორ წარმოიშვა ანბანი? მას ალბათ რომელიმე ნიშნიდან დაედო საფუძველი, ვიღაცამ დასვა ნიშანი,

რომ რაღაც დაემახსოვრებინა, სხვისთვის რაღაც ნივთი თუ ტერიტორია ენიშნებინა.

მაგრამ ერთი და იგივე საგანს ადამიანები რატომ აღნიშნავენ სრულიად განსხვავებული ნიშნით? სამყაროში ადამიანი, მთა თუ ხე ერთნაირად გამოიყურება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ ანბანში მათ სრულიად განსხვავებული ასოთი თუ სიმბოლოთი გამოსახავენ. რატომ? როგორ მოხდა, რომ ვიღაცამ ყვავილის გაშოსახატავად ჯვარი დასვა, სხვამ ოვალურად გამოსახა, ხოლო კიდევ სხვამ - ვარსკვლავად. ამის შესახებ მათ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეს, თუ კოლექტიურად?

იმიტომ, რომ როდესაც კენჭი უკვე ნაყარია, უკან ვეღარ დაიხვე. საქმე თავისით განაგრძობს სვლას, იმ პირველი, უბრალო განსახვავებით, რომ ერთი ნიშანი დასმულია მარცხნივ, ხოლო მეორე - მარჯვნივ. აქედან მოდის ყველა სხვა დანარჩენი. თანდათან უფრო რთული. ანბანის ევოლუციის ლოგიკა დროის გასვლასთან ერთად გაუცნობიერებელი ხალხისათვის თანდათან უფრო ამოუცნობი ხდება, იმდენად, რომ ზმირად ვეღარც კი კითხულობენ.

კაპუშინისკისათვის ჩინური და ჰინდური ანბანი თანაბრად რთული ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში ადამიანთა ქცევა სრულიად განსხვავებულია. ინდუსთა ბრბო უფორმოა, მღორე, ხოლო ჩინური - რიგებად ფორმირებული, დისციპლინირებული, მარშით მოსიარულე. იგრძნობა, რომ ჩინელთა ბრბოს ბელადი ჰყავს, ჰინდუსთა თავს ზევით კი დალივლივებს უპრეტენზიო, არაფრის მომთხოვნი ღმერთების არეოპაგი. თუ ჰინდუსების ბრბო საინტერესოს გადააწყდა, შეჩერდება, დაიწყებს თვალმორებას, შემდეგ კამათს, ხოლო ჩინელთა ბრბო, ვითომც აქ არაფერიო, არც კი შეყოვნდება და გზას გააგრძელებს. ჰინდუსები გაცილებით რელიგიური არიან, მათთან სულთა სამყარო და მისი სიმბოლოები ყოველთვის ახლოსაა, ხელის გაწვდენაზეა, ყოველთვის იგრძნობა, გზებზე მრავალი წმინდანი დადის, პილიგრიმები სამლოცველოებისაკენ, ღმერთების სამყოფელისაკენ მიისწრაფიან, მათ რაოდენობას თვლა არა აქვს,

ბერი ჭყუმპალაობს წმინდა მდინარეში, გარდაცვლილებს წკავენ კოცონზე. ჩინელები ნაკლებ რელიგიურები და საკუთარ თავში ჩაკეტილები არიან, მათ ზეიმის დროც არა აქვთ, რადგან მათს ან სხვა ავტორიტეტის მოწოდება უნდა შეასრულონ. თავჯანსაცემის ნაცვლად ეტიკეტის დაცვაზე ფიქრობენ, ლოცვის ნაცვლად ისინი საწარმოო ბრიგადებში მიდიან.

ჩინელებს და ინდოელებს სახეც განსხვავებული აქვთ პინდუსის სახე რაღაც მოულოდნელობით გაგაოცებთ. შეიძლება შუბლზე პატარა შავი წერტილი ან ლოყაზე ფერადი ნიშანი შენიშნოთ, გაიღიმებს და ფერადი კბილები გამოუჩნდება. ჩინელის სახეზე მსგავს ვერაფერს ნახვთ. იგი გლუვია და მისი ნაკუთები თითქოს ფორმას არ იცვლიან. ისეთ შთაბეჭდილებას გიქნიან, თითქოს არაფერს არ ძალუძს მისი უშფოთველობის ამღვრევა. ესაა სახე-ნიღაბი, რომელიც გეუბნება, რომ ფარავს რაღაცას, რაც ჩვენ არ ვიცით და ვერც ვერასდროს გავიგებთ.

ერთხელ კოლეგა ლიმ კაპუშჩინსკი შანხაიში წაიყვანა. პეკინი და შანხაი! - რა დიდი განსხვავებაა მათ შორის. ამ ქალაქის სიდიადემ, მისმა არქიტექტორულმა მრავალფეროვნებამ გამაოცა. - მთელი უბნებია ფრანგულ, იტალიურ ან ამერიკულ სტილში აშენებული. ირგვლივ ყველგან კილომეტრობით გადაჭიმული ხეივნები, სკვერები და პარკები, მის ქუჩებში უამრავი ადამიანი მოძრაობს, ძალაზიების, ბარების, კაფეების რაოდენობას თვლა არა აქვს. აქ გაცილებით თბილი კლიმატია, ვიდრე პეკინში, ზღვის სიახლოვე იგრძნობა.

როდესაც იაპონურ უბანში მიდიოდნენ, კაპუშჩინსკიმ ბუდისტური სამლოცველო შენიშნა.

- ეს მოქმედი სამლოცველოა? - შეეკითხა კოლეგას.

- შანხაიში არაფერმა არ უნდა გაგაკვიროვოთ - ისეთი ირონიანარევი ხმით უპასუხა ლიმ კაპუშჩინსკის, თითქოს უნდა ეთქვა, რომ შანხაი ფორმალურად კი არის ჩინეთი, მაგრამ მთლად ჩინეთი არაა, უფრო სწორედ, არასრულყოფილი ჩინეთია.

ჩინეთში ბუდიზმი მხოლოდ ჩვენი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში დაიკვიდრდა, მანამდე ორი მიმდინარეობა, ორი-

ენტაცია იყო გაბატონებული - კონფუციანიზმი და დაოიზმი. ბრძენი კონფუციუსი ქრისტემდე 560-480 წლებში ცხოვრობდა. ისტორიკოსები ვერ თანხმდებიან იმაზე, ვინ იყო დაოიზმის ფუძემდებელი, ლაო ძე უფროსი იყო, თუ უმცროსი კონფუციუსზე. უფრო მეტიც: ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ლაო ძეს საერთოდ არ უარსებია, ხოლო ის ერთადერთი წიგნი, რომელიც მან დატოვა, - დაო ძე, წიგნი ფრაგმენტების, აფორიზმების და გამონათქვამების კრებულია, რომელიც ანონიმმა გადამწერებმა შეკრიბეს.

თუ ვაღიარებთ, რომ ლაო ძე არსებობდა და კონფუციუსზე უფროსი იყო, მაშინ უნდა დავიჯეროთ ის გადმოცემაც, რომელიც შემდგომ არაერთხელ გაუმეორებიათ როგორც ესტუმრა ახალგაზრდა კონფუციუსში მას და ცხოვრების თაობაზე რჩევა სთხოვა.

თუ დავუშვებთ, რომ პირიქით, კონფუციუსი იყო უფროსი, მაშინ მას თავისი ახალგაზრდა თანამემამულისათვის სამი აზრი შეეძლო ეთქვა:

პირველი: „როგორ შეძლებ ემსახურო ღმერთებს, თუ ჯერ ის არ იცი, ვით ემსახურო ხალხს?“.

მეორე: „რატომ გადაუხადოთ ბოროტებას სიკეთით? ასეთ შემთხვევაში სიკეთეს რაღას მივაგებთ?“.

და მესამე: „როგორ შეიძლება გაიგო, რა არის სიკვდილი, თუ არ იცი, რაა სიცოცხლე?“.

კონფუციუსი და ლაო ძე (თუ დავუშვებთ, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილად არსებობდა) მოღვაწეობდნენ ცოუს დინასტიის დასასრულს, დაახლოებით ერთმანეთს შორის მებრძოლი სამეფოების ეპოქაში, როდესაც ჩინეთი მრავალ სახელმწიფოდ დაიშალა-დაქუცმაცდა და ერთმანეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გააჩაღეს. ადამიანი, რომელიც დროებით მაინც გადარჩებოდა ბრძოლისაგან, ხვალინდელი დღის შიში არა სტოვებდა და თავს ეკითხებოდა, შემდგომში როგორღა გადავრჩეო.

ზუსტად ამ კითხვაზე პასუხის მოძებნას დასტრიალებს ჩინური აზროვნება. შესაძლოა ესეცაა ყველაზე უფრო პრაქტიკული ფილოსოფია, როგორიც სამყარომ იცის. ჰინდური

აზროვნებისაგან განსხვავებით, იგი იშვიათად გადაიჭრება ხოლმე ტრანსცედენტალურ სივრცეში უბრალო და ცდილობს უბრალო ადამიანს მისცეს რჩევა, როგორ გადარჩეს, თუკი იგი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება.

ამ პუნქტში კონფუციუსის და ლაო ძეს გზები იყრება. უფრო სწორედ, თითოეული მათგანი, კითხვაზე - როგორ გადავირჩინოთ საკუთარი თავი, სრულიად განსხვავებულად პასუხობენ. კონფუციუსის მიხედვით, ადამიანი იბადება საზოგადოებაში და ამიტომ მას გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელისუფლების ბრძანების შესრულება და შშობლებისადმი მორჩილება. ასევე წინაპრებისა და ტრადიციისადმი პატივისცემა და ეტიკეტის მკაცრი დაცვა, წესრიგისადმი მორჩილება და ცვლილებების განხორციელებისადმი თავის შეკავება. კონფუციუსის ადამიანი მორჩილი და ლოიალურია.

- თუ მორჩილად და პატიოსნად შეასრულებ ხელისუფლის ბრძანებას, გადარჩები - ამბობს ის.

სრულიად სხვა რჩევებს გვაძლევს ლაო ძე (თუ საერთოდ არსებობდა, რა თქმა უნდა). დაოიზმის ფუძემდებელი ყველაფრისაგან განზე დგომას გვირჩევს.

- ამქვეყნად არაფერია მყარი - ამბობს ბრძენი, ამიტომ მჭიდროდ ნურაფერს დაუკავშირდები. ყველაფერი არსებული საბოლოოდ დაიღუპება, ამიტომ დადექი ამ ყველაფერზე ზევით, დაიცავი დისტანცია, ნუ ეცდები დიდ ვინმეს წარმოადგენდე, ნუ ესწრაფი გამდიდრებას. თუ გსურს გადარჩე, გამოუყენებლად, უსარგებლოდ იქეცი, ადამიანებისაგან მოშორებით იცხოვრე, ერთი ჯამი ბრინჯით, ერთი ყლუბი წყლით დაკმაყოფილდი და რაც მთავარია, დაიცავი დაო; მაგრამ რა არის დაო? იგი არ პასუხობს, რამეთუ დაოს არსი განუსაზღვრელია, სიტყვებით არ გამოიხატება: „თუკი დაო, მისი, როგორც დაოს დეფინაციის ნებას დაგვრთავს, ეს არ იქნება ჭეშმარიტი დაო“ - ამბობს ბრძენი. დაო არის გზა და მისი დაცვა მასზე სიარულს ნიშნავს.

კონფუციანისში ხელისუფლების, მოხელეების, სტრუქტურების წესრიგის ფილოსოფიაა, ხოლო დაოისში ფილოსო-

ფია მათი სიბრძნეა, ვინც უარი თქვა თამაშში მონაწილეობაზე და ყველაფრისადმი გულგრილად სურს დარჩენა.

ბევრის აზრით, კონფუციუსი და დაოიზმი უფრო ეთიკური სკოლებია, რომლებიც გადარჩენის სხვადასხვა გზას და მეთოდს გვთავაზობენ. უბრალო ადამიანებისკენ მიმართულ მათ სიბრძნეში არის გარკვეული საერთო აზრი, რაც საბოლოო ჯამში მორჩილებისაკენ მოწოდებაა. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით იმავე ეპოქაში, აზიაში ფილოსოფიური აზროვნების ორი მიმდინარეობა - ბუდიზმი და იონური ფილოსოფია წარმოიშვა. ისინიც ზუსტად იმავეს ურჩევენ მიმდევრებს, რასაც კონფუციონიზმი და დაოიზმი - მორჩილებას.

მწერალმა ჩინეთი დიდი სინანულით დატოვა. თუმცა, მეორე მხრივ, ეს შეგნებული გაქცევა იყო, რადგან აქამდე უცნობი სამყარო თანდათან იწყებდა მის დამორჩილებას, გადაყლაპვას, შთანთქმას. კაპუშინსკის იქ ჩასვლისთანავე ჩინური ენის შესწავლა, მიწის ყოველი გოჯი წაკითხვა სურდა. ეს ერთგვარ აუღმყოფობას ჰგავდა, რადგან მწერალი კარგად აცნობიერებდა, რომ ეს ცივილიზაცია ისეთი მდიდარი, უზარმაზარი და რთული იყო, რომ მისი ერთი ფრაგმენტის შესასწავლადაც კი მთელი ცხოვრება არ იკმარებდა. ეს ჰგავდა შენობას, უთვალავი ოთახით, დერეფნით, აივნით, რომელიც ისეთი ლაბირინთებითაა სავსე, რომ თუ ერთი მათგანიდან გამოხვიდოდი, წინ გზას ვეღარ გაიგნებდი.

### კაპუშინსკი აფრიკაში

აფრიკის პრობლემა ადამიანსა და გარემოს შორის - აფრიკის უზარმაზარ სივრცესა (ოცდაათ მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტი) და უსუსურ, ფეხშიშველ, ლატაკ ადამიანს - მის მკვიდრთა შორის წინააღმდეგობაა. საითაც არ უნდა გაიხედო - ყველგან ვრცელი და უკაცრიელი უდაბნოა. საჭიროა ასობით ათასობით კილომეტრის გაველა, რომ სხვა ხალხი ნახო (ვერ იტყვი, რომ სხვა ადამიანი, რადგან ასეთ კლიმატსა და პირობებში ადამიანი ცალკე ვერ გაძლებს). არავითარი ინფორ-

მაცია, ცოდნა, ტექნიკის ათვისება, საქონელგაცვლა, სხვათა გამოცდილების გაზიარება - აქამდე ვერ აღწევდა, გზას ვერ იგნებდა. არ არსებობდა გაცვლა, როგორც ფორმა მსოფლიო კულტურაში მონაწილეობისა. თუკი ასეთი რამ გამოჩნდებოდა, იყო მხოლოდ ცალკეული შემთხვევა, მოვლენა. არადა, ასეთი გაცვლის გარეშე ხომ პროგრესი არ არსებობს.

უმეტეს შემთხვევაში ადამიანების მცირერიცხოვანი ჯგუფები, კლანები იზოლაციაში, გაფანტული ასეთ უსაზღვრო, მტრულ გარემოცვაში, მაღარიის, გვალვის, წყალდიდობების, შიმშილის გამუდმებული საფრთხის წინაშე ცხოვრობდნენ.

მეორე მხრივ - ხალხის ასე მცირე ჯგუფებად არსებობა და გადაადგილება საშუალებას აძლევდა მათ დროზე გასცლოდნენ საშიშ ადგილებს. მაგალითად, ეპიდემიისა თუ გვალვიან რაიონებს და ამ გზით გადარჩენილიყვნენ. ეს ხალხი ზუსტად იმ ტაქტიკას ირჩევდა, როგორსაც ადრე ბრძოლის ველზე მსუბუქი კავალერია. მისი პრინციპი იყო მოძრაობა, სწრაფი გადაადგილება, პირისპირ დაჯახებისაგან თავის არიდება, ბოროტებისაგან გაცლა. ამან კი ის გამოიწვია, რომ ტრადიციულად აფრიკელი იყო გზაზე მდგარი ადამიანი. მას თუნდაც რომ მკვიდრი ცხოვრება დაეწყო, ეცხოვრა სოფლად, მაინც გზას ადგა, რადგან მთელი სოფელი დრო და დრო გადაადგილდებოდა: ხან წყალი გამოილეოდა, ხან მიწა გამოიფიტებოდა, სხვა დროს იფეთქებდა ეპიდემია, ამიტომ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ - თავის გადასარჩენად, უკეთესი გარემოს პოვნის იმედით გზას უნდა დასდგომოდნენ. მხოლოდ ქალაქში ცხოვრებამ შეიტანა ამ ყოფაში მეტი სტაბილურობა.

აფრიკის მოსახლეობა გიგანტური, ურთიერთგადახლართული, მთელ კონტინენტს მოღებული ურთიერთგადამკვეთი მასა იყო, განუწყვეტლივ მოძრაობდა და ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა. ასეთი დაუსრულებელი ადგილმონაცვლეობის შედეგია, რომ კონტინენტის სიღრმეში არ არსებობს ძველი ქალაქები, ისეთები, როგორებსაც ვხვდებით ევროპასა თუ ახლო აღმოსავლეთში და რომლებიც დღემდე განაგრძობენ არსებობას.

ამის გამოა ასევე, - ევროპისა და აზიისაგან განსხვავებით, - რომ ძალიან ბევრი საზოგადოება (ზოგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყველა) ახლა იმ ტერიტორიაზეა განსახლებული, სადაც მას ადრე არ უცხოვრია.



აქ ყველა სხვა ადგილიდან მოსული ემიგრანტია. მათი საერთო სამყარო აფრიკაა, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში მის საზღვრებში ინაცვლებდნენ ადგილს (კონტინენტის მრავალ ადგილას ეს პროცესი დღემდე გრძელდება). აქედან გამომდინარეობს მისი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი თვისება - დროებითობა, მატერიალურად არამყარობა. აგერ გუშინ არ იყო, ქოხი ააშენეს და დღეს უკვე მის კვალსაც ვეღარ ნახავთ. მინდორი, რომელზედაც სულ რაღაც ერთი წლის წინ მოსავალს იღებდნენ, დღეს უკვე ყამირია.

სამაგიეროდ, ურყევი და უწყვეტია აფრიკელთა რწმენა წინაპართა ტრადიციისა და წეს-ჩვეულებების მიძარტ, წინაპართა ღრმა კულტი. სწორედ ეს, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მატერიალური თუ ტერიტორიული ერთობლიობა, აერთიანებს აფრიკელებს, მათ ერთიან საზოგადოებად ჰკრავს.

რადგან ამ უდიდეს კონტინენტზე ბორბლებიანი ტრანსპორტი არა ყოფილა, წარსულში გზებიც ამ მიზეზით არ იყო. როდესაც XX საუკუნის დასაწყისში აფრიკაში პირველი ავტომობილი შეიყვანეს, დიდი არჩევანი არა ყოფილა იმისა, თუ სად უნდა ევლო. ასფალტიანი ან თუნდაც გრუნტის გზა აფრიკაში სიახლეა, სულ რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის. კონტინენტის დიდ ნაწილში ის ახლაც იშვიათობაა. ტრანსპორტის სავალი გზის ნაცვლად იყო ბილიკები, ხალხიცა და ცხოველიც მასზე დადიოდა. კომუნიკაციის ეს ბილიკური ფორმაა იმის მიზეზი, რომ დღესაც კი აქაურები დაწალიკებით (ერთი მეორის უკან) დადიან, თუნდაც ფართო შარაგზაზე მიდიოდნენ. ამის გამოა ისიც, რომ მრავალი ადამიანიც რომ ერთად მიდიოდეს, დუმან, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან - რიგში სიარულისას საუბარი ძნელია.

თუ ამ ბილიკების გეოგრაფიის კარგი მცოდნე არ ხარ, დაიბნევი, ხოლო თუ გზააბნეული უწყლოდ და მძიერი დიდხანს ივლი, მალე მოკვდები კიდევ<sup>6</sup>. საქმეს კიდევ ის ართულებს, რომ სწვდასხვა თემსა თუ სოფელს შეიძლება სხვადასხვა ბილიკები თუ საცალფეხო გზები ჰქონდეთ, რომლებიც ერთმანეთს კვეთენ. ამიტომ მათზე დამდგარმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს,

---

\* 2013 წლის 31 ოქტომბრის პოპულარული პოლონური გაზეთი „Gazeta Wyborcza“: ნიგერის უდაბნოში, ალჟირის სახლვართან 87 გვაში იპოვეს. მათგან 48 ბავშვი, 32 ქალი და შვიდი მამაკაცია. როგორც ვარაუდობენ, ისინი წყურვილის გამო დაიხოცნენ. გვაშები 20 კილომეტრის ფარგლებში პატარ-პატარა ჯგუფებად იპოვეს. როგორც ჩანს, ისინი ოქტომბრის დასაწყისში დაიხოცნენ, როდესაც ალჟირში აპირებდნენ გადასვლას. როგორც იტყობინებიან, თავიდან ეს ადამიანები მანქანებით წაჰყიდნენ. მაგრამ გზაში ერთი მანქანა მწყობრიდან გამოვიდა. მეორე კი სათადარავო ნაწილების საშოვრად გაქმურა. ვიდრე მანქანა დაბრუნდებოდა, ოაზისისა საძებნელად გაფანტული ხალხი უდაბნოში დაიხოცა. ა.გ.

რომ სწორედ მიდის, მაშინ, როდესაც სინამდვილეში გზა არუ-  
ლი აქვს და ნაცვლად მიზნის მიღწევისა, ბილიკი მას სიკვდი-  
ლამდე მიიყვანს. ბაღიკები განსაკუთრებით საშიშია ჯუნგლებ-  
ში. აქ მოსიარულე განუწყვეტლივ იხლართება ბუჩქებსა და  
ეკლიან ტოტებში და ვიდრე დანიშნულების ადგილამდე მივა,  
ერთიანად დაიკაწრება და დასიფდება. მან თან აუცილებლად  
უნდა იქონიოს ჯოხიც, რადგან გამორიცხული არაა ბილიკზე  
უსხენებელს გადაეყაროს (ეს ხშირად ხდება), ამიტომ ის უნდა  
შეაშინო, იქაურობას მოაშორო და ეს უკეთესაა ჯოხით გააკე-  
თო. სხვა პრობლემას წარმოადგენს თილისმა.

ტროპიკული ტყეების მკვიდრნი, რომლებსაც მიუდგომელ  
ადგილებში უხდებათ ცხოვრება, თავისი ბუნებით მეტად უნ-  
დობლები არიან. ამიტომ, ბილიკებზე ისინი ჰკიდებენ ათასგ-  
ვარ თილისმებს, რათა მათი დახმარებით მრავალი სახის ბოროტი  
სული დააფრთხონ. როდესაც ბილიკზე მინდობარ და ხედავ ხის  
ტოტზე ჩამოკიდებულ ხვლიკის ტყავს, ჩიტის თავს, თუ ნიანგის  
კბილს, - არ იცი, გარისკო და გააგრძელო გზა თუ უკან  
გაბრუნდე, რადგან ეს საგანი შეიძლება იმის გამაფრთხილებე-  
ლი ნიშანი იყოს, რომ გზად მართლაც საშიში რამ გეკლის.

ფორმალურად კოლონიალიზმი აფრიკაში ბერლინის კონ-  
ფერენციის შემდგომი (1883-85) ხანიდანაა გაბატონებული. ამ  
კონფერენციაზე რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ (ძირი-  
თადად ინგლისმა და საფრანგეთმა, ასევე ბელგიამ, გერმანიამ  
და პორტუგალიამ) მთელი კონტინენტი ერთმანეთს შორის გაიყვეს  
და აფრიკის გათავისუფლების დრომდე, ანუ XX საუკუნის მე-  
ორე ნახევრამდე, მათი იყო ძაგრამ, ფაქტიურად კოლონიური  
პენეტრაცია გაცილებით ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ XV საუკუ-  
ნეში და განსაკუთრებით აყვავდა შემდგომი ორმოცდაათი წლის  
განმავლობაში. ამ დაპყრობების უაღრესად უხეში და სამარცხ-  
ვინო ფაზა იყო სამას წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელებული აფ-  
რიკელი მონებით ვაჭრობა. ეს იყო ხაფანგის დაგების, ალყაში  
მოქცევის, დენის და ჩასაფრების სამასი წელიწადი. ამ ყველაფ-  
რის ორგანიზატორები, ხშირად თავად აფრიკელი და არაბი თან-

ამონაწილეების დახმარებით, თეთრი ადამიანები იყვნენ. მათგენ-  
მების ლიუკებში საშინელ პირობებში გამომწვევდელი მილიონ-  
ობით ახალგაზრდა აფრიკელი ატლანტის იქით გაიყვანეს, რათა  
იქ, ოფლში გაზვითქულვებს, ახალი სამყაროს სიმდიდრე და სი-  
ძლიერე შეექმნათ.

შედგად, აფრიკა დევნილი და უსუსური, გააუკაცრიელე-  
ბული, განადგურებული და დანგრეული დარჩა. მკვიდრთაგან  
მიტოვების გამო გაოხრდა მთელი რეგიონები, გაუდაბურდა აყ-  
ვავებული და შხიანი ქვეყნები. მაგრამ ამ ეპოქამ აფრიკელის  
გონებასა და მუხსიერებას განსაკუთრებით მტკონვეულ და მოუშუშ-  
ებელ ტკივილად დაუტოვა რაღაც სიმდაბლის კომპლექსი,  
რომელიც მათი ასეთი დიდი ხნის განმავლობაში დამცირებითა  
და ჩაგვრითაა გამოწვეული, ყოველი აფრიკელის გულის კუნ-  
ჭულში დიდი წყენა შემოინახა მთელი სამყაროს მიმართ.

მაშინ, როდესაც II მსოფლიო ომმა იფეთქა, კოლონიალ-  
იზმის სიმძიმემ აპოგეას მიაღწია. მაგრამ ამ ომის მიმდინარე-  
ობამ, მისმა სიმბოლურმა განაჩენმა, არსებითად საწყისი მისცა  
ამ სისტემის დამარცხებასა და დაცემას.

რად და როგორ მოხდა ეს ყველაფერი? მრავალ რამეს  
ავიხსენის რასის კატეგორიებით აზროვნების ბნელ სამყარო-  
ში პატარა მოგზაურობა. ევროპელებსა და აფრიკელებს  
შორის ურთიერთობის მთავარი ფორმა კანის ფერს შორის  
განსხვავებაა. ყველაფერი, ყოველი ანგარიში, ურთიერთ-  
დამოკიდებულება, კონფლიქტები ორი ცნების - შავისა და  
თეთრის ირგვლივ ტრიალებდა; ამასთან, ცხადია, იგულისხმე-  
ბოდა, რომ თეთრი არის უკეთესი, უფრო მაღალი, ძლიერი,  
ვიდრე შავი. თეთრი ესაა - ოსტატი, ბატონი და მპყრობელი,  
თვით მაღალი ღმერთის მიერ გამოგზავნილი, რათა შავი  
დაიმორჩილოს და მართოს. აფრიკელებს ჩააგონებდნენ, რომ  
თეთრი არის ხელშეუხებელი, უჩვეულო, რომ თეთრები არიან  
ერთიანი, შეკავშირებული, კლდესავით მონოლითური, შე-  
დუდაბებული ძალა. ეს იყო იდეოლოგია, რომელიც კოლო-  
ნიალურ დომინაციას ედო საუძელად, იდეოლოგია, რომელ-

საც ზურგს უმაგრებდა იმის რწმენა, რომ მასში დაეჭვება თუ მისი განხილვის თემად ქცევა, უპერსპექტიოა.

მოულოდნელად, როგორც ფრანგულ, ისე ბრიტანულ არმი-  
აში დაქირავებულმა აფრიკელებმა დაინახეს, რომ ამ ომში,  
რომელიც ვეროპაში მიმდინარეობდა, თეთრკანიანები ხოცავენ  
თეთრკანიანებს, ერთმანეთს ესვრიან, ერთი მეორეს ქალაქებს  
უნგრევს. ეს მათთვის დიდი მოულოდნელობა, შოკი აღმოჩნდა.  
აფრიკელი ჯარისკაცები ხედავენ, რომ მათი კოლონიური მეპა-  
ტრონე, - საფრანგეთი, დამარცხებული და დამორჩილებულია.  
აფრიკელი მეომრები, რომლებიც ბრიტანეთის არმიაში იბრძოდ-  
ნენ, ხედავენ, რომ იმპერიის დედაქალაქი - ლონდონი - დაბომ-  
ბილია, თეთრკანიანები განგაშს მოუცავს, გარბიან, რაღაცას  
იხვეწებიან, ტირიან. ხედავენ თუ როგორ დამშეულან ისინი და  
ლუკმა-პურს თხოულობენ, ვეროპის დასავლეთიდან აღმოსავ-  
ლეთისაკენ მიიწევენ და თეთრკანიან ინგლისელებთან ერთად  
ხოცავენ თეთრკანიან გერმანელებს, ხვდებიან ძონძებში გახ-  
ვეული თეთრკანიანი ადამიანების კოლონებს, ადამიან-ჩონჩხ-  
ებს, ადამიანებს, რომელთაც ოდენ ძვალი და ტყავი დარჩენიათ.

თავზარი, რომელიც დასცა აფრიკელს ომის ამ კადრების ნახ-  
ვამ, მით უფრო ძლიერი იყო, რომ აფრიკის მკვიდრთ (გარდა მცირე  
გამონაკლისისა, ხოლო ბელგიის კონგოს შემთხვევაში, ამგვარი  
გამონაკლისიც არ არსებობდა) ნება არ ჰქონდა ვეროპაში ჩასვ-  
ლისა, თუ საერთოდ, აფრიკის საზღვრების დატოვებისა. მათ თეთრ-  
კანიანების ცხოვრების შესახებ წარმოდგენას მხოლოდ კოლონია-  
ში მცხოვრებ თეთრკანიანების ფუფუნებით ცხოვრება აძლევდათ.

აფრიკა ყველაზე კარგად კაპუშჩინსკის „აბანოში“ აქვს  
აღწერილი. ეს ერთ-ერთი გამორჩეული წიგნია არა მხოლოდ  
მის შემოქმედებაში და არა მხოლოდ პოლონურ, არამედ მსოფ-  
ლიო ლიტერატურაში. წიგნში ასახული დრო ერთგვარად გარ-  
დამტეხია კაცობრიობის ისტორიაში, დრო, როდესაც ხდება  
რევოლუციები, ადგილი აქვს გამარჯვებებსა და დამარცხებებს,  
რასობრივ ანტაგონიზმს, შიმშილობას, ეპიდემიებს, სიღატაკე-  
სა და კორუფციას. და ამის მიუხედავად, ადამიანებს ცხოვრებ-

ის უდიდესი, წარმოუდგენელი წყურვილი ახასიათებთ.

„მისი რომანები მაგიური ნაფიქრის შედეგია, რომელშიც ძნელია წყალგამყოფი გაავლო პოეზიასა და აფორიზმებს შორის. აქ არის საოცარი სახეები“ - წერდა კაპუშინსკის შემოქმედებაზე გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯონ აპდაიკი. ეს უპირველეს ყოვლისა, „აბანოზს“ ეხება.

„აბანოზი“ პოლონურად 1998 წელს გამოიცა. თუმცა მისი დაბეჭდვიდან არც ისე დიდი დროა გასული, ნაწარმოები მრავალენაშუა დაბეჭდილი და ზოგიერთ მათგანზე - მრავალჯერ. მაგალითად, ინგლისურად გამოიცა ოთხჯერ, ჩინურად და იტალიურად ორჯერ და ა. შ. სხვათაშორის, წიგნი ასევე საერთაშორისო ენა - ესპერანტოზეცაა ნათარგმნი\*.

„აბანოზში“ ზუსტად ისეთი აფრიკაა მხატვრულად აღწერილი, როგორიც ადამიანს წარმოუდგენია - თვალუწვდენელი ოქროს საგანე, ბუნებისა და ნადირთა მეფე ლომები, მათი მეტოქე ვეფხვები, თავაწეული ჟირაფები და უშველებელი სპილოები. და მათთან ერთად შიმშილისაგან გაძვალტყავებული ბავშვები, თავზე სინწამოდგმული ნახევრად შიშველი ლამაზი ქალები, რომელთაც ლითონის ყელსაბამები ამშვენებთ, სადაც საოცრად ლამაზი ბუნება ასევე საოცარ, ენით გამოუხატავ სიღატაკს ემეზობლება. არ შეეცდარხართ, ესაა აფრიკა და ესაა ამ წიგნში ლამაზად აღწერილი. ის დაგქმარებათ შეიმეცნოთ ეს შორეული და იდუმალი მაგიით, სიყვარულითა და სიკვდილით გაყდენთილი კონტინენტი, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია დანარჩენი მსოფლიოსათვის.

---

ესპერანტო (esperanto - მოიქმედ) - ხელოვნური საერთაშორისო დამხმარე ენაა, რომელიც შექმნა თვალის ექიმმა და პოლიოლოგმა ლუდვიგ ზაგენქოფმა.

მანვე შეადგინა ესპერანტოს პირველი სახელმძღვანელო 1887 წელს გამოვიდა ვარშავაში. მისი ფსევდონიმი იყო ესპერანტო. ენის ლექსიკა დაკომპლექტებულია მეტადრე რომანული ("60%), გერმანიკული ("30%) და სლავურ სიტყვათა ძირებიდან. მათზე აფიქსების დართვით იწარმოება ახალი სიტყვები. გრამატიკა მარტივია - შედგება სულ 16 წესისგან; ამის გამო მისი შესწავლა მარტივია. ესპერანტოზე თარგმნილია უამრავი მხატვრული ნაწარმოები, არსებობს ორიგინალი ლიტერატურაც.

როდესაც საინფორმაციო სააგენტომ აფრიკაში თანამშრომლის გაგზავნა გადაწყვიტა, ამ მიკლინებით სულ რამდენიმე კაცი დაინტერესდა. მაშინ არ იყო ტელევიზია, ნაკლებად უსმენდნენ რადიოს და რეპორტიორების სამოქმედო იარაღი ძირითადად კალამი იყო. დღეს მედიის ხალხი საოცრად მომრავლდა და ჟურნალისტებიც მრავალგვარი სახის გამოჩნდნენ. მათ შორის ისეთებიც, როგორიც თავად კაპუშჩინსკი იყო - მოგზაური და მცდელი იმისა, რომ მათ მსგავსად იცხოვროს, ვისაც აღწერს. კაპუშჩინსკის ზოგიერთი კოლეგა ამ სახის მოგზაურობას აღარებს ერთგვარ დიპლომატიურ მისიას. ისინი დიდად არ არიან იმით დაინტერესებული, თუ როგორ ცხოვრობს ხალხი ამა თუ იმ ქვეყანაში, მათ ოდენ ის აინტერესებთ, თუ რა ხდება პოლიტიკაში, როგორ მართავს ხელისუფლება ქვეყანას. ამ ტიპის ჟურნალისტები, - სიმბოლურად თუ ვიტყვით - შერატონის ქსელის სასტუმროებში ცხოვრობენ, რეალობას მოწყვეტილნი. კაპუშჩინსკი აფრიკაში შევხვედრია ჟურნალისტებს, ვინც არ აკეთებს არაფერს, დილიდან საღამომდე ყველაფრის საწინააღმდეგო: მალარიის, დიზენტერიის და ა. შ. აბების ყლაპის გარდა. როგორც კაპუშჩინსკი წერს, ასე საქმე ვერ გამოვა. თუ აფრიკის გაგება გინდა, უნდა წახვიდე და ჭამო და დალიო ის, რასაც აფრიკელი ჭამს და სვამს. აბების მყლაპავის ცხოვრების სტილი შეუძლებელს ხდის ნამდვილი ცხოვრების გაგებას, რეალობის აღთქმას. დღეს კორესპონდენტები დიდ ჯგუფებად მუშაობენ, მაგრამ მათგან მრავალი ამ სფეროში სრულიად შემთხვევითაა მოხვედრილი.

„აბანოზში“, რომელიც ავტორის ერთგვარი დღიურიცაა, რეპორტაჟი გადადის მოთხრობის, ნოველის ჟანრში, რაც მას ფრიალ საინტერესოს ხდის. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ინგლისურ თარგმანში მას სწორედ ასე ეწოდება: *The shadow of the sun. My African life* (შხის ჩრდილი. ჩემი აფრიკული ცხოვრება). წიგნში ბევრი პარალელია გავლებული ვეროპელისა და აფრიკელის ცხოვრებას შორის. თუ რა კარგად ჰქონდა კა-

პუშჩინსკის აფრიკა შესწავლილი, ამას შემდეგი ფაქტიც მოწმობს: ამ ბოლო დროს ევროსაბჭოს თავმჯდომარეებ, ხოზე ბარონომ პოლონეთში სტუმრობისას ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე „შავ“ კონტინენტზე დასმული კითხვის პასუხად ნახევრად ხუმრობით განაცხადა, კაპუშჩინსკი ხომ არა ვარ, აფრიკაზე მაგდენი ვიცოდეთ. თუმცა, როგორც მწერალი თავად ამბობს, აფრიკის სრულად შეცნობა და შესწავლა შეუძლებელია.

ახლა ორიოდ სიტყვა თავად ნაწარმოების სათაურის თაობაზე.

აბანოზისებრნი სხვადასხვა სახის ძვირფასი ხეა, რომელიც ძირითადად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში იზრდება. ცნობილია მისი 325 სახეობა. ის მუქი ან შავი ფერის, ძალზე მკვრივი ხეა, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტების, მხატვრული ავეჯის დამზადებისას, ასევე სკულპტურაში და სხვ. მასალად გამოიყენება.

სიტყვა „აბანოზს“ ხის ფერს, მისი მოჭრის ქვეყანას ან ექსპორტირების ნაგსადგურს უკავშირებენ ხოლმე და ისე წარმოთქვამენ. მაგალითად, შავი აბანოზი, მწვანე აბანოზი, ბომბეის აბანოზი, ცეილონის აბანოზი, მადაგასკარის აბანოზი და ა. შ. აბანოზს შეიძლება შესაბამისად დამუშავებული მუხის ან მსხლის ხე-მასალაც მიაგვანონ.

ამ ტროპიკულ ხე-მასალაზე დიდმა მოთხოვნილებამ მისი არსებობა დიდი საფრთხის წინაშე დააყენა. ამიტომ 1994 წელს ბუნების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის „წითელ წიგნში“ შეიტანა.

როდესაც ამ წიგნს, ალბათ ყველაზე შთამბეჭდავს „შავი კონტინენტის“ თემაზე, ვთარგმნიდი, შემდეგი აზრი არ მასვენებდა: ახლა აფრიკის მოსახლეობა, მისი 80%-ზე მეტი მაინც ანუ დაახლოებით მილიარდამდე ადამიანი, დღეში (ზოგჯერ ორ დღეში ერთხელ) ერთი ჯამი ბრინჯით კმაყოფილდება, ფეხშიშველა და შიშველ-ტიტველი დადის. მსგავსი მდგომარეობაა ჩინეთში, ინდოეთში, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. გამოდის, რომ დღევანდელ მსოფლიოში ასეთ სოციალ-

ურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ცხადია, დროის გასვლასთან ერთად, ამ ხალხსაც მოუნდება, სამართლიანადაც, თავისთვის თუ არა, თავისი შთამომავლებისათვის (მივაქციოთ ყურადღება: როგორც თავად ავტორიც წერს, აფრიკის მოსახლეობის ნახევარი თხუთმეტ წლამდე და ნაკლები ასაკისაა) მაინც უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეიქმნას. მაგრამ თუნდაც თეორიულად არსებობს ამის საშუალება?! მაგალითად, ექსპერტების გათვლებით, გაზი და ნავთობი კაცობრიობას 60-70 წელიწადზე მეტი არ ეყოფა. არადა, ეს ნედლეული ხომ უმთავრესი წყარო და საფუძველია ცხოვრების პირობების გაუმჯობესების. და რა იქნება შემდეგ? ალბათ ესაა ის უმთავრესი კითხვა, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია პროგრესული მსოფლიო საზოგადოების თავზე.

თუმცა, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით არც ასე სავალალოდ უნდა იყოს საქმე, თუკი მას სწორი მიმართულებით წავმართავდით. დღესდღეობით პრობლემას არა იმდენად ჭარბმოსახლეობა და ამით გამოწვეული შიმშილიანობა წარმოადგენს, არამედ წარმოებული პროდუქციის, განსაკუთრებით სურსათის, არარაციონალური განაწილება. ამის თაობაზე „აბანოზის“ ავტორიც წერს, როდესაც ის ეთიოპიაზე და აფრიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაზე საუბრობს. სწორედ პრობლემის ამ კუთხით განხილვასა და ანალიზში მიიღო ნობელის პრემია 1995 წელს ინდოელმა მეცნიერმა-ეკონომისტმა ამარტია სენმა.

კაპუშჩინსკი ოპტიმიზმით არ უყურებდა პრობლემების გადაჭრას. მისი აზრით, თუკი ინვესტიციები ჩაიდებოდა მიწების მორწყვის, ბრინჯისა და სიმინდის ახალი კულტურების გამოყვანის მიმართულებით, იწარმოებოდა გაცილებით შედეგიანი წამლები მალარიის სამკურნალოდ და სხვა მსგავს ღონისძიებებზე. მაშინ შესაძლებელი იყო ბევრი რამის შველა, ბევრი რამის გამოსწორება, მაგრამ საიდან ამდენი ინვესტიცია? კაპიტალი ხომ დიდი და სწრაფი მოგების ძიებაშია, ასეთი სამუშაოები კი ნაკლებ მოგებას იძლევიან და თანაც გრძელვადიან

პერსპექტივაში.

აფრიკა მწერალს მართლაც ძალიან უყვარდა, ალბათ ამიტომაც გამოვიდა „აბანოზი“ ასეთი განუმეორებელი. „ზოგჯერ ამოვიოხრებ ხოლმე აფრიკის გახსენებაზე, იქნებ უკვე ჩავლილი ჩემი ახალგაზრდობის გამო, რომელიც იქ დავტოვე. თუმცა არა მხოლოდ ამის გამო...

აფრიკა ზოგჯერ მზიარული, ზოგჯერ მრისხანე, გაუგებარი, ბოლომდე ამოუცნობი, ყოველთვის თვითმყოფადი, სხვისგან განსხვავებული. აფრიკას აქვს თავისი სტილი, თავისი კლიმატი, თავისი ინდივიდუალობა, რომელიც ამოუცნობი ძალით გეზიდება, გეწევა თავისკენ, გზიბლავს და წლების შემდეგაც შეუძლებელია ამ გრძნობისაგან გათავისუფლება... აფრიკა მართალია ღარიბი კონტინენტია, მაგრამ ნორმალური სამყაროა. რა თქმა უნდა, არის იქ რამდენიმე ტრაგიკული ადგილი, სადაც საშინელი ამბები ხდება და მედიაც სწორედ მასზე აკეთებს აქცენტს. ამის გამო მთელი ამ კონტინენტის უსამართლო, მცდარი სახე იხატება“.

აფრიკაში, აკრში რ. კაპუშჩინსკი 1958 წელს გაფრინდება. მწერალი ამ მოგზაურობის დროს სავსე იყო ემოციებით, ეს ხომ მისი პირველი გამგზავრება იყო ამ კონტინენტზე. მით უფრო, რომ განაში ის არავის არ იცნობდა, არავის მისამართი, ტელეფონის ნომერი არ გააჩნდა. და რაც კიდევ უფრო უარესია, ჯიბეში ცოტა ფული ჰქონდა. რამდენიმე წელიწადში, აფრიკაში პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს მუდმივი წარმომადგენლობის გახსნის წინადადებასაც მიიღებს. 1962 წელს ის დარ ეს-სალააში პოლონეთის მუდმივ კორესპონდენტად გაემგზავრება.

როგორც შემდეგ თავად დაწერს, აფრიკაში თავგადასავლები არ უძებნია, სპილოებზე არ უნადირია და მარგალიტები არ უთხრია. ის პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტი იყო და უნდა ეწერა იმის თაობაზე, რასაც იქ გაიგებდა, ნახავდა, იმაზე, რაც აფრიკაში ხდებოდა.

უცხო, განსაკუთრებით აფრიკის რომელიმე ქვეყანაში ჩასული კაპუშჩინსკი უპირველესად იმას ცდილობდა, რომ ადგ-

ილობრავ მაცხოვრებელს დამსგავსებოდა, ბრბოში გათქვეფილიყო. კარგი გამოთქმა გვაქვს ქართველებს, სადაც მიხვალ იქაური ქუდი დაიხურეო. მცირე ხანში ისე გაირუჯებოდა ხოლმე, რომ თითქმის აღწევდა კიდეც მიზანს. ერთი ყვავა, სიარულს ვერ მიეჩვია ადგილობრივების, თუნდაც აქ დამკვიდრებული კოლონიზატორების მსგავსად - აუჩქარებლად, ზარმაცად.

აფრიკაში სამსახურის დაწყების პირველ ხუთ თვეს მან მოინახულა ხუთი ქვეყანა. მათგან ოთხში სამხედრო მდგომარეობა იყო, ერთში - ზუსტად იმ ხანებში გადააყენეს პრეზიდენტი, მეორეში პრეზიდენტმა სიცოცხლე შემთხვევით გადაირჩინა, მესამეში - მთავრობის მეთაურს თავისი რეზიდენციის, რომელსაც გაძლიერებული დაცვა დარაჯობდა, დატოვების ეშინოდა. ორში პარლამენტი დაითხოვეს, ათობით პოლიტიკოსმა ციხეში ამოყო თავი, ხოლო პოლიტიკურ ბრძოლაში უამრავი ხალხი დაიხოცა. 520 კილომეტრის სიგრძეზე კაპუშჩინსკი, როგორც კორესპონდენტი 22-ჯერ გაჩხრიკეს. ყველა ამ ქვეყანაში დაძაბული ატმოსფერო იყო, ყველგან ღენთის სუნი სცემდა.

„იმ სამყაროს ნაწილი მსურდა გაემხდარიყავი, რომელსაც აღვწერდი. მასში უნდა ჩამეყვინთა და დამევიწყებინა მის გარდა სხვა სამყაროს არსებობის თაობაზე. როდესაც აფრიკაში ვარ. სახლში არ ვწერ წერილებს და არ ვრეკავ. ამ დროს ჩემთვის სხვა სამყარო ქრება. ეს ახალი, სხვა სამყარო, სხვა კულტურა ჩვენთვის არის ერთგვარი სარკე, რომელშიც ვიხედებით როგორც ჩვენ, ისე ჩვენი კულტურა. ამის წყალობით ჩვენ უკეთ ვიგებთ საკუთარ თავსაც, რადგან ძალზე ძნელია ჩვენი თავის შეცნობა მანამ, ვიდრე მას სხვებს არ შევეუდარებთ“ - რ. კაპუშჩინსკი. 2013 წელს ვარშავაში გამოცემული წიგნი-ალბომიდან.

შესასწავლი საგნისადმი ასეთმა მიდგომამ შედეგი გამოიღო. იშვიათად რომელიმე მწერალს, მოგზაურს ასე კარგად. წარმოსადგენად დაეხასიათებინოს აფრიკა, როგორც ეს კაპუშჩინსკიმ შეძლო. მახსენდება, „ილიადაში“ ჰომეროსი ქალის სილამაზის გაღმოსაცემად მის თვალ-წარბსა და მაღალ ყელს კი არ ახასი-

ათებს, არამედ ამას ერთი წინადადებით გაცილებით უკეთ გად-  
მოსცემს. როდესაც მან გაიარა, საფიზენოზე წამომსხდარმა  
ბერიკაციებმა თვალი გააყოლესო. აი, კაპუშინისკი როგორ გად-  
მოსცემს აფრიკის მცხუნვარებას: „საპარაში ხელისუფალთა  
სასახლეებს განსაკუთრებული კონსტრუქცია აქვთ - მათთვის  
არქიტექტორებს უამრავი დერეფნები, ღრიჭოები და ღია ადგ-  
ილები ისეთი ფანტაზიით დაუყოლებიათ, რომ ოთახებში, რაც  
შეიძლება მეტი სიო უბერავდეს. ამის წყალობით მათ პატრონებს  
ყოველთვის აქვთ ბედნიერება ისუნთქონ ოდნავ მაინც გრილი  
ჰაერი. სიოს ხომ საცვლელი ღირებულება გააჩნია: ვველაზე ძვირი  
სამშენებლო ადგილი იქაა, სადაც ის უფრო ხანგრძლივად ქრის.  
ჰაერს, როდესაც ის უძრავად დგას, ჩალის ფასიც არა აქვს, მა-  
გრამ საკმარისია სიომ დაბეროს, რომ მისი ღირებულება მყისვე  
გაიზარდება“.

კარგად თქვა ერთმა კრიტიკოსმა მასზე: კაპუშინისკი აფ-  
რიკაში რეპორტიორად წავიდა და იქიდან მწერლად დაგვი-  
ბრუნდაო.

კაპუშინისკის აზრით, აფრიკელის სულიერი სამყარო მდი-  
დარი და რთულია, ხოლო მისი შინაგანი ცხოვრება ღრმა რე-  
ლიგიურობითაა გამსჭვალული. მას სწამს სამი, სრულიად გან-  
სხვავებული, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული,  
სამყაროს არსებობა.

პირველი მის გარშემო არსებული, ანუ ხელშესახები და  
თვალთ ადსათქმელი რეალობაა. ის შედგება ცოცხალი ად-  
ამიანების, ცხოველების, მცენარეების და ასევე მკვდარი მა-  
ტერიის - ქვების, ჰაერის და წყლისაგან. მეორეა წინაპართა  
სამყარო - მათი, რომლებიც ჩვენამდე გარდაიცვალნენ, თუმცა  
გარდაიცვალნენ არა სრულად, საბოლოოდ, არამედ ნაწილო-  
ბრივ. მეტაფიზიკური აზრით, ისინი კვლავაც განაგრძობენ არ-  
სებობას და ჩვენს რეალურ ცხოვრებაშიც მონაწილეობენ, გავ-  
ლენას ახდენენ და გარკვეულ ფორმასა და შინაარსს აძლევენ.  
ამიტომ, კარგი ურთიერთობის შენარჩუნება წინაპრებთან ბედ-  
ნიერი ცხოვრების პირობაა. და ბოლოს, მესამე სამყარო. წარ-

მოადგენს სულთა უმდიდრეს სამეფოს; სულების, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობენ და იმავედროულად ცხოვრობენ ყოველ არსებაში, ნივთში, ყველაფერში და ყველგან.

ამ სამ სამყაროს სათავეში უდგას უმაღლესი არსება, უმაღლესი ყოფა, ღმერთი. ამიტომაც, რომ მაგალითად, ავტობუსებზე, ასეთი ტრანსცედენტური შინაარსის ბევრ წარწერას ნახეთ: „ღმერთი ყველგანაა“, „ღმერთმა უწყის, რასაც იქმნს“, „ღმერთი იღუპალებდა“. გვხვდება ასევე გაცილებით მიწიერი, ადამიანური წარწერები, მაგალითად: „გაიღიმე“, „მითხარი, რომ მშვენიერი ვარ“ და ა. შ.

აფრიკის კარგად გაცნობამ კაპუშინისკი დაარწმუნა, რომ ევროპელსა და აფრიკელს სრულიად განსხვავებული წარმოდგენა აქვს დროზე, სხვაგვარად აღიქვამენ და უდგებიან მას. ევროპელისათვის დრო არსებობს ადამიანის გარეთ, მისგან დამოუკიდებლად, ობიექტურად. ნიუტონის მიხედვით, დრო არის „აბსოლუტური, ჰომოგენური და მათემატიკური. დრო მიედინება თავისთავად, თავისი ბუნების წყალობით და არაა დამოკიდებული რაიმე გარე საგანზე“. ევროპელი თავს ისე გრძნობს, როგორც დროის მოსამსახურე, მასზე დამოკიდებული. რათა იარსებოს და იმოქმედოს, უნდა დაიცვას მისი მტკიცე, დაურღვეველი მოთხოვნები, მისი მყარი პრინციპები და წესები. უნდა დაიცვას ვადები და თარიღები, დღეები და საათები. ის ცხოვრობს დროის ჩარჩოებში, არ ძალუძს მის გარეთ არსებობა. დრო კარნახობს მას თავის მკაცრ წესებს, უყენებს მოთხოვნებს და ნორმებს. ადამიანსა და დროს შორის არსებობს გადაუწყვეტელი კონფლიქტი, რომელიც ყოველთვის ადამიანის მარცხით მთავრდება - დრო ადამიანს ანადგურებს.

აფრიკელები დროს სხვანაირად გრძნობენ. მათთვის დრო არის უფრო მეტად ღია, ელასტიური, სუბიექტური კატეგორია. მათი გაგებით, ადამიანი ახდენს გავლენას დროის ფორმირებაზე და რიტმზე (ცხადია, იგულისხმება ადამიანი, რომელიც წინაპრებისა და ღმერთების თანხმობით მოქმედებს). დრო რაღაც ისეთია, რისი შექმნაც ადამიანს ხელეწიფება, რადგან, მაგალი-

თად, დროის არსებობა გამოიხატება რაიმე მოქმედების წყალობით, ხოლო ის, ამ მოქმედებას ადგილი ექნება თუ არა, ხომ ადამიანზეა დამოკიდებული. თუ ორი არმია ერთმანეთს არ შეეჯახება, ბრძოლასადგილი არ ექნება (ანუ დრო არ გამოავლენს თავის არსებობას).

დრო გვევლინება ჩვენი საქმიანობის შედეგად, ხოლო ის გაქრება, როდესაც ამ მოქმედებას შეეწყვეტთ ან საერთო უარს ვიტყვით მის წამოწყებაზე. ესაა მატერია, რომელსაც ჩვენი ზეგავლენით შეუძლია ყოველთვის გამოცოცხლდეს, მაგრამ ჩავარდება ჰიბერნაციის მდგომარეობაში, არარსებობაშიც კი, თუ მას ჩვენს ენერჯიას არ გამოუყოფთ. დრო არის ბერწი, პასიური და უპირველეს ყოვლისა - ადამიანზე დამოკიდებული.

ეს ევროპელისაგან სრულიად განსხვავებული აზროვნებაა. ათასობით წლის განმავლობაში მთელი აფრიკა ფეხით დადიოდა. აქ არ იცოდნენ, რა იყო ბორბალი (ისევე, როგორც ამერიკის კონტინენტის მკვიდრმა მოსახლეობამ, მაგალითად ინკებმა და სხვებმა) და ვერც მის გამოყენებას ახერხებდნენ. დადიოდნენ ასე, მომთაბარეობდნენ, ხოლო ის, რისი წაღებაც უნდოდათ, ხელით, მხრებით, და უმეტესად - თავზე შემოდებული მიჰქონდათ კონტინენტის სიღრმეში მდებარე ტბებზე გემებს დაინახავ? საიდან გაჩნდა ისინი? იქიდან, რომ მათ ოკეანეს პორტებში შლიდნენ. ნაწილ-ნაწილ, ასე თავზე შემოდებული მიჰქონდათ და ტბის ნაპირას აწყობდნენ. ასე დეტალურად არის გადატანილი აფრიკის სიღრმეში მთელი ქალაქები, ფაბრიკები, მალაროს მოწყობილობები, ჰესები, საავადმყოფოები. XIX საუკუნეში მთელი ტექნიკა შუაგულ აფრიკაში ადგილობრივ მცხოვრებთა თავებითაა გადატანილი.

XX საუკუნის შუა წლებში აფრიკის მცხოვრებთ არ ჰქონდათ არავითარი ინფორმაცია, გარდა იმისა, თუ რას ეტყოდათ მეზობელი, აქ ბაზირებული ჯარის უფროსობა ან კოლონიალური ადმინისტრაცია. მათ სამყაროს შესახებ მხოლოდ იმდენი იცოდნენ, რაც ენახათ უახლოეს დასახლებაში, ან მოისმინათ სადამოთი კოცონის ირგვლივ საუბრისას.

II მსოფლიო ომის ყველა აფრიკელ მონაწილეს, ვინც ვეროპიდან სამშობლოში დაბრუნდა, სხვადასხვა პოლიტიკური მოძრაობის, პარტიების რიგებში, დამოუკიდებლობისათვის დაწყებულ ბრძოლაში ჩართულეს. შემდეგ შევხვდებით ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, მრავლდებოდა, როგორც სოკო წვიმის შემდეგ. მათ სხვადასხვა ორიენტაცია ჰქონდათ და განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ.

ისინი, რომლებიც საფრანგეთის კოლონიებში ცხოვრობდნენ, შედარებით მოკრძალებულ მოთხოვნებს აყენებდნენ, ჯერ კიდევ არ ლაპარაკობდნენ თავისუფლებაზე. მათ მხოლოდ ის სურდათ, რომ კოლონიაში ყველა მცხოვრები საფრანგეთის მოქალაქედ ეცნოთ. პარიზმა ეს მოთხოვნა უარყო. მან მხოლოდ გამონაკლისი დაუშვა. კერძოდ, საფრანგეთის მოქალაქე გახდებოდა მხოლოდ ის, ვინც აღიზრდებოდა ფრანგულ კულტურაზე და ვინც მის დონემდე ამაღლდებოდა ანუ ევროეზრდებულ ევოლუციას (ცვლილებას) განიცდიდა. მაგრამ, ასეთები ძალზე ცოტა იყო.

სამაგიეროდ, ბრიტანეთის კოლონიების მკვიდრი აღმოჩნდნენ ძალზე რადიკალური. მათ მიზანსა და პროგრამას შეადგენდა მომავლის გაბედული ხედვა, რომლებიც მოხაზული ჰქონდათ XIX-საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის აფროამერიკელი მონების შთამომავლებს. მათ მიერ დამუშავებულ დოქტრინას პანაფრიკანიზმი ეწოდებოდა.

მთელ აფრიკაში ყოველ დიდ საზოგადოებას თავისი განცალკევებული კულტურა, ჩვევებისა და რწმენის ორიგინალური სისტემა, თავისი ენა და ტაბუ აქვს. ამასთან, ყოველივე ეს ძალზე რთული და იღუმალაია. ამიტომაც, რომ დიდ ანთროპოლოგებს არასოდეს არც კი წამოსცდენიათ დეფინიცია „აფრიკული კულტურა“, ან „აფრიკული რელიგია“, რადგან მათ კარგად უწყოდნენ მსგავსი რამის უაზრობა, არარსებობა, რომ აფრიკის არსს მისი უსასრულო განსხვავებულობა წარმოადგენს. ისინი ხედავდნენ, რომ ცალკე აღებული ყოველი აფრიკელი ხალხის კულტურა დამოუკიდებელი სამყაროა, ერთიანი და განუმეო-

რებელი. ამიტომ გამოსცეს მონოგრაფიები: ე. ევანს-პრიშარდ-  
მა ნუერების შესახებ, გლუცკმანმა - ზულუს თაობაზე, გ. ბას-  
დენმა - ილუზე და ა. შ. ამედროულად ევროპული აზროვნება,  
რომელსაც რაციონალური შემოკლება-შემცირებები, გამარ-  
ტივება ახასიათებს, ყველაფერს, რაც აფრიკულია, ერთ ტომა-  
რაში უყრის თავს და მარტივი სტერეოტიპებით კმაყოფილდე-  
ბა.

ლონდონი და პარიზი რას არ აკეთებდნენ საიმისოდ, რომ  
ხალხი კოლონიებში სამსახურით დაეინტერესებინათ: აძლევდ-  
ნენ მაღალ ხელფასებს, უქმნიდნენ საუცხოო საცხოვრებელ თუ  
სამუშაო პირობებს. მანჩესტერის ფოსტის რიგითი, მორიდე-  
ბული მოხელე ტანგანიკაში ჩასვლის შემდეგ იღებდა აგარაკს  
აუხით, ავტომანქანას, იყვანდა მოსამსახურეს, შვებულებას  
ევროპაში ატარებდა და ა. შ. კოლონიური ბიუროკრატია მარ-  
თლაც მშვენივრად ცხოვრობდა. მაგრამ დღე ისე არ გავა, რომ  
კოლონიებმა დამოუკიდებლობა არ გამოაცხადონ. მმართველო-  
ბის არსებული ფორმა ახალ ხელისუფლებასაც ძალიან მოს-  
წონს. ისინი იმაზეც კი ზრუნავენ, რომ აქ არაფერი შეიცვა-  
ლოს, ვინაიდან ეს სახელმწიფო ბიუროკრატებს აძლევს ფან-  
ტასტიურ პრივილეგიებს, რაზედაც უარს არც ახალი ბატონე-  
ბი ამბობენ. ჯერ კიდევ გუშინ ლატაკნი და დამცირებულნი,  
დღეს უკვე რჩეულნი შეიქმნენ, მაღალი თანამდებობებიც აქვთ  
და სავსე ქისაც.

აფრიკული სახელმწიფოს ამ კოლონიურმა გენეზისმა -  
რომელშიც ევროპელი მოხელე უჩვეულო პირობებით ცხოვრობ-  
და, ხოლო ეს სისტემა თითქმის უცვლელად გადაიღეს ახალმა  
მმართველებმა - ის გამოიწვია, რომ დამოუკიდებელ აფრიკაში  
ხელისუფლებისათვის ბრძოლამ იმთავითვე დაუნდობელი და  
ულმობელი ხასიათი მიიღო. მყისიერად, უჩვეულოდ მოკლე  
დროში წარმოიქმნა ახალი მმართველი კლასი - ბიუროკრატი-  
ული ბურჟუაზია, რომელიც არაფერს არ ქმნის, არ აწარმოებს,  
მხოლოდ მართავს საზოგადოებას და სარგებლობს პრივილეგი-  
ებით. XX საუკუნის თავბრუდამხვევი სისწრაფის სამართალი

აფრიკაშიც ამოქმედდა: თუ ადრე საზოგადოებრივი კლასის შექმნას ათწლეულები, საუკუნეებიც კი სჭირდებოდა, ახლა აქ ამისათვის რამდენიმე დღე იყო საკმარისი. ფრანგებმა, რომლებიც გაცემული თვალებით შეპყრებდნენ ახალ კლასში ადგილის დაკავებისათვის გამართულ დაუნდობელ ბრძოლას, ამ ფენომენს *La politique du ventre* (მუცლის პოლიტიკა) უწოდეს, იმდენად იყო პოლიტიკური თანამდებობა დაკავშირებული მატერიალური სარგებლის მიღებასთან.

აფრიკაში მყოფი კაპუშინისკი ძალიან გულწრფელად წერს, რომ გაუჭირდა დანაშაულის კომპლექსისაგან გათავისუფლება. აფრიკელთა თვალში, როგორც თეორკანიანი, დამნაშავე, ისე ჩანდა. მონობა, კოლონიალიზმი, ჩაგვრის ხუთასი წელი - ეს ყველაფერი ხომ თეორკანიანის კისერზეა. თეორკანიანის? მაშასადამე, მასზეც. მასზეც? მას არ შეეძლო საკუთარ თავში გამწმენდი, შემამსუბუქებელი გრძნობის გამოწვევა: თავი ვერძო დამნაშავედ. მოენანიებინა. მოებოდიშა. პირიქით! თავდაპირველად ამ სახით საპასუხო თავდასხმაზე გადასვლასაც კი შეეცადა: „- თქვენ დაპყრობილი იყავით? ჩვენ, პოლონელებიც ასევე! მთელი ასოცდაათი წლის განმავლობაში სამი უცხო სახელმწიფოს კოლონია ვიყავით ასევე თეორკანიანების“. ამის გაგონებაზე აფრიკელები იცინოდნენ და იძვებოდნენ. მწერალი მათ ამით აბრაზებდა, რადგან მიაჩნდათ, რომ ატყუებდა. კაპუშინისკი ხედავდა, რომ მიუხედავად შინაგანი რწმენისა საკუთარი უდანაშაულობის თაობაზე, მათთვის დამნაშავე იყო. ამ ფქვშიშველა, შშიერ და უწიგნურ გლჭებს მასზე ეთნიკურ-ზნეობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ის უპირატესობა, რომელსაც აძლევს წყვეული ისტორია თავის მსხვერპლთ. მათ, შაკანიანებს, არასდროს არავინ არ დაუპყრიათ, არავის ოკუპაცია არ მოუხდენიათ, არავინ არ დაუმონებიათ. მათ შეეძლოთ მისთვის ზევადან ეყურათ. ისინი შავი რასის წარმომადგენლები კი იყვნენ, მაგრამ იყვნენ წმინდები. მწერალი მათ შორის სუსტად გრძნობდა თავს, იდგა და არაფერი არ ჰქონდა სათქმელი.

კაპუშინისკი ყველგან ასეთ მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა.

მწერალი ერთი თავისი ნაცნობის, დოქტორი პატელის ისტორიას გვაცნობს. ამ უკანასკნელის ბიოგრაფია კარგად გვიხატავს კონტინენტის კოლონიზაციის მიმდინარეობას. კერძოდ, დოქტორის პაპა და სხვა მრავალი ინდუსი უკანდაში, აღმოსავლეთ აფრიკაში, ინგლისელებს XIX საუკუნის ბოლოს ჩაუყვანიათ, რათა მომბასიდან კამპალამდე რკინიგზა დაეკოთ.

კოლონიური ექსპანსიის ახალი ეტაპი - კონტინენტის სიღრმეში შეღწევა, მისი შიდა ნაწილების დაპყრობა ის-ის იყო იწყობოდა. თუკი ვინმე დახედავს აფრიკის ძველ რუკას, მის ყურადღებას ერთი რამე მიიპყრობს, - მასზე ოკეანის სანაპირო ზოლის გაყოლებით, ათობით, ასობით ნავსადგური, ქალაქი, დასახლებაა მონიშნული, კონტინენტის ძეული დანარჩენი ნაწილი კი, ეს უსაშველოდ დიდი, მის ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტი, თითქმის სუფთაა, მოწმენდილია, მხოლოდ ადგილ-ადგილ ნახავთ რაიმე ნიშანს.

ვეროპელები ძირითადად სანაპირო ზოლში რჩებოდნენ, იშვიათად მიდიოდნენ კონტინენტის სიღრმეში. არ იყო გზები, ეშინოდათ მათდამი მტრულად განწყობილი ხალხის და ტროპიკული ავადმყოფობების, - მალარიის, ციების, სიყვითლის, კუთროვანების. და თუმცა ოკეანეს სანაპიროზე ოთხას წელიწადზე მეტი ცხოვრობდნენ, მთელი ამ დროის განმავლობაში პრიმიტიული ნაგებობების მეტი არაფერი აუშენებიათ, მათ მხოლოდ სწრაფი სარგებელი და მიმდინარე მოგება აინტერესებდათ. შედეგად, მათი ნავსადგურები წურბელებივით იხდნენ აფრიკის ორგანიზმზე და მონების, ოქროსა და სპილოს ძვლის გატანის ადგილად ქცეულიყვნენ. ამიტომ, ვეროპელთა მრავალი ეს პლაცდარმი მოგვაგონებდა ძველი ლივერპულის თუ ლისაბონის უღარიბეს რაიონებს. ლუნდაში, რომელიც პორტუგალიას ეკუთვნოდა, ოთხასი წლის განმავლობაში სასმელი წყლის ამოსაღებად არ გაუჭრიათ არც ერთი ჭა, ფანარით ერთი ქუჩაც არ გაუნათებიათ.

ვეროპელ კოლონიზატორებს განსაკუთრებით მალარიის ეშინოდათ. მალარია აფრიკაში ყოველწლიურად მილიონობით

ადამიანს აწუხებს, ხოლო იქ, სადაც მისი ყველაზე ძლიერი კერაა, დაბალ, ჭაობიან ადგილებში, ყოველ მესამე ბავშვსა კლავს. ის მრავალი სახისაა, ზოგი შედარებით ადვილად, გრიპოვით გადასატანია. თუმცა ისიც კი დიდად ტანჯავს თავის მსხვერპლს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი საზარელი კლიმატის პირობებში ყოველგვარი ავადმყოფობის გადატანა ძალზე ძნელია და მეორეც, აფრიკელები გამოფიტულნი, მშვიერი არიან. ხშირად ვხვდებით აქ ძილისგუდა, აპათიურ ადამიანებს. ქუჩებში, გზებზე, საათობით წვანან ან სხედან, არაფერს აკეთებენ. ველაპარაკებით, ვუყურებთ, მაგრამ არ ესმით. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ვერც კი გეგმინევენ. ძნელი სათქმელია. უგულვებელყოფენ, თუ ისეთი ზარმაცები არიან, ჩვენთან ურთიერთობაც კი ეზარებათ ან იქნებ მაღარია აწამებთ. ასეთ შემთხვევაში არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, რა ვიფიქროთ.

კამპალამდე რკინიგზის მშენებლობა კოლონიურ მეტროპოლიებში, განსაკუთრებით ლონდონსა და პარიზში, ახალი აზროვნების სიმბოლოდ იქცა. ახლა, როდესაც აფრიკა უკვე გაენაწილებინათ ევროპის დიდ სახელმწიფოებს, მათ შეეძლოთ წყნარად ჩაეღოთ ინვესტიციები თავიანთ კოლონიებში, რომელთა მდიდარი ნიადაგი საოცარი მოგების იმედს იძლეოდა ყავის, ჩაის, ბამბის, ანანასის პლანტაციებიდან, ან სხვა ადგილებში, - ალმასის, ოქროსა თუ სპილენძის მაღაროებიდან. მხოლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას სჭირდებოდა განვითარება. ადრინდელი მეთოდი, როდესაც მტკირთავეებს ყველაფერი თავზე შედგმული გადაჰქონდათ, უკვე საკმარისი აღარ იყო. საჭირო გახდა გზების, რკინიგზების, ხიდების აგება. კი, მაგრამ, ეს ყველაფერი ვის უნდა აეშენებინა?! თეთრკანიანი მუშები აქ არ მოუყვანიათ, თეთრკანიანი მხოლოდ ბატონი იყო, მას ფიზიკურად არ უნდა ემუშავა. დასაწყისში აფრიკელი მუშაც არ იყო ანგარიშში მისაღები, ის უბრალოდ არ არსებობდა. აქაური მოსახლეობის სამუშაოდ მოზიდვა უბრალოდ შეუძლებელი იყო, - რითი უნდა დაეინ-

ტერესებიანთ, მან ხომ ფული, როგორც ასეთი, არ იცოდა (ვაჭრობას აქ საუკუნეების განმავლობაში საქონელგაცვლითი ხასიათი ჰქონდა, მაგალითად, მონების სანაცვლოდ იღებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს, მარილს, ჩითის ქსოვილს).

დროთა განმავლობაში ინგლისელებმა იძულებითი შრომის სისტემა დანერგეს: ტომის ბელადს მუქთი შრომისათვის უნდა მიეწოდებინა გარკვეული რაოდენობის მუშახელი. მუშებს ბარაკებში ამწყვედევდნენ. ეს ადგილები, აფრიკის რუკაზე კი ბევრი ასეთი ბარაკის ადგილი იყო მონიშნული, იმაზე მიუთითებდა, რომ აქ კოლონიალიზმს კარგად ჰქონდა ფესვები გადგმული. მაგრამ ვიდრე ეს სისტემა მყარად დამკვიდრდებოდა, მანამდე დროებით გამოსავალს ეძებდნენ. ერთ-ერთი ასეთი მეთოდის არსი აღმოსავლეთ აფრიკაში იაფი მუშების შეყვანა იყო ბრიტანეთის სხვა კოლონიიდან - ინდოეთიდან. ამრიგად, მოხვდა დოქტორ პატელის პაპა ჯერ კენიაში, ხოლო შემდეგ უგანდაში, სადაც ის სამუდამოდ დასახლდა კიდევც.

### აფრიკული ლომები

ერთ-ერთი თავისი შემდგომი სტუმრობისას დოქტორმა პატელმა კაპუშჩინსკის ლომებზე შემდეგ უამბო (კაპუშჩინსკი მაშინ მაღარით იყო დააუადებული და მასთან მკურნალობდა):

რკინიგზის დაგებასთან ერთად სამშენებლო სამუშაოები ინდოეთის ოკეანეს შორდებოდა და ხშირი ბუჩქნარით დაფარული კონტინენტის სიღრმეში შედიოდა, ამ სამუშაოებით დაკავებულ ინდოელებს უფრო და უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს ლომები.

ასაკში შესულ ლომს, რომელსაც უკვე აქვს დახვეწილი გამოცდილება და ნადირობის ხერხები, ძალზე ეგემრიელება ადამიანის ხორცი და მოსწონს მასზე ნადირობა. ადამიანის

ხორციან ერთად მას უყვარს ასევე ზებრის, ანტილოპის და ფირაფის ხორციც, მაგრამ იმ მიზეზით, რომ ის მეტად მაღალი და დიდი ტანის ცხოველია, მისი მონადირეობა უჭირს. ძალზე უყვარს ასევე ძროხის ხორციც, რის გამოც მენახირეები მინდორში ეკლიანი ტოტებისაგან მოწყობილ საძროხეს საგულდაგულოდ კეტივენ. თუმცა ეკლიანი ტოტების ღობე, რომელსაც გომს უწოდებენ, ყოველთვის როდია საქონლის საიმედო თავდასაცავი, რადგან ღომი მშვენიერი მხტომელია და ადვილად შეუძლია გომს ზედ გადაეელოს ანდა მის ქვეშ გაძვრეს.

ლომები ღამით, ძირითადად, ჯოგებად ნადირობენ. ისინი მსხვერპლს უსაფრდებიან და თავს ესხმიან. მანამდე კი როლებს ინაწილებენ. ლომების ნაწილი მიუახლოვდება მიზანში ამოღებულ ცხოველს, აფრთხობს მას და კლანჭებში უგდებს ჩასაფრებულ ლომებს. ნადავლის განაწილებისას უპირატესობა მდებრებს აქვთ: ისინი ლოკავენ ცხელ-ცხელ სისხლს, აგლეჯენ მსხვერპლს ხორცს, ძვლებს კი ტყინს გამოწეწნიან. ღამით ნანადირევი ლომები, დღისით საჭმელს ინელებენ და თვლემენ. მათ აკაცისი ჩრდილში უყვართ გორაობა და კოტრიალი. თუ არ გააღიზიანებ, არაფერს გერჩიან. რომც მიუახლოვდე, ადგებიან და გაგეცლებიან. თუმცა ეს ძალზე სარისკო ნაბიჯია, რადგან წამები სჭირდება ამ მხეცს, რომ ისკუპოს და თავს დაგესხას. ერთხელ სერენგეტისაკენ მიმავალ კაპუშჩინსკისა და მის მეგობარს, ლეოს საბურავი გაუსკდა. მის შესაცვლელად სწრაფად გადმოვიდნენ კაბინიდან და წამსვე შენიშნეს, რომ აქვე, სიახლოვეს, მაღალ ბალახში, ანტილოპას გამოხრულ გვამთან რამდენიმე ღომი იწვა. ისინი უყურებდნენ კაცებს, თუმცა არც კი განძრეულან. ისხდნენ კაპუშჩინსკი და ლეო დაკტილ კაბინაში და ინტერესით ელოდებოდნენ შემდეგ რა მოხდებოდა. რამდენიმე წუთში მხეცებმა თავი ასწიეს და ბუჩქებს შორის მიმავალ ბილიკს ღამაზად, მოხდენილად გაუდგნენ.

როდესაც ლომები სანადიროდ გადიან, გარემოს მძლავრი ყმუილით აცნობენ, მათი ყმუილი მთელ საგანას სწევდა. ამის

გაგონება ცხოველებსა და ფრინველებს შიშსა და ძრწუნვას გვრის. ლომების ამ საბრძოლო მოწოდებას მხოლოდ სპილოები არ აგდებენ აინუნში. მათ არაფრისა არ ეშინიათ. ხმის გაგონებისთანავე საუანას სხვა ბინადარნი იმალებიან, ანდა გაოგნებულები ადგილზე ჩერდებიან და ელიან, რომ მტაცებელი საცაა სიბნელიდან გადმოხტება და მათ სასიკვდილო დარტყმას მიაყენებთ.

ლომი ყველაზე გონიერი და ძლიერი დაახლოებით ოცი წლის ასაკშია. შემდეგ უკვე სიბერე ეწყება, კუნთები უსუსტდება, სისწრაფე აკლდება, ნახტომი თანდათან მოკლე უხდება. ახლა მას უჭირს მიწიოს მშობარა ანტილოპას თუ უადრესად მგრძობიარე ზებრას, ის მთელი ჯოგისათვის ზედმეტ ტვირთად იქცევა. ეს მისთვის ცხოვრების ძალზე საშიში ფაზაა - ჯოგი ვერ გუობს სუსტებსა და აკადმყოფებს. გამორიცხული არაა, რომ ახალგაზრდებმა დაგლიჯონ კიდეც. მას კი ამისი ძალიან ეშინია. ის თანდათან შორდება ჯოგს, ეულად დაძუნძულებს და ბოლოს სულ მარტო რჩება. შიმშილით გატანჯული, მსხვერპლის ხელში ჩაგდებას ლამობს, მაგრამ ვერ ახერხებს\*.

და აი, ახლა მასუკვე მეტი არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ადამიანებზე ინადიროს. ხალხში ასეთ ლომს კაციჭამიას ეძახიან. ის მთელ ახლო-მახლო დასახლებას შიშის ზარს სცემს. ასეთი ლომი თავის მსხვერპლს ბილიკის სიახლოვეს ემალება, სადაც მდინარისაკენ თეთრეულის გასარეცხად მიმავალმა ქალებმა უნდა გაიარონ ან ბავშვები უნდა წავიდნენ სკოლაში (მშვიერი ბებერი ლომები დღისითაც ნადირობენ). ხალხს თავიანთი ქოხიდან გამოსვლის ეშინია, მხეცი მათ ქოხშიც უვარდება. თუმცა დაბერდა, მაგრამ კვლავაც უშიშარი, ძლიერი და დაუდობელია.

---

\* ჩემი მუხსიერებიდან არ გადის ოდესღაც ტელევიზორში ნანახი სურათი: ბებერი ლომი, როგორც იქნა, ხელთ იგდებს ასევე ბებერ კამეჩს, შეახტება დასაგლეჯად, მაგრამ კბილები ისე დაჩლუნგებია, ხოლო კამეჩის ტყავი ისეთი მაგარია, რომ ამაოდ ეძიძგილაკება, რის შემდეგაც თავი დაანებებს და თავის გზაზე გაუშვებს. ა.გ.

ზუსტად ასეთმა ლომებმა, - გააგრძელა საუბარი დოქტორმა პატელმა. - დაიწყეს იმ ინდოელებზე ნადირობა, რომლებსაც კამპალამდე რკინიგზა გაჰყავდათ. ისინი ტოტებისაგან დაწულ ქოხებში ცხოვრობდნენ, მხეცს არ უჭირდა ქოხში შეღწევა და იქიდან ახალ-ახალი მსხვერპლის გამოყვანა. ამ ხალხს არც არავინ იცავდა და არც თავად ჰქონდათ თავდასაცავად რაიმე იარაღი. ისე კი, იარაღიც რომც ჰქონოდათ, ბნელ აფრიკულ ღამეში ლომთან შებრძოლება ადვილი როდია. დოქტორის პაპასა და მის კოლეგებს ღამ-ღამობით ესმოდათ ხოლმე ლომების ბრჭყალებში აღმოჩენილი მსხვერპლის განწირული ყვირილი. ლომები მას ქოხის სიახლოვეს ნაფლეთებად აქცევდნენ, ხოლო შემდეგ გამაძღარნი ღამის სიბნელეში იკარგებოდნენ.

### როგორ იხოცებიან სპილოები

მწერალი სპილოების შესახებ ამბავს საინტერესოდ გადმოგვცემს.

თურმე როდესაც დიდი ხნის წინათ აფრიკაში პორტუგალიელები გამოჩნდნენ და სპილოს ძეგლის შესყიდვა დაიწყეს, მათი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ აფრიკელებს ეს ძვალი არც თუ ისე ბევრი ჰქონდათ. რატომ? მით უმეტეს, რომ სპილოს ეშვი ძალზე მტკიცე და გამძლე მასალაა. ამიტომ ევროპელები კითხულობდნენ, თუ სპილოს ტრადიციული შეპყრობის წესი (ორძოს თხრიდნენ და ცხოველი მასში ვარდებოდა) ძნელი შესასრულებელი იყო, რატომ არ იღებდნენ სპილოს ძვალს მათი სასაფლაოდან, სადაც ეს ცხოველები ჰპოვებდნენ თავიანთ საშუალო განსასვენებელს?! მათ ეს აზრი თავიანთ აფრიკელ პარტნიორებს გაუზიარეს. მაგრამ პასუხად გაიგეს მეტად საოცარი რამ: მკვდარი სპილო არ არსებობს, მაშასადამე, არც მათი სასაფლაოა სადმე. ეს მეტად საოცარი რამ იყო, რამაც პორტუგალიელებს საფიქრალი გაუჩინა. მაშ როგორ იხოცებიან სპილოები? სადაა მათი ნეშტი შემონახული? სადაა მათი

სასაფლაო. საქმე ხომ მეტად ძვირფასს რამეს - ეშვებს, სპილოს ძვალს ეხებოდა, საუბარი მიდიოდა დიდ ფულზე, რომელსაც ხალხი მასში იხდიდა.

ის, თუ როგორ იხოცებიან სპილოები, საიდუმლო იყო, რომელსაც აფრიკელები დიდხანს უმაღლედნენ თუთრკანიანებს. სპილო წმიდა ცხოველია და ასეთივეა მისი სიკვდილის ამბავიც. ხოლო ყველაფერი ის, რაც სიწმინდეს ეხება, იდუმალებით უნდა იყოს მოცული. ყველაზე დიდ გაკვირვებას ის იწვევდა, რომ ცხოველთა სამყაროში სპილოს მტერი არა ჰყავს. მას ვერაფერს ვერ იმორჩილებს. ის ოდითგანვე მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილით აღესრულება. ეს კი ყოველთვის ალიონზე ხდებოდა და ხდება, როდესაც სპილოები მდინარესა თუ ტბასთან წყურვილის მოსაკლავად მიეშურებიან. ისინი მიდიან იქ, გრძლად გაიშვებენ ხორთუშებს და წყალს სვამენ. მაგრამ დგება დრო, როდესაც ბებერ, გატანჯულ სპილოს აღარ ძალუძს ასე მოქცევა, მას არ შეუძლია ხორთუშის აწევა. ამიტომ ის უფრო და უფრო ღრმად შედის მდინარესა თუ ტბაში. წყალი მას თავის წიაღში ითრევს. მცირე ხნით სპილო თავს იცავს, ეურჩება წყლის სტიქიას, ცდილობს ფეხები ამოაძროს სილიდან და ნაპირზე გამოვიდეს. სამწუხაროდ, მისი სხეული იმდენად მძიმეა და თან დაუძლურებული, ხოლო სილის წებოვნობა ისეთი ძლიერი, რომ ეს უკვე შეუძლებელია. ბოლო-ბოლო ცხოველი წონასწორობას კარგავს, ეცემა და სამუდამოდ წყალში უჩინარდება.

გამოდის, რომ სპილოები აფრიკის მდინარეებისა და ტბების ფსკერზე განისვენებენ, იქაა მათი ძვალშესალაგა.

### მონებით ვაჭრობა აფრიკაში

აფრიკელი მონებით ვაჭრობამ ოთხასი წელი გასტანა. ის XV საუკუნეში დაიწყო და ოფიციალურად XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, უფრო გვიანაც, გრძელდებოდა. მაგალითად,

ჩრდილოეთ ნიგერიაში ის 1936 წელს აიკრძალა. მონებით ვაჭრობა აფრიკის ისტორიაში მთავარ ადგილს იკავებს. მილიონობით (სხვადასხვა გაანგარიშებით, 15-დან 30 მილიონამდე) ადამიანი მოიტაცეს და კონტინენტიდან გაიყვანეს. საშინელ პირობებში ხდებოდა მათი წაყვანა. დადგენილია, რომ ამ მგზავრობის დროს, რომელიც ორი-სამი თვე გრძელდებოდა, შიმშილით, უჭაერობით და წყურვილით მონების ნახევარი იხოცებოდა. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც გემზე მყოფი ყველა შავკანიანი მომკვდარა. გადარჩენილები ბრაზილიასა და შეერთებულ შტატებში შაქრის ლერწმისა და ბამბის პლანტაციებში მუშაობდნენ, სიმდიდრეს მატებდნენ ამ ნახევარსფეროს. მონებით ვაჭრები (ძირითადად პორტუგალიელები, პოლანდიელები, ინგლისელები, ფრანგები, ამერიკელები, არაბები და მათი აფრიკელი პარტნიორები) აუკაცრიელებდნენ კონტინენტს და მის მკვიდრთ აპათიური არსებობისათვის სწირავდნენ: ჩვენ დროშიც კი კონტინენტის უდიდესი ნაწილი ყამირი და უდაბნოა. აფრიკას დღემდე ვერ დაუღწევია თავი ამ კოშმარისათვის.

მონებით ვაჭრობას თავისი უარყოფითი, დამღუპველი ფსიქოლოგიური შედეგებიც ჰქონდა. მან მოწამლა აფრიკის მკვიდრთა ადამიანთაშორისი ურთიერთობა, ჩამოაგდო მათ შორის შუღლი და მტრობა, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაატაკა. ძლიერები სუსტებს იმორჩილებდნენ და მონებად ყიდდნენ, მეფეები - ქვეშევრდომების, ხოლო გამარჯვებულები - ტყვეების გაყიდვას ცდილობდნენ.

ამ ვაჭრობამ აფრიკელის ფსიქიკაში ღრმა და მტკივნეული ხინჯი - სიმდაბლის კომპლექსი დატოვა. შავკანიანი ისაა, რომლის სახლიდან თუ მინდურიდან მოტაცება და გაყიდვაც თეთრკანიანი ვაჭრის, ოკუპანტის, ფაჩალისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამ უკანასკნელს ხელეწიფება ბორკილები დაადოს მას, ჩაამწყვდიოს გემში, გასაყიდად გაიყვანოს, ხოლო შემდეგ შოლტით აიძულონ პლანტაციაში მუშაობა.

ამ ვაჭრების, ოკუპანტების, ფაჩალების იდეოლოგია ის იყო, რომ შავკანიანი ადამიანი არაა, რომ კაცობრიობა იყოფა ად-

ამიანებად და არაადამიანებად, რომ ამ უკანასკნელებს შეგვიძლია, რაც გსურს, ის ვუყოთ. თუმცა, უკეთესი იქნება ჯერ მათი შრომა გამოვიყენოთ, ხოლო შემდეგ მოვსპოთ. ამ ვაჭრების, ოკუპანტების, ყაჩაღების დღიურებში (მართალია პრიმიტიული ფორმით) რასიზმისა და ტოტალიტარიზმის მთელ შემდგომ იდეოლოგიას, იმ ძირითად თეზას ვკითხულობთ, რომ სხვა - მტერია, უფრო მეტიც: ის ადამიანიც კი არაა. მთელი ეს ზიზღის, სიმაბლების ფილოსოფია, მანამდე, საუკუნეებით ადრე, ვიდრე კოლიმასა და ოსვენციმში ჰპოვებდა თავის მატერიალურ გამოსახულებას, ფორმულირებული და დაფიქსირებული იყო „Marthy“-ის, „Progresso“-ის, „Marry Ann“-ის, სხვა გემების კაპიტანთა დღიურებში. ის იწერებოდა მათ კაბინეტში, როდესაც ისინი გემის ფანჯრებიდან გასცქეროდნენ აფრიკის ვრცელი პალმების ტყეს და თავიანთ გემებზე შავი მონების მოყვანას ელოდებოდნენ.



ამ პლანეტარულ ვაჭრობაში, რამეთუ მასში ევროპა, აზია, ამერიკა და ახლო აღმოსავლეთის მრავალი ქვეყანა მონაწილეობდა - ზანზიბარი შავ, სვედიან ვარსკვლავად, ნაღვლიან მისამართად, დაწყვეტილ კუნძულად რჩებოდა. მისკენ საუკუნეობით მიემართებოდა მონების ქარაუანი, რომლებიც კონტინენტის სიღრმეში - კონგოსა თუ მალაკში, ზამბიასა თუ უგანდაში შეეკრიბათ. ამ მონებს, რომელთაც ხელ-ფეხი თოკით ჰქონდათ გაკრული, რათა არ გაქცეულიყვნენ, იყენებდნენ ასევე მეზარგულეებად - მათ პორტამდე, გემამდე ძვირფასი საქონელი - ტონობით სპილოს ძვალი, პალმის ზეთი, გარეული ცხოველების ტყავი, ძვირფასი ქვები, ებონი მიჰქონდათ. შემდეგ ეს კონტინენტიდან კუნძულზე ჩამოტანილი საქონელი ბაზარზე გასაყიდად გააქეთ. ამ ბაზარს მკუნაზინი ეწოდება და ჩემი სასტუმროს ახლოს, მოედანზე მდებარეობს. ახლა იქ ანგლიკანური ეკლესიაა. მონების ფასები განსხვავებულია: ერთი დოლარიდან დაწყებული - ბავშვში, თორმეტამდე - ლამაზ, ახალგაზრდა ქალიშვილში. საკმაოდ მაღალი ფასებია, რადგან სენეგამბიიდან პორტუგალიელებს ერთი ცხენის ფასად თორმეტი მონა-ზანგი მოჰყავდათ.

მკუნაზინიდან ვველაზე ჯანმრთელი და ძლიერი მონები ნესადგურში გადაჰყავდათ აქედან საგანგებოდ მონებისათვის აგებული გემებით ისინი ამერიკაში ან ახლო აღმოსავლეთში მიჰყავდათ. მძიმე ავადმყოფებს, რომლებშიც ერთი ცენტის გადახდაც კი არავის სურდა, ვაჭრობის დასრულებისთანავე კლდიდან ისროდნენ, სადაც ისინი მოხეტილად გარეული ძაღლების ლუკმად იქცეოდნენ. სამაგიეროდ მათ, რომლებიც დროთა განმავლობაში გამოჯანმრთელებასა და ძალის მოკრებას შეძლებდნენ, ზანზიბარში არაბები ქოქოსის პალმის უზარმაზარ პლანტაციაში ასაქმებდნენ. შემდგომში, რევოლუციებში მონაწილეობას სწორედ ამ მონათა შვილიშვილები მიიღებენ.

სამოცდაათიანი წლებში აფრიკა თავის ვველაზე შავბუნელ ეპოქაში შევიდა. სამოქალაქო ომები, რევოლუციები, სახელმწიფო გადატრიალებები და მასთან დაკავშირებული (მნიშვნელოვანწილად

ამითაც გამოწვეული) შიშშილი, რომლის გადატანაც უხდებოდათ საპელის სივრცეში (დასავლეთ აფრიკა) და აღმოსავლეთ აფრიკაში (განსაკუთრებით სუდანში, ჩადში, ეთიოპიასა და სომალიში) მცხოვრებ მილიონობით ადამიანს, კრიზისის მხოლოდ ზოგიერთი გამოვლინება იყო. შეპირებებითა და იმედებით საუეს ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების ეპოქა დასრულდა. ამ პერიოდში კონტინენტის მრავალმა ქვეყანამ კოლონიალიზმის უღელი მოიშორა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა. იმ წლებში პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მეცნიერებაში ფეხი მოიკიდა შეხედულებამ, რომლის თანახმადაც თავისუფლება ავტომატურად მოიტანდა კეთილდღეობასაც, რომ მას ხელქმეფებოდა დაუყოვნებლივ მოესროლა სიღარიბე და ქვეყანაში რძისა და თაფლის მდინარეებს დაეწყო დინება. ასეთი აზრები ჰქონდათ იმ დროის გამოჩენილ მეცნიერებს და ისე ჩანდა, რომ საფუძველი არ არსებობდა, მათთვის არ დაგვეჯერებინა. მით უმეტეს, ეს წინასწარმეტყველება ასე მაცდუნებლად გამოიყურებოდა!

მალე ამგვარმა თეორიებმა ფიასკო განიცადა. აფრიკის ახალ სახელმწიფოებში ხელისუფლებისათვის ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც გამარჯვებისათვისაც ყველაფერს იყენებდნენ: ტომთა შორის კონფლიქტებს, არმიას, მოქრთამვას, მკვლელობით დაშინებას და სხვ. ამასთან, ეს სახელმწიფოები ერთობ სუსტი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ თავისი ფუნქციები შეესრულებინათ. ეს ყველაფერი კი ხდებოდა მაშინ, როდესაც მსოფლიო ცივილიზაციის პირობებში ცხოვრობდა. აღმოსავლეთმა და დასავლეთმა დაპირისპირება აფრიკაშიც გადაიტანეს. ამ ომისათვის დამახასიათებელი ისიც იყო, რომ მასში ჩართული სახელმწიფოები სრულიად უგულვებელყოფდნენ სუსტი, დამოკიდებული ქვეყნების ინტერესებს, მათ საქმეებსა და დრამას როგორც საკუთარ, დიდსახელმწიფოებრივ ინტერესს, ისე განიხილავდნენ, მათ დამოუკიდებელ მნიშვნელობასა და წონას არ აძლევდნენ. ამას ემატებოდა აგრეთვე ევროპელთათვის დამახასიათებელი ტრადიციული ევროცენტრისტული ქედმაღლობა, უხეშობა და გულგრილობა არათეთრკანიანთა კულტურისა და საზოგადოების

მამართ „რამდენჯერაც არ უნდა დავბრუნებულიყავი აფრიკიდან, წერს კაპუშჩინსკი - არ მკითხავენ: „აბა, რას შერებიან ტანზანიელები ტანზანიაში?“, არამედ „რას შერებიან რუსები ტანზანიაში?“ ან, ნაცვლად იმისა, რომ ლიბერიელთა ბედით დაინტერესებულიყვნენ, შეკითხებოდნენ: „როგორ არიან ამერიკელები ლიბერიაში?“ (ისე, ეს უკეთესია, ვიდრე ის, რასაც გერმანელი მოგზაური ჰ. ბუხი მომიყვა. ის წუხდა, რომ ოკეანის მტანჯველი მოგზაურიობიდან დაბრუნების შემდეგ მისი თანამემამულეები ყოველთვის ერთსა და იმავეთი ინტერესდებოდნენ, თუ აქ რა იკვებებოდა, აფრიკელებს კი არაფერი სწყინთ უფრო მეტად, ვიდრე მათ მიმართ ასეთი დამოკიდებულება. ამას ისინი დამკვირვებად, სახეში სილის გაწვნად იღებენ“.

ამასთან, წინანდელთან შედარებით თამედროვე ბრძოლას უკვე სრულიად სხვა სახე პქონდა. ადრე დაპირისპირებული რაზმები შეიარაღებული იყვნენ მშვილდ-ისრებიითა და ხელშუბრით. როდესაც ერთმანეთს შეეხებოდნენ, ბრძოლაში რამდენიმე დამიანი იღუპებოდა, დანარჩენები ნებდებოდნენ ან გარბოდნენ. დღეს? საბრძოლო რაზმებს კვლავ ფეხშველა ადამიანები უნდადგენენ, მაგრამ ახლა ისინი თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღით არიან კბილებამდე შეიარაღებული. წამსვე ხსნიან ცეცხლს, ყველა ირგვლივ მყოფთ ხოცავენ, ასახიჩრებენ, ბომბებენ მათ სახლებს, სოფლებს, თესავენ სიკვდილს. ტრადიციული ტომთაშორისი კონფლიქტები დღესაც გრძელდება, მაგრამ უკვე, შედარებაც არ შეიძლება, ისეთი დიდი მსხვერპლით ვერდება ეს ყოველივე. თანამედროვე ცივილიზაციიდან აფრიკაში არაა არაფერი, არც ელემენტროენერგია, ტელეფონი, თუ რადიო. ერთადერთი, რამაც აქამდე მოაღწია, ცეცხლსასროლი იარაღია.

### უწყლობა აფრიკაში

საინტერესოა კაპუშჩინსკის მხედლობა აფრიკაში წყალ-დაკავშირებულ პრობლემაზე. აფრიკულ პოეზიაში ხშირ-

ადაა ნახსენები იმ კლანების დრამა და მოსპობა, რომლებიც უდაბნოში ჭის საძებნელად დაეხეტებოდნენ. წყლის ასეთი ტრაგიკული ძიება რამდენიმე დღე, ზოგჯერ კვირაც კი გაგრძელებულა. ჯერ იხოცება ცხვარი და თხა, - ისინი უწყლოდ მხოლოდ რამდენიმე დღე თუ ძლებენ. შემდეგ ბავშვების რიგი მოდის. შემდეგ იხოცებიან ქალები. არც მათ შეუძლიათ დიდხანს სიცოცხლე. ვინც ამას გაუძლო და გადარჩა, ყოველი დაღუპული ადამიანის გასაპატიოსნებლად და ტრადიციისამებრ დასაკრძალად დიდხანს რომ შეყოფდეს, ჭამდე ვერ მიაღწევს, ერთის სიკვდილს შემდეგის სიკვდილი მოჰყვება. კლანი, რომელიც გზას ადგა და არსებობდა, სადღაც გზაზე გაქრა, გაუჩინარდა. უკვე ვერაინ დაადგენს, ეს ხალხი სად წავიდა. ახლა წარმოდგენილი მაქვს ის გზა, რომელიც აღარ არის, ანუ, რომელიც აღარ ჩანს, ხოლო მასზე უამრავი ადამიანის და ცხოველის რიგები თანდათან შეთხელებულია.

კიდევ რამდენიმე ხანს ცოცხლობენ მამაკაცები და აქლემები. აქლემს უწყლოდ სამი კვირა შეუძლია გაძლება და შორს წასვლაც, ორმოცდაათ კილომეტრზე მეტის გავლა. მთელი ეს ხანი აქლემი ცოტა რძეს მაინც მოიწველის. ეს სამი კვირა მაქსიმუმია, მეტს ვეღარც აქლემი ძლებს და ვერც ადამიანი, თუკი ისინი დედამიწაზე მარტო დარჩებიან.

აფრიკის სოფლად სტუმრად ჩასული კაპუშჩინსკი აკვირდება, თუ როგორ მძიმე პირობებში ცხოვრობენ და მუშაობენ აფრიკელები. შორს მინდორში, რომელიც სოფლიდან არც კი ჩანს, სამუშაოდ წასული აფრიკელის ძალისხმევას, ხშირად შედეგი არც მოაქვს. მიწა გამოიფიტა, გაბეჩხერდა, ქვიშად და მტკვრად იქცა, მოსავალს აღარ იძლევა. მხოლოდ კილომეტრების დაშორებით შეიძლება რაღაც დათესო და იმედი იქონიო, რომ თუ წვიმა მოვა, მოსავალს მიიღებ. აქ იმდენი მიწაა, რამდენის დამუშავებასაც კაცი შეძლებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბევრი ვერ ამუშავებს. მათ ტექნიკიდან მხოლოდ თოხი აქვთ, არ გააჩნიათ გუთანნი, არც გამწვევი ძალა, მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის სახით. ვუყურებ მონდორში მიმავალთ. მათ მთელი

დღის საკვები მხოლოდ ერთი ბოთლი წყალია. ვიდრე მინდ-  
ვრამდე ჩავლენ, უკვე საშინლად დაცხება. რა აქვთ დათესილი?  
სიმინდი და მშრალი ბრინჯი. ამ ხალხს სიბრძნე და  
გამოცდილება კარნახობთ, რომ ნელა-ნელა და ცოტა იმუშა-  
ონ, დიდხანს დაისვენონ, თავი დაზოგონ. ისინი



ხომ სუსტები. ცუდად ნაკვები, ენერჯიაგამოლეული ხალხია.  
ვინმემ რომ თავდაუზოგავად, შეუსვენებლივ იმუშაოს, - კიდევ  
უფრო დასუსტდება, ხოლო დაუძლურებული ადვილად გახდე-  
ბა მალარიის, ფილტვების ანთების და ტროპიკული ზონი-  
სათვის დამახასიათებელი სხვა უამრავი დაავადების მსხვერპ-  
ლი, რომელთა ნახევარი სიკვდილით მთავრდება. სიცოცხლე  
აქ განუწყვეტელი ძალისხმევა, მყიფე წონასწორობაა სიკვდილ-  
სიცოცხლეს შორის.

ქალები დილიდან საჭმელს ამზადებენ. კი ვამბობთ: „საჭმელს ამზადებენ“, მაგრამ ისინი დღეში ერთხელ ჭამენ. ამასთან, არც ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი ტერმინები - საუზმე, სადილი, ვახშამი შეიძლება მიესადაგოს მათ მიერ საკვების მიღებას. მათ ზომ ამისათვის რაიმე დადგენილი საათები არა აქვთ, ჭამენ მაშინ, როდესაც საჭმელი მზადაა. ეს უმეტესად ხდება გვიან ნამუადღევს. ჭამენ დღეში ერთხელ და ერთსა და იგივეს. ეს არის ცხარე სოუსმოსხმული მოხარშული ბრინჯი. აფრიკის სოფელში არიან მდიდრებიც და ღარიბებიც, მაგრამ ეს განსხვავება არა საკვების მრავალფეროვნებაში, არამედ მხოლოდ ქვაბში ბრინჯის რაოდენობით გამოიხატება. მდიდრები შედარებით საუსე ჯამს ჭამენ. მაგრამ ესეც მოსავლიან წლებში, თორემ გრძელვადიანი გვალვისას ერთნიც და მეორენიც მხოლოდ იმდენს ჭამენ, შიმშილით რომ არ დაიხოცონ.

საკვების მომზადება აფრიკელ ქალებს დღის უმეტეს ნაწილს, თითქმის მთელ დროს ართმევს. დილით ის საწვავის მოსამუშაოდ მიდის. ხეები უკვე აღარსად დგას, კარგა ხანია, რაც ყველა მოჭრეს და ახლა ქალებმა სავანაში უნდა მოძებნონ ნაფოტები, ტოტები, ფიჩხი, ხის გადანაჭრელები. ეს კი საქმალად მძიმე სამუშაოა, რომელიც დიდ დროს მოიხოვს. როდესაც ქალი შემას მოაგროვებს და სახლში მიიტანს, ახლა ბილით წყლის მოსატანად უნდა წავიდეს. ზოგან წყალი ახლოა, მაგრამ არის ადგილები, სადაც წყლის მოსატანად კილომეტრებს გადიან, ხოლო შშრალი სეზონისას - მას საათობითაც კი ეძებენ. როდესაც შეშაც მოტანილია და წყალიც, ქალს უკვე შეუძლია საჭმლის მომზადებას, ანუ ბრინჯის მოხარშვას შეუდგეს. თუმცა არა ყოველთვის: ჯერ ის ბაზარზე უნდა იყიდოს. იშვიათად აქვთ სახლში იმდენი ფული, რომ მისი მარაგი იქონიონ. ამასობაში დგება შუადღეც, როცა ისე საშინლად ცხელა, რომ ყველა და ყველაფერი ჩერდება, ქვადება, კვდება. ამ დროს მთელი სოფელი ცარიელდება, მას სიცოცხლე ტოვებს.

აფრიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ზომ თხუთმეტი წელიც არ შესრულებია. აქ ყველა არმიაში მრავალი ბავშვია,

დევნილთა ბანაკებში - უმრავლესობა ბავშვია, მინდვრად ბავშვები მუშაობენ, ბაზარში ბავშვები ვაჭრობენ. სახლში ბავშვს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს შესასრულებელი - ის წყლის მოტანაზეა პასუხისმგებელი. ჯერ კიდევ ყველას სძინავს, პატარა ბავშვები კი მდინარისკენ, ჭისკენ, წყაროსაკენ იჩქარიან, რომ სახლში წყალი მიიტანონ. თანამედროვე ტექნოლოგიამ დიდი სამსახური გაუწია ბავშვებს - მსუბუქი და იაფი პლასტმასის ბიდონი მისცა. რამდენიმე წლის წინ ამ ბიდონმა რევოლუცია მოახდინა აფრიკელის ცხოვრებაში. ტროპიკებში არსებობის უმთავრესი პირობა წყალია. რადგან აქ არაა კანალიზაცია და წყალი ყველგან ცოტაა, ის ფრიად დაშორებულ ადგილიდან მიაქვთ, ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ. მთელი საუკუნეების განმავლობაში ამ მიზნით ლითონის ან თიხის მძიმე კასრები გამოიყენებოდა. აფრიკის კულტურა არ ცნობს ბორბალს, ბორბლიან ტრანსპორტს, ყველა ტვირთს თავად ადამიანი ატარებს. უმრავლეს შემთხვევაში, თავზე შემოდგმულს. ადრე ამ კასრებით წყალი ქალებს მოჰქონდათ. შრომის დანაწილებას ოჯახურ მეურნეობაში ასეთი სახე ჰქონდა. ბავშვები კასრებს ძვრას ვერ უეოფდნენ, ამ დარიბულ სამყაროში - სახლში სხვა სახის ჭურჭელს ვერ ნახავდით.

პლასტიკატის ბიდონის გამოჩენამ აფრიკაში სასწაული, რევოლუცია მოახდინა. უმთავრესი ისაა, რომ ის შედარებით იაფია (თუმცა ზოგიერთ სახლში ის ერთადერთი ფასიანი ნივთია): დაახლოებით ორი დოლარი ღირს. მნიშვნელოვანი ისიც, რომ მსუბუქია! გარდა ამისა, სხვადასხვა ზომისაა, ისე, რომ პატარა ბავშვსაც კი შეუძლია ორიოდვე ლიტრი წყლის მოტანა.

წყალი ბავშვს მოაქვს! როგორი შვებაა ეს დადლილ-დაქანცული, გამოფიტული აფრიკელი ქალისათვის! როგორი ცვლილებაა მის ცხოვრებაში! რაოდენ დიდი დრო აქვს მას ახლა ოჯახისათვის, საკუთარი თავისათვის!

საერთოდ პლასტიკატის ბიდონი ძალზე მოსახერხებელი რამაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ წყლის რიგში

ადამიანს ცვლის. არადა, ასეთ რიგში (სადაც ის ცისტერნებით მიჰქონდათ) მთელი დღე უნდა მდგარიყავი. ეს კი ტროპიკულ მზეზე წამებაა. ადრე ჩაიდანს, კოკას თუ დოქს ასე უბრალოდ ვერ დადგამდი, თავს ვერ დაანებებდი, შეიძლება მოეპარათ. არადა, საკმაოდ ძვირი იყო. ახლა კი ამ ბიდონებს რიგში ჩაამ-წკრივებენ და თავად ჩრდილში, ბაზარში, ან ახლობლის მოსან-ახულებლად მიდიან. როდესაც აფრიკაში მოგზაურობთ, ხე-დავთ წყლის მოლოდინში კილომეტრის სიგრძეზე გაჭიმულ ამ ფერადი ბიდონების რიგებს.

### რეპორტიორული საქმიანობის სირთულე

კაპუშინსკის აზრით, სამყაროს მიმართ ცნობისმოყვარეობა ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული. ისეთებიც არიან, რომელთაც სამყარო სულაც არ აინტერესებთ. მათ საკუთარი „მე“ მიაჩნიათ მთელ სამყაროდ. ამასაც უნდა ვაფასებდეთ. კონფუციუსს აქვს ნათქვამი: სამყაროს უკეთ შევიცნობთ, თუ სახლიდან არ გამოვალთო. ვგონებ მონტენი (თუ პასკალი?) წერს, ადამიანის უბედურება მაშინ იწყება, როდესაც თავის ოთხ კედელს ტოვებსო. არის სხვა გამონათქვამიც: მეზღვურს ეკითხება ნაცნობი: პაპაშენი როგორ დაიღუპაო. ამან, მეზღვური იყო და ზღვაში ჩაიხჩოო. მამაშენიო? მამაჩემიცო. მერე არ გეშინია ზღვაში რომ მიდიხარო? ახლა მეზღვური უსვამს კითხვებს: პაპაშენი სად დაიღუპაო. ეს ეუბნება, ლოგინში, ძილისასო. მამაშენიო. ისიცო. მერე არ გეშინია ღამით ლოგინში რომ წვებიო? კონფუციუსის ნათქვამში არის ჭეშმარიტება. არ არის აუცილებელი გეოგრაფიულ სივრცეებში მოგზაურობა. შეიძლება საკუთარი სულის სიღრმეებში ვიმოგზაუროთ.

მწერალი ფიქრობს, რომ რაც უფრო უკეთ ვეცნობით სამყაროს, მით უფრო იზრდება ჩვენში მისი შეუცნობლობის შერბნება და იმ რწმენის კიდევ უფრო გამყარება, თუ რა უზარმაზარია სამყარო და ეს არა სიერციითი თვალსაზრისით, არამედ

მისი კულტურული მრავალფეროვნებით. ის იმდენად დიდია, რომ მისი განსაზღვრაც კი შეუძლებელია. ჯეიმს ფრაზერის ეპოქაში, მის მიერ „ოქროს სკა“-ს წერის დროს, როდესაც XIX საუკუნის მრავალი ანტროპოლოგი ფიქრობდა, რომ სამყაროში განსაზღვრული რაოდენობის ტომი თუ ერი ცხოვრობს და მათი კლასიფიკაციის თუ აღწერის ცდა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. დღეს უკვე კარგადა გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ სამყაროს კულტურა უსაზღვრო და მრავალფეროვანია.

ადამიანს, და მით უფრო სამხედრო რეპორტიორს, ცხოვრებაში მცირე ბედი მაინც უნდა ჰქონდეს. სხვა საქმეა, რომ ბედს თავად ადამიანმაც ხელი უნდა მიახმაროს. არის ასეთი პოპულარული ანეკდოტი ებრაელზე, რომელსაც ძალიან უნდოდა გამდიდრება და ამ მიზნით ღმერთს მხურვალედ ევედრებოდა. ღმერთმა მას მოუსმინა და წარმოთქვა: „ისააკ, შანსი მომეცი დაგეხმარო, ერთი ლატარეის ბილეთი მაინც იყიდე“. ამ ანეკდოტის მთელი მარტილი იმაშია, რომ ლატარეაში ბედი უნდა იყიდო...

ზუსტად მაშინ, როდესაც აფრიკის კონტინენტზე ყველაზე მოუსვენარი, ფრიად დაძაბული დრო იყო - ორი ეპოქის - კოლონიალიზმის დასასრულისა და დამოუკიდებლობის დასაწყისის წყალგამყოფი, კაპუშინისკი ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ამ ცვლილებებს, - არეულობებს, გადატრიალებებს, რევოლუციებს აღწერდა. ის აფრიკაში იყო 1957 წელს, როდესაც საპარის ქვევით პირველმა ქვეყანამ, განამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამ კონტინენტზე იყო 1993 წელსაც, როდესაც აფრიკის ბოლო ქვეყანა, ერთრია გათავისუფლდა. ჩანს, მწერალი მონაწილეობას იღებდა დამოუკიდებელი აფრიკის. მისი ქვეყნების დაბადებაში.

..ყველაზე ღარიბი ქვეყნების მოსახლეობას ხმა არა აქვს. ამ ქვეყნების საზოგადოებები მღუპარენი არიან. ეს ლატაკნი დილით ადრე დგებიან, მიდიან მინდვრად სამუშაოდ, ამოფებენ საქონელს, შიმშილობენ. და დუჰან! მათი სახელით არაეინ არ ლაპარაკობს. თავად ისინიც არაფერს არ ამბობენ. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ რეპორტიორის, მისიონერის თუ

საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრის როლი არ უნდა მთავრდებოდეს მხოლოდ უმუშალო დახმარების აღმოჩენით. ამ ხალხის სახელით მათ უნდა ილაპარაკონ“ - წერდა ის.



მწერლის მთავარი ამბიცია ევროპელებისათვის იმის დანახვებაა, რომ მათი მენტალობა ძალზე ევროპოცენტრისტულია, რომ ევროპა, უფრო სწორედ კი, მისი ნაწილი, ერთადერთი როდია ამ სამყაროში. რომ ის გარშემორტყმულია უთვალავი და განუწყვეტლივ მზარდი კულტურებით, საზოგადოებებით, რელიგიებით და ცივილიზაციებით. ცხოვრება პლანეტაზე, სადაც ყოველდღიურად თანდათან მეტ ადამიანურ კონტაქტსა აქვს ადგილი, ამ შეგნებას და რადიკალურად ახალ გლობალურ პირობებთან შეგუებას მოითხოვს.

ევროპისა და მისი კულტურის ძალა სხვა კულტურებისაგან განსხვავებით ძვეს მის უნარში შეეგუოს კრიტიკას, განსაკუთრებით კი თვითკრიტიკას. ანალიზის ამ ხელოვნებაში, განუწყვეტელ ძიებაში, მოუსვენრობაში. ევროპული გონება აღიარებს, რომ აქვს საზღვარი, ეგუება თავის არასრულყოფილებას, არის სკეპტიკური, სვამს კითხვის ნიშნებს. სხვა კულტურებში კრიტიკის ასეთი სული არ იგრძნობა. უფრო მეტიც - ისინი ერთგვარად ქედმაღლურებიც კი არიან, ყველაფერ მას, რაც მათია, სრულყოფილად მიიჩნევენ, მოკლედ, საკუთარი თავის მიმართ უკრიტიკოები ხდებიან. ბოროტებაზე მთელ დანაშაულს მხოლოდ სხვას, სხვა ძალებს აკისრებენ (შეთქმულებები, აგენტები, სხვადასხვა ფორმის უცხოური დომინაცია). ყოველგვარ კრიტიკას, როგორც ბოროტ თავდასხმას, დისკრიმინაციის გამოვლინებას, რასიზმს და ა. შ. ისე იღებენ. ამ კულტურის წარმომადგენლები კრიტიკას, როგორც პირად წყენას, მათი დამცირების შეგნებულ ცდას, შეურაცყოფას, ისე აღითქვამენ. თუ მათ ეტყვი, ქალაქი ჭუჭყიანიო, ამას ისე გაიგებენ, თითქოს თავად ისინი არიან ჭუჭყიანნი, აქვთ ჭუჭყიანი ყურები, კისერი, ფრჩხილები და ა. შ. ნაცვლად თვითკრიტიკის სულისა, ისინი თავის არსებაში წყენას, კომპლექსებს, შურს, მანიას ატარებენ. ეს კი იმას იწვევს, რომ ისინი კულტურულად მოუხეშავნი, სტრუქტურულად პროგრესის მიუღებელნი, პროგრესის მიმართ უუნარონი, საკუთარ არსებაში, შინაგანად ცვლილების ვერშეძლებნი და ვერამტანნი არიან.

აფრიკული კულტურა (მათი რიცხვი ბევრია, ისევე, როგორც ბევრია აფრიკული რელიგია) მიეკუთვნება ზუსტად ასეთ ხელუსლებულ, მიუკარებელ, უკრიტიკო და უბიწო კულტურას. ისეთმა აფრიკელებმა, როგორებიც არიან სადიგ რაშიდი, უკვე დაიწყეს ამაზე ფიქრი, მათ სურთ ამაზე პასუხის პოვნა, გაიგონ იმის მიზეზი, თუ კონტინენტების შეჯიბრში აფრიკა უკან რატომ ჩამორჩა.

აფრიკის სახე ევროპელის თვალით?! ჩონჩხადქცეული ბავშვები, გაფიტული მიწა, ნაგვით საფხე ქალაქები, შიდსი, უამ-

რაეი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი დევნილი, წამლის გარეშე მიტოვებული ავადმყოფები, უწყლოობა და შიმშილი.

ამიტომ მთელი მსოფლიო მის დასახმარებლად იჩქარის.

როგორც წარსულში, ასევე დღეს, აფრიკა ისეა აღთქმული, როგორც რომელიღაც ვარსკვლავის ნამსხვრევი, როგორც კოლონიზატორების, ვაჭრების, მისიონერების, ეთნოგრაფების, ათასგვარი ჰუმანიტარული ორგანიზაციების მოქმედების ადგილი (მხოლოდ ეთიოპიაში მათი რიცხვი ოთხმოცს აღემატება).

ამასთან, მიუხედავად ყველაფრისა, ის არსებობს მხოლოდ თავისთვის, მარადიული, ჩაკეტილი, დამოუკიდებელი კონტინენტი, ჯუნგლები, უშველებელი საჰარა, ნელ-ნელა შრობადი მდინარეები, გამეჩხურებული ტყეები, ავადმყოფები, მონსტრული ქალაქები - რაღაც მოუსვენარი და ფიცხი ელექტრობით დამუხტული სივრცე.

აფრიკაში კაპუშინსკის განსაკუთრებით საჰარის ღამეები მოსწონს. ცაზე უზარმაზარი ვარსკვლავებია, მსოფლიოში ამხელა ვარსკვლავები არსად არ მინახავს, ისინი ქვიშის თაუზე როგორც ვეებერთელა ჭაღი, ისე ციმციმებენ. ვარსკვლავები მწვანე შუქს გამოყოფენ. რამით საჰარა ისეთი მწვანეა, როგორც მაზოვეციის მდელოები - წერს კაპუშინსკი.

ჟურნალისტიც საგულისხმო კითხვაზე, თუ რატომაა, რომ აფრიკაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა იტალიელმა მწერალმა ალბერტო მორავიამ ამ კონტინენტის ულამაზესი პეიზაჟები აღწერა, ის მშვენიერ აფრიკაზე გვიყვება, თქვენ კი სრულიად სხვა აფრიკაზე, მშირი და ტანჯული ადამიანების აფრიკაზე მოგვითხრობთ, აფრიკის სილამაზე თქვენ არ გხიბლავდათო, კაპუშინსკიმ შემდეგი პასუხი გასცა: ჩემ ნაწერებში მთელი გვერდები ეთმობა აფრიკის სილამაზეს... მე და მორავია სრულიად სხვადასხვა საქმით ვიყავით დაკავებული და აფრიკასაც გასხვავებული რაკურსით ვუყურებდით. მე მიყვარს ბუნება, აღფრთოვანებული ვარ მისით, მაგრამ მორავიას უფრო

გაუმართლა ამ მხრივ. რადგან აფრიკაში, როგორც მწერალი, ისე მოგზაურობდა. მე კი ტყვე ვიყავი, ტყვე ჩემი წინასწარ განსაზღვრულ-დაგეგმილი საქმიანობისაო.

კაპუშინისკი მხოლოდ იმიტომ როდი ერიდებოდა მდიდრულ სასტუმროებში ცხოვრებას, რომ მისი დამკვირვებელი ორგანიზაცია - პოლონეთის საინფორმაციო სააგენტო ღარიბი იყო და ჟურნალისტებს კარგად ვერ უხდიდა. ეს მისი პრინციპი, ცხოვრებისა და საქმიანობის კრედი იყო. მისი რწმენით, მდიდარ სასტუმროებში მილიონურები - ბანკირები, ბიზნესმენები, საერთაშორისო ბიუროკრატები ცხოვრობენ. მათთან საუბარი ყოველთვის როდია საინტერესო. ღარიბულში კი ზოგჯერ საოცარ ადამიანს გაიცნობ. მას შესაძლებელია კლასის სასტუმროც კი ნშირად სანატრული ჰქონია, რადგან ყოველთვის უფრო მეტს მოგზაურობდა, ვიდრე ამის ფინანსურად შესაძლებლობა ჰქონდა. თუმცა, როგორც ის თავად ამბობდა, კვლავაც სიამოვნებით ვიცხოვრებ მასში, რადგან იქ მეტად საინტერესო ხალხს ხვდებოდა.

დიდი ხნის განმავლობაში მის წიგნებს საზოგადოება არ კითხულობდა. რასაც მწერალი დიდად განიცდიდა. კაპუშინისკის პირველი წიგნი, რომელიც პოლონეთის შესახებ ჟურნალისტური წერილების კრებულია, 1962 წელს გამოიცა. ამ დროს კაპუშინისკი აფრიკაში ცხოვრობდა და კორესპონდენტად მსახურობდა. ის დროდადრო სამშობლოში ბრუნდებოდა და ხედავდი, მისი წიგნები გაუყვიდავად ეწეო წიგნის მაღაზიების თაროებზე, რაც პოლონეთში ყოველთვის ცუდად აღითქმება. აქ რატომღაც ა. დიუმა (მამა) გვახსენდება. როდესაც ის კავკასიაში მოგზაურობდა და თბილისს ეწვია, მისი პატივისცემის ნიშნად, მაღაზიებში მწერლის წიგნები დახლებზე, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით გამოიფინეს. როდესაც მაღაზიაში შესულ სახელგანთქმულ მწერალს მისი წიგნები აჩვენეს, დაინტერესდა, სხვა ავტორების წიგნები არა გაქვთ? - სხვების წიგნები გაიყიდა ბატონო - უპასუხეს გამყიდველებმა.

ეს წერილები იმ დროისაა, როდესაც რიშარდი გაზეთ „ახალგაზრდულ დროშიაში“ მუშაობდა. დამწვებ რეპორტიორს

გაზეთში შემოსულ საჩივრებზე რეაგირება ვეალებოდა. დადიო-  
და სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან - ქალაქში, ურმით ან  
დანჯღრეული ავტობუსით, - კერძო მანქანები მაშინ იშვიათობა  
იყო, ზოლო ველოსიპედის შესაძენად ფული არა ჰქონდა.

„ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ჩემს ადრინდელ წიგნებს  
არ კითხულობდნენ, რაც ძალიან მწყინდა. ჩემი პირველი წიგნი  
1962 წელს გამოიცა, როდესაც აფრიკაში ვცხოვრობდი და  
ემუშაობდი“ - წერს კაპუშჩინსკი.

საინტერესოა კაპუშჩინსკის აზრი მწერლობის შესახებ. ის  
მწერალი იმიტომ არაა, ამდენჯერ იმიტომ არ გაურისკია და  
სიკედილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე იმიტომ არ გაუვლია, რომ  
ბედის უკუღმართობის თაობაზე მოხსენებითი ბარათი დაეწერა  
ან ფული გამოემუშავებინა. ის თავს ასეთი საფრთხის წინაშე  
იმიტომ აყენებდა, რომ მისი შრომა, როგორც მოწოდება,  
როგორც მისია, ისე ესმოდა. მას კარგად რომ არ ჰქონოდა  
გაგებული იმ საქმის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც შეგნებუ-  
ლად აკეთებდა, შეგნებული, რომ ეს ეხებოდა ისტორიას, სა-  
ზოგადოებას, თითოეულ ადამიანს, მაშინ ამ საქმიანობას არ  
დაიწყებდა. ამიტომ იძულებული იყო გზა გაეგლო, რაც გაც-  
ილებით მეტია, ვიდრე ჟურნალისტობა.

გავა დრო და კაპუშჩინსკის ძალისხმევა, მუყაითობა,  
თავდადება შედეგს გამოიღებს. წიგნების გაყიდვა სრულიად  
საპირისპიროდ შეიცვლება. ამის საილუსტრაციოდ მწერალი  
ერთ ფაქტს იხსენებს: ერთხელ თავისი წიგნი „შაპინშაპი“  
დასჭირდა და წიგნების ბაზრობაზე მის შესაძენად წავიდა, რად-  
გან წიგნის მაღაზიაში მისი შეძენა ვერ შეძლო. იქ გამყიდველს  
შუკითხა, შემთხვევით „შაპინშაპი“ ხომ არა ჰქონდათ „გვექონდა,  
მაგრამ უკვე გაყიდეთ“ - იყო გამყიდველის პასუხი. „ეს იყო  
ჩემი ყველაზე დიდი წარმატება, ბედნიერი ვიყავი“ - იტყვის  
მწერალი. ეს უკვე 1982 წელია იყო.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ რ. კაპუშჩინსკი ერთგ-  
ვარი ძველი ყაიდის რეპორტიორია. ის არ იყენებდა მიკრო-  
ფონს, არასოდეს არაფერი არ ჩაუწერია. საერთოდ არ მიუ-

მართავს ამ სახის ტექნიკისათვის. უბრალოდ არაფერს არ იწერდა. მან გამოცდილებით იცოდა, რომ მიკროფონის წინ მდგარი ადამიანი სრულიად სხვანაირად საუბრობს, სრულიად სხვაგვარად აყალიბებს თავის აზრებს. მის საუბარს ბუნებრიობა და ორიგინალურობა ეკარგება, ფორმალიზებული, ხელოვნური და იძულებითი ხდება. ამიტომ, თუ რეპორტიორს სურს ადამიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა შრეებს ჩასწვდეს, მოისმინოს ის, რის თაობაზეც მას ნამდვილად სურდა ესაუბრა, ამასთან, ძალზე ბუნებრივად, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აკრძალოს მაგნეტოფონის გამოყენება. მისთვის მასალის შეგროვება უწინარეს ყოვლისა, ნიშნავდა ადამიანის სულში შეღწევას და ისეთი სიტუაციის შექმნას, როდესაც რეპორტიორი იქ მაქსიმალურად არ ჩანდა, ხოლო მისი მოსაუბრე თავს უაღრესად თავისუფლად გრძნობდა.

კაპუშჩინსკი მჭიდრო კავშირს ხედავს ჟურნალისტობასა და ადამიანობას, ზნეობას შორის. მისი აზრით, ადამიანისაგან კარგი ჟურნალისტი ვერ გამოუა, თუ ჯერ კარგი ადამიანი არაა. ბოროტი ადამიანები კარგი ჟურნალისტები ვერ გახდებიან. მხოლოდ ზნეობრივი ადამიანი დაატანს თავს ძალას გაუგოს სხვას, ჩაწვდეს მის გულისთქმას, მის რწმენას, მის პრობლემებსა და ტრაგედიას. და დაუყოვნებლივ, პირველივე წუთებშივე მისი ბედის ნაწილად იქცეს - არიგებდა რ. კაპუშჩინსკი თავის ახალგაზრდა კოლეგებს.

მწერალი მეტად თავმდაბალი იყო. მას თავი ისეთ ადამიანად არ მიაჩნია, რომელსაც რაღაც განსაკუთრებული ტალანტი ჰქონდა. მისი აზრით, თანამედროვე კულტურაში ზედმეტად ხშირად იხმარება სიტყვები „გენიოსი“, „ტალანტი“, „ფენომენალური“ და ა. შ. ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს ეპითეტები როკმუსიკას ეკუთვნის. ადრე ამ სიტყვებს ძალზე იშვიათად და ფრთხილად მიმართავდნენ. ასეთებად მიიჩნევდნენ შექსპირს, ბალზაკს, ბეთჰოვენს, პლატონს. ჭეშმარიტად გენიალური ადამიანთა ჩამოსათვლელად ხელის თითები იკმარებდა. კითხვას, შეიძლება თუ არა რეპორტაჟი გენიალური იყოს კაპუშჩინსკი

უარყოფითად პასუხობს. აქ ყველაფერი კეთდება უდიდესი შრომის, ცოდნისა და გამართლების ფასად, რომელიც რეპორტიორის სამუშალებას აძლევს ბევრი რამ ნახოს, მოისმინოს და იგრძნოს. მნიშვნელოვანია დიდი სულიერი ძალისხმევა, სიჯიუტე და გაუტყუებლობა, უსარგებლო, არასაჭირო საგნებზე უარის თქმა. ამას თან უნდა ახლდეს სხვა ადამიანების კეთილგანწყობა. უნდა გვახსოვდეს, რომ რეპორტიორის საქმიანობა რამდენიმე ავტორის ერთობლივი შრომაა, მხოლოდ ერთ ადამიანს რეპორტაჟის დაწერა არ შეუძლია.

ის ამ დროს ბევრს მუშაობდა დიქტატორებისადმი მიძღვნილი ტრილოგიის წიგნებზე. მათგან პირველი იყო „იმპერატორი“, მეორე „შაჰინშაჰი“ ხოლო მესამე იღი ამინს უნდა მიძღვნოდა. ამ ტრილოგიაზე მწერალმა წლობით მუშაობდა. წერდა და სრულყოფდა მას. განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია კაპუშინსკიმ „ამინის“ დასაწერად. ის ამ წიგნზე 80-იანი წლების ბოლოს მუშაობდა. დიქტატორის გადაგდებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1988 წელს ის აფრიკაში, უგანდაში ჩავიდა. ზოგიერთი მის გონებაში არ შემორჩენილი დეტალის დასახუსტებლად. როგორც თავად წერს, სახელდობრ უგანდაში დარწმუნდა, თუ რა მოკლე მეხსიერება აქვს ადამიანს, საზოგადოებას. უკვე ყველას ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, გონებიდან გაექროთ გადატანილი სიგიჟე და უბედურება. პირველად ცხოვრებაში დარწმუნდა ადამიანური მეხსიერების სიმეფიფში.

„იმპერატორსა“ და „შაჰინშაჰზე“ მუშაობისას კაპუშინსკის მხოლოდ ჰაილე სელასიეს და შაჰის სასახლის კარი როდი აინტერესებდა. მათი გარემოდან აღსაწერად მწერალი იმ სიტუაციებს არჩევდა, რომელთა შემჩნევაც შეიძლება სხვა ქვეყნების პოლიტიკასა თუ სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობაშიც. ამის შედეგია, მაგალითად ის, რომ „იმპერატორი“ ძალზე პოპულარულია შვეიცარიაში: ხალხი მასში აღწერილის მსგავს იერარქიულ ქცევას დიდ კორპორაციებსა თუ დაწესებულებებში ხედავს. მწერალიც სწორედ ამის მიღწევას ცდილობდა.

უცხო ენების უცოდინრობა, მანამდე, ვიდრე ინგლისური, ხოლო შემდეგ პორტუგალიური არ აითვისა, აფერხებდა მწერლის ნაყოფიერ მუშაობას. ამის გამო ხშირად უჭირდა საზღვარგარეთ ადამიანთან ურთიერთობა. რეპორტიორი კი, რომელმაც არც იმ ქვეყნის ენა იცის, სადაც მუშაობს და არც თარჯიმანი ჰყავს ისტორიებს მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებების საფუძველზე თხზავს.

აი, მაგალითი „მაჰინშაჰიდან“, რომელიც კაპუშინისკიმ ირანის რევოლუციის დროს დაწერა. ეს რევოლუცია უზარმაზარი ქუჩის დემონსტრაციებით დაიწყო. მაშინ თეირანში ევროპულ ენებზე ლაპარაკი აკრძალული იყო. მან კი ადგილობრივი ენა, ფარსი, არ იცოდა. ოფიციალური წყაროები სრულიადაც არ ცდილობდნენ საზღვარგარეთის სააგენტოების ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ მათ ქვეყანაში სინამდვილეში რა ხდებოდა. ქუჩის მანიფესტაციისა და მსველელობის შესახებ ცნობები ზელისუფლების მიერ კონტროლდებოდა და „იკრიჭებოდა“. ადგილობრივი ენის უცოდინრობის გამო ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს პოვნა ჭირდა. დიდი დრო გავიდა, ვიდრე მწერალი მიხვდებოდა, რომ გარკვეულ პირობებში, ერთი შეხედვით თითქმის უმნიშვნელო ნიშნების საფუძველზე, შესაძლებელი იყო იმის გაგება, თუ რა ხდებოდა ან რა შეიძლება მომხდარიყო. კაპუშინისკი დააკვირდა: ქალაქის ერთ-ერთ ღარიბ უბანში ერთი პატარა ფარდულის, - ისეთი ფარდულის, რომლებიც ხალიჩას თითქმის პირდაპირ ქუჩაში ჰყიდიან, მესაკუთრე ზოგიერთ დღეს თავის საქონელს გარეთ არ გამოფენდა, ხოლო ზოგჯერაც ფარდულს საერთოდაც არ ალებდა. მწერალი ადვილად მიხვდა, რომ ამ ნიშნით ისევე შეეძლო ესარგებლა, როგორც პრესის სააგენტოს ცნობით. იმისდა მიხედვით, თუ ქუჩაში რა მოხდებოდა, რის თაობაზეც, როგორც ჩანს, ის კარგად იყო ინფორმირებული, ეს ადამიანი თავისი მოქმედების წესს ირჩევდა: თუ მანიფესტაციები უნდა ჩატარებულიყო, რომელიც მონაწილენიც ცხადია, მის საქონელს შელახავდნენ, გადათქერავდნენ, ის მაღაზიას არ ალებდა.

ამ პერიოდში კაპუშჩინსკის გონებაში სხვა გეგმებიც მწიფდებოდა. განზრახული ჰქონდა კიდევ ერთი, ახლა უკვე სხვა სახის ტრილოგიის დაწერა, საერთო სათაურით „ზანზიბარი“. ამ წიგნებში მას უნდა მოეთხრო სამხედრო კორესპონდენტებზე, რომლებიც მესამე სამყაროს ქვეყნებში მუშაობდნენ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ რეპორტიორის მძიმე ხვედრის გამო მას წუწუნი არ სჩვეოდა. პირიქით, შესაძლოა, მოსწონდა კიდევ ასეთი ცხოვრება. მისი აზრით, ნამდვილი რეპორტიორი პილტონის სასტუმროში კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ იქ და ისე, როგორ მისი მოთხრობის გმირები ცხოვრობენ, უნდა ჭამოს და დალიოს ის, რასაც ისინი ჭამენ და სვამენ. მხოლოდ ამ გზით წარმოდგება ჭეშმარიტი და პატიოსანი ტექსტი.

იმის ნიშნულად, თუ როგორი არ უნდა იყოს რეპორტიორი, კაპუშჩინსკის შემდეგი მაგალითი მოაქვს:

1991 წლის იანვარში ის მოსკოვში, რიგის სადგურზე გავიდა ვილნიუსში მიმავალ მატარებელზე ბილეთის შესაძენად. ეს ის დროა, როდესაც ამ ქალაქში მომიტინგეები საშინლად დაარბიეს. სალაროში ბილეთს ვერ აიღებდი, ამიტომ ის ბილეთს ერთი სტუდენტისაგან იყიდის და გაემგზავრება. ვაგონები სავსე იყო, მაგრამ ერთ ვაგონში ცარიელი, თუმცა დაკეტილი კუპე აღმოჩნდა. მწერალი იმან გააკვირვა, რომ ხალხი უბილეთობის გამო ვერ წამოვიდა, აქ კი კუპეში არავენ იყო. როდესაც ვილნიუსში ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ მასში იყო სასმელი წყალი ამერიკის სატელევიზიო ჯგუფისათვის, რომელიც მათ არა მოსკოვიდან, არამედ პირდაპირ პარიზიდან, ან იქნებ შტატებიდანაც კი, მოჰქონდათ.

კაპუშჩინსკის მიაჩნდა, რომ თუ ადამიანმა გადაწყვიტა ამ სფეროში მუშაობა, ის იმისათვისაც უნდა იყოს მზად, რომ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნება მედგრად გადაიტანოს. ის სხვანაირად ვერ გაიგებს და გამოსცდის რეალობას. სხვა გზა არ არსებობს, რადგან ხალხი, რომელიც პარიზიდან წამოღებულ წყალს დაინახავს, მიხვდება, რომ მათ

არ ენდობიან და განაპირდებიან, ზურგს შეაქცევს ასეთ რეპორტიორს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კაპუშჩინსკის თავისი პრინციპები ჰქონდა, რომელსაც მთელი თავისი რეპორტიორული მოღვაწეობის განმავლობაში მტკიცედ ადგა. ეს მან თავის კოლეგა და მეგობარ მიროსლავ იკონოვიჩთან საუბარში ასე გამოხატა:

სხვაგვარად როგორ შევიცნობდი იმ საშინელ აფრიკულ რეალობას, რომლის შესახებ მოთხრობაც მსურდა მდიდარი, მაძღარი დასავლეთისათვის და სხვა თუ არაფერი, მისი სინდისის გამოღვიძებას მაინც შევცდილიყავი? და გარდა ამისა, ეს შენც კარგად იცი, მე მიყვარს აფრიკა, მისი სურნელი, ბუნება, თავგადასავლები, არ მიყვარს, როდესაც თავზე უფროსი გადგას.

უცხოეთში ყოფნისას მას ნამდვილად არ ჰქონია დაღუბნილი ცხოვრება. პოლონეთის საინფორმაციო სააგენტო არა ყოფილა მდიდარი ორგანიზაცია, ამიტომ არც ბევრი კორესპონდენტები ჰყავდა და ვერც კორესპონდენტს უხდიდა სათანადო ანაზღაურებას. სააგენტოს მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, მთელ კონტინენტზე მხოლოდ ერთი კორესპონდენტი, კაპუშჩინსკის მივლინება შეეძლო. მუშაობას განსაკუთრებით ის ამწელებდა, რომ ამ პერიოდში კონტინენტზე ძალზე დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო - პარტიზანული რაზმების სისხლიანი დაპირისპირება, ხელისუფლებისათვის გააფთრებული ბრძოლა. როგორც თავად კაპუშჩინსკი წერს, კონტინენტი ამ დროს დინამიტს ჰგავდა, რის გამოც მას გამუდმებული მოგზაურობა უწყვედა. „მთელი ჩემი ჩემი ცხოვრება იყო ცხოვრება გზაზე“ - იტყვის ასაკში შესული კაპუშჩინსკი და ამაში აღბათი, პირველ რიგში ლათინურ ამერიკაში ყოფნისას მისი გამუდმებული მოგზაურობა იგულისხმება.

როდესაც კაპუშჩინსკის საქმიანობასთან დაკავშირებით ტერმინ „მოგზაურობას“ ვხმარობთ, ეს ჩვეულებრივ მოგზაურობაში არ უნდა გაგვიგვიფოთ. როგორც თავად განმარტავდა, მისთვის მოგზაურობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ადგილიდან ადგილზე გადასვლა, ვიდრე ტურიზმი. მოგზაურობა მისთვის იყო სამყაროს

განცდა, მისი შეგრძნება, მის საიდუმლოებებსა და ჭეშმარიტებებში შეღწევა, მის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის ძიება. ამასთან, სწორედ მოგზაურობაში იღებდა იმ ძალასა და ცოდნას, რომელიც მას შემდეგ წიგნების დასაწერად გამოადგებოდა. როგორც თავად არიგებდა მოგვიანებით ახალგაზრდა კოლეგებს, რომ ისინი იმდენს მიიღებდნენ, რამდენსაც გასცემდნენ. თუ გასცემ ბევრს, აუცილებლად ბევრსაც მიიღებ. აქვე საინტერესო უკვე მხცოვანი კაპუშინსკის დარიგება სტუდენტებისადმი. კითხვაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მათ რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჯორჯსონდენტი გამხდარიყვნენ. ის ამ მოთხოვნებს პუნქტებად უყალიბებდა: ფიზიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური სიმტკიცე, სამყაროსადმი დიდი დაინტერესება, ენების ცოდნა, მოგზაურობისადმი მისწრაფება, სხვა ხალხების, კულტურებისადმი გახსნილობა, როგორც მოგზაურობისადმი, ისე წერისადმი ვნება და ფიქრის მოთხოვნილება. რეპორტიორის საქმის სიმძიმის გამო მრავალი ჟურნალისტი იწყებს ამ სფეროში მუშაობას, მაგრამ მალევე წყვეტენ, რადგან ვერ უძლებენ.

რ. კაპუშინსკის აზრით, რეპორტიორული საქმიანობა, მისი მოგზაურობა ტურიზმს არა ჰგავს. ამგვარი მოგზაურობა მძიმე შრომასა და სერიოზულ თეორიულ მომზადებას მოითხოვს. ვიდრე მას შეუდგებოდე, აუცილებელია რეპორტიორმა იმ ადგილების თაობაზე მოიპოვოს ცოდნა, რომელთა მოსანახულებლაც წასვლა გადაუწყვეტია. ასეთი მოგზაურობის დროს ადამიანი ვერ დაისვენებს, მის დროს სულ დაძაბული, კონცენტრირებულია. რეპორტიორს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ამ ადგილებს, სადაც იმყოფება, დიდი აღზატობით, მეტად ვეღარ ნახავს, ვეღარ დაუბრუნდება, არადა, მცირე დროის განმავლობაში უნდა მოასწროს ყველაფრის ნახვა, დამახსოვრება, მოსმენა, იქაურთა განწყობილების, ატმოსფეროს მექანიზმებში ჩაბეჭდვა.

გამოდის, რომ მოგზაურობაცაა და მოგზაურობაც. ხალხის უმრავლესობა - და სტატისტიკით, მისი თითქმის 95 პროცენტამდე - სადმე ზღვის პირას მდიდრულ სასტუმროში დასას-

ვენებლათა და გემრიელად სასადილოდ მიდის. ხოლო ეს იქნება ფიჯის თუ კანარის კუნძულება, მათთვის სულ ერთია. ახალგაზრდები ხშირად დადიან ექსკურსიებზე, მაგალითად, გადასერავენ აფრიკას ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, ანდა ღუნაის ნავით გადაცურავენ. მათ არ აინტერესებთ შეხვედრილი ადამიანები, მათი მიზანი საკუთარი თავის გამოცდა და სიძნელეების დაძლევაა.

კაპუშინსკის განსაკუთრებით აინტერესებდა ის თემები, რომელთაც მისი აზრით, უნივერსალური ხასიათი ჰქონდა. აი, მაგალითად. „იმპერატორის“ ბეჭდვა პოლონეთში ცენზურამ შეაჩერა. რადგანაც ამაში გერეკისა და იმდროინდელი რეჟიმის მიმართ სატირა დაინახა. რამდენიმე წლის შემდეგ ნაწარმოები ინგლისში გაიგზავნა, სადაც ღოჯალ ჩოურტ თჰეატრე-ში დაიდგა. ავტორი პრემიერაზე დაპატიჟეს. ამ უკანასკნელმა ერთ დღეს თეატრის ადმინისტრაციულ დირექტორ ქალს კაბინეტში მტიორალს შეუსწრო. მწერლი შეკითხა ტირილის მიზეზს, ქალმა უპასუხა, რომ სამსახურის დატოვებას აპირებდა, რადგან „იმპერატორში“ უკვე ყველაფერი აღწერილი იყო.

კაპუშინსკის აზრით, მართალია რეპორტიორებს უშუალოდ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ, მაგრამ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა ძალუძთ. იმის გამო, რომ რეპორტიორები საზოგადოებრივ აზრს ინფორმაციას აწვდიან, მათ შეუძლიათ უშუალოდ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ამ შემთხვევაში კლასიკურ მაგალითად გამოდგება ამერიკული ტელევიზიის გავლენა სომალში ამერიკელების შეჭრის გადაწყვეტილებაზე. ამ ქვეყნის ტელევიზიაში იმის ჩვენებამ, თუ როგორ მიათრევდნენ ამერიკელი ჯარისკაცის, პილოტის გვამს ქუჩაში, ისეთი განგაში გამოიწვია ამერიკელთა შორის, რომ ამერიკულმა საზოგადოებამ ამ ინტერვენციის დაუყოვნებლივი შეწყვეტა მოითხოვა. ეს მართლაც ასე მოხდა. გამოდის, რომ მედიას მართლაც შეუძლია საზოგადოების ცხოვრებაში უაღრესად დიდი როლის შესრულება.

ეს ამერიკაში, მაგრამ სოციალისტური, ტოტალური სისტე-

მის არსებობისას თუ შეუძლია ჟურნალისტს პრინციპულობა და ძვირფასი ღირებულებებისადმი ერთგულება? სოციალისტური ქვეყნები, როდესაც კორესპონდენტს უცხოეთში გზავნიდნენ, მას ხომ თავისი ღირებულებათა სისტემის დაცვას ავალდებულებდნენ, თავის ამოცანებს უსახუდნენ. საინტერესოა, რა სახის ბრძოლა მიმდინარეობდა სისტემასა და ამ პროფესიის წარმომადგენელ ადამიანს შორის?

ეს ძალიან რთული თემაა, ამასთან, ძალიან ცვალებადიც და არც რაიმე მყარი წესები არსებობს ამ სფეროში. მაგრამ მესამე სამყაროს ქვეყნების პრობლემებით დაკავებული კაპუშჩინსკი, ხელისუფლების მხრიდან რაიმე იდეოლოგიურ ზეწოლას შედარებით ნაკლებად გრძნობდა, ვიდრე, მაგალითად, მოსკოვსა ან პრალაში მომუშავე კორესპონდენტები. როდესაც ის რუანდასა თუ ჩადზე წერდა, ეს ხელისუფლების სტაბილურობას ვერაინარად ვერ დაემუქრებოდა. უმრავლეს შემთხვევაში დიდმოხელეებმა ისიც კი არ იცოდნენ, თუ ეს ქვეყნები სად მდებარეობდნენ. ამიტომ კაპუშჩინსკი თავის მოედანზე თავისუფლებას გრძნობდა, იქ არავის არავითარი ინტერესი, არავითარი მოლოდინი არ ჰქონია. ამას გარდა ჟურნალისტებს სააგენტოს ორი საინფორმაციო არხის გამოყენება შეეძლოთ: პირველი იყო ეგრეთწოდებული ოფიციალური ვერსია, ხოლო მეორე - ბიულეტენები, რომლებიც ოფიციალური პუბლიკაციები არა ყოფილა. მათ ამ უკანასკნელში შეეძლოთ გადაგეცა მთელი სიმართლე. ხოლო ცენტრალური ოფისი თავად გადაწყვეტდა, მისთვის მიწოდებული ინფორმაცია ოფიციალური პრესისათვის მიეწოდებინა, თუ საგანგებო ბიულეტენში მოეთავსებინა.

ერთმა პროფესორმა ჟურნალისტი შეადარა ქურუმს უძველეს რელიგიაში. მართლაც, დღეს მედიას უდიდესი ძალაუფლება აქვს, მას ძალუძს ვინმეს განდიდებაცა და მისი განქიქება-განადგურებაც, ანაფემას გადაცემაც. ამის გამო ჟურნალისტს უდიდესი პასუხისმგებლობა აწევს მხრებზე. ძალუძს იდგეს მოწოდების სიმაღლეზე. მათ რიგებში უპირველეს ყოვლისა, რ. კაპუშჩინსკი მოიაზრება.

რ. კაპუშჩინსკი ციტატების დიდი მოყვარული იყო. ის ხშირად იხსენებდა ვალტერ ბენჟამინის აზრს იმის თაობაზე, რომ ციტატების კრებული ნამდვილად სრულყოფილი და სასარგებლო წიგნი იყო.

„დიდი მოთაყვანე ვარ ციტატების და ფფიქრობ, ყურადღების ღირსია ვალტერ ბენჟამინის აზრი იმის თაობაზე, რომ ციტატების წიგნი ნამდვილად ყველაზე სრულყოფილი იქნებოდა. როცა ცოდნის რომელიმე სფეროს ვულრმავდებით, ვხედავთ, რომ ამ თემაზე უკვე მრავალი წიგნი დაწერილა. თითოეულში მინიმუმ ერთი უაღრესად მომხიბლავი აზრი მაინცაა. ჩვეულებრივი მკითხველი ამ აზრამდე ვერ მივა, რამეთუ იგი ყველა ამ წიგნს ვერ წაიკითხავს. მიმაჩნია, რომ იმ ადამიანის, ვინც თავი მიუძღვნა ცოდნის ამა თუ იმ სფეროს შესწავლას, მოვალეობაა საზოგადოებისთვის ამ მარგალიტების გაცნობა. როგორც წესი, ისინი ჩაკარგულები არიან 300 გვერდიან ნაბეჭდ ტექსტში, ხოლო გამოცალკევებულებს მათ სიცოცხლე ემატებათ და ახლებურად ბრწყინვას იწყებენ“.

კაპუშჩინსკის ჰქონდა უნივერსალური ხასიათის წიგნის დაწერის ამბიცია. როგორც შემდეგ განაცხადებს, „შაჰინშაჰს“ იმიტომ კი არ წერდა, რომ ირანის რევოლუცია აღეწერა. მას უპირველეს ყოვლისა, ის აინტერესებდა როგორც მოკლენა, ფენომენი. ეს უკანასკნელი კი იმას ემყარება, რომ ბებერი, ტრადიციული კულტურა და ცივილიზაცია, უკუაგდებს მისთვის თავსმოხვეულ სხვა კულტურულ შრეებს, დანალექებს, ფენებს. და ეს უნივერსალური მოკლენაა. ხალხმა ხომ ვერ იგუა, ვერ მიიღო კომუნიზმი, უკუაგდო, როგორც კი ამის ძალა და შესაძლებლობა მოეცა. ერთმა ინგლისელმა კრიტიკოსმა კარგად დაწერა, რომ კაპუშჩინსკის წიგნები ეთიოპიისა თუ ირანის შესახებ ოდენ დეკორაციებია აზრის გამოსახატავადო.

თუმცა კაპუშჩინსკის აღიარებით, არა ჰქონდა საიმისო მდიდარი ფანტაზია, ამბები შეეთხზა და ისე ეწერა. მას რომ ამგვარი წერის ნიჭი და უნარი ჰქონოდა, მაშინ წენარად იჯდებოდა თავის კაბინეტში და წარმოსახვიდან აღებულ ამბებს შეთ-

ხზავდა. სამწუხაროდ, ეს ნიჭი არა ჰქონდა. მას თავისი წიგნებისათვის მასალის მოსაპოვებლად მძიმედ უნდა ემუშავა, - ბევრი ველო, ეკითხა. მას უფრო ასეთმა ნაკლოვანებამ უბიძგა იმისაკენ, რასაც აკეთებდა. მისი რომანისტი კოლეგები მასთან შედარებით, გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ.

მწერალი დიდ ყურადღებას აქცევდა ენას. ენის გასაღების მოძებნას, ლექსიკონებში ახალი, გამოუყენებელი სიტყვის პოვნას ყოველ ახალ წიგნზე მუშაობისას, მისი დროის დიდი ნაწილი მიჰქონდა. თუ ვინმე წაიკითხავდა მისი წიგნის რომელიმე ფრაგმენტს და რეცენზირებისას მხოლოდ იმ თემებით შემოიფარგლებოდა, რომლებსაც მასში მწერალი ეხებოდა და ყურადღებას არ მიაქცევდა ენას, რომლითაც მწერალი მას აღწერდა, ამას კაპუშინსკი, როგორც პირად მარცხს, ისე აღითქვამდა.

კიდევ ერთი უმთავრესი დასკვნა, რომელიც აფრიკაში ყოფნისა და მისი შესწავლისას კაპუშინსკიმ გააკეთა, შემდეგში მდგომარეობს: ტომობრივი ზიზღი არის აფრიკის მონსტრული, დემონიური განსჯურნებელი იარა. ის უკვე შეიარაღებულია და მეტსა და მეტ ადამიანს ცელაქს. ეს განსაკუთრებით მაღალი ჩინის ოფიცრებს ეხება. ოფიცერი იძინებს და არ იცის, ზვალ რა მოელის. უფრო მეტიც - მცირე ხნის შემდეგ რა ელის, ესეც არ იცის. ვისაც აფრიკის შეცნობა უნდა, მან კარგად უნდა წაიკითხოს შექსპირი. მის პოლიტიკურ დრამებში ყველა გმირი კვდება, ტახტის ირგვლივ სისხლის ტბა დგება, ხალხი ამ ყველაფერს მღუპარედ უყურებს. აქაც იგივე ხდება.

ის ბრძოლები, რომელთა მოწმეც კაპუშინსკი აფრიკას, აზიასა თუ ლათინურ ამერიკაში მწერალი გამხდარა, მისი დასკვნით გარკვეულწილად ბავშვების ბრძოლებია. მისი მსვლელობისას უპირველეს ყოვლისა, ბავშვები იბრძვიან და იხოცებიან. სხვადასხვა სტატისტიკის მიხედვით, 24 შეიარაღებულ კონფლიქტს სხვადასხვა ფრონტზე მებრძოლი 200 ათასზე მეტი ბავშვი ემსხვერპლა.

## საქართველში

კაპუშინსკის ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთის რესპუბლიკებში მოგზაურობა თავის ასახვას წიგნში „ყირაგინი ჩამოდის ცხენიდან“ კპოვებს. ის მეტად საინტერესოდ იწყება:

„მოგზაურობა საქართველოდან დაეიწყე, რაც დიდი შეცდომა იყო. საქართველო უნდა ყოფილი არა მოგზაურობის დასაწყისი, არამედ მისი დასასრული. აქ ყველაფერი ისეთ შთაბეჭდილებს უქმნის ადამიანს, თითქოს ნავსადგურს მიადგა, თითქოს უკვე საკუთარი სახლის ჭერქვეშაა. ყველაფერი: კლიმატი, გარემო და ადამიანთა წეს-ჩვეულებები გირჩევენ, გიბიძგებენ, სადმე ჩრდილში ჩამოჯდე, ჭიქა ღვინო გადაკრა, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქო და წარმოსთქვა: აქ ყოფნას რა სჯობია!“

(დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რ. კაპუშინსკის წაკითხული ექნებოდა მისი თანამემამულე და შესაძლოა მეგობრის, მწერლისა და პოეტის ლეოპოლდ ლევეინის (1910 – 1995წწ.) მიერ თარგმნილი ნ. ბარათაშვილის პოემა - „ბედი ქართლისა“).

„მართლაც მშვენიერი ქვეყანაა საქართველო“.

„საქართველო საბერძნეთის თანატოლი და რომის უფროსი დაა. ის ძველია, როგორც ბიბლია“. ესეც ამავე წიგნიდანაა.

საქართველოში ყოფნისას მწერალზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სვეტიცხოველმა და მისმა ფრესკებმა. მათ შესახებ ის შემდეგს წერს: „რა სასწაულებრივია ისინი და რა ცოტა რამ, თითქმის არაფერი ვიცოდი მათ შესახებ. სამწუხაროდ, საუკეთესო ფრესკები თითქმის განადგურებულია. ისინი შუა საუკუნეების ისეთივე საუცხოო ნიმუშებია, როგორც ჩარტრუნის ვიტრაჟები. ფრესკები რუსი გუბერნატორის ბრძანებით გადაღებეს, რადგან სურდა ეკლესიის ისე შეთუთრება „როგორც ჩვენთან დედაკაცები ღუძელს ღებავენ“. არავითარ რესტავრაციულ სამუშაოებს არ ძალუძთ მათი აღდგენა, ისინი უკვე სამუდამოდ დაიკარგა ჩვენთვის“.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მდგომარეობაა კრაკოვში, ვაველში, პოლონელ მეფეთა სასახლეში, რომლის კედლებიც ავსტრიელებმა ასევე თუთრად გადაღებეს პოლონეთის ამ ნაწილის დაპყრობის (რუსებთან და გერმანელებთან ერთად ამ ქვეყნის სამად გაყოფის) შემდეგ.

ნაწილობრივ საქართველოს ეხება მისი მეორე წიგნიც „იმპერია“. მასში მწერალი საქებარ სიტყვებს არ იმპურებს ჩვენი ქვეყნის მიმართ. ზოტბას ასხამს სვეტიცხოველს, ვარძიას. ფიროსმანს, თბილისს. ვარძია „ესაა რაღაც წარმოუდგენელი საოცრება, რომლის ახსნა და გაგება თანამედროვე ადამიანს უკვე აღარ ძალუძს“... „ძველი ქართული ხელოვნება მაოცებს თავისი სრულყოფილებით, ყველაზე ფანტასტიური მაინც ხატებია...“ - წერს „იმპერიაში“. ის ჩვენს მიმართ სამართლიანად კრიტიკულიცაა: „ბოლო ხანებში თბილისი ძალზე შეიცვალა. საქართველომ, მსგავსად იმპერიის სამხრეთი მხარეებისა, განვითარების შესაძენ სამყაროს ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოდელი მიიღო. იგი დედაქალაქის სწრაფ, არაბუნებრივ ზრდას ემყარება, რაც სრულიად უგულვებელყოფს პროვინციის ინტერესებს. ეს მათი შემდგომი დაკნინების, დამცრობის ხარჯზე ხდება. თვალმისაცემია დედაქალაქსა და ქვეყნის კუთხეებს შორის უზარმაზარი დისპროპორცია... პროვინცია პრიმიტიული არსებობის, სიღატაკის, უიმედობის სიმბოლოა. აქედანაა ადამიანის მისწრაფება ქალაქში, უპირველეს ყოვლისა, დედაქალაქში იცხოვროს. ესაა კომფორტის, უკეთესი ცხოვრების, კარიერის გაკეთების შანსი...“.

თბილისში ყოფნისას კაპუშინისკი განსაკუთრებით ფიროსმანის ნახატებით მოიხიბლა. „ნიკო ნაძალადევიც ცხოვრობდა, ღარიბთა უბანში, არასოდეს არაფერი ჰქონია, ფუნჯსაც თავად აკეთებდა. ნიკოს სურათებში შავი ფერი დომინირებს, - მისი ფერების უმეტესობა შავია, რადგან საღებავს მას მესაფლავეები აძლევდნენ. მხატვარი აგროვებდა ძველ სპილენძის ფირნიშებს, რათა შემდეგ მასზე დაეხატა. ამიტომაა, რომ მისი ნახატების უკანა მხარეს ჩანს ბოლომდე შეუღებავი წარ-

წერები, რაღაც „მაგაზ...“ ან „თამბაქო“. რეკლამა ოქროსა და წითელი ფერისაა, ხოლო მასზე - ნიკოს შავ-თეთრი ნახატი. ნიკო ხატავდა დუქნებში, ღვინის მარნებში. ზოგჯერ ცნობის-მოყვარენი მას ღვინოს უდგამდნენ მაგიდაზე. იქნებ ჭლექი ჰქონდა? ცოტა რამ ვიცით მისი ბიოგრაფიიდან. ნიკოს მრავალი ნახატიდან მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. მისი სურათების უმთავრესი თემა ნადიმია.

ნიკო ნადიმებს ვერონეზესავით ხატავდა. ქართული პეიზაჟის ფონზე გულუხვი სუფრაა გაშლილი. მაგიდასთან ქართველები ქეიფობენ. მაგიდა პირველ პლანზეა, იგი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. ნიკო გვზიბლავს თავისი კულინარიით. რა იქნება საჭმელად და ადამიანი რით ამოიყორაჟ მუცელს, ნიკო ამ ყველაფერს ხატავდა. იგი გვიჩვენებს, თუ რას შეჭამდა ადამიანი დღეს და რას არ დააკარებდა პირს არც დღეს და არც არასოდეს. მაგიდები გადავსებულია შემწვარ-მოხრაკულით და ხილით. ამ მხატვრობაში რაღაც მაზოხიზმი, საკუთარ მუცელში დანის გაყრის მსგავსი რამ იგრძნობა, თუმცა ნიკოს ხელოვნება მხიარულია, ის კარგ გუნება-განწყობილებაზე გაყენებს.

ნიკოს საქართველო მაძლარი, მუდამ მოქეიფე, კარგად ნაკვებია. ქვეყანაში რძის მდინარეები მოედინება, ზეციდან მანანა ცვივა, ყოველი დღე მაძლარი და მსუქანია. მხატვარს ასეთი საქართველო ესიზმრებოდა ნაძალადევში.

ნიკო ნაძალადევის სიზმრებს ხატავდა.

მხატვრობას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. ჰყავდა შეყვარებული, სახელად მარგარიტა. უცნობია, ვინ იყო იგი. მარგარიტას სახე პირობათადაა დახატული დიდი მეოცნების მიერ. რომლისთვისაც ყველაფერი მეტისმეტად დიდია და არავითარი ნორმა დაცული არაა. ქალს ძალზე დიდი პირი აქვს, ტუჩები - გამობერილი, ყურები ჩამოფართხული. ნიკომ პორტრეტი მარგარიტას უჩვენა, რომელმაც შეურაცყოფილად იგრძნო თავი. ტირილი აუკარდა და ნიკო განრისხებულმა, გააუბულმა მიატოვა. აქ როგორ არ გაგვახსენდეს მეორე დიდი გე-

ნოსი მხატვარი, პიკასო. მანაც დახატა მეუღლე, ქალმა დაიწუნა სურათი, არა მგავსო. მაშინ პიკასომ ფული მისცა და უთხრა, წადი და ფოტოსურათი გადაიღეო.

ნიკოს ტალანტი მარტოობისათვის იყო განწირული.

მას შემდეგ მარტოსული ცხოვრობდა.

54 წლის გარდაიცვალა, თბილისში, რომელიღაც სარდაფში, იქნებ მშიერი ან გონდაკარგული.

და კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ხასიათის დასკვნა წიგნის ავტორისაგან: „კაკასიის ხალხისათვის დამახასიათებელია რაღაც მოულოდნელი და გაუგებარი ემოციური გამოხტომები, გუნება-განწყობილების უეცარი ცვლილებები...“.

### კაპუშინსკი 80-ანი წლების პოლონეთში

ცხადია, 80-ანი წლების დრამატული ამბები ამ ქვეყანაში ვერავის ვერ დატოვებდა გულგრილს და მით უმეტეს, კაპუშინსკის. მანაც შეწყვიტა საზღვარგარეთ მოგზაურობა და სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო იმ რევოლუციურ მოძრაობაში, რომელსაც ლეზ ვალენსას მეთაურობით პროფკავშირული ორგანიზაცია „სოლიდარობა“ ახორციელებდა. კაპუშინსკის განცხადებით, „სოლიდარობის“ მოთხოვნები იყო საზოგადოების, მუშათა კლასის, გაფიცულთა მოლოდინის გამოხატვის ფორმა. მაშინ კაპუშინსკი ფიქრობდა, რომ მოაგროვებდა საკმარის მასალას ამ მოვლენების აღსაწერად, ქაღალდზე გადმოსაცემად. მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. ქვეყანაში ყოველდღიურად ახალ-ახალი ცხელი წერტილები ჩნდებოდა, რის გამოც მწერალი იძულებული ხდებოდა განუწყვეტლის ემოგზაურა მთელ ქვეყანაში. ის ამ უზარმაზარი მოძრაობის ორგანიზაციულ მხარეში აღმოჩნდა ჩართული. მთელი 1980 წელი და 1981 წლის ნახევარზე მეტი ის პოლონეთში მოგზაურობდა და ეცნობოდა, თუ ქვეყანაში რა ხდებოდა.



მან მთელი სიგრძე-სიგანით იგრძნო იმ მოვლენების სიდიადე, რომლებიც მის სამშობლოში ხდებოდა. „არ ვიცი, ყველას გვაქვს გათვითცნობიერებული თუ არა, რომ 1980 წლის შემდეგ სრულიად სხვა პოლონეთში ვცხოვრობთ. ეს განსხვავება დამყარებულია იმაზე, რომ მუშები ალაპარაკდნენ - განსაკუთრებით პრინციპულ საკითხებზე - მთელი თავისი ხმით. ამასთან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, აღარ გაჩუმდნენ და გაჩერდნენ. შეუძლებელია ეს ვინმემ არ გაიგოს“.

კაპიშინსკის აზრით, 1980 წლის სექტემბერმა ახალი პოლონეთი, ახალი საზოგადოება აღმოაჩინა - ძალზე მომწიფებული, დიდი დაკვირვების უნარით, გამჭრიახობით დაჯილდოებული. მას გასიგრძეგანებული ჰქონდა იმ დროის მნიშვნელობა, რომელშიც ცხოვრობს. ამ საზოგადოებამ პრინციპული უარი განაცხადა ძველი წესით ცხოვრების გაგრძელებაზე და ახლე-

ბურად დაიწყო მისი მოწყობა. თუმცა მისი ფორმა ჯერაც არა ჰქონდა ბოლომდე ძირფესვიანად გააზრებული.

მწერალი მთელ 1980 წელსა და 1981 წლის ნახევარს პოლონეთში მოგზაურობს - გაფიცვების, დემონსტრაციების საორგანიზაციო პროცესებშია აქტიურად ჩართული, რევოლუციის ბელადებს უდგას გვერდით, ცდილობს ყველაფრის ნახვას, გაგებას, განცდასა და აღნუსხვას. თუმცა აღმოჩნდება, რომ ეს იმდენად მრავალმხრივი პროცესია, რომ ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მის ძალებს აღემატება.

### ცხოვრების კიდევ ერთი დღე

აფრიკაში რ. კაპუშჩინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ყოფნა ლუანდაში. ეს პერიოდი მან საუცხოოდ აღწერა წიგნში: „ცხოვრების კიდევ ერთი დღე“. ლუანდის, ანგოლის დედაქალაქის ხელში ჩასაგდებად ამ დროს ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ავტორი ამ დროს ალყაშემორტყმულ ქალაქში მოპყვა და წიგნშიც თავის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს.

თუმცა მანამდე ამ ქვეყნისა და ქალაქის მცირე ისტორია:

XVII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით ლუანდა მონებით ვაჭრობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრია, საიდანაც პორტუგალიელების კონტროლქვეშ არსებული ტერიტორიებიდან გაიყვანეს დაახლოებით 3 მილიონი შავკანიანი.

XX საუკუნეში ლუანდა გახდა ანგოლელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი, აქ ხშირად ხდებოდა პორტუგალიის ჯართან შეტაკებები.

1961 წელს ანგოლის "გათავისუფლების „სახალხო“ მოძრაობის (მპლა) ხელმძღვანელობამ ორგანიზება გაუკეთა ლუანდის მოსახლეობის აჯანყებას კოლონიზატორების წინააღმდეგ. დედაქალაქის მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა გახდა სიგნალი სამოქალაქო ომის დაწყებისთვის.

1974 წლის აპრილში, რამდენიმე რევოლუციური აჯანყების შემდეგ, პორტუგალიის ხელმძღვანელობა დათანხმდა ანგოლისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება და 1975 წლის ნოემბერში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა კიდევ ახალი სახელმწიფო.

ავტორის აზრით, „ცხოვრების კიდევ ერთი დღე“ ეგზისტენციალური ხასიათის ნაწარმოებია. ის მისი სხვა წიგნებისაგან სრულიად განსხვავდება. მასში სხვადასხვა გარემოებებში აღმოჩენილი ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, ამ გარემოს აღთქმის, გაგების სიძნელეა აღწერილი.

„ცხოვრების კიდევ ერთი დღის“ ერთ-ერთმა კრიტიკოსმა დაწერა, ავტორი არ ამბობს, თუ როგორი იყო იქ საზოგადოებრივი მოძრაობა და მხოლოდ იმას გვაძინებს, რომ ამ ყოველივეს წინაშე თავს დაბნეულად ვგრძნობო.

ამაზე კაპუშჩინსკიმ უპასუხა, რომ სწორედაც რომ ამის გამო დაიწერა ეს წიგნი. რეპორტიორები კი აგზავნიან ტელეგრამებსა და სტატიებს, მაგრამ მათ იქით რჩება მოვლენების გარკვეული ასპექტები, რომელთა გადმოცემაც რეპორტიორს ტელეგრამასა თუ წერილში არ ძალუძს: მომაკვდავი ქალაქის განწყობილება და ატმოსფერო, რაც სტატიისტიკის საგანი არაა, მისი შეტანა შეუძლებელია ჩვეულებრივ მოხსენებით წერილში. არადა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

ნაწარმოები „ცხოვრების კიდევ ერთი დღე“ მოგვითხრობს ქვეყანაზე, რომელშიც კაცი ვერ იტყვის, თუ რა იქნება ხვალ, ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგ, ვინ მოვა ხელისუფლების სათავეში, ვინ ვის წინააღმდეგ დაიწყებს ბრძოლას. გაურკვევლობა - აი, ის ყველაფერი, რაც იქაა გამეფებული და რითიც სუნთქავს ის სამყარო.

აი, როგორ აღწერს კაპუშჩინსკი ალყაში მოქცეულ ლუანდას:

„ლუანდა სხვანაირად კვდებოდა, ვიდრე ჩვენი ქალაქები ომის დროს. ქალაქის თავზე თვითმფრინავები არ დაფრინავდნენ, არ ბომბავდნენ მას. ქუჩებსა და მოედნებზე სასაფლაოები

არა ყოფილა. ერთი ხანძარიც არსად არ მინახია. ქალაქი იმ  
ოაზისივით კვდებოდა, სადაც ჭები ამოშრა - უკაცრიელდებოდა,  
სიცოცხლე ქრებოდა, მოგონებაში-და რჩებოდა. მაგრამ  
აგონია გვიან დადგა, ჯერჯერობით კი ირგვლივ ცხარე  
მოდრაობა შეიმჩნეოდა. ყველას სადღაც ეჩქარებოდა, ყველა  
სადღაც მიემგზავრებოდა! ყველა ცდილობდა უახლესი თვით-  
მფრინავით ვეროპისაკენ, ამერიკისაკენ, სადმე შორეული მხ-  
არისაკენ გაფრენილიყო. მთელი ანგოლიდან ლუანდაში ჩა-  
დიოდნენ პორტუგალიელები. შორეული კუთხეებიდან აქეთ  
მოიქპაროდნენ ხალხითა და ტვირთით დამძიმებული ავტომო-  
ბილები. კაცები გაბურძენულები, ქალები ნამტირალები, ბავშ-  
ვები გამოუძინებელნი და ჭუჭყიანები. გზად ლტოლვილები  
გრძელ კოლონიად ერთიანდებოდნენ და ასე გაივლიდნენ ქვეყ-  
ანას, რადგან, რაც უფრო გრძელი იყო კოლონა, მით უფრო  
უსაფრთხო იყო ის. ლუანდაში ჩასულები თავდაპირველად სას-  
ტუმროში ბინადებოდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც სასტუმ-  
როში ადგილები გამოილია, ისინი პირდაპირ აეროპორტში  
იყრიდნენ თავს. მალე აეროპორტის ირგვლივ მომთაბარეთა  
ქალაქი წამოიშრათა, სახლებისა და ქუჩების გარეშე. ხალხი  
ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა, სულ სველი, რადგან ხშირად წვიმ-  
და. ახლა ის გაცილებით ცუდ პირობებში ცხოვრობდა, ვი-  
დრე აეროპორტის ახლო-მახლო დასახლებებში შავკანიანი  
მოსახლეობა, თუმცა ამას ის აპათიურად იღებდა, რადგან არ  
იცოდა, მის ასეთ ყოფაში ვინ იყო დამნაშავე. სალასარი უკვე  
მარილზე იყო გასული, გაეტანომ ბრაზილიაში უშველა თავს,  
ხოლო ლისაბონში განუწყვეტლივ იცვლებოდა მთავრობა.  
ყველაფერში რევოლუცია იყო დამნაშავე, რადგან აქამდე აქ  
ხალხი მშვიდად ცხოვრობდა. ახლა მთავრობამ შავკანიანებს  
თავისუფლება აღუთქვა. მათ კი ეს ვერ შეიშვნეს, ერთმანეთს  
დაუნდობლად დაერივნენ და ხოცვა დაუწყეს. ისინი მართვი-  
სათვის მოუძწიფებელი აღმოჩნდნენ. შავკანიანის საქმე ასეა:  
ჯერ დალიოს, ხოლო შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში ეძი-  
ნოს. ჩამოიკიდებს ბრჭყვიალა ბურთულებს და დადის კმაყ-

ოფილი და მხიარული. მუშაობა? აქ არავინ მუშაობს. ისინი ათასი, ასი წლის წინათაც ასე ცხოვრობდნენ.

მრავალი რამ მოხდა მანამ, ვიდრე ქალაქი დაიკეტებოდა და სასიკვდილოდ გაიწირებოდა. როგორც ავადმყოფი, რომელიც აგონიის წუთებში უცებ გამოცოცხლდება და ძალა მოემატება ხოლმე, ასევე სექტემბრის ბოლოს ლუანდას სიცოცხლეს, ენერჯია მოემატა, ცხოვრების ტემპერატურამ აიწია. ტროტუარზე გაულა ჭირდა, გზებზე სულ საცობები იყო. განერვიულებული ხალხი კი არ დადიოდა, დარბოდა, ათასი საქმის მოსწრებას ჩქარობდა. სურდა, რაც შეიძლება, ძალე გაეკეთებინა ყველაფერი, შემდეგ გაესწროთ აქედან, ვიდრე მაუნე ჰაერის პირველი ტალღა ქალაქში შემოიჭრებოდა.

ალარაგის აღარ უნდოდა ანგოლაში გაჩერება.

ყველას ყელში ამოუვიდა ეს ქვეყანა, რომელიც ადრე აღთქმულ კუნძულად წარმოედგინათ, მაგრამ ყველას იმედგაუცრება და დამცირება არგუნა. ემშვიდებოდნენ თავის აფრიკულ სახლს სასოწარკვეთითა და ბრაზით, სინანულითა და ნაღველით, იმის ფიქრით, რომ მას მეტად ვერასოდეს ნახავდნენ. ახლა მხოლოდ როგორმე ცოცხლად გადარჩენას ნატრობდნენ და კიდევ იმას, რომ მცირე რამ მაინც წაეღოთ თავიანთი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნაშრომ-ნაღვაწიდან.

ყველა ყუთების დამზადებით იყო დაკავებული. ყველგან მუყაოსა და ხის ფიცრების გორები იდგა. ჩაქუჩისა და ლურსმების ფასმა იმატა. ყუთები გახდა საუბრის მთავარი თემა - თუ როგორ კეთდება და როგორ შეიძლება მისი უფრო გამაგრება. გამოჩნდნენ ყუთების მკეთებელი თვითნასწავლი ღურგლებიც, სკოლები და მიმართულებები შეიქმნა. ლუანდის შიგნით, რომელიც ძირითადად აგურიითა და ბეტონითაა ნაშენები, დაიწყო ახალი, ხის ქალაქის მშენებლობა. ახლა კაპუსცინსკი ქალაქის ქუჩებში ისე დაუდიოდა, როგორც უზარმაზარ სამშენებლო მოედანზე, ფეხს ძლივს უქცევდა ძირს დაყრილ დაფებს. ფიცრიდან წვერგამოყოფილმა ლურსმანმა პერანგიც კი გამიხია. ზოგიერთი ყუთი სააგარაკო სახლისხელა იყო,

რადგან მალე პრესტიჟის ფაქტორმაც დაიწყო მოქმედება, - მდიდარი ღარიბთან შედარებით გაცილებით დიდ ყუთს აკვრე-ვინებდა. მაგრამ მილიონერთა ყუთები მაინც რაღაც გან-საკუთრებულად გამოიყურებოდა - საოცრად სოლიდური და ელევანტური კედლებით, ძალზე ძვირფასი ტროპიკული ხისა-გან დამზადებული, თან ისე გაპრიალებული, რომ ანტიკურ ავეჯს მოგვაგონებდა. ასეთ ყუთებში ათავსებდნენ მისაღები ოთახისა და საწოლ ოთახის მთელ ავეჯს, მაგიდებსა და სკა-მებს, ჭურჭელსა და სამშვენისებს, დივანსა და სავარძლებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ხელოვნურ ყვავილებსაც კი (ჩემი თვალით მაქვს ნანახი), იტალიიდან ჩამოტანილ ბრინ-ჯაოს ფიგურებს, წერილებს! წერილებსა და ფოტოსურათებს, ქორწინების დროს გადაღებულს, ოქროსფერ ჩარჩოში - იქნებ ეს მაინც დაგტოვოთ, თქვენ ამბობთ, მაგრამ როგორ არა გრცხ-ვენიათ, ბრახდება ქალბატონი - ეს ხომ ბავშვების ფოტოებია, აი, ეს მაგალითად, როდესაც პირველად დაჯდა, ეს, როდესაც პირველად წარმოთქვა: მომეცი, მომეცი, ეს კი კოვზით ხელში, ეს ბებოსთან ერთად, მოკლედ, ეს ყველაფერი საჭიროა, აი, ეს ღვინით საესე მუყაოს ყუთებიც, ეს მაკარონის მარაგიც, რომელიც მაშინვე ვიყიდე, როგორც კი სროლა ატყდა. საჭიროა და მორჩა, აქ მხოლოდ შიშველი კედლები და მოტიტვლებული იატაკი უნდა დარჩეს. კარებებსაც დაკვეტ-აუთ და გასაღებს ზღვაში გადავისვრით.

ღარიბთა მომცრო ყუთები ნაკლებმიწიდეველად გამოიყურე-ბოდა. ისინი ხომ ყუთის შესაკრავად უმთავრესად ფიცრების მონარჩენებს იყენებდნენ. ნამდვილად არც მასში იქნებოდა დიდად საინტერესო რამ ჩაწყობილ-ჩალაგებული.

მდიდართა ყუთები ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედ-ნებზე იდგა. აი, მათი დათვალიერება კი ნამდვილად ღირდა. მათ შორის მოსიარულე გაკვირვებას ვერ დამალავდა.

ხის ფიცრების ასეთი სიუხვის გამო, რომელიც ლუანდაში, ამ მტკრიან, ხეებსა და სიმწვანეს მოკლებულ ქალაქში აღმოჩნ-და, ახლა ფრიად სასიამოვნო სურნელი დატრიალდა. თვალებს

თუ დახუჭავდით, თავი ტყეში გვეგონებოდათ. ამასთან, ეს ტყე თითქოს უეცრად ამოიზარდა ქუჩებში, მოედნებსა და სკვერებში. კაპუშჩინსკი საღამოობით ფანჯარას აღებდა, მთელი მკერდით საოცარ სურნელს სუნთქავდა და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ტუხლოვების (პოლონეთში - მთარგ.) ტყეში აღმოჩენილიყო.

„ხის ყუთების ქალაქის მშენებლობა მთელი დღეების განმავლობაში გრძელდებოდა, დილიდან საღამომდე. ყველა მუშაობდა. წვიმაში გალუმპულები, მზით დახრუკულები, მილიონერებიც კი, თუკი ეს ფიზიკურად შეეძლოთ, ხელს არავინ არ აჩერებდა. უფროსების ენთუზიაზმი პატარებსაც გადაედო. მათაც დაიწყეს თავისთვის მომცრო ყუთების კეთება, თოჯინებისა და სამშენისებისათვის. ყუთებში ნივთების ჩაწყობა უფრო შებინდებულზე იწყებოდა, რადგან ასეთ დროს ვერავინ დაინახავდა. თუ ვინ რას აწყობდა მათში, ვერავინ გაიგებდა, ქვეყნიდან ვის რა გაჰქონდა. ქალაქში ხომ ბევრი იყო ისეთი, რომლებიც ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობასთან იყო დაკავშირებული და შეეძლო მათთვის ამბავი მიეტანა“.

როგორც კაპუშჩინსკი წერს, ასეთი ქალაქი მსოფლიოში არსად ენახა და ალბათ, ვერც ვერასოდეს ნახავდა. ის ზომ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში არსებობდა, ხოლო შემდეგ, მოულოდნელად, გაქრობა დაიწყო. უფრო სწორედ - უბნები ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა, - სატვირთო მანქანებით ნავსადგურში გადაჰქონდათ და უშუალოდ ოკეანეს პირად აწყობდნენ. ისინი ნავსადგურისა და ახლო-მახლო მდგარი გემების შუქით იყო განათებული. დღისით ამ ქაოსურად დალაგებულ ყუთებს შორის პატრონები დადიოდნენ და ზედთავიანთ გვარ-სახელსა და მისამართს აწერდნენ, ისევე, როგორც ეს კეთდება ყველგან მსოფლიოში, როდესაც კაცი თავისთვის სახლს ააშენებს. იმაშიც შეიძლებოდა თავის მოტყუება, რომ ეს ნორმალური, ხის ქალაქი იყო, ვგაა ოღონდ დაკეტილი სახლის პატრონების მიერ, რომლებიც უცნობი

მიზეზების გამო იძულებული გახდნენ აქაურობას სასწრაფოდ გასცლოდნენ.

ხოლო შემდეგ, როდესაც ქვის ქალაქში მდგომარეობა ძალიან დაიძაბა და მწერალი და დანარჩენები, ქალაქში დარჩენილი ერთი მუჭა განწირული ხალხი თავის საბოლოო საათს ელოდა; ხის ქალაქი ოკეანემ მოიტაცა, წაიღო, როგორც დიდი ფლოტი და რამდენიმე საათში თავის უფსკრულში შთანთქა კიდევ. ეს ისე ელვის სისწრაფით მოხდა, თითქოს ნავსადგურს პირაბთა ფლოტილიამ ჩამოუქროლა, ძვირფასი საუნჯე მოიტაცა და ზღვის სიღრმეში გააქანაო.

კაპუშინსკიმ ოდენ იმის დანახვა მოასწარო, თუ როგორ მიაცურებდა წყალი ხის ქალაქს. ის დილაადრიან, ჯერ კიდევ მზეზე ბრწყინაუდა, ქაოსურად განთავსებული, გაუკაცრიელებული, უსიცოცხლო, როგორც უძველესი აღმოსავლური ქალაქი, მას შემდეგ, რაც ის უკანასკნელმა დამთვალიერებელმა დატოვა. იმ დროს ჯერ კარგად არ იყო განათებული, ცივი ბურუსი ფარავდა მას. ამ დროს ის ანგოლელი ჯარისკაცებისა და შეციებული და ძონძებში შემოსილი შაეკანიანი ბავშვების ჯგუფის გვერდით იდგა. - ყველაფერი დავკარგეთ - წარმოთქვა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა უბოროტოდ, გაბრაზების გარეშე და ანანისის გაფცქვნას შეუდგა. ანანისის ნაყოფი ისე იყო მომწიფებული, რომ ცოტაც და იქიდან წყალი, როგორც კოკიდან, ისე წამოვიდოდა. მაშინ ლუანდაში მცხოვრებთა საკვები სწორედ ანანისი იყო. - ყველაფერი წაგვართვეს - კვლავ გაიმეორა ჯარისკაცმა და თავისი საქმე გააგრძელა. უსახლკარო, ნავსადგურის ბავშვები მას აგზნებული თვალებით მისჩერებოდნენ. ჯარისკაცმა წვენით დასველებული სახე ზვეით ასწია, გაიღიმა და დაუმატა - სამაგიეროდ ახლა გვაქვს სახლი. ჩვენი - ჩვენ დაგვრჩა. ამის შემდეგ ჯარისკაცს, იმ აზრით გახარებულს, რომ ანგოლა მისი გახდა, პაერში ავტომატის მთელი ჯერი დაუცლია. მას საყვირები გამოხმაურებიან. ამ ხმაზე თოლიები აფრენილან და წყალს ზვეით ლოკლავი დაუწყიათ, ქალაქიც შეძრულა და ნელი ტემპით ოკეანეს სიღრმისაკენ დაუწყია ცურვა...

## კონგოში

კონგო ოკეანეა, ეს უდიდესი კონტრასტების ფრესკაა. ადამიანთა მცირე ჯგუფები უდიდეს ჯუნგლებსა ან უკიდუგანო საუნაში განუენილან საცხოვრებლად. მათ ხშირად ერთმანეთის შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვთ. ექვსი ადამიანი მოდის ერთ კვადრატულ კილომეტრზე. კონგო ისეთივე დიდია, როგორც ინდოეთი. განდს ოცი წელიწადი დასჭირდა ინდოეთის შემოსავლელად. ლულუმბა ნახევარ წელიწადში შეეცადა კონგოში იგივეს გაკეთებას. ეს კი ნამდვილად შეუძლებელი აღმოჩნდა.

არადა, კონგოში, ისევე, როგორც ინდოეთში, ეს ერთადერთი მეთოდია: მთელი ქვეყნის შემოვლა, ყველა სოფელში შესვლა, ყველა დასახლებაში შეჩერება და ლაპარაკი, ლაპარაკი, დაუსრულებელი ლაპარაკი. ხალხს სურს თავისი ლიდერის ნახვა, მისი საუბრისათვის ერთხელ მაინც მოსმენა. ხომ შეიძლება ის რაღაც ცუდი საქმის გაკეთებისათვის ეძახდეს მათ, უღვთო რაიმეს ჩადენისათვის უზმობდეს და უბიძგებდეს. ამიტომ აუცილებელია მისი ნახვა, მისთვის მოსმენა, ხოლო შემდეგ გადაწყვეტა იმისა, არის თუ არა მათი ნამდვილი ბელადი. სხვა ქვეყნებში ლიდერებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ პრესა, ტელევიზია, კინო-თეატრი, რადიო, კადრებიც ყავთ.

ლულუმბას მსგავსი არაფერი გააჩნდა. ყველაფერი ბელგიელებს ჰქონდათ ჩაბღუჯული, ხოლო კადრები საერთოდ არ არსებობდა. გაზუთიც რომ ჰქონოდა, რამდენი კაცი შეძლებდა მის წაკითხვას?! რადიო სადგურიც რომ ჰქონოდა, რამდენ ოჯახს ჰქონდა რადიო? ამიტომ მთელი ქვეყნის შემოვლა იყო საჭირო. ისევე, როგორც მათ, განდი, ნკრუმახი და კასტრო აკეთებდნენ ამას. ძველ სურათებზე ვხედავთ ყველა მათგანს უბრალო, გლქხურ ტანსაცმელში ჩაცმულთ. მათს ქეჩის ლაბადაზე აქვს ქამარი შემორტყმული, მაკათმას შიშველი და გამზდარი ფეხები მოუჩანს, კვამეს მხარზე მოქარგული ლენტა გადაუკიდავს, ხოლო ფიდელს გაცვეთილი პარტიზანული ხალათი მოსაკვს.

ლულუმბა ყოველთვის საუცხოოდ გამოწყობილი დადის.

პეწენიკო, რომ იტყვიან, ისაა - თეთრად მბრწყინავი, გაკრახ-  
მალეებული პერანგი, მოდურად გამონასკვეული ჰალსტუხი, საკ-  
ინძე მანქეტზე, ძვირფას ჩარჩოიანი სათვალეები. ეს არაა ხალხ-  
ის ქცევის წესი, ესაა თანამედროვე სტილი, რომლითაც ევრო-  
პელებს ბაძავენ. როდესაც ნკრუმახი ევროპაში მიდის, დემონ-  
სტრაციულად თავის აფრიკულ ტანსაცმელს იცვამს, როდესაც  
ლულუმბა აფრიკულ სოფელში მიდის, თავის ევროპულ ტანსაც-  
მელში იმოსება. ეს იქნებ დემონსტრაციულობაც არ იყოს, მა-  
გრამ ხალხი ამას ასე აღიქვამს.

პატრისი უბრალო და გასაგები ენით ლაპარაკობს. ამ  
ხალხს უშუალოდ უნდა ელაპარაკო, პირდაპირ უნდა უთხრა  
სათქმელი, მათ არ უყვართ მიკიბულ-მოკიბული, ქარაგმებით  
ლაპარაკი. ის მათ იცნობს, კარგად ესმის მათი. ისინი მოძრაო-  
ბის განრიგის გარეშე გადაადგილდებიან, ორიენტაციადაკარ-  
გულები, რელსებიდან ამოვარდნილი მატარებელივით, ახალ,  
მათთვის გაუგებარ სამყაროში რაღაც საყრდენ წერტილს ეძე-  
ბენ, რაღაც ნიჩაბს, რომელსაც შეიძლება ხელი სტაცონ და  
ცოტა მაინც ამოისუნთქონ, ჰაერის მარაგი აიღონ, რათა შემ-  
დეგ კვლავ ჩაყვინთონ ამ სახეების ზღვაში. როდესაც ადამიანი  
ამ ხალხს ელაპარაკები, ხედავ, თუ მათ გონებაში ყველაფერი  
როგორაა უაღრესად ფანტასტიურად გადახლართული. როდესაც  
ბელგიელები აქ ჯარს აგზავნიდნენ, ყველა ჯარისკაცს პარა-  
შუტისტიის ფორმა ჩააცვეს. სულ მიკვირდა ხოლმე, ირგვლივ  
ყველა პარაშუტისტი რატომ იყო. ბოლოს გავარკვიე: იმიტომ,  
რომ აფრიკაში ძალზე ეშინიათ იმ ხალხის, რომლებიც ციდან  
ემყვებიან. თუ აფრიკაში ვინმე ციდან ვარდება, ის არ არის კარ-  
გი ადამიანი, იმიტომ უკეთესი იქნება, თუ მას მოერიდებიან,  
მასთან ფრთხილად იქნებიან.

პატრისი თავისი ხალხის შეილია. ზოგჯერ ისიც გულუ-  
ბრყვილო და მისტიურია, მასაც ახსნიათებს უკიდურესობე-  
ბი, ბედნიერების აფეთქებებიდან სასოწარკვეთილებამდე.  
ლულუმბა ვნებიანი ფიგურაა, ძალზე რთული ბუნების პა-  
ტრონი. ამ ადამიანში ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრას

არაფერი ექვემდებარება. მისადმი მიყენებული ყოველი ფორ-  
მულა ვიწროა. მოუსვენარი, ფეთქებადი, სენტიმენტალური  
პოეტი, ამბიციური პოლიტიკოსი, აგზნებადი სული,  
საკვირველი ბარდი, ძალზე მიმნდობი ერთსა და იმავე დროს,  
ბოლომდე დაჯერებული თავის სიმართლეში, ყრუ სხვისი  
ნათქვამისადმი.

კაპუშინისკის ეკითხებოდნენ, კონგოში თეთრკანიანებს  
რატომ ურტყამენო. როგორ თუ, რატომ?! იმიტომ, რომ ადრე  
ისინი სცემდნენ შავკანიანებს. შურისძიების წრე იკვრება. რა,  
ძნელი ასახსნელია?! ადამიანები ემორჩილებიან ამ ფსიქოზს,  
ის მათი აზროვნების დეფორმაციას ახდენს და კლავს. კონგოს  
აღმოსავლეთის პროვინციის ჯუნგლებში მწერალი ერთ პოლო-  
ნელ ემიგრანტს, უკვე ძალზე აუადმყოფს გადაეყარა. მიუღი ასი  
კილომეტრის რადიუსში მხოლოდ ის იყო თეთრკანიანებიდან  
შემორჩენილი. „ჩემო ბატონო, მე აქ ვერ გავძლებ, ვეღარ გაუ-  
ძლებ“ - უთხრა მან კაპუშინისკის. ის კოლონიურ სამყაროში  
გაიზარდა: ვიწრო გზაზე შავკანიანი მოდის, ხოლო თეთრკანი-  
ანის ოჯახი წვეულებიდან ბრუნდება. შავკანიანმა გზა არ დაუთ-  
მო, აუტომანქანა შეჩერდა, თეთრკანიანმა შავკანიანს კბილებში  
სთხლიშა, შავკანიანმა გზა ნელა გააგრძელა - კვლავ კბილებ-  
ში მიიღო, დაჯდა - კბილებში მიიღო, წყალი დალია - კბილებ-  
ში უთავაზეს. შავს მაგარი კბილები აქვს, მაგრამ ბოლოს მა-  
გარი კბილების პატრონს მობეზრდება ასეთ როლში ყოფნა.  
ახლა სამყარო შეიცვალა, ამიტომ ემიგრანტი ზის და შიშით  
აკანკალებს. მისი დაპლომბილი კბილები ამდენს ვერ გაუძლებს.

### სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკში

ამ ქვეყანაში ადგილი აქვს აპარტეიდს - დოქტრინას,  
რომელმაც ყველაზე ბნელი ადამიანური ინსტინქტი - რასო-  
ბრივი ზიზღი და სიძულვილი - პრინციპის, კანონისა და რწმე-  
ნის დონემდე აიყვანა. აფრიკანელთა ენაზე „აპარტეიდი“ ნიშ-

ნავს „სეგრეგაციას“, „სეპარაციას“. მაგრამ ესაა სეპარაცია ღომინაციის, სხვაზე გაბატონების, სხვისი ჩაგვრის სახელით.

აპარტიდს ორი ვერსია აქვს - პოპულარული და „მეცნიერული“. ყოველდღიურ, პოპულარულ ენაზე „აპარტიდის“ ფილოსოფია იმას ამბობს, რომ ყოველი არათეთრკანიანი ადამიანი - „ადამიანი არაა“. ესპანელი დამპყრობლები მადრიდში გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში წერდნენ: „ამ კუნძულზე ცხოვრობს: საქონელი, ადგილობრივი მკვიდრნი და ასევე ადამიანები“. ასეთი აზრი დღემდეა შემორჩენილი არამხოლოდ სამხრეთ აფრიკაში, არამედ ამ კონტინენტზე დასახლებულ მიუღ თეთრკანიან მოსახლეობაში. და არა მხოლოდ თეთრკანიანებში. ნაირობში ინდოელი სხვაგვარად არ მოიხსენიებს აფრიკელს, თუ არა როგორც „მავ მიამუნს“, თუნდაც რომ ეს აფრიკელი უნივერსიტეტის პროფესორი იყოს, ხოლო ეს ინდოელი - მეეზოვე.

„მეცნიერული“ ვერსია აფრიკელს მიუღ მსოფლიოს შემდეგნაირად წარუდგენს: თეთრი და არათეთრი ორი სხვადასხვა რასაა, რომელთა თანაცხოვრება ერთ სახელმწიფოში ყოველთვის ხიფათის შემცველია: თეთრებისათვის ხელისუფლების დაკარგვის, ხოლო ფერადკანიანებისათვის - უსამართლობის. ერთი მხრივ, თეთრკანიანები არ დათანხმდებიან ფერადკანიანისათვის პოლიტიკური უფლებების მიცემაზე, რადგან ამის გამო დასავლეთის ცივილიზაციას საფრთხე დაემუქრებოდა, აფრიკელთა მხრიდან მისი გადაყლაპვის საშიშროება შეიქმნებოდა. მეორე მხრივ, რადგანაც აფრიკელები თეთრკანიანთა ფაბრიკებში მუშაობენ, უსამართლობა იქნებოდა მისთვის სამოქალაქო უფლებებზე უარი ეთქვათ. ამასთან, ფერადკანიანისა, ისევე, როგორც თეთრკანიანს, აქვს თავისი კულტურის და ენის განვითარების უფლება. თუ აფრიკელს ვაქცევთ ევროპული ქვეყნის მოქალაქედ (ხოლო ასეთ სახელმწიფოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მიიჩნეოდა), ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტი აფრიკელი ყოფილიყო, ის ევროპელის იმიტაციად იქცეოდა. ევროპულ სახელმწიფოში აფრიკელს შეუძლებელია ჰქონდეს თეთრ-

კანიანთან შედარებით თანაბარი უფლებები, რათა შეძლოს სახელმწიფოს მართვა, რაც დასაშვებია მის აფრიკულ ქვეყანაში. ამიტომ აფრიკელს უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი ქვეყანა (კომელანდი), ტერიტორიით, რომელსაც ის თავისად მიიჩნევდა, რომელშიც ის უმაღლეს პოზიციას მიაღწევდა, რისი უნარიც მას ექნებოდა. ზუსტად ასეთ მშობლიურ მიწას აფრიკელისთვის ევროპულ სახელმწიფოში წარმოადგენს არსებული რეზერვატები, რომელსაც ამასთან, უნდა შეეცვალოს სახელი. თუ აფრიკელი დატოვებს რეზერვატს და ევროპელის საწარმოში სამუშაოდ მივა, მას, როგორც დროებით მუშას, რომელსაც არც მოქალაქეობა გააჩნია და არც პოლიტიკური უფლება, ისე მოეპყრობიან. მან ეს კარგად უნდა გაიგოს და დაიხსომოს და ევროპულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა დაბრუნდეს თავის რეზერვატში. უნდა ამაღლდეს რეზერვატების დონე და გვახსოვდეს, რომ დიდი ხნის განმავლობაში მას უნდა მართავდეს თეთრკანიანი, რადგან აფრიკელს ჯერ არ მიუღწევია განვითარების იმ დონისათვის, რომ მას დამოუკიდებლად უხელმძღვანელოს.

აფრიკაში დასახლებულ თეთრკანიანებს თავიდან პიონერებს უწოდებდნენ, შემდეგ ბურებს, რაც გლეხს ნიშნავს, ხოლო ბოლოს, აფრიკანერებს. ამჟამად ძირითადად ეს უკანასკნელი სახელწოდება გამოიყენება. აფრიკანერი მართალია თეთრკანიანი ადამიანია, მაგრამ თავს ევროპელადაც არ მიიჩნევს. პირიქით, ის ქედმაღლურადაც კი უყურებს ევროპელს, მის ნაცვლად სცხვენია კიდევ, რამეთუ მის წარმოდგენაში ევროპელი თეთრი რასის მაკომპრომეტირებელი, მისი სუსტი, გადაგვარებული ნაწილია. აფრიკანერის რწმენით, ევროპელი ლიბერალი, თეთრი რასის შემარცხველი, დემორალიზებული, შავკანიანზე უფრო უღირსია. მას კვირა დღით რესტორანსა და კინოში შეუძლია წავიდეს და რაც კიდევ უფრო უარესია, ევროპელთა ნაწილი კომუნისტია. ფანატიური აფრიკანერთათვის მიმართვა „შე ევროპელო!“ (ჯოუ ეუროპეენ), იგივეა, რაც „შე უშნო!“. აფრიკანერმა შესაძლოა რომელიმე ევროპული ენა იცოდეს, მა-

გრამ მასზე ლაპარაკისაგან თავს შეიკავებს. სასამართლოში მოსამართლის ინგლისურ ენაზე შეკითხვისას, ის მოერიდება ამავე ენაზე პასუხის გაცემას და მხოლოდ თავის ენაზე - აფრიკანერზე (აფრიკანს-ზე) უპასუხებს. პასუხი რომ ინგლისურ ენაზე გაეცა, სხვა აფრიკანერები მას მოღალატედ გამოაცხადებდნენ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თეთრკანიანთა რაოდენობამ 1960 წელს 3,1 მილიონი შეადგინა, საიდანაც აფრიკანერი 1,8 მილიონი, ანუ 58 პროცენტი იყო. ამ დროს რესპუბლიკის მოსახლეობა 15,8 მილიონს ითვლიდა. ეს ნიშნავდა, რომ აფრიკანერები შეადგენდნენ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის არაუმეტეს 12 პროცენტისა. მიუხედავად არც თუ ისე დიდი რიცხოვნობისა, უნდა ვაღიაროთ, რომ აფრიკანერები ყოველგვარი ეჭვგარეშე ვერია. მათ აქვთ საერთო ენა, აერთიანებთ საერთო ისტორია და კულტურა, ცხოვრობენ ერთ ტერიტორიაზე და განსხვავებულ რელიგიასაც კი ქადაგებენ. აფრიკანერები აფრიკის საზოგადოებრივი და ეთნიკური ფენომენია.

აფრიკანერები ევროპული წარმოშობის ოთხი ერიდან ერთ-ერთია, რომლებიც ევროპის ტერიტორიის გარეთ დასახლდნენ, ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმი იბადებოდა, ფრთებს შლიდა და ახალ-ახალ ტერიტორიებს და ქვეყნებს იპყრობდა. სხვა დანარჩენი სამი - ამერიკის, კანადის და ავსტრალიის ვერია. ამ ოთხი ერის ისტორიული ეთნოგენეზისი მსგავსია, ხოლო აწყმო - განსხვავებული. ამერიკელები, კანადელები და ავსტრალიელები ბრიტანული ფესვებიდან მოდიან, ხოლო აფრიკანერები - ჰოლანდიურიდან. მაგრამ მათ შორის მთავარი განსხვავება მაინც სხვა რაღაცაშია: აშშ, კანადა და ავსტრალია თეთრკანიანი ადამიანების ქვეყნადაა აღიარებულია, და ეს ფაქტი არავის მიერ არ დამდგარა ეჭვქვეშ. არავის არ მოუთხოვია ხელისუფლება აშშ-ში ამ ტერიტორიების ისტორიულ მკვიდრთ - ინდიელებს გადაეცეთო. ასევე ავსტრალიასა და კანადაში „ადგილობრივ მკვიდრთა“ საკითხი არასოდეს არ ყოფილა აქტუალური, მწვავე პოლიტიკური პრობლემა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სრულიად სხვა მდგო-


მარეობაა. ის საზოგადოების ნაწილის თვალში მიჩნეულია, როგორც აფრიკელთა, ხოლო სხვა ნაწილის თვალში - როგორც თეთრკანიანთა ქვეყანა. არის ასევე საზოგადოების ნაწილი, რომელსაც ის შერეულ, როგორც თეთრების, ისე შავების, ეგრეთწოდებულ მრავალრასობრივ (მულტი-რაციალ) ქვეყნად მიაჩნია.

აფრიკანერებსა და მაგალითად, ამერიკელებს შორის განსხვავება იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ თეთრკანიანი ამერიკელები აშშ-ში გადამწყვეტ უმრავლესობას შეადგენენ, მაშინ, როდესაც თეთრკანიანი აფრიკანერები სარ-ში აშკარა უმცირესობაა. ისტორიული მიზეზი იმ გარემოებაში ძვეს, რომ ეს კოლონიზაციები: ამერიკულიცა და აფრიკულიც (რომლებიც დროში ერთმანეთს ემთხვეოდა და შინაარსობრივადაც იდენტურები იყო), სერიოზულად განსხვავდებოდა ექსპანსიის ძალითა და მანშტაბით და ასევე - რაც ძალზე მნიშვნელოვანია - წინ დახვედრილი წინააღმდეგობათა დონით.

### ალჟირში

კოლონიალიზმმა ისე დაამაზინჯა და შეცვალა ალჟირი, როგორც თითქმის არც ერთი აფრიკული სახელმწიფო. ამ საქმეში მთავარ როლს დამპყრობი ევროპელები ასრულებდნენ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ამ დეფორმაციის მთავარი მიზეზი არა მხოლოდ კოლონიური რეჟიმის ხანგრძლიობაშია საძიებელი, არამედ ასევე, - და იქნებ უფრო მეტადაც - აქ დასახლებულ ევროპელთა რაოდენობაში. ამ მხრივ კი ალჟირი მთელ კონტინენტზე მხოლოდ სამხრეთ აფრიკას ჩამორჩება. ამ ქვეყანაში დასახლებულ ევროპელთა რაოდენობა დაახლოებით 1,2 მილიონს შეადგენდა. ეს კი ევროპელთა ის რაოდენობაა, რამდენიც ერთად აღებული ყველა ევროპელი ტროპიკული აფრიკის ოცდაექვს ქვეყანაში. აქ დამკვიდრებულმა ევროპელებმა ალჟირის მოსახლეობის ერთ მეათედს გადააჭარბეს. მაგრამ არც ეს არის მთავარი. ალჟირის გეოგრაფიულ მდებარეობასაც დიდი მნიშ-

ენელობა აქვს. ყველა აფრიკულ კოლონიას შორის ალჟირი ყველაზე ახლოს იყო თავის მეტროპოლიასთან. დღეს ალჟირიდან პარიზამდე მანძილს თვითმფრინავი ორი საათში ფარავს. ეს დრო მხოლოდ კომუნიკაციური ხასიათის ფაქტი როდია, არამედ საფრანგეთსა და ალჟირს შორის კავშირის სიმბოლო, ის ქსელი, რომელსაც ფრანგები მთელი 132 წლის განმავლობაში ხლართუდნენ და რომლის მოშლაც ვერც გამათავისუფლებელმა ომებმა და ვერც სუვერენიტეტმა ვერ შეძლო. უფრო მეტიც: ალჟირი დღეს ის ქვეყანაა, რომელიც ყველაზე მეტადაა დაკავშირებული (და არამხოლოდ ეკონომიკურად) ყოფილ მეტროპოლიასთან, ვიდრე რომელიმე სხვა აფრიკის სახელმწიფო.



აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის შედეგად, ფრანგებმა ისე ამოუყვანეს ყელში თავიანთი იქ ყოფნა ალჟირელებს, რომ როდესაც ისინი ამ ქვეყანაში დამკვიდრებას ზეიმობდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა ამას ტრაგედიადა აღითქვამდა. კერძოდ, როდესაც 1930 წელს ფრანგები ალჟირში დამკვიდრების

100 წლისთავს აღნიშნავენ, ამ დროს მუსლიმანურ წრეებში ხშირად გაიგონებდით: „ახლა ფრანგები ფრანგული ალჟირის 100 წლისთავს ზეიმობენ. შემდგომში ასეთი თარიღის აღნიშვნას ისინი ვერ მოესწრებიან“ (OLIVIER TODD, Albert Camus, ბიოგრაფია, 2009, გვ 46),

კოლონიური წარსული ალჟირის რეალური ცხოვრების ყოველ სფეროში იგრძნობა. კოლონიალიზმის არსი ისაა, რომ დამპყრობი კოლონიაში ყველგან უფსკრულსა ჰქმნის: ეკონომიკაში, ზოგადად საზოგადოებაში, მისი ფენებად დაყოფის სახით, ადამიანების მენტალობაში. როგორც ალბერტ კამიუს შესახებ დაწერილი წიგნის ავტორი ოლივერ ტოდი წერს (როგორც ცნობილია, დიდი ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ალბერტ კამიუ ალჟირში დაიბადა და გაიზარდა), ფრანგის აზრით, ალჟირელი მუსულმანი მხოლოდ მაშინ გახდებოდა ნამდვილი ადამიანი, როდესაც ის ფრანგად გადაიქცეოდა. კოლონიური ქვეყნისათვის დამახასიათებელია სურათი, რომელზეც ვხედავთ თანამედროვე, ავტომატიზირებულ სისტემაზე დაფუძნებულ ფაბრიკას, რომლის კედლებს იქით იწყება გლეხთა ქოხები, თავიანთი შრომის იარაღით - თოხებით. „შეხედეთ, როგორი მაგისტრალეები ავაშენეთ“ - ამბობენ კოლონიზატორები. დიახ, ეს ასეა, მაგრამ ამ გზატკეცილების გასწვრივ არის სოფლები, რომლის მკვიდრნი ჯერაც არ გამოსულან პალეოლითის ხანიდან.

ზუსტად ასეთ სურათს წარმოადგენს ალჟირი.

საფრანგეთზე შეყვარებულთ აღაფრთოვანებთ ალჟირიც, ფრანგული გემოვნებით აშენებული ქალაქი, სადაც წმინდა წყლის არაბულ დასახლებასაც კი ძალზე ფრანგული ემზი აქვს. ეს არ არის აფრიკა, ეს ლიონია, მარსელია... მშვენივრად გაფორმებული მაღაზიები, საუკეთესო ფრანგული სამზარეულო. საფრანგეთში დამკვიდრებული ახალი მოდა აქ იმავე დღეს ხდება ცნობილი, ისევე, როგორც ფრანგული პრესა თუ პარიზული ჭორები.

მაგრამ ალჟირიდან, ამ აფრიკის პარიზიდან ორმოციოდე კილომეტრის დაშორებით, ქვის ხანა იწყება. მანქანით ნახევარი საათის სიარულის შემდეგ იგრძნობა და ჩანს, რომ კვლავ აფრიკაა. ალჟირიდან თექვსმეტი კილომეტრის იქით იწყება სოფლები, რომლის მცხოვრებლებს მეთუნის წრეზეც კი დღემდე არა აქვს წარმოდგენა. კაბილის ორიგინალური დოქები ხელითაა ნაკეთები. და კვლავ კონტრასტი: ამ პრიმიტიულ კაბილიაში, სადაც მიაჩნიათ, რომ ბავშვი არ უნდა გააბანო, რადგან დაავადდება და გარდაიცვლება, აქვთ საავადმყოფო, რომელშიც კრაკოველი ექიმი მსახურობს. მან მწერალს საოცარი რამ უთხრა: „ჩემო ბატონო, აქ ერთი ქირურგიული კაბინეტი ისეა აღჭურვილი, ადრე მე რომ არც დამეხსიზმრებოდა. იმასაც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი საოცარი ტექნიკა არსებობდა, არათუ მისი გამოყენება მეცოდინებოდა“.

ალჟირი წარმოუდგენელი კონტრასტების ქვეყანაა. იქ ხუთი საზოგადოებრივი ფორმაცია თანაარსებობს და მათი ურთიერთგადახლართვა საოცარ მოზაიკას ქმნის. მაგრამ ორი კონტრასტი მაინც თვალშისაცემია: დედაქალაქ ალჟირსა და დანარჩენ ქვეყანას შორის; ჩრდილოეთ ალჟირსა, რომელიც ხმელთაშუაზღვის აუზში მდებარეობს და შუა და სამხრეთ (საჰარის) ნაწილებს შორის. ამ ჩრდილო, ანუ უღვისპირა ნაწილს აქვს კარგი კლიმატი, რომელიც ადამიანისათვისაც სასარგებლოა და აგრარული სექტორისათვისაც. კოლონიზატორები ძირითადად ქვეყნის ამ ნაწილში ცხოვრობენ. აქაა უდიდესი პლანტაციები და აქვეა განვითარებული მრეწველობა. აქ მდებარეობს დიდი ქალაქები და ასევე ძალზე ლამაზი, რადგან ისინი ფრანგულია - დასახლებები. თვალს ახარებს მშვენიერი გზატკეცილები, სასტუმროები, ზუსტად ისეთები, როგორც ლაჟვარდოვან სანაპიროზე.

ალჟირში მოგზაურობა დროში მოგზაურობაა: ვუბრუნდებით გარდასულ ეპოქას, რომელიც აქ კვლავაც ცოცხალი და გაბატონებულია. ქვეყნის მთელი დანარჩენი ნაწილი გადახრუკული სტეპი ან საჰარის ქვიშაა. ალჟირის 90 პროცენტი - საჰარაა.

ალჟირის საპარა იმითაა ცნობილი, რომ იქ, რევანში ფრანგული ატომური ცენტრი, ნავთობის პირველი აუზი და მსოფლიოში უძველესი ფრესკა მდებარეობს. აქვე, საპარაში, ტასილიის დასახლებაში, ამ ბოლო დრომდე არსებობდა მონათა ბაზარი. ის ბენ ბელამ დახურა, მონებს მიწები და ის დაქტილის პალმის პლანტაციები დაურიგა, რომელსაც მანამდე მონათმფლობელები ფლობდნენ. დღეს ინსალაჰში მდებარეობს მსოფლიოში ერთადერთი დიქტატურა მონათმფლობელობისა, რომელსაც „პარატინი“ ეწოდება (ცხოველი ჯუნცხე). ამრიგად, ბენ ბელამ სპარტაკის ოცნება აღასრულა.

კოლონიალიზმი უფსკრულს აჩენს, რომელიც განსაკუთრებით ალჟირის საზოგადოებაშია გამოკვეთილი. კოლონიური პოლიტიკა ერთი მხრივ, ადგილობრივებიდან ქმნის „კულტურულ“, „მოხერხებულ“ ფენას, ხოლო მეორე მხრივ, მთელ დანარჩენ საზოგადოებას სიღარიბესა და სიბნელეში ტოვებს. აქამდე ერთიან საზოგადოებას გამოეყოფა მოხელეთა, მექანთა და ინტელიგენტთა არადემოკრატიული ფენა. ესენი ფრანგთა მიმბაძეულები არიან, მათ მსგავსად ცხოვრობენ და აზროვნებენ, მათი ცხოვრების ადგილი ფრანგული ყაიდის ქალაქი, ფრანგული ოფისი და კაფეა. ამ ფენაში შედიან ალჟირის საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლები - ანარქისტებიდან დაწყებული და კომუნისტებით დამთავრებული. მათ ერთმანეთთან არა პოლიტიკური შეხედულებები, არამედ ცხოვრების სტილი აკავშირებთ. სწორედ ამ საზოგადოებიდან გამოდის ალჟირის პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული აპარატის უმრავლესობა. მმართველ ელიტაში მოხვედრის მსურველმა ალჟირელმა აუცილებლად ფრანგული უნდა იცოდეს. ის მათ მართლაც ბრწყინვალედ იცინან. მათთვის გარდა ცხოვრების სტილისა, დამახასიათებელია ალჟირული საზოგადოებისაგან მოწვევაც. ერთადერთი, რასაც ეს ხალხი ნამდვილად არ აკეთებს, ისაა, რომ არც კი ცდილობს ამ ფენასა და დანარჩენ მოსახლეობას შორის უფსკრულის ამოუსებას. ისინი ამაზე არც ფიქრობენ. თუმცა ალჟირში ცხოვრობენ, მაგრამ ალჟირელ-

თა ხვედრს არ იზიარებენ, საკუთარ ქვეყანას არ იცნობენ. „გასაოცარია პირდაპირ, - უთხრა ერთმა ნაცნობმა კაპუშჩინსკის ალჟირში ყოფნისას - რომ ამ ადამიანებს, მთავრობიდან თუ პარტიიდან, წარმოდგენაც კი არ აქვს საკუთარ ხალხზე, ქვეყანას არ იცნობენ. საერთოდ არ იციან, თუ ქალაქს იქით რა ხდება. ბენ ბელა ცოტათი მაინც ინტერესდებოდა სოფლით, თუმცა არც მისთვის იყო ეს თემა მნიშვნელოვანი“. არადა, ალჟირის მოსახლეობის 80 პროცენტს გლეხები შეადგენენ.

ესეც ფრანგული ტრადიციის გაგლენაა, რომლისთვისაც უმთავრესი სასახლის ინტრიგებია. ალჟირის მთელი პოლიტიკა ამ სტილითაა გაჟღენთილი, ის ჭორებითაა სავსე. აქ ყველა იმაზეა დაყურადებული, თუ გუშინ რა თქვა ბუმასამ ან ხვალ მასასი რას იტყვის, დაიჭერენ თუ არა საიდ მუჰამედს ან მუჰამედ საიდს. ხოლო ის, რომ ქვეყანაში სამი მილიონი უმუშევარია, არავის ანაღვლებს. ბენ ბელა თითქოს შეეცადა ალჟირის პოლიტიკის ამ აუტანელი ინტრიგებისაგან გაწმენდას, მაგრამ ვერ შეძლო, იქნებ უფრო სწორედ - ვერ მოასწრო?!

ბენ ბელამ მოხელეთა ფენის მიმართ გამოუსწორებელი, შედეგების გათვალისწინებით, დამღუპველი შეცდომა ჩაიდინა: მან ამ ფენას ფრანგული, კოლონიური ხელფასების ბადე დაუტოვა. კაპუშჩინსკი წერს, რომ ალჟირის თაობაზე ათასობით გვერდი მაქვს წაკითხული, მაგრამ ამ თემაზე ორი სტრიქონიც კი არსად ამომიკითხავსო. არადა, ეს ხომ პრინციპული საკითხია. ესაა ფაქტი, რომელმაც ჯვარი დაუსვა სოციალიზმის მშენებლობას ალჟირში მანამდე, ვიდრე მის შესახებ რაიმე განაცხადს გააკეთებდნენ. რაშია საქმე? ალჟირის მთელი პარტიული და სამეურნეო ადმინისტრაცია, მაღალი და საშუალო ფენა 3000 ათას ადამიანს ითვლის. კოლონიურ პერიოდში (მაშინ მათი რაოდენობა ოდნავ ნაკლები იყო) თანამდებობებზე თითქმის მხოლოდ ფრანგები მუშაობდნენ. მათი ხელფასები ალჟირელებთან შედარებით ფანტასტიურად მაღალი იყო. და არა მხოლოდ აქაურებთან შედარებით. მათ

გაცილებით მაღალი ხელფასი ჰქონდათ, ვიდრე საფრანგეთში ანალოგიურ თანამდებობაზე მომუშავეს. როდესაც ფრანგების დიდმა ნაწილმა ალჟირი დატოვა. მათი თანამდებობა ალჟირელებმა დაიკავეს, რომელთაც იგივე ხელფასი დაუტოვეს. ამგვარად, უაღრესად მოკლე დროში, ერთი დეკრეტით, ქვეყანაში წარმოიქმნა ბიუროკრატიული ბურჟუაზიის ფენა. ამ ხალხმა იცის, რომ ყოველი სოციალისტური ინიციატივა ფინანსური სახსრების აკუმულაციას მოითხოვს, ხოლო მისი მოზიდვის წყარო კი შინაგანი რესურსებია. ეს საბოლოო ჯამში ბიუჯეტში გროვდება და ერთი მუხლით, - მოხელეთა ხელფასები - იხარჯება. ეს მუხლი კი ქვეყნის ბიუჯეტის ნახევარს „ჭამს“. ამიტომ ცხადია, რომ სოციალიზმის მშენებლობის ყოველგვარი ამბიციური პროგრამა უნდა დაიწყოს ხელფასების ამ კოლონიური სისტემის მოშლით, ანუ ბიუროკრატიისათვის მატერიალური პრივილეგიის წართმევით.

საფრანგეთმა ალჟირის ეროვნული მეურნეობა ტიპური კოლონიური, ჩამორჩენილი სახით დატოვა. ამ ქვეყნის ეკონომიკას უმთავრესად ის ახასიათებს, რომ ის საფრანგეთის სამეურნეო ორგანიზმის განუყრელ შემადგენელ ნაწილად იქცა. ის არ არის თვითკმარი.

ალჟირის ტერიტორია 2381,0 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ანუ დაახლოებით რვაჯერ და მეტად დიდია პოლონეთზე. აქ ცხოვრობს თორმეტი მილიონი ადამიანი (ამჟამად ალჟირში 38 087 812 ადამიანი ცხოვრობს. თითქმის იმდენი, რამდენიც პოლონეთში. მთარგ.), საიდანაც 15 პროცენტს ბერბერები - კაბილები და ტუერეგოვები წარმოადგენენ, დანარჩენები არაბები არიან.

ეკონომიკის საერთო განვითარების, ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის განთენილობის თვალსაზრისით, ალჟირი ორ უაღრესად გამოკვეთილ - (ადვილზე ეს შიშველი თვალითაც ჩანს) - ნაწილადაა დაყოფილი:

ჩრდილოეთის - ტერიტორიის 5 პროცენტი და ქვეყნის დანარჩენ ნაწილად.

ეს ხუთი პროცენტი წყვეტს ქვეყანაში ყველაფერს - სამეურნეო, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ საკითხებს. განსხვავება ჩრდილოეთ და დანარჩენ ალჟირს შორის გასაოცარია. თუ საშუალო ალჟირელის ხელფასს 100-ად მივიღებთ, მაშინ სამხრეთ ალჟირის მკვიდრის ხელფასი იქნება 30, ჩრდილოეთ ორანელია - 200, ხოლო ქალაქ ალჟირის მოსახლისა - 275.

ქვეყნის ჩრდილოეთ და შუა ნაწილში მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 5 კაცს ერთ კვადრატულ კილომეტრზე, მაშინ, როდესაც სამხრეთ ნაწილში 10 კვადრატულ კილომეტრზე ოდენ 3 ადამიანი მოდის.

ალჟირის მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელო სექტორია. მასში მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი (240 ათ. მუშაკამდე) დასაქმებული და ეროვნული შემოსავლის 20 პროცენტს აწარმოებს.

დანარჩენ შემოსავალს სოფლის მეურნეობა იძლევა, მოსახლეობის 70 პროცენტით.

ალჟირის ომი შვიდნახევარი წელიწადი გრძელდებოდა. ეს მოხდა ბოლო ოცწლეულში - ჩინეთის რევოლუციასა და ვიეტნამის ომთან ერთად და მსოფლიოში ყველაზე დიდ გამათავისუფლებელ ომს წარმოადგენს. ალჟირელმა ხალხმა ამ ომში გამირობისა და პატრიოტიზმის უჩვეულო მაგალითები უჩვენა.

ომი საფრანგეთის დამარცხებით დასრულდა.

მაგრამ ამ ომში ალჟირმაც დიდი საფასური გაიღო, რომელსაც დღემდე იხდის. მის მსვლელობაში ალჟირელთა ერთი მეათედი - მილიონ ადამიანზე მეტი დაიხოცა. ამ დახოცილ, დამწვარ, ბომბებისაგან დაგლეჯილ ადამიანებს ალჟირში ხუხადებს - წამებულებს უწოდებენ.

ფრანგებმა ალჟირს წარმოუდგენელი ზიანი მიაყენეს. მიწასთან გაასწორეს რვა ათას სოფელზე მეტი, გადაწვეს ათასობით ჰექტარი ტყე, რომელიც ალჟირის კვლ-მინდვრებს ეროზიისაგან იცავდა. ფრანგებმა იმდენი საქონელი დაუხოცეს ალჟირელებს, რამდენითაც ქვეყნის თითქმის ნახევარი მოსახლეობა ოჯახს არჩენდა (შვიდი მილიონი მსხვილფეხა პირუტყვიდან

მხოლოდ 3 მილიონი გადარჩა). ამ ომის მთავარი სიძიმე ფალახმა გადაიტანა.

ომი დიდი მიგრაციული პროცესების მიზეზიც გახდა. რამდენადაც განმათავისუფლებელი ბრძოლების იდეა ალჟირის საზოგადოების უმთავრეს შემაკავშირებელ ფაქტორად გვევლინებოდა, ამდენადვე მიგრაციულმა გადაადგილებებმა საზოგადოების დაყოფა-დაქუცმაცებას შეუწყო ხელი. ორივე ეს პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა, რის გამოც ის ალჟირელის ცნობიერებაში განსაკუთრებით რთულად და მტკივნეულად აისახა.

სამი მილიონი ალჟირელი გახდა იძულებული აყრილიყო და ჩაკეტილ რეზერუარებში ან მიყრუებულ ადგილებში გადასახლებულიყო. 400 ათასზე მეტი ალჟირელი აღმოჩნდა ციხეში, 300 ათასი გაიქცა ტუნეზიასა და მაროკოში. იმაყდროულად მთელი ამ ომიანობის დროს გრძელდებოდა ხალხის მასობრივი გაქცევა სოფლიდან (რომელთაც განსაკუთრებით შეეხო რეპრესიები) - ქალაქში.

დღეს ალჟირელთა 30 პროცენტი ქალაქად ცხოვრობს, რაც არავითარი ეკონომიკური მიზეზებით არაა დასაბუთებული. ქალაქში დასახლებულთა უმეტესობა უმუშევარია, მაგრამ სოფელში არ უნდა დაბრუნება, ან არ შეუძლია, რადგან მათი სოფლები უკვე აღარ არსებობს.

მაგრამ ადამიანურ და მატერიალურ დანაკარგებთან ერთად ომის კვალი შემორჩენილია ასევე საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ეს არის ცოცხალი, დადებითიც და უარყოფითიც. დადებითი - რადგან ამ ომიდან ალჟირი დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ამაბიძიებით დატვირთული, როგორც ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური ქვეყანა, ისე გამოვიდა. უარყოფითი - რადგან ომის დროს ქვეყნის საზოგადოება დაიყო, ეს კი მის ერთსულოვნებას უშლის ხელს და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას დიდ ტვირთად აწევბა.

ეს საზოგადოება არასდროს ყოფილა ერთსახოვანი. მას ქმნიდა - და დღესაც ქმნის - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი,

რელიგიური სექტა, ტომობრივი, კლანობრივი და სხვა საზოგადოებრივი ფენა. ეს ძალზე მდიდარი და რთული მოზაიკაა. ომში რაღაც წესრიგი შეიტანა ამ სოციალურ ქაოსში. მან ალჟირელთა უმრავლესობა საერთო მიზნისაკენ მიმართულ ბრძოლებში ჩაითრია. მაგრამ მისი დასრულების შემდეგ ალჟირულ საზოგადოებაში კვლავ დეზინტეგრაციამ იჩინა თავი. კაბილების აჯანყება ამის მაგალითია. ალჟირის ხალხი ჯერაც ჩამოუყვალბებელია, ესაა ქურა, რომელშიც ყველაფერი განუწყვეტლოვ ერთმანეთში ირევა და ფორმას იცვლის.

ქვეყანაში პარტიზანები იბრძოდნენ. გამოთვლილია, რომ ამ ბრძოლებში 300 ათასზე მეტი ალჟირელი უშუალოდ მონაწილეობდა. განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი ამ დანაყოფებმა მიიღეს.

ამავდროულად ფრანგებმა ალჟირელთა ნაწილი თავიანთ არმიასა და ადმინისტრაციაში მიიზიდეს და აჯანყებულებს ამ კოლაბორაციონისტთა დახმარებით ებრძოდნენ. ქვეყნის მკვიდრთა ამგვარი დაყოფა ზოგჯერ ერთ სოფელში, ერთ ოჯახშიც კი ხდებოდა. („ტუჯაში - წერს ერთი პატარა ალჟირული ქალაქის შესახებ ჯულია როი თავის წიგნში ალჟირის ომის თაობაზე - ერთი ოჯახიც არაა, არ გაყოფილიყო და იძულებული არ გამხდარიყო მხარი დაეჭირა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალების, ისე ფრანგული არმიისათვის . . . ზოგიერთ ოჯახში ერთი მამაკაცი პარტიზანია, მეორე ფრანგული არმიის მებრძოლი . . . რატომ არიან ფრანგების სამსახურში? იმიტომ, რომ აქ იღებენ ლუკმა პურს და ჯამაგირს. მშვიდობის დამყარების შემდეგ თუ მოისპობა ამგვარი დაყოფა? არმია ამტკიცებს, რომ პირიქით, ის უფრო გამძაფრდება . . . როგორ არ გავიზიაროთ ეს შიში?! ტუჯაში ოცდაათი მამაკაცი მსახურობს ფრანგულ არმიაში და ყოველ საღამოს ხაფანგს უგებს თავის პარტიზან ძმებს“).

იმის ხსოვნა, თუ ვინ რას აკეთებდა ომის დროს, დღევანდელ ალჟირში ცოცხლობს. შესაბამისად ბარიკადებს აქვთ და იქით აღმოჩენილ ადამიანებს შორის ურთიერთობაც შემორ-

ჩენილია. საქმე იმაშია, რომ ამ კოლაბორაციონისტთა რიგებიდან იწვევენ ალჟირულ სპეციალისტთა კადრებს, რამეთუ მხოლოდ მათ გააჩნიათ კვალიფიკაციის ამაღლების თავისუფლება. დღეს ალჟირის ადმინისტრაციის ძირითად კადრს სწორედ ისინი შეადგენენ და ბევრი მათგანი წყნარ, თუმცა სისტემატიურ საბოტაჟს მიმართავენ. მთავრობა იძულებული გახდა ისინი კვლავ არმიაშიც კი დაებრუნებინა. ეს მოხდა მაროკოსთან კონფლიქტის დროს, რომელიც ალჟირმა ზურგის სამსახურის სისუსტის გამო წააგო. მთავრობას აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეეძლო: საჭიროა კოლაბორაციონისტების, კარგი სპეციალისტების მოზიდვა. და ეს ასეც მოხდა.

ალჟირის საზოგადოებაში მესამე ჯგუფიც არსებობს: ემიგრანტები. ისინი, რომლებიც მთელი ომის დროს საფრანგეთის ციხეში იხსდნენ (ბენ ბელასავით), ან ისინი, რომლებიც მაროკოსა და ტუნისში ფორმირებულ ალჟირულ არმიაში მსახურობდნენ (როგორც ბუმედიენი).

პარტიზანებსა და ემიგრანტებს შორის კამათს ბოლო არ უჩანს; მას თაობათა ცვლაც კი ვერ ანელებს.

საქმე იმაშია, რომ ალჟირმა იმ დროს მოიპოვა დამოუკიდებლობა, როდესაც პარტიზანული მოძრაობა უკვე წელში იყო გადატეხილი. სისხლისაგან დაცლილი პარტიზანები ქვეყნის სიღრმეში, ყველაზე უფრო უკაცრიელ, დაუსახლებელ ადგილებში გაიფანტნენ.

და ამ დროს ალჟირის საზღვრებთან, ტუნეზიასა და მაროკოში იდგა მშვენივრად აღჭურვილი, კარგად ორგანიზებული და გამოკვებილი ალჟირის ახალგაზრდა არმია.

პარტიზანების მიერ ხელისუფლების აღებისაკენ გადადგმული პირველივე ნაბიჯის პასუხად ეს კბილებამდე შეიარაღებული არმია ალჟირში შევიდა და თავისი წესრიგი დაამყარა.

ამ დროიდან, ანუ 1962 წლიდან, ალჟირში ყველა საკითხს ეს არმია წვევტდა, წვევტს და ამ დომინაციას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნებს. ალჟირის მთელი საზოგადოებრივად აქტიური ნაწილი, ქვეყნის მთელი მმართველი ელიტა და

მთელი ადმინისტრაცია სამ ჯგუფად, სამ ფრაქციად და დაყოფილი: ემიგრანტებად, სამხედროებად და კოლაბორაციონისტებად.

ესაა ის ელემენტარული გასაღები, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკური პროცესის გაგების საშუალებას იძლევა.

აღბათ ცოტას თუ აქვს წარმოდგენა, თუ რა სახე აქვს აფრიკაში ჟურნალისტის მუშაობას. კაპუშინისკის აზრით, აფრიკაში მომუშავე რეპორტიორი უნდა იყოს მოწმე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა, რომელსაც კი ადგილი ექნება ოცდაათი მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობზე. ზუსტად ამდენს შეადგენს აფრიკის ფართობი. იმავედროულად უნდა იცოდეს, თუ რა ხდება კონტინენტის ორმოცდაათ სახელმწიფოში, რა ხდებოდა ადრე და რას შეიძლება ველოდეთ, უნდა იცნობდეს ორი ათასი აფრიკული ტომიდან ნახევარს მაინც, უნდა ფლობდეს ასობით ტექნიკურ დეტალს, კერძოდ: როგორ შეიძლება სწრაფად გადაფურნა რაბატუდან მომბასამდე, სად შეიძლება კომორაში შესასვლელად ვიზის მიღება, რომელი ქვეყანა მოითხოვს ქოლერის საწინააღმდეგო აცრას, რა ნომერი აქვს ტელექსს იაუნდეში, და გარდა ამისა, - უფრო სწორედ - არა გარდა ამისა, არამედ, ამის უწინარეს, - ის უნდა ფიქრობდეს, ფიქრობდეს და კიდევ ერთხელ, ფიქრობდეს. აუცილებელია ასევე ფსიქიკური გამძლეობა და ფიზიკური სიმდიერეც-რამეთუ, რა ყრია იმაში, რომ კორუსპონდენტი ფიქრობს, თუ რამდენიმე თვით ჰორიზონტიდან გაქრება ყოვლისმძლეველი, დამთრგუნველი სევდის მიზეზით და ერთ სიტყვასაც კი არ გადაგზავნის სააგენტოში მაშინ, როდესაც ქვეყანაში ასეთი სერიოზული ამბები ხდება?! ანდა საავადმყოფოში იქნება მაშინ, როდესაც ფრონტიდან ფრონტზე უნდა გადასულიყო, ანუ იმ ქვეყნიდან, სადაც უკვე დასრულდა სახელმწიფო გადატრიალება, იმ ქვეყანაში, სადაც ის მზადდება? ვერც ის გამოდგება კორუსპონდენტად, რომელსაც ბუზი ცეცესი, შავი კობრის, სპილოსი, კაციჭამიების, მდინარიდან თუ ნაკადულიდან წყლის და-

ლევის ემინია, ვისაც შემწვარი ჭიანჭველების ჭამაზე გული მისდის, ვისაც ამების ან კენერიული დაავადებით დასნეულებული მშეხედაც კი არ შეუძლია, იმის გაფიქრებაც კი აძინებს, რომ არ სცემონ ან არ დააყაჩაღონ, დოლარები არ წაართვან, ის დოლარები, რომლითაც სამშობლოში სახლის აშენებას აპირებდა, ვისაც არ შეუძლია აფრიკულ ქოხში დაძინება და ეზიზღება ისინი, ვის შესახებაც წერს.

სამოციანი წლების დასაწყისში აფრიკა ნამდვილად მიმზიდველი კონტინენტი იყო. კაპუშჩინსკის ამის თაობაზე მთელი ტომები აქვს დაწერილი („ვინაიდან ჯერაც არ დამვიწყებოდა, რომ პრესიის სააგენტოს კორესპონდენტს მოეთხოვება, წეროს და წეროს, შეუსვენებლივ, ამოუსუნთქავად, - წერს კაპუშჩინსკი - არ მინდა ვთქვა, რომ დაუფიქრებლად, თუმცა, ზოგჯერ ასეც ხდება, რადგან მას თხოვენ, რომ განუწყვეტლივ აგზავნოს ტექსტები ტელეგრამების, ტელექსების სახით, კომენტარები, რეპორტაჟები, საზოგადოებრივი აზრი, შეფასებები და ა. შ. რადგან, მხოლოდ მაშინ, როდესაც ცენტრალურ ოფისში მისი კორესპონდენციები დაგროვდება, შეაფასებენ მას დადებითად და იტყვიან: აი, ნამდვილად კარგი კორესპონდენტი“).

კაპუშჩინსკის მიერ გაგზავნილი ტელეგრამები, კომენტარები და ინფორმაციები რამდენიმე ტომს შეადგენდა, რომლებიც შემდეგ უკვალოდ გაქრა. კაპუშჩინსკის აზრით, რეპორტიორის შრომა ძალიან ჰგავს მცხობელის შრომას, - მის ფუნთუშებს მაშინ აქვთ გემო, როცა ახლადგამომცხვარია, ისინი ორი დღის შემდეგ ხმება, გაფა კვირა, ობი მოეკიდება, და მეტი რა გზაა, უნდა გადაყარო.

მცირე ხნის შემდეგ, რაც ყურნალისტმა ვარშავაში „ააღებული ბარიერები“ გააგზავნა, ლაგოსში მისი უფროსის - მიხეილ ჰოფმანის, რომელიც მაშინ პოლონეთის პრესის სააგენტოს დირექტორი იყო, ტელეგრამა მიიღო: „გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვათ ისეთ მოგზაურობებზე, რომლებიც შესაძლოა ტრაგიკულად დასრულდეს“. როგორც ჩანს, ეს „ერთხელ და სამუდამოდ“ იმიტომ იყო ტელეგრამაში ხაზგასმუ-

ლი, რომ კაპუშჩინსკის ზოგიერთი ადრინდელი მოგზაურობის თაობაზე ცნობამ შეფის ყურამდე მიაღწია; სააგენტოს უფროსობა გრძნობდა, რომ შესაძლოა ამ მოგზაურობის დროს რეპორტიორს სერიოზული მარცხი განეცადა. შეფი კაპუშჩინსკის მიმართ ლოიალური და დამთმენი იყო, ეგუებოდა მის ასეთ საქციელსა და ავადმყოფურ უდისციპლინობას. რეპორტიორის მხრიდან განსაკუთრებით უპასუხისმგებლობა ის იყო, რომ მოულოდნელად ვარშავასთან კავშირი შეწყვიტა, საქმის ყურში არ აყენებდა არაუის რისი გაკეთება ეწადა და უკვლოდ იკარგებოდა: მიდიოდა ჯუნგლებში, ნავით ნიგერში დაცურავდა ანდა ნომადებთან ერთად საჰარაში დაეხეტებოდა. მისმა ცენტრალურმა ოფისმა არ უწყოდა, რაში იყო საქმე, სადა იყო და როგორ უნდა მოექცენა. ისინი ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა საელჩოში აგზავნიდნენ ტელეგრამას. მაგალითად, ერთხელ, როდესაც რეპორტიორი ბამაკოში ჩავიდა, იქ პოლონეთის საელჩოში უთხრეს: „რა ხანია გექებენ“ და ტელეგრამა აჩვენეს: „თუ თქვენი დაფარვის ქვეყანაში რედაქტორი კაპუშჩინსკი გამოჩნდება, გთხოვთ საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით პოლონეთის პრესის სააგენტოს აცნობოთ“.

### ლათინურ ამერიკაში

კაპუშჩინსკი 1967 წლის შემოდგომას ხუთი წლით ლათინურ ამერიკაში წავიდა. პირველი ქალაქი იყო სანტიაგო დე ჩილე, საოცარი არქიტექტურული ქმნილება, ერთგვარი მინიატურა მანკეტენისა, რომელსაც გარს ესპანური არქიტექტურის სეცესიის პერიოდის ქვის სახლები აკრავს. ქალაქის უბნები თავისი კომფორტულობით გამოირჩევა. აქვე ნახავთ ხის ქოხების უამრავ დასახლებას, რომელთაც კალამპასს უწოდებენ. ამ ქოხებში პროლეტარები, ღარიბები და ასევე სხვადასხვა სახის ლუმპენები სახლობენ. მწერლის დაკვირვებით ჩილელები ძალზე წყნარი, მშვიდი და განაზებულებიც კი იყვნენ (ქალაქში

ბევრი კოსმეტიკური სალონია, სადაც ქალბატონები მამაკაცებს ჰელიკურსა და მანიკურს უკეთებენ), ვიდრე უეცრად, სალვადორ ალიენდეს სიკვდილის მეორე დღეს მრავალ მამაკაცმა მანიკიურის ქვეშ მგლის ბრჭყალები არ გამოაჩინა.

სანტიაგოში ჩასვლისთანავე კაპუშინსკიმ ბინების გამოქირავებულ სააგენტოს მიაკითხა, სადაც ქალაქის რუკა და მისამართების შესაბამისი სია მისცეს. ამ სიით ხელში მწერალმა დაიწყო მითითებული ბინების ძებნა და დათვალიერება. ამრიგად, ის აღმოჩნდა მისთვის სრულიად უცნობ სამეაროში. ამ ბინების შესაკუთრები იყვნენ ას წელს მიტანებული, ქულებსა და წინსაფრებში გამოწყობილი დედაბრები, ქვრივები და განქორწინებულები. ისინი მისალმების შემდეგ მწერალს აჩვენებდნენ ავეჯით გამოტენილ წარმოუდგენლად მოუწესრიგებელ ოთახებს, ხოლო შემდეგ მათ ფანტასტიურ ფასსა სდებდნენ. თან ხელში აჩქებდნენ დაუთარს, რომელიც გარდა კონტრაქტისა, ბინაში მდგარი ავეჯისა და სამშენენისების ჩამონათვალსაც შეიცავდა. ეს იყო სქელი, დიდი ტომი, რომელიც პარანოიული აზრით შეიძლება გამხდარიყო დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორ სიგიჟემდე შეუძლია მიიყვანოს ადამიანი სიხარბემ და სრულიად უსარგებლო ნივთების ქონის სურვილმა: დაუთარის გვერდებზე გრძელდებოდა ასობით, მეტიც: ათასობით უაზრო წერილმანის, ფიგურის, სამშენენისის, ჩარჩოებიანი სურათის, მინის გამოსახულების, ჭურჭლის, ქვების და ა. შ. დასახელება. ყველა ბინა გამოჭედული იყო ამ ყველაფრით. მწერალი ძალე იმასაც დააკვირდა, რომ ასეთ უბნებში არსებული მაღაზიების უმრავლესობა თითქმის მხოლოდ აღნიშნული ნივთებით ვაჭრობდა, სწორედ მათი რეალიზაციით იღებდა შემოსავალს.

აფრიკელებთან გატარებული წლების შემდეგ, რომელთა (აბსოლუტური უმრავლესობის) ერთადერთ საკუთრებას ხის თოხი შეადგენდა, ხოლო ძირითად საკვებს ხეზე მოწყვეტილი ბანანი იყო, ნივთების ეს აბსურდული ზღვა, რომელთაც კაპუშინსკი ხედავდა ყოველი ასეთი ბინის კარის შეღებისას, მასში დიდი უსიამოვნების შეგრძნებას იწვევდა. მწერალს გარკვეულ

შედავთს იმის გაფიქრება აძლევდა, რომ ეს იყო ყალბი შესასვლელი იმ სამყაროში, რომელიც სხვაგვარად უნდა გამოიყურებოდეს.

სინამდვილეში ამ დედაბერთა ბინები მხოლოდ იმის ავადყოფური და უგემოვნო გადაგვარების მანიფესტაცია იყო, რაც ლათინური ამერიკის გასაღებია - ხოლო ეს იქ საყოველთაოდ გაბატონებული ბაროკოა. ბაროკო არა მხოლოდ როგორც სტილი შექმნისა და აზროვნებისა, არამედ, ასევე ზოგადად უგემოვნება და ეკლექტიზმი. აქ ყველაფერი დიდია და გადაჭარბებულ ზომებს იღებს, ყველაფერს სურს ადამიანს თვალში ეცეს, დაგეთრუნოს და შოკი მოგვაროს, ისე, თითქოს სუსტი მხედველობა, სუსტი სმენა, სუსტი ყნოსვა გვქონოდეს და მას, რასაც ზომიერი და მორიდებული ფორმები ექნებოდა, უბრალოდ ვერ შევამჩნევდით. აქ თუ ჯუნგლია, უდიდესია (ამაზონის), თუ მთები, ისინიც გიგანტური (ანდეზები), თუ ვაკე, ესეც უბადლოა (პამპა). ხალხიც ყველა სახისა დ ფერის კანისაა, რაც კი დედამიწაზე არსებობს - თეთრკანიანი, შავკანიანი, ყვითელი, მეტისი, მულატი... ვისი კულტურა გინდა, რომ აქ არ შეხვდე - ინდიელთა, ანგლოსაქსთა, ესპანელთა, ფრანგთა, იტალიელთა, აფრიკელთა. ინდოელთა, აქ არსებობს ყველა შესაძლო თუ შეუძლებელი იდეური მიმართულება და პოლიტიკური პარტია. წარმოუდგენელი სიმდიდრეც და უკიდურესი სიღარიბეც. ბაზრები, იარმარკები, გამოფენები და დახლები დახუნძლულია, დატვირთულია ხილითა და ბოსტნეულით, ყვავილებითა და სუნელებით და ყველაფერი ეს ამოდის მიწიდან, ქვიშიდან, სილიდან, კლდეებიდან, მრავლდება, იზრდება. შეუძლებელია ამ სამყაროში გულგრილი და მშვიდი დარჩე. და ამ ყოველივეს წინაშე ადამიანი ისე უსუსურად და უმწყოდ გამოიყურება, როგორც დიეგო რივერის ფრესკების ცქერისას ან ლეზამ ლიმის პროზის კითხვისას. აქ რეალობა ფანტაზიასთან, სინამდვილე - მითთან, რეალიზმი - რიტორიკასთანაა შერეული.

კაპუშინისკი ძალზე მხატვრულად აღწერს ბოლივიის არმიის სერჟანტის, ჩე გევარას დამხვრეტის -- მარიო ტერ-

ანას ისტორიას. ამ ამბიდან უკვე მეორე დღეს, ის ისეთ შიშში ჩავარდა, ისეთმა განგაშმა აიტანა, რომ არც ბრძანებაზე რეაგირებდა და აღარც კითხვებზე იძლეოდა პასუხებს. სამხედრო სამსახურიდან გაანთავისუფლეს. გარეგნობის შესაცვლელად მან შავი სათვალეების ხმარება დაიწყო. შემდეგ მისიცი შეეშინდა, რადგან ფიქრობდა, რომ ჩე გევარას სიკვდილის გამო შურისმაძიებელთათვის სათვალეები მისი კარგი ამოსაცნობი ნიშანი გახდებოდა. ბოლოს ტერანა ბინაში ჩაიკეტა და დიდხანს იქიდან არ გამოდიოდა. მალე იქ ყოფნამაც დააშინა: ფიქრობდა, რომ აქ მისი მღევარი პარტიზანები, როგორც ხაფანგში, ისე მოიმწყვედენენ. უაღრესად ერიდებოდა რაიმეს დალევას, ფიქრობდა, რომ ნებისმიერ სასმელში მისთვის საწამლავი შეეძლოთ ჩაეყარათ. ბინიდან გამოვიდა და ორი დღის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაქებტებოდა. მეორე დღეს, საღამოთი ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა.

მკითხველის თვალიდან არ ამოვა მწერლის მიერ მექსიკაში, ოახაცას ჩრდილოეთით, დასახლება ქუეთზალტეპედის ბაზრის აღწერა. აქ დილაადრიან მთის ფერდობებზე მცხოვრები მიქსესის ტომის ინდიელები მოდიან. საქონელი გასაყიდად ზოგ მათგანს მხრებზე დადებული, ზოგს - კალათაში ჩაწყობილი, ზოგსაც - ფუთასავით გამოკრული მოაქვს. ბაზარში ისინი ამ ყველაფერს ფართოდ გატოტილი აკაციის ჩრდილში, მიწაზე აწყობენ. ეს მდუმარე ბაზარია, არავინ აქებს თავის საქონელს, ყიდვა-გაყიდვაც ჩუმად სრულდება. როგორც გამყიდველი მყიდველის მიმართ, ისე - პირიქით, სრულიად გულგრილია. შუადღისას ძალზე ჩამოცხება, ვაჭრობა ნელდება და ყველა ბაზრის ახლო-მახლო მდებარე ინდიელთა ბარებისაკენ (პუესტოს დე მეხცაღ) მიემართობა. ვაჭრობა სრულდება ბაზრობაში მოსული ყველა ინდიელის დათრობით, რის შემდეგაც გაბრუნებული მამაკაცები, ქალები და ბავშვები თავიანთ სოფლებში ბრუნდებიან, ბარბაცობენ. ერთმანეთს ეხლებიან, ეცემიან ქვიშასა და ქვებში, დგებიან და სახლებში უფულოდ, უწინდებურა ღატაკები ბრუნდებიან.

ლათინურ ამერიკული შთაბეჭდილებები კაპუშინსკიმ წიგნში: „ქრისტე, მხარზე ავტომატით“ განაზოგადა. ნაწარმოები ძირითადად სახელგანთქმულ რევოლუციონერ, არგენტინელ ჩე გევარას ეხება. უფრო ზუსტად, ესაა წიგნი პარტიზანულ მოძრაობაზე, რომელსაც ლათინურ ამერიკაში ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 60-იან წლებში და რომლის უმთავრესი გმირიც ჩე გევარა იყო. კაპუშინსკი ახლოს იცნობდა რევოლუციონერთა უმრავლესობას და ამდენად ამ რევოლუციური მოძრაობის მიხეული აღწერა მეტად ხატოვანი და ცხოველი გამოვიდა.

როგორც ცნობილია, ერნესტო ჩე გევარა 1966 წლის შემოდგომით, ბიზნესმენივით ჩაცმულ-დაზურული ჩავიდა ბოლივიაში, რათა იქ პარტიზანული ბრძოლები დაეწყო. ამ დროს ის უკვე როგორც პენტაგონისათვის, ისე კრემლისათვის ზედმეტ თავის ტკივილად გადაქცეულიყო. მან რამდენიმე ათეული ადამიანისაგან, რომელთა შორისაც მსგავსი ბრძოლის გამოცდილება მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა - პარტიზანული რაზმი შექმნა. ჩე გევარას იმედი ჰქონდა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა ფართო მასშტაბებს მიიღებდა და წარმატებას მოიტანდა ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც იარაღის ძალით იმორჩილებდა ინდიელ მოსახლეობას და სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა მას. მართლაც, ქვეყანაში საკმარისზე მეტი სოციალური ფონი იყო შექმნილი ასეთი ბრძოლების გასაშლელად. ბოლივიელი მემალაროელის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ოცდაათ წელს არ აღემატებოდა. ქვეყანას კორუპცია სწამდა, ხშირი იყო სახელმწიფო გადატრიალებები, რომელსაც ვაშინგტონის ხელშეწყობა ჰქონდა, რადგან ამ უკანასკნელის მიზანს ბოლივიის ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში შენარჩუნება სურდა.

რაც შეეხება თავად ჩე გევარას, კაპუშინსკი მის შესახებ წერს, რომ ბოლო ექვსი თვე უაზრო, უიმედო ბრძოლაში გაატარაო. მან იცოდა, რომ გადარჩენა შეუძლო, თუკი იარაღს დაყრიდა, მაგრამ მას ამაზე ფიქრიც კი არ უნდოდა, პირიქით მიდ-

იოდა წინ, ეცემოდა, დგებოდა და კვლავაც წინსვლას აგრძელებდა...

ჩე გვერა ტყვედ ბარძაყში დაჭრილი, გამოფიტული და აუადმყოფი ჩავარდა. ჭრილობა საშიში არ იყო. ლა პასში გენერალურ შტაბში შეკრებილმა პრეზიდენტმა, პოლკოვნიკმა რენე ბარიენტოსმა და გენერლებმა გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული პიროვნების სასამართლო პროცესი მათთვის სასარგებლო არ იქნებოდა. სასამართლოს ჩე გერავა ტრიბუნად გამოიყენებდა, დაახლოებით ისე, როგორც სამხრეთ აფრიკის პირველმა შაკანიანმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ. ამიტომ ტყვეს მოკვლა, ხოლო მსოფლიო საზოგადოებისათვის იმის შეტყობინება გადაწყვიტეს, რომ ჭრილობის გამო გარდაიცვალა.

სიცხიანი ჩე გვერა სოფელ პიგუერას სკოლის შენობაში იწვა. შეერთებულ შტატებში მომზადებულმა პოლკოვნიკმა ანდრეს სელნიხმა, რომელიც ჩე გვერას რაზმთან უკანასკნელ ბრძოლას მეთაურობდა, თავის ქვეშევრდომ ოფიცერ მარიო ტერანოს ტყვის მოკვლა უბრძანა, თანაც ისე, რომ მისთვის არც თავში და არც მკერდის არეში ტყვია არ მოეხვედრებინა. მას ჩე გვერასათვის ისეთი ჭრილობა უნდა მიეყენებინა, რომელიც მყისიერ სიკვდილს არ გამოიწვევდა. ამ ფაქტით ოფიციალურ ხელისუფლებას ჩე გვერას სიკვდილზე თავისი განცხადება უნდა გაემყარებინა. ასეთ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ჩე გვერას ჭრილობის გამო გარდაცვალება.

ჩე გვერას სიკვდილის დასჯის თაობაზე ცნობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ერთის მიხედვით, ჩე გვერა უყურებდა რა, თუ მთვრალ ოფიცერს როგორ უძძიმდა მისთვის სროლა, უთხრა: „მესროლე, ნუ გეშინია. ადამიანის მოკვლა ძნელი არაა“. თუმცა ერთი რამ უტყუარი ფაქტია: დაჭრილ ჩე გვერას სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს და ის ოცი საათის განმავლობაში ტკივილებისაგან გატანჯული, მოკვლეს.

ლათინური ამერიკისადმი მიძღვნილ წიგნში კაპუშინსკი გვაცნობს ასევე ჩე გვერას თანამებრძოლთა ბედს მათი ბელა-

დის მოკვლის შემდეგ. „ჩვენ სამოცდათხუთმეტი ვიყავით, რვა გადაურჩით, ჯარმა ორმოცდათხუთმეტი დახვრიტა, თორმეტი მოკვდა, - მე გუელერმო ველისი ვარ“ - ამბობს ჩე გევარას რაზმის ცოცხლად დარჩენილი მებრძოლი.

სხვათაშორის, კუბის დატოვებისას ჩეგევარა თითქმის დარწმუნებული იყო თავისი ბრძოლის წარუმატებლობაში. თუმცა დამშვიდობების დროს ფიდელ კასტროსათვის უთქვამს: „ვილაცამ ხომ უნდა იკისროს ბოლივიის გამოღვიძება, ვილაცამ ხომ უნდა დაიწყოს!“ და ეს ვილაც თავად გახდა, ბოლივიელი გლეხების აჯანყებას შეეცადა. გლეხები არ გაჰყვნენ მას. ისინი ყოველ თუთრკანიანში მტარვალს, ექსპლოატატორს ხედავდნენ და არ ენდობოდნენ. მიუხედავად ამისა, ჩე გევარა დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ დაწყებული საქმე თავის ნაყოფს 15-20 წლის შემდეგ აუცილებლად გამოიღებდა.

კაპუშინისკი ძალზე დაინტერესებული იყო ჩე გევარას პიროვნებით. ის რამდენჯერმე ჩავიდა ბოლივიაში და მის შესახებ ცნობები მოაგროვა. ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც კაპუშინისკიმ თარგმნა პოლონურ ენაზე, სწორედ ჩე გევარას „დღიური“ იყო. მწერალს სურდა ნაწარმოები პოლონეთში პოპულარული გამხდარიყო. მისი ვარაუდი გამართლდა, წიგნის მთელი ტირაჟი უმაღლესი გაიყიდა.

ეს ცოტა არ იყოს, პოლონურ სტილშია - ამბობდა კაპუშინისკი. - აჯანყება, პარტიზანი, ბელადი, რომელმაც წამოწყებული ამბოხება ბოლომდე ვერ მიიყვანა, თუმცა მზად იყო თავი დაედო ამ უიმედო ბრძოლაში, სხვისი თავისუფლებისათვის საკუთარი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე.

კაპუშინისკის აზრით, ჩეგევარას გამოსვლები არ იყო მიმართული მხოლოდ აშშ-ის ჰეგემონიის წინააღმდეგ ბოლივიაში. ეს იყო ამბოხი სხვა უფროსი ძმის წინააღმდეგაც, რომელიც თითქოს პროლეტარული ინტერნაციონალის მებაირახტრე იყო. მაგრამ მესამე სამყაროს ქვეყნებში საკუთარი ინტერესებისათვის უფრო იბრძოდა.

## საფეხბურთო ომი

ლათინურ ამერიკაშია შექმნილი ასევე „საფეხბურთო ომი“. მასში ძირითადად გადმოცემულია ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობის ისტორია. კერძოდ, აღწერილია ჰონდურასსა და სალვადორს შორის ომის გენეზისი და პერიპეტეები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ შორის ომი ფეხბურთის მატჩს მოჰყვა.

ჰონდურასსა და სალვადორს შორის ომი კაპუშინსკიმ კოლეგამ და მეგობარმა, ლუის სუარესმა იწინასწარმეტყველა. კაპუშინსკიმაც დაუჯერა, რადგან ის ლუისს ენდობოდა. ისიც რეპორტიორი იყო და მექსიკაში ერთად ცხოვრობდნენ. ლუისი ხშირად უყვებოდა კაპუშინსკის ლათინური ამერიკის შესახებ - რას წარმოადგენს, სად ძვეს მისი გაგების გასაღები და ა. შ. აქამდეც მისი მრავალი წინასწარმეტყველება ახდა. სუარესმა თავის დროზე განჭვრიტა ბრაზილიაში გოულარტას დაცემა, ასევე ბოსხის გადაყენება დომინიკანის რესპუბლიკაში, ხოლო იემენისა - ვენესუელაში. მას დიდი ხნით ადრე, პერონის დაბრუნებამდე სჯეროდა, რომ მოხუცი კაუდილიო კვლავ იქნებოდა არგენტინის პრეზიდენტი, მანვე განჭვრიტა ჰაიტის დიქტატორის - ფრანკ დუვალიერის სიკვდილი, რომელსაც ყველა დიდი ხნის სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდა. ლუისს ადვილად შეეძლო აქაური პოლიტიკის ლაბირინთებში გარკვევა და ტრიალი, რომელშიც მრავალი მასზე უფრო გამოცდილი პოლიტიკოსი ფეხს მოიტყებდა.

ამჯერად მან თავისი მოსაზრება გაზეთის წაკითხვის შემდეგ გამოთქვა, სადაც გაეცნო გაცხადებას, რომ სალვადორისა და ჰონდურასის ფეხბურთის ნაკრები გუნდები შეხვდებოდა. ორივე გუნდი იბრძოდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 1970 წელს მექსიკაში უნდა გამართულიყო.

პირველი მატჩი 1969 წლის 8 ივნისს ჰონდურასის დედაქალაქში, - ტეგუსიგალპაში გაიმართა. ამ მოვლენისათვის მსოფლიოში ყურადღება არავის მიუქცევია.

საღვადორის ნაკრები ტეგუსიგალპაში შაბათს ჩავიდა და სასტუმროში უძილო დამე გაატარა. ფეხბურთელებმა თვალ-იც ვერ მოხუჭეს, რადგან მთელი დამე ჰონდურასელი გულშემატკივრების ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცნენ. სასტუმროს უამრავმა ხალხმა შემოარტყა ალყა. ბრბო სასტუმროს ფანჯრებს ქეებს, ცარიელ ყუთებსა და კასრებს ესროდა, ჯოხს ურტყამდა. სულის გამყინავად აყვირებდნენ სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე განჩერებულ მანქანებს. გულშემატკივრები უსტვენდნენ, იგინებოდნენ, ყვიროდნენ და იმუქვებოდნენ, რაც მთელი დამის განმავლობაში გრძელდებოდა. და ეს ყველაფერი იმ მიზნით იმართებოდა, რომ სტუმრები დაღლილიყვნენ. ნერვები მოშლოდათ და მატჩი წაეგოთ. ეს ლათინურ ამერიკაში ბუნებრივია, რაც არავის აკვირვებს.

მართლაც მეორე დღეს ჰონდურასელმა ფეხბურთელებმა საღვადორის გამოუძინებელსა და ნერვებაფუტკნულ გუნდს 1:0 მოუგეს.

როდესაც ჰონდურასელმა თავდამსხმელმა რობერტო კარდონამ ბილო წუთში მოწინააღმდეგის კარში ბურთი შეაგდო, საღვადორში ტელევიზორის ეკრანთან მჯდარი 18 წლის გოგონა ამელია ბოლანიოსი სავარძლიდან წამოხტა, მამის საწერი მაგიდიდან რეკოლვერი ამოიღო და თავი მოიკლა. მეორე დღეს ამის თაობაზე საღვადორის გაზეთმა „ელ ნაციონალემ“ დაიბეჭდა: „გოგონას სიცოცხლის მოსწრაფების მიზეზი მისი სამშობლოს მუხლებზე დაჩოქება გახდა“. ამელიას დაკრძალვაზე, რომელიც ტელევიზიით გადაცემოდა, მთელმა დედაქალაქმა მიიღო მონაწილეობა. სამგლოვიარო პროცესიას წინ სამხედრო კოლონა დროშით მიუძღოდა. ასევე გაშლილი დროშით მიჰყვებოდა მიცვალებულის სასახლეს ქვეყნის პრეზიდენტი მინისტრთა თანხლებით. ოფიციალური დელეგაციის უკან მიდიოდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც იმავე დღეს, სტვენის, დამცინავე სიტყვების ყვირილით და ლანძღვით ტეგუსიგალპალის აეროპორტიდან გამოცილებული საგანგებო თვითმფრინავით სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ სალვადორის დედაქალაქის - სან სალვადორის სტადიონზე, რომელსაც ლამაზი სახელი „თეთრი ყვავილი“ ჰქვია, რევანშისტული ხასიათის ღონისძიება მოეწყო. ამჯერად ჰონდურასის გუნდის წევრებს ჰქონდათ უძილო ღამე: გაუქმებულმა გულშემატკივრებმა მათი სასტუმროს ყველა ფანჯარა ჩაამსხვრიეს, ხოლო ნომრებში ლაყვ კვერცხებს, გახრწნილ ვირთხებს და ათასგვარ ნაგავს ისროდნენ. ფეხბურთელები სტადიონამდე ჯავშნოსანი მანქანებით გადაიყვანეს, რამაც ისინი იმ აუარება შურისმაძიებლებისაგან იხსნა, რომლებიც მთელი გზის გაყოლებაზე იდგნენ უკვე ეროვნულ გმირად ქცეული ამელია ბოლანიუსის პორტრეტით.

მთელი სტადიონი ჯარით იყო გარშემორტყმული. თავად მოედანზეც ეროვნული გვარდიის უამრავი ჯარისკაცს მოეყარა თავი. მათ ავტომატები სასროლ მდგომარეობაში ეკავათ. ჰონდურასის ეროვნული პიშნის შესრულებისას სტადიონი გმინავდა და უსტვენდა. შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ჰონდურასის ეროვნული დროშა აღეშარათ, მასპინძლებმა ბედნიერებისაგან გიჟადქცეული გულშემატკივრის თვალწინ ანძაზე ჭუჭყიანი და დაჭმუჭნული ძონძი ასწიეს. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში ჰონდურასელ ფეხბურთელებს წესიერ თამაშზე არც კი უნდა ეოცნებათ. ისინი ოდენ იმასლა ფიქრობდნენ, რომ აქედან ცოცხლებს გაედწიათ. „რა ბედნიერებაა, რომ თამაში წავაგეთ“ - შვებით თქვა ჰონდურასის ნაკრების მწვრთნელმა, მარიო გრიფინიმ.

ეს მატჩი სალვადორმა 3:0 მოიგო.

ფეხბურთელები სტადიონიდან, იმავე ჯავშნოსანი მანქანებით, პირდაპირ აეროპორტში წაიყვანეს. კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩავარდნენ მათი გულშემატკივრები. ისინი ცეპითა და გინებით გაყარეს საზღვრისაკენ, ორი მათგანი შემოაკვდათ, რამდენიმე ათეულს კი საავადმყოფოში მოუწია დაწოლა. სტუმრების 150 მანქანა დაწვეს. რამდენიმე საათში ამ ორი ქვეყნის გამყოფი საზღვარი ჩაიკეტა.

აი, რა წაიკითხა ლუისმა გაზეთში, როდესაც თქვა, რომ ომი დაიწყებაო. ის ადრე კარგი რეპორტიორი იყო, კარგად იცნობდა თავის ქვეყანას და ასეთი რამეები არ ეშლებოდა.

ლათინურ ამერიკაში საზღვარი ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის ძალზე მყიფეა. გრძელია იმ მთაურობების სია, რომლებიც სამხედროებმა დაამხეს ან გადააყენეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა მატჩი წააგო, ხოლო შემდგომ ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებმაც თამაში წააგეს, სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადეს. როდესაც ბრაზილია მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, კაპუშინისკის კოლეგა - ბრაზილიელი, პოლიტიკური ემიგრანტი, სასწარკვეთილებაში ჩავარდა: „მემარჯვენე იდეოლოგიური ორიენტაციის სამხედროებს - თქვა მან - სულ მცირე ხუთი წელიწადი გარანტირებული აქვთ ხელისუფლებაში მშვიდად ყოფნა“. ჩემპიონატის მსვლელობისას ბრაზილიამ მოუგო ინგლისს. რიო დე ჟანეიროში გამომავალმა გაზეთმა „ჟოურნალ დოს სპორტეს“-მა წერილში „ქრისტე იცავს ბრაზილიას“ მატჩში გამარჯვების მიზეზი ასე ახსნა: „რამდენჯერაც ბურთი ჩვენი კარისაკენ წამოვიდა და გოლი თითქოს გარდუვალი იყო, იმდენჯერ იესო ქრისტემ ფეხი გამოყო და ბურთი აუტში გადააგდო“. წერილის ერთოდა ასევე სურათი, სადაც ეს ზებუნებრივი მოვლენა იყო გამოსახული.

ლათინურ ამერიკაში ვინც სტადიონზე მიდის, სიკვდილს ეთამაშება. აი, თუნდაც მექსიკასა და პერუს ნაკრებების პაექრობა გავიხსენოთ, რომელიც მექსიკის გამარჯვებით (2:1) დასრულდა. იმედგაცრუებული გულშემატკივარი გამომწვევი ხმით ყვირის: *¡Viva México!* მცირე ხნის შემდეგ მას ბრბოსაგან დამანინჯებულს, მკვდარს პოულობენ. ზოგჯერაც აღგზნებული ხალხი მოზღვავეებულ ემოციებს სრულიად სხვა სახით იმორებს თავიდან. მატჩის შემდეგ, რომელიც მექსიკამ ბელგიას 1:0 მოუგო, ბედნიერებისაგან მთვრალმა ავგუსტო მარიამამ - სამუდამო პატიმრობამისჯილთა ჩიპლანციგის (მექსიკა, გუერურო შტატი) ციხის უფროსმა, ყველა საკანი გახსნა და 142 სა-

შიში პატიმარი გარეთ გაუშვა. სასამართლოს მარიამა არ დაუსჯია და მისი საქციელი იმით გაამართლა, რომ „მისი ქმედება პატრიოტულმა მოტივებმა განაპირობეს“.

როგორც კაპუშინისკი იხსენებს, მოსაღამოვებულზე ქალაქის თავზე თვითმფრინავმა დაიწყო ტრიალი და ბომბები ჩამოყარა. ქალაქი განგაშმა მოიცვა. ხალხს სახლიდან გარეთ გამოსვლის ემინოდა, ვაჭრებმა მაღაზიები დაკეტეს. ქალაქის ქუჩებში მიტოვებული მანქანები დაგროვდა. ერთი ქალი ტროტუარზე დარბოდა და გამყინავი ხმით გაჰყვიროდა; ჩემი შვილი! ჩემი შვილი! შემდეგ გაქრა და ქუჩაში ისეთი სიჩუქე ჩამოვარდა, თითქოს ქალაქი უკვე აღარ არსებობდა. მალე შუქიც ჩაქრა და მთელი ტეგუსიგალპალი სიბნელეში ჩაიძირა.

მწერალი სასტუმროში წავიდა, საბეჭდ მანქანაში ქაღალდი ჩადო და ვარშავაში გასაგზავნი ტელეგრამის წერა დაიწყო. ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ ახლა იქ ერთადერთი უცხოელი კორესპოდენტი იყო, და შესაძლოა პირველიც, რომელიც მთელ მსოფლიოს სამხრეთ ამერიკაში ომის დაწყების თაობაზე ცნობას მიაწვდიდა.

მაგრამ ოთახში ბნელოდა და ვერაფერს ხედავდა. ხელის ცეცებით გავიდა გარეთ და რეგისტრატურაში ჩავიდა, სადაც სანთელი ათხოვეს. ოთახში დაბრუნდა და ტრანზისტორული რადიო ჩართო. დიქტორი სალვადორთან ომის დაწყების შესახებ ჰონდურასის მთავრობის განცხადებას კითხულობდა. შემდეგ გადმოსცა ცნობა იმის თაობაზე, რომ სალვადორის ჯარმა ჰონდურასს ფრონტის მთელ სიგრძეზე შეუტია.

ქუჩაში გავიდა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, მიხვდა, რომ დაიკარგე. საშინელ, გაუვალ წყველიაღში აღმოჩნდა, თითქოს შავი და სქელი მურიტ აგებოდა თვალები, ვერაფერს ვერ ხედავდა, წინ გაშკერილ ხელსაც კი. ცა სქელ და ასევე შავ ღრუბლებს დაეფარა, ერთი ვარსკვლავიც კი არ ჩანდა. მცირე შუქიც კი არსაიდან არა კრთოდა.

მარტო იყო სრულიად უცხო ქალაქში, რომელსაც უკვე ვეღარ ხედავდა, თითქოს მიწის ქვეშ გამქრალიყო. არსაიდან

არავითარი ხმა არ ისმოდა. მიდიოდა ასე, სახლების, მაღაზიების, ოფისების კედლებზე ხელის ცეცებით. როდესაც გააცნობიერა, რომ მისი ნაბიჯების ხმა მკვეთრად ისმოდა, ნაბიჯს შეუწელა. ფეხით ნიადაგი მოსინჯა. ასფალტი! ეს ნიშნავს, რომ ქუჩაზე გადასულიყო. ახლა არ იცოდა, საით იყო ფოსტა და საით - სასტუმრო, მაგრამ მაინც წინ მიიწევედა. ამ დროს გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა, იგრძნო, წონასწორობას კარგავდა და ტროტუარზე გაიშხლართა.

ეტყობა დაცემისას ლითონის სანაგვეე ყუთს დაეჯახა და გადააყირავა. ჩანს, ქუჩა დაქანებული იყო, რადგან ყუთმა კოტრიალი დაიწყო, ბრაზუნობდა და თან საშინელ ხმას გამოსცემდა. იმავე წამს მის ზემოთ, ყოველის მხრივ ფანჯრები გაიღო, საიდანაც ისტერიული და გამყინაუი წყრომის ხმა შემომესმა: - შილენციო! შილენციო! - ქალაქი, რომელსაც სურდა, რომ ამ ღამეს სამყაროს ის დაევიწყებინა, ცდილობდა რაც შეიძლება ღრმად ჩაძირულიყო სიწყნარესა და უკუნეთში, რათა თავისი არსებობის შესახებ არავითარი ნიშანი არ გამოემქვადებინა, ამ ხმაურის გაგებისას ფაღვზე დადგა. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიგორავდა ცარიელი ყუთი ქვევით და ქვევით, მწერლისგან უფრო და უფრო დაშორებით იხსნებოდა ფანჯრები, საიდანაც ხან ვედრების, ხანაც ნერვიული ხმები ისმოდა: შილენციო! შილენციო! მაგრამ ვინ და რა შეაჩერებდა ლითონის ურჩხულს, რომელიც გაუკაცრიელებულ ქუჩაზე თანდათან უმატებდა სისწრაფეს და შესაბამისად რაზრაზს, ეჯახებოდა სინათლის ბოძებს და საშინელ ხმებს გამოსცემდა. კაპუშინისკი როგორც იქნა ტროტუარზე აცოცდა და იქ გაშეშებული დაწვა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. შიმშა აიტანა, ახლა მის მხარეს არ დაქწყით სროლა. მან ხომ ქალაქის მიმართ დალატის აქტი ჩაიდინა. მტერს შეკვლო გაეგო ყუთის რახა-რუხი და დაედგინა ქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობა, რაც მანამდე, ასეთ სიჩუმესა და წყვდიადში, ძალიან გაუჭირდებოდა. გაიფიქრა, მხოლოდ ერთი გამოსაჯალი-ლა დამჩაო - გაქცევა და აქაურობის, რაც შეიძლება მალე დატოვება. სცადა კიდევ ამის გაკეთება. თავი საშინლად სტკიოდა, დაცემისას დაარტყა. თავს

ძალა დაატანა და გაქცევა დაიწყო, მაგრამ რაღაცას დაეტაკა და სახით ძირს დაეცა. ტუჩებსე სისხლი იგრძენო. წამოდგა და კედელს მიეყრდნო. ამ დროს ფანარის შუქი დაინახა და გაიფიქრა, რომ მომდკენო, რადგან სამხედრო ბრძანება, რომელიც ღამე ქუჩაში გამოსვლას კრძალავდა, დაარღვია. თუმცა, შეცდა, არაფერ არ მისდევდა, ირგვლივ უჩვეულო სიჩუქე და საშინელი წყვდიადი გამეფებულიყო. წინ გაშვებული ხელის ცეცებით გააგრძელა გზა, მიქეტიებოდა კედლების ლაბირინთებში, დასისხლიანებული, მტკერში ამოგანგულულ-დაჭმუჭვნილი კოსტუმით ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამასობაში წლები გავიდა და სამყაროს კიდეს მიადგა. მოულოდნელად ტროპიკულმა წვიმამ დასცხო. ამავე დროს იქაურობა ელვამ გაანათა. მისთვის უცნობ ქუჩაში იდგა, დაინახა ძველი ხის სახლი, ფანარი და კატის მზნინაფი თვალები. წუთიც და ეს ყველაფერი კვლავ წყვდიადმა მოიცვა, მხოლოდ წვიმის და ფამიდან ფაშე ქარის დაბერვის ხმა ისმოდა. იდგა შეციებული, სველი, აკანკალებული. კედელს გაყოლებით ჭიშკრის კარი მონახა და თავი შეაფარა.

ლათინური ამერიკის მკვიდრნი, რომელთაც აგენტებზე, დაზვერვაზე, კონსპირაციასა თუ სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობაზე კომპლექსი აქვთ, ახლა, ომიანობისას თითქმის ყოველ ადამიანში მეხუთე კოლონის წარმომადგენელს ხედავენ. ასეთ ვითარებაში არც კაპუშინისკის მდგომარეობა გამოიყურებოდა მაინც და მაინც საიმედოდ. ფრონტის ორივე მხარეს ოფიციალურმა პროპაგანდამ ველური კამპანია გააჩაღა და ყოველ უბედურებაში კომუნისტებს ადანაშაულებდნენ. კაპუშინისკი კი იქ სოციალისტური სახელმწიფოს კორესპონდენტი იყო. შეეძლოთ ქვეყნიდან გავექვებინეთ, არადა, ომის დასრულებამდე იქ უნდოდა დარჩენა.

რეპორტიორი ფოსტაში წავიდა და ოპერატორი ლუდზე დაპატიჟა. ეს უკანასკნელი შეშინებული ჩანდა, რადგან, მართალია მამამისი წარმოშობით ჰონდურასელი იყო, მაგრამ დედა სალვადორის მოქალაქედ რჩებოდა. ამიტომ, როგორც შერეული წყვილის შვილი, ხალხში ეჭვს იწვევდა და არ იცოდა, თუ

რა ელოდა. პოლიცია დილიდანვე ყველა სალგადორელს სახელდახელოდ მოწყობილ ბანაკებში ერეკებოდა, ძირითადად სტადიონზე. მთელ ლათინურ ამერიკაში სტადიონები ორმაგ როლს თამშობენ: მშვიდობიანობის პერიოდში იქ სპორტული ღონისძიებები იმართება, ხოლო კრიზისისას - საკონცენტრაციო ბანაკები.

მას ხოსე მალაგა ერქვა. ისინი ფოსტის ახლოს, ბარში დასხედნენ და ლუდს სვამდნენ. ერთი ბედის ქვეშ იყვნენ და მათმა გაურკვეველმა სიტუაციამ ერთმანეთს დააახლოვა. ხოსე ხშირად ურეკავდა დედამისს, რომელიც სახლში იყო გამოკეტილი და ამხნევებდა: - დედა, ჩემთან ყველაფერი წესრიგშია, არ აფუყვანიავართ, ვმუშაობ.

ნაშუადღევს მექსიკიდან ტექუსიგალპალში კაპუშინსკის თოთხმეტი კოლეგა ჩავიდა. ისინი გვატემალამდე ჩაფრინდნენ, სადაც ავტობუსი დაიქირავეს და კაპუშინსკამდე ასე ჩამოაღწიეს. რადგან ტექუსიგალპალის აეროპორტი დაეკეტათ, ხოლო ფრონტზე წასვლა ყველას უნდოდა, ამიტომ მათ ქალაქის ცენტრში, პრეზიდენტის სასახლისაკენ გასწიეს. ეს იყო ცისფრად შეღებილი, უგემოვნო ნაგებობა. ახლა სასახლის გარშემო განელაგებინათ ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები, რომლებიც ქვიშის ტომრებს იქით იმალებოდნენ. მოედანზე პაერსაწინააღმდეგო დანადგარი მოეთავსებინა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამხედროებს წააწყდებოდათ. შიგნით, დეფრუფნებში ჯარისკაცებს ეძინათ და უამრავი იარაღი ეწყო. ირგვლივ უწესრიგობა სუფევდა.

ყოველი ომი საშინელი უწესრიგობა, სიცოცხლისა და რესურსების საოცარი ფლანგვაა. ადამიანები ათასობით წელა ომობენ, მაგრამ ყოველ ჯერზე ის ისე გამოიყურება, თითქოს პირველად ახლა ხდებოდეს.

მათ რომელიღაც კაპიტანი გაეცხადა და არმიის პრესმდიონად გაეცნო. როდესაც ქვეყანაში არსებული სიტუაციის თაობაზე შეეკითხნენ, განაცხადა, მთელ ფრონტზე ვიმარჯვებთ და მტერს დიდი დანაკარგები ადგებაო.

- ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ საკუთარი თვალთ გვინდა ამ ყველაფრის ნახვა - უთხრა გრინმა, AP-ის კორესპონდენტმა.

ისინი წინ ყველგან ამერიკელებს უშვებდნენ, რადგან ეს მათი გავლენის სფერო იყო, მათ იცნობენ და ბევრი რამის გაკეთება შეეძლოთ.

კაპიტანმა მათ განუცხადა, რომ ფრონტზე დილით წავიდოდნენ, ოღონდ ამისათვის ორი ფოტოსურათი უნდა მიეტანათ.

მაიორი ჟურნალისტებს ტევუსიგალპალში დაბრუნებას ურჩევდა, რადგან გზის გაგრძელების შემთხვევაში შეიძლებოდა ისე დახოცილიყვნენ, რომ ვისი ხელით, ვერ გაეგოთ (ვითომ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გაიფიქრა კაპუშჩინსკიმ). მაგრამ მაშინ ტელეოპერატორებმა თქვეს, რომ ისინი წინ უნდა წასულიყვნენ, ფრონტის პირველ ხაზზე, რათა ჯარისკაცები ბრძოლის დროს გადაეღოთ, თუ როგორ ისვრიან და იღუპებიან. მაგალითად, გრეგორი სტრაუბს, NBC-დან, ეწადა ჯარისკაცის სახე ისე ახლოდან გადაეღო, რომ გამოჩენილიყო, თუ როგორ ჩამოსდიოდა ოფლი. როდოლფ კარილოს, CBS-დან, სურდა სურათზე აღებეჭდა დამარცხებული რაზმის მეთაური, რომელიც ბუჩქის ძირში იჯდა და ტიროდა, რადგან მთელი მისი რაზმი განადგურდა. ფრანგ ოპერატორს უნდოდა ფართო ხედით გამოეჩინა, როგორც ჰონდურასელი, ისე სალვადორელი მეზობლები. ვილაცას ეწადა ის ჯარისკაცი გადაეღო, რომელსაც დაჭრილი მეგობარი ფრონტის ხაზიდან გამოჰყავს. ტელეოპერატორებს მხარი დაუჭირეს რადიოს კორესპონდენტებმაც. ენრიგო ამაღოს, რადიო მონდოდან, უნდოდა ჩაეწერა დაჭრილი ჯარისკაცი, რომელიც შველას ითხოვს და თანდათან სუსტდება, ისე, რომ ბოლოს, ლაპარაკიც არ შეუძლია. კანადის რადიოს რეპორტიორს სურდა ჩაეწერა ჯარისკაცის ხმა, რომელიც გახურებული ბრძოლის დროს ომის წამომწყებს წყევლის. იაპონიის რადიოს ჟურნალისტს სურდა იმ ოფიცრის ბრძანების ჩაწერა, რომელიც იაპონური რადიოტელეფონის სამუალებით

ბრძანებას იძლევა და ბრძოლის ხმაურის გადაფარვას ახერხებს.

მათ გარდა ბევრმა სხვადასხვა გადაწყვეილა წინ წასულიყვნენ. აქ კონკურენციის კანონი მიუღლი ძალით მოქმედებს. რადგან წავიდნენ ამერიკის ტელეოპერატორები, წასვლა უნდოდათ ამერიკის პრესის სააგენტოს თანამშრომლებსაც, რადგან ამერიკელები წავიდნენ, უნდოდათ რომ წასულიყვნენ როიტერისა და AFP ჟურნალისტებსაც, თუ წავიდოდა NBC ჟურნალისტი, უნდა წასულიყო BBC რეპორტიორიც.

პატრიოტული ჟინით აღტკინებულმა, რამეთუ ერთადერთი პოლონელი ჟურნალისტი იყო ამ კამპანიაში, კაპუშინსკიმაც გადაწყვიტა იმ ჯგუფს დამგზავრებოდა, რომელიც ასეთ გაბედულ მარშს აპირებდა. ხის ქვეშ ჩრდილში მხოლოდ ის ჟურნალისტები დარჩნენ, რომლებსაც ემინოდათ ფრონტზე წასვლის და გულის დააუადება მოიმიზეზეს, ან არ აინტერესებდათ კონკრეტული დეტალები და თავიანთ სააგენტოს მხოლოდ ზოგად კომენტარებს მიაწვდიდნენ.

ასე ოცმა კაცმა გააგრძელა ცარიელი ასუალტიანი გზა, რომელიც ცხარე მზისაგან ბრწყინავდა. ამ მარშის რისკი ან სიგიჟეც კი იმაში მდგომარეობდა, რომ გზა ამაღლებულ ადგილებზე გადიოდა და რეპორტიორები ორივე დაპირისპირებული მხარისათვის ადვილად შესამჩნევი და მიზანში ამოსაღები იყვნენ. ისინი ხომ მათგან დაახლოებით ასიოდე მეტრის დაშორებით ისხდნენ და ავტომატის ტყვია, როგორც ერთი, ისე მეორე მხარიდან, მოსწვდებოდათ.

დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. რეპორტიორებს ესმოდათ ინტენსიური სროლა და საარტილერიო ბომბების ბათქა-ბუთქი, თუმცა, ეს ყველაფერი ორიოდე კილომეტრის დაშორებიდან მოისმოდა. სიმხნევის შესანარჩუნებლად ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ (ნერვიულად და ცოტა უაზროდ). ვიღაც ანეკდოტებს ჰყვებოდა. ისეთი შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინათ, თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მაგრამ ასე ხუთასი მეტრის გავლის შემდეგ ისინი შიშმა მოიცვა.

ეს მართლაც ძალზე უსიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც იცი, რომ ყოველ წუთს შესაძლოა ტყვიამ მოგსხიპოს. ასეთ დროს ფეხები უროსავით გიმძიმდება, ოფლი წვეთ-წვეთად ჩამოგდის. თუმცა არაფის არ უღიარებია, რომ ეშინოდა. თავდაპირველად ერთმა რეპორტიორმა შესთავაზა კოლეგებს, ცოტა შევისვენოთო. კარგი, დასხდნენ და დაისვენეს. გზის გაგრძელების შემდეგ ორი კოლეგა ძალზე უკან ჩამორჩათ, ვითომ მეტად საინტერესო საუბარი ჰქონდათ ერთმანეთში. შემდეგ ერთმა, ვითომ ძალზე ლამაზი ხე შეამჩნია და მისი კარგად დათვალიერება განიზრახა. მალე კიდევ ორმა რეპორტიორმა თქვა, ფოტოაპარატის ლენტები დაგვრჩა და უკან უნდა გავბრუნდეთო. კვლავ დაისვენეს, ოღონდ ამჯერად დასვენებამ გაცილებით მეტ ხანს გასტანა. ამასობაში თორმეტი-ღა დარჩა.

ჯერჯერობით მათ ახლო-მასლო არაფერი არ ხდებოდა. მიდიოდნენ ცარიელ გზაზე სალვადორის მიმართულებით, საუცხოო ამინდი იყო, მზე ჩასასვლელად იწვევებოდა. სახელდობრ მზე მოეშველა მათ სიტუაციიდან გამოსვლაში. ტელეოპერატორებმა სინათლის საზომი ჩართეს და განაცხადეს, უკვე ბნელდება და მალე გადალება შეუძლებელი გახდებაო. ასეთ დროს ვერაფერს გააკეთებ, ვერც საერთო ხედს გადაიღებ, ვერც მოძრაობას, ვერც უძრაობას. არადა, ფრონტის პირველ ხაზამდე ჯერ კიდევ შორს იყო და ვიდრე რეპორტიორები იქამდე მივიდოდნენ, დაღამდებოდა კიდევ. მთელი ჯგუფი შემოტრიალდა და უკან გაბრუნდა. ხის ქვეშ, იქ, სადაც ორი ტყვიამფრქვევი იდგა, მათ ის კოლეგები უცდიდნენ, რომელთაც სწეული გული ჰქონდათ, ასევე ისინიც, რომელთაც ზოგადი კომენტარები უნდა დაწერათ. აქ ისინიც იყვნენ, რომლებსაც მართლა თუ ტყუილად განაცხადეს, რომ ფოტოაპარატის ლენტები დარჩათ.

გაოფლიანებულმა, წვერმოუპარსავემა მაიორმა, პოლიკარპო პასიმ, სამხედრო სატვირთო ავტომანქანით ფრონტის ზურგში, ისინი პატარა ქალაქ ნასაოში წაიყვანა ღამის გასათევად. იქ კრება ჩაატარეს და გადაწვიტეს ეთხოვათ ამერიკის

მთავრობისათვის, ზემოქმედება მოეხდინა აქაურ ხელისუფლებაზე, რომ რეპორტიორები ფრონტის პირველ ხაზზე წაეყვანათ.

დილით ჟურნალისტებს თვითმფრინავი გამოუგზავნეს, რათა მას ფრონტის მეორე მხარეს, სადაც ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობდა, გადაეყვანა ისინი. დამის წვიმას სულ ჟანგისფრად შეეღება ნაკაომის აეროპორტის ასაფრენი ზოლი. ძველი თვითმფრინავი, რომელიც გამონაბოლქვისგან ერთიანად წაწაკულ-წაბოლილიყო, წყლიდან პიღროპლანიფით ამოიძარათ. ამ თვითმფრინავისათვის სალვადორის ბომბდამშენს ესროლა, რის გამოც ერთი ფრთა დაზიანებული პქონდა და გახვრეტილი ადგილი ამოეფიცრათ. ამ უბრალო ფიცრების დანახვამ შეაძრწუნა გულით აუადმყოფები. ამიტომ ადგილზე დარჩნენ, ხოლო შემდეგ ტეგუსიგალპალში დაბრუნდნენ.

დანარჩენები კი ფრონტის მეორე მხარეს, სანტა როსა დე კოპანაში გადაფრინდნენ. ასაფრენ ზოლზე თვითმფრინავმა იმდენი ცეცხლი და ბოლი გამოყო, კაცი იფიქრებდა, მთვარეზე ასაფრენად იღებს ოსტარტს. თვითმფრინავი ფრენისას გრუხუნებდა, ღრჭიალებდა, რახრახებდა და პაერის ტალღებზე ისე გადად-გადმოდიოდა, როგორც ლოთი შემოდგომის ქარიშხალში. ეს იყო სატვირთო თვითმფრინავი, რომლის შიგნით არც სკამები იყო და არც სავარძლები. ფეხზე ძლივს იდგნენ, სულ კედლებს ეხეთქებოდნენ. ქარს, რომელიც ღრიჭოებიდან უბერავდა, ლამისაა მათთვის თავები წაეძრო. ორი ახალგაზრდა პილოტი კი მათ სარკიდან უყურებდა და უსრუხველად იღიმებოდა. ჩანს, კარგი გასართობით კმაყოფილი იყვნენ.

- მთავარია - ძრავის ღრიალსა და შემოსული ქარის ხმაურში უყვიროდა კაპუშინისკის ჟურნალისტი ანტონიო როდრიგესი - ძრავა არ გაჩერდეს, ღმერთო ჩემო!

პატარა, წყნარი დასახლება სანტა როსა დე კოპანა ახლა ჯარისკაცებს გავესოთ. რეპორტიორები სატვირთო ავტომანქანით ვიწრო ქუჩების გავლით სამხედრო ბანაკამდე მიიყვანეს. ეს უკანასკნელი ძველი ესპანური ციხე-სიმაგრის ადგილას მოქმედო. მას გარს სინესტისაგან დახვსებული გალავანი ერტყა. როდღე-

საც მანქანიდან ჩამოვიდნენ, ციხის ეზოში სამი დაჭერილი ჯაშუ-  
შის დაკითხვის მიწმე გახდნენ.

— ილაპარაკეთ - უყვიროდა მათ სამხედრო გამომძიებელი  
- დაფქვით ყველაფერი!

სისხლდაკარგული ჯაშუშები დასუსტებულები ჩანდნენ  
და ძლივს ლუღლუღებდნენ. ისინი წელს ზევით გაეშინძვლები-  
ნათ. ერთი მათგანი მუცელში იყო დაჭრილი, მეორე - ხელში,  
ხოლო მესამეს ხელის მტევანი ჰქონდა მთლად წათლილი.  
მუცელში დაჭრილმა წამებას დიდხანს ვერ გაუძლო, რაღაც  
ცეკვის მსგავსი ილეთი გააკეთა. და მიწაზე დაეცა. დარჩენილი  
ორიც დადუმდა და ამხანაგს სინანულით დაჰყურებდნენ.

რომელიღაც ოფიცერმა რეპორტიორები გარნიზონის მე-  
თაურთან წაიყვანა. ფერწასულმა, დაღლილმა კაპიტანმა არ  
იცოდა, თუ მათთან რა უნდა გაეკეთებინა. ბოლოს ბრძანა ჟურ-  
ნალისტებისათვის სამხედრო ხალათები დაერიგებინათ. მისი  
განკარგულებით ყავაც მოუტანეს. კომენდანტს ეშინოდა, რომ  
ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სალვადორის სამხედრო ნაწ-  
ილების თავდასხმა. სანტა როსა მტრის შეტევის მთავარ მიმა-  
რთულებაზე მდებარეობდა, ანუ იმ გზაზე, რომელიც ატლან-  
ტიკის ოკეანეს წყნარ ოკეანესთან აკავშირებს. წყნარ ოკეანეზე  
მდებარე სალვადორს მიზნად ატლანტიკის ოკეანეს პირას მდებ-  
არე ჰონდურასის დაპყრობა დაესახა, რის შედეგადაც პატარა  
სალვადორი ორ ოკეანეზე გადაჭიმულ სახელმწიფოდ იქცეო-  
და. ატლანტიკის ოკეანისაკენ გამავალი ყველაზე მოკლე გზა  
კი სწორედ იმ დასახლებულ ადგილებზე გადიოდა, სადაც ამ-  
ჟამად რეპორტიორები იყვნენ - ოტოტეპექუეზე, სანტა როსა  
დე კაპანეზე და სან პედრო სულაზე. სალვადორის სამხედრო  
ტექნიკა უკვე დიდ მანძილზე იყო ჰონდურასში შეჭრილი. მათ  
ნაბრძანები ჰქონდათ ატლანტიკის ოკეანემდე, ევროპამდე,  
მსოფლიოზე გასვლა!

სუსტი და ღარიბი ჰონდურასი, როგორც შეეძლო, თავს  
იცავდა. ბანაკის ღია ფანჯრიდან მოჩანდა, თუ მაღალი ჩინის  
ოფიცრები სამხედრო რაზმებს როგორ აცილებდნენ ფრონტზე.

სულ ნარჩევ-ნარჩევი ყმაწვილები მწვობრ რიგებად მიდიოდნენ. ყველანი ინდიელები იყვნენ, სახე ღამაბული კქონდათ, მათ თვალებში შიშიც იკითხებოდა. ოფიცრები მათ რაღაცას უხსნიდნენ და შორეულ ჰორიზონტზე ხელით რაღაცას უჩვენებდნენ. შემდეგ მათთან მიდიოდა მღვდელი და სასიკვდილოდ მიმავალ ყმაწვილებს ლოცავდა.

ყურნალისტები შუადღისას სატვიროთო ავტომანქანით ფრონტისაკენ წავიდნენ. ორმოც კილომეტრზე მეტი წყნარად გაიარეს. მანქანა თანდათან მაღლა და მაღლა ადიოდა ხმირი, ტროპიკული ბუჩქებით დაფარულ მთებზე. მთის ფერდობებზე ალიზით აგებული ცარიელი ქოხები მოჩანდა, რომელთაგან ზოგი დამწვარი იყო. ისინი ერთ ადგილას გადააწყდნენ გლეხების დიდ ჯგუფს, თეთრ ხალათებსა და სომბრეროებსში. მათ რეპორტიორების მიმართულებით მაჩეტებისა ქნევა და სროლა დაიწყეს.

მოულოდნელად გზაზე ხალხის მოძრაობა შენიშნეს. როგორც ჩანს, მივახლოვებოდით იმ ადგილს, სადაც ტყეში სამკუთხად გამოჭრილ მინდორში დაჭრილები დაესვენებინათ. ზოგი მათგანი საკაცეზე, ზოგიც პირდაპირ ბალახზე იწვა. აქ რამდენიმე ჯარისკაცი და ორი სანიტარი ტრიალებდა, ექიმი არ ჩანდა. იქვე ახლოს ოთხი ჯარისკაცი ორმოს თხრიდა. დაჭრილები წყნარად იწვნენ და მოთმინებით ელოდნენ. ძალზე საინტერესოა ეს მოთმინება, ტკივილისადმი ეს ამოუხსნელი, ზეადამიანური გამძლეობა, რომელიც ასე ახასიათებს ინდიელებს. არავინ ყვიროდა, არავინ არ ითხოვდა დახმარებას.

ჯარისკაცებს მიჰქონდათ მათთვის წყალი, სანიტრები, რომელთა გამოუცდელობაც თვალში საცემი იყო, როგორც შეუძლოთ, ისე ზრუნავდნენ მათზე. ის, რაც იქ ყურნალისტებმა დაინახეს, ყოველგვარ წარმოდგენას აღემატებოდა. ერთი სანიტარი, ხელში ლანცეტით, ხან ერთ დაჭრილთან მივიდოდა, ხანაც - მეორესთან და მათი ჭრილობებიდან ავტომატის ტყვიას ისე იღებდა, როგორც ვაშლიდან თესლს ვაგდებთ ხოლმე. მეორე ჭრილობაზე იოდს უსკამდა და უხვევდა.

ამ დროს ჯარისკაცებმა სატვიროთო მანქანით დაჭრილი

სალვადორელი გლეხი მოიყვანეს. ტყვია მუხლში ჰქონდა მოხვედრილი. უთხრეს, ბალახზე წამოწევიო. გლეხი ფეხშიშველა იყო, სისხლში ამოსვრილი. სანიტარი დაჭრილ ადგილას ლანცეტით ტყვიის ძებნას შეუდგა. გლეხი ტკივილისაგან იკლაკნებოდა.

- ჩუმად, შე საწყალო, - უთხრა სანიტარმა - მუშაობაში ხელს ნუ მიშლი. ბოლოს, როგორც იქნა ტყვია ამოიღო. ჭრილობაზე იოდი მოსცხო და სახელდახელოდ შეუხვია.

- ადექი და წადი სატვირთო მანქანაში - უთხრა ერთერთმა იმ ჯარისკაცთაგანმა, რომელთაც მოიყვანეს. გლეხი წამოდგა და სკინსკილით მანქანისკენ გაემართა. ერთი ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამს.

- ძარაზე ადი - უბრძანა ჯარისკაცმა.

ჩვენ გლეხისაკენ გავემართეთ, რათა ასვლაში დაეხმარებოდით, მაგრამ ჯარისკაცმა ავტომატი მოგვიღირა და უკან დაეიხიეთ. ეს იყო უკვე ფრონტზე ნამყოფი ჯარისკაცი, გაბოროტებული, ნერვებმოშლილი. გლეხმა მანქანის კიდეს ხელი მოჰკიდა და ძლივ-ძლიობით ზევით ახოხდა. ძარის იატაკზე გაიშოტა და თახთახი დაიწყო. მეგონა კვნესოდა. მაგრამ მცირე ხანში ძარიდან თავისი გულუბრყვილო სახე გამოყო და წყნარი, ჩახლენილი ხმით ჟურნალისტებს სთხოვა:

ვერ მომაწვეინებთ?

ისინი მიცვივდნენ მანქანას და ვისაც რა პაპიროსი ჰქონდა, გაუწოდეს. მანქანა დაიძრა, მან კი ისე გაიღიმა, ეტყობოდა ნასიამოვნები დარჩა. მას ხომ იმ პაპიროსით მთელი სოფლის გამასპინძლება შეეძლო.

ახლა სანიტრები მძიმედ დაჭრილ ჯარისკაცს დასტრიალებდნენ. მის ირგვლივ მრავალ ჯარისკაცს მოყვარა თავი. ზოგი საკაცესთან ჩაცუცქულიყო, რომელზედაც დაჭრილი სულს ლაფავდა, სხვები ოდნავ მოშორებით ავტომატებს დაყრდნობოდნენ და ამ სცენას ისე ადევნებდნენ თვალს. დაჭრილი ოც წლამდე იქნებოდა, თერთმეტი ტყვია მოხვედრიოდა. ამდენი ტყვია მოხუც და დასუსტებულ ადამიანს უკვე დიდი ხნის წინ გაისტ-

უმრებდა საიქიოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ტყვიები ჩაჯდნენ ახალგაზრდა, ძლიერ ორგანიზმში და სიცოცხლემ სიკვდილს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია. დაჭრილი უგონოდ იწვა, ჩანს, არსებობის უკვე მეორე მხარეს, მაგრამ სიცოცხლის ჯერ კიდევ შემორჩენილი ნაწილი სიკვდილს სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას უწევდა. ჯარისკაცი საქამრემდე გაეშიშვლებინათ და ყველა ზედავდა, თუ როგორ უკანკალებდა და უთახთახებდა კუნთები და როგორ ასხამდა შიშველ კანზე ოფლი. ამ დაჭიმული კუნთებისა და ოფლის შემხედვარე ყველა მიხვდებოდა, თუ მის არსებაში რა სასტიკი ბრძოლა მიდიოდა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. ყველას სურდა დაენახა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ჭიდილი და რომელი მათგანი დაძლედა.

- გადარჩება? - იკითხა ერთმა ჯარისკაცმა.

- გაუჭირდება - განაცხადა სანიტარმა, რომელსაც დაჭრილის თავს ზვეით გლუკოზით საესე ბოთლი ეჭირა.

ღრმა მღუმარება ჩამოუარდა. დაჭრილი მძიმედ და სვენებსვენებით სუნთქავდა, თითქოს გრძელი გზა გაერბენა.

- არავინ არ იცნობს? - იკითხა მცირე ხნის შემდეგ ერთმა ჯარისკაცმა.

დაჭრილის გული ისე გაშმაგებული მუშაობდა, რომ მისი ფეთქვა ისმოდა.

- არა - იყო ჯარისკაცების პასუხი.

გზაზე მძიმე სატვირთო მანქანებმა გაიარეს, მათი ძრავების ხმა შორს ისმოდა. ტყის პირას ოთხი ჯარისკაცი ორმოს თხრიდა.

- ჩვენების იყო თუ იმათი? - იკითხა საკაცესთან ჩამუხლულმა ჯარისკაცმა.

- რას გაიგებ - თქვა მცირე ხნის შემდეგ სანიტარმა.

- დედას უხმობს - გვამცნო ახლოს მდგარმა ჯარისკაცმა.

- ახლა ღმერთს - განაგრძო სხვამ, ქუდი მოიხადა და ავტომატის ლულას წამოაცო.

დაჭრილი კანკალებდა, მისი ნაზი, თეთრ-ქათქათა კანის ქვეშ ჩანდა, თუ როგორ უთრთოდა კუნთები და პულსირებდა სისხლი.

- რა ძლიერი ორგანიზმი ჰქონია - თქვა ავტომატზე დაყრდნობილმა ჯარისკაცმა - რამდენს უძლებს.

სხვები მომაკვდავს მღუპარედ დაჰყურებდნენ, ირგვლივ სიჩუმე გაბატონებულიყო.

დაჭრილმა ახლა თანდათან სუნთქვას უკლო და თავი უკან გადაუვარდა. ირგვლივ მყოფი ჯარისკაცები კბილებს ისე აკრაჭუნებდნენ, თითქოს კოცონი ჩამქრალიყო და ცივ ქარს დაეებრა. ბოლოს ვიღაცამ თქვა: - აღარაა ადამიანი, მისმა სულმა დატოვა სხეული.

ისინი კიდევ ცოტა ხანი იდგნენ და გარდაცვლილს დაჰყურებდნენ, შემდეგ, რაკი დარწმუნდნენ, აღარაფერი ეშველებო, დაიშლნენ.

ჟურნალისტებმა წინ გასწიეს. მათი გზა ამწვანებულ მთებს უვლიდა გვერდს. მათ ცარიელი სოფელი სან ფრანცისკო გაირეს და ამ დროს ერთ მოსახვევთან ჯარისკაცებს გადააწყდნენ. ისინი დარბოდნენ და ერთმანეთს ესროდნენ, გზის ორივე მხრიდან ავტომატები კაკანებდა. მძლოლმა მყის შეაჩერა მანქანა და ამ დროს გზაზე, ჟურნალისტების წინ, ნაღმი აფეთქდა. მას მკორე, მესამე მოჰყვა... ღმერთო ჩემო, გაიფიქრა კაპუშინსკიმ, ეს უკვე დასასრულია. ჟურნალისტები მანქანის ძარიდან თითქოს ტაიფუნმა გადმოჟარა. კაპუშინსკიმ სირბილისას საფრანგეთის ტელევიზიის მსუქანი ოპერატორი შენიშნა, რომელიც გზაზე გაფაციცებით კამერას ეძებდა. - დაწყე! - დაიყვირა ვიღაცამ და, არა ნაღმის აფეთქებამ, არა ავტომატების ჯერმა, მხოლოდ ამ ხმამ იმოქმედა მასზე - ოპერატორი მოცელილივით ძირს გაიშოტა.

კაპუშინსკიც იქით გაიქცა, სადაც, როგორც ფიქრობდა, ნაკლებ საშიში უნდა ყოფილიყო, ბუჩქებს ებლაუჭებოდა, ვცდილობდა, რაც შეიძლება, მოშორებოდა იქაურობას. დიდხანს გარბოდა, ბოლოს დააღალა და უგონოდ ძირს დაეცა.

გონს მოსულმა თვალები გაახილა, მიწა და მასზე მოსიარულე ჭიანჭველები დაინახა.

მიდიოდნენ თავისი ბილიკებით, ერთი-მეორის მიყოლებით ის დრო არ იყო, კაპუშჩინსკის მათთვის თვალი დიდხანს ედევნებინა, მაგრამ თავად ამ სურათმა, სურათმა სრულიად სხვა სამყაროდან, რეალობას დააბრუნა. მაშინ გაახსენდა, რომ თუ შიშის იმდენად დაძლევეს შეძლებდა, რომ ყურები დაეცვა და ამ მოფუსფუსე არსებებისათვის ედევნებინა თვალი, მაშინ სრულიად სხვაგვარად იაზროვნებდა. იწვა ხშირ ბუჩქებს შორის, მთელი ძალით იჭერდა ყურებზე ხელს და ჭიანჭველებს დაპყურებდა.

მან არ იცოდა, ეს რამდენ ხანს გაგრძელდა, მაგრამ როდესაც თავი ზევით ასწია, თავის წინ ჯარისკაცის სახე დაინახა.

გახვედა. განსაკუთრებით სალვადორელთა ხელში ჩაყარდნის ეშინოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ სიკვდილი ელოდა. ისინი გაბოროტებული იყვნენ და ყველას, ვინც კი ხელთ ჩაუვარდებოდათ, ხოცავდნენ. ყოველ შემთხვევაში, ჰონდურასის პროპაგანდით ნაკვებს ჟურნალისტს ასე ეგონა. ამერიკელი, ინგლისელი, იქნებ დაენდოთ, თუმცა არც ამაში იყო დარწმუნებული. წინა დღეს მან ხომ ნაკაომში სალვადორელთა მიერ ნაწამები ამერიკელი მისიონერი ნახა.

ჯარისკაციც გაკვირვებული უყურებდა, მან კაპუშჩინსკი ბუჩქებში ხოხვისას ბოლო წუთებში შეამჩნია. ჩაჩქანი მოიხსნა და ბალახებისა და ფოთლებისაგან გაასუფთავა. შავი, გამხდარი სახე ჰქონდა. ძველი მაუზერი ეჭირა.

- ვინა ხარ? - შეეკითხა.

- შენ რომელი არმიიდან ხარ?

- ჰონდურასის - უპასუხა კაპუშჩინსკიმ, რადგან მიხვდა, რომ უცხო უნდა ყოფილიყო, არც ერთის და არც მეორის. - ჰონდურასი! ჩემო ძმაო! - უთხრა, თან ესიამოვნა ეს ამბავი. ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. ეს იყო ჰონდურასის არმიის მეთაურის, პოლკოვნიკ რამიერ ორტეგას წერილი ფრონტის მე-

ბრძოლებისადმი, რომლის საფუძველზეც კაპუშინსკის საბრძოლო მოქმედებების ადგილას ყოფნის უფლება ეძლეოდა. ასეთი წერილი ყველა უურნალისტმა მიიღო ტეგუსიგალპაში, ფრონტის ხაზზე წასვლამდე.

კაპუშინსკიმ ჯარისკაცს უთხარა, რომ ჯერ სანტა როსაში, ხოლო შემდეგ ტეგუსიგალპაში უნდოდა წასვლა, რათა ვარშავაში ტელეგრაფი გაეგზავნა. ჯარისკაცი კმაყოფილი ჩანდა, რადგან კარგად გამოთვალა, რომ არმიის მეთაურის ბრძანების (წერილი ყველა სამხედროს ავალებდა ჩემთვის დახმარების აღმოჩენას) საფუძველზე ზურგში წასვლა შეეძლო.

- ერთად წავიდეთ, ჩემო ბატონო - უთხრა ჯარისკაცმა - მითხარით, როცა დააპიროთ წასვლა.

ის ახალწვეული ღარიბი გლეხი იყო, ერთი კვირის წინ არმიის რიგებში ჩამდგარმა, სამხედრო საქმე არ იცოდა, ომი მას ნაკლებ ენებოდა და სულ იმის ფიქრში იყო, თუ თავი როგორ დაეძვრინა.

მათ ახლო-მახლო ბომბები სკდებოდა, ტყვიამფრქვევი კაკანებდა, უფრო შორიდან ყვირილის ხმა ისმოდა, ჰაერში დენთისა და ბოლის სუნი იდგა. მისი რაზმი იმ გორის ძირში ბუჩქებს შორის წინ მიიწვედა, სადაც უურნალისტები საბრძოლო მოქმედებებს გადააწყდნენ და მანქანა გაუჩერდათ. იმ ადგილიდან, სადაც რეპორტიორები მიწას გაკროდნენ, კარგად მოჩანდა ლტოლვილი რაზმის უხეში ჩექმები. ჯარისკაცმა კაპუშინსკი შეანჯღრია:

შებდეთ, რამდენი ფეხსაცმელია! - ის კვლავ უკანდახეულ რაზმს უყურებდა, თან თვალები მოგწკურა, ფიქრებში რაღაცას ანგარიშობდა, რის შემდეგაც უიმედო სინანულით თქვა:

მთელი ჩემი ოჯახი ფეხშიშველა დადის.

ამის შემდეგ ტყეში გახობება დაიწყო.

ერთხანობა სროლა შეწყდა და შეჩერდნენ. დაღლილი ჯარისკაცი კაპუშინსკის მოუბრუნდა და ქოშინით უთხრა, რომ აქ დალოდებოდა. ის იმ ადგილას დაბრუნებას აპირებდა, სადაც მისი ნაწილი იყო გამაგრებული. ცოცხლები ალბათ წინ წავი-

დოდნენ, ეუბნებოდა ის ჟურნალისტს, რადგან ნაბრძანები ჰქონდათ მტერი სახლვრამდე მიერეკათ, ხოლო ბრძოლის ველზე დარჩებოდნენ დახოცილები, რომელთა ფეხსაცმელებიც გამოდგებოდა. ის წავიდოდა, გახდიდა რამდენიმე მათგანს, შეინახავდა დანიშნულ ადგილას, ბუჩქებში, ხოლო როდესაც ომი დასრულდებოდა და მას სახლში გაუშვებდნენ, იქ დაბრუნდებოდა, აიღებდა მათ და ოჯახის წევრებს წაუღებდა. მას უკვე ნაანგარიშებიც ჰქონდა, რომ ერთი წყვილი სამხედრო ფეხსაცმელი გაიცვლებოდა სამ წყვილ ბავშვისაზე, ხოლო მას ცხრა შვილი ჰყავდა.

კაპუშჩინსკიმ გაიფიქრე, ხომ არ გაგიჟდაო და ისიც კი უთხარა, რომ ის ჩემი ბრძანების ქვეშაა და რომ გზა უნდა გავგრძელებინათ მაგრამ მას ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, ფეხსაცმელებზე ფიქრს შეეპერო, ფრონტის ხაზისკენ იწვევდა ნადავლის საშოგად. ბალახზე მიმოფანტული ნივთების მოსაგროვებლად, ვიდრე მათ მიწა დაფარავდა. ახლა ომმა მისთვის აზრი, შინაარსი და მიზანი შეიძინა, უკვე იცოდა, თუ რა სურდა და რა უნდა გაეკეთებინა. ჟურნალისტი დარწმუნებული იყო, რომ თუ მართლა წავიდოდა, ისინი ერთმანეთს დაკარგავდნენ. კაპუშჩინსკის არაფრის გულისათვის არ უნდოდა ტყეში მარტო დარჩენა, რადგან არ იცოდა, თუ ვის ხელში იყო ის, სად რომელ არმიას ჰქონდა თავისი პოზიცია და რომელ მხარეს წასვლა იქნებოდა უკეთესი. არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე უცხო მხარეში, სხვათა ომში დარჩენა. ამიტომ კაპუშჩინსკიც ამ ჯარისკაცთან ერთად საბრძოლო მოქმედებების ადგილისაკენ გახიზნდა. იმ ადგილამდე მიაღწია, სადაც შეთხელებულ ტყეს ეტყობოდა, ბრძოლა ეს-ესაა დამთავრებულიყო, ფრონტს ადგილი ენაცვლა, ბომბებს ახლა მთის მეორე მხარეს აფეთქებდნენ. კაპუშჩინსკის წინ მიტოვებული ტყვიამფრეჯევი ვედო, ხოლო ბალახზე დახოცილი ჯარისკაცები ვყარნენ. კაპუშჩინსკიმ თანხლებ ჯარისკაცს უთხარა, მე გზას აღარ გაუაგრძელებო და თყად მას, რაც უნდა, ის ექნა, ოღონდ თავი არ დაედუპა და უკან ძალე დაბრუნებულიყო. მანაც ავტომატი ჟურნალისტს დაუტოვა და წინ წავიდა. კაპუშჩინსკიმ ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, ვიღაცას არ დაენახა, მოულოდნელად ბუჩქებიდან

ვინმე არ გამოსულიყო, ან ვინმეს ბომბი არ ესროლა. თავს ცუდად გრძნობდა, იწვა მიწაზე, რომელსაც ნესტისა და ბოლის სუნი ასდიოდა. ნატრობდა, გონება არ დაეკარგა და როგორმე სამშვიდობო ადგილამდე გაეღწია. ახლა ის ჯარისკაცი ალბათ ბედნიერი იყო, მის თავზე შხემ გამოანათა და ციური მანანა წამოვიდა. მან თავისი ომი უკვე მოიგო, დაბრუნდება სოფელში, დაყრის იატაკზე ფეხსაცმელებს და მისი ბავშვები სიხარულისაგან ცეკვას დაიწყებენ.

ჯარისკაცმა თავისი ნადავლი მიიტანა და ბუჩქებს შორის დამალა. გაოფლილმა სახე შეიწმინდა და გარემო შეათვალიერა, რომ შემდეგ ეს ადგილი ადვილად ეპოვნა. ისინი ტყის სიღრმეში შევიდნენ. წვრილი წვიმა სცრიდა, მინდვრებზე ღრუბელი გაწვა. ისინი კი მიდიოდნენ, თუმცა კარგად არ იცოდით, საით. მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ საომარი მოქმედებების ადგილს, რაც შეიძლება, დაშორებოდნენ. სადღაც შორს გვატემა-ლა უნდა ყოფილიყო, უფრო მოშორებით - მექსიკა, კიდევ უფრო იქით - შეერთებული შტატები. მაგრამ ახლა მათთვის ეს ქვეყნები სრულიად სხვა პლანეტაზე მდებარეობდნენ. იმ პლანეტის მკვიდრთ თავისი ცხოვრება და სულ სხვა საქმეები ჰქონდათ. მათ იქნებ არც კი იცოდნენ, რომ აქ ომი იყო. ვერავითარ ომს ვერ გადასცემ შორს. კაცი ზის, სადილს მიირთმევს და ტელევიზორს უყურებს: ეკრანზე ჩანს, თუ როგორ ეცემა ბომბა და კაცის სიმაღლე ორმოს აკეთებს, შემდგომ კადრზე ჩანს, თუ ტანკი როგორ გადაუვლის სახლს, მესამე კადრზე - ჯარისკაცი იჭრება და ტკივილისაგან იკლაკნება, ამ კაცს კი სახე იმიტომ ეტყანება, რომ წვნიანში მარილი ნორმაზე მეტი ჩაუყრიათ. ომი სანახაობაა, თუკი მას შორიდან უყურებენ და ფილმის მონტაჟი რეჟისორს კარგად აქვს მოფიქრებული. სინამდვილეში ჯარისკაცი თავისი ცხოვრის იქით ვერაფერს ხედავს, თვალები მტვრით აქვს სავსე, ალალ-ბედზე ისერის და მიწაში, როგორც ვირთხა, ისე ძვრება. მას, უწინარეს ყოვლისა, ეშინია. ფრონტელი ჯარისკაცი სიტყვაძუნწია, თუ რამეს შეეკითხები, შეიძლება არც კი გიპასუხოს და მხოლოდ მხრები აიჩეჩოს. როგორც წესი,

მშვიერი და გამოუძინებელი დადის, არ იცის, თუ რა იქნება შემდგომი ბრძანება და მცირე ხანში რა მოხდება. ომის დროს მას გამუდმებული შეხება აქვს სიკვდილთან. ეს გამოცდილება ღრმად ჯდება მუხსიერებაში. მოგვიანებით, ასაკოვანი ადამიანი უკვე ხშირად იხსენებს ომში გადატანილ ამბებს, თითქოს მთელი ცხოვრება სანგრებში მჯდარიყოს.

ტყეში ხეტიალის დროს მწერალი ჯარისკაცს შეეკითხება, სალვადორთან ომი რატომ დაიწყო. არ ვიცო, იყო პასუხი, ამაზე პასუხი მთავრობამ უნდა აგოსო. კაპუშინისკი კვლავ კკითხავს, როგორ შეიძლება კაცმა იბრძოლოს და არ იცოდეს, თუ რატომ ღვრის სისხლსო. რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: უკეთესია, თუ სოფელში მცხოვრები ასეთ კითხვებს არ დასვამს, რადგან ასეთი კითხვებით მამასახლისს დააეჭვებს და შემდგომში მას მამასახლისი საზოგადოებრივი სამუშაოების შესასრულებლად გაამწესებსო. იქ მომუშავე გლეხს კი საკუთარი მეურნეობის მიხედვის საშუალება არ ექნება, რის გამოც ოჯახი კიდევ უფრო დაემშვიკაო. არადა, ის სიღარიბეც ხომ საკმარისი იყო, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. ამიტომ სჯობს ისე იცხოვრო, რომ შემდგომს თვალში არ მოხვდე. როგორც კი ხელისუფლებას ვინმე თვალში ჩაუვარდება, მაშინვე დაიმასხოვრებს და ასეთ ადამიანს შემდეგ პრობლემებს შეუქმნის. ქვეყნის გასაჭირს გლეხი მაინც ვერ გაიგებს, რადგან ხელისუფლების წევრებს სათანადო ცოდნა აქვთ, გლეხები კი უწიგნურები არიანო.

მოსაღამოვებულზე, როდესაც გლეხი და მწერალი ტყეში მიიკვლევდნენ გზას და თანდათან უფრო წელში სწორდებოდნენ, რადგან ომის ხმაური მანამდე აღარ აღწევდა, პატარა, ტალახით აშენებული ქოხების დასახლება - სანტა ტერეზამდე მიაღწიეს. აქ სახმელეთო ბატალიონი იყო დაბანაკებული. გადატანილი ბრძოლების გამო ამ სამხედრო ნაწილის მეათედიც კი არ იყო გადარჩენილი. გამოფიტული ჯარისკაცები ქოხებს შორის დადიოდნენ. იმის გამო, რომ წარამარა წვიმდა, ყველანი ტალახში იყვნენ ამოვანგლული.

საფეხბურთო ომი ას საათს გაგრძელდა. მისი მსხვერპ-

ლი 6 ათასი მკვდარი და ათასობით დაჭრილი გახდა. თხუთმეტ ათას ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა, მრავალი სოფელი განადგურდა.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩარევით მხარეებმა საბრძოლო მოქმედებები კი შეწყვიტეს, მაგრამ ამ ორი ქვეყნის საერთო საზღვარზე დღემდე არ წყდება შეიარაღებული შეტაკებები, იზოცება ხალხი, იწვება სოფლები.

ამ ომის ნამდვილი მიზეზი შემდეგი იყო: სალვადორი - ცენტრალური ამერიკის ყველაზე პატარა ქვეყანას, ამერიკის კონტინენტზე, მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვით ხასიათდება (160 ადამიანი 1 კვადრატულ კილომეტრზე). ამასთან, მიწების უდიდესი ნაწილი 14 დიდი კლანის ხელში იმყოფება. ამბობენ კიდევ, სალვადორი „თოთხმეტი ოჯახის საკუთრებაა“. ათას ლატიფუნდისტს უჭირავს ათჯერ მეტი მიწა, ვიდრე ასი ათას გლეხს ერთად. სოფლად მცხოვრები ადამიანების 2/3-ს მიწა საერთოდ არ გააჩნია. უმიწა-წყლო ღარიბების ნაწილი დიდი ხანია ჰონდურასში გადასახლდა, სადაც ბევრი უპატრონო მიწა იყო. ჰონდურასს (112 ათასი კვადრატული კილომეტრი) თითქმის ექვსჯერ მეტი ფართობი აქვს, ვიდრე სალვადორს, მაგრამ მისი მოსახლეობა 2-ჯერ ნაკლებია (2,5 მლნ). ეს იყო წყნარი, მალული ემიგრაცია, თუმცა ამ ფაქტზე წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდა ჰონდურასის ხელისუფლება.

სალვადორიდან აქ ჩამოსახლებული გლეხები აფუძნებდნენ სოფლებს და გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. მათი რაოდენობა 300 ათასს შეადგენდა.

60-იან წლებში ჰონდურასის გლეხებს შორის მიწის მოთხოვნით საპროტესტო მოძრაობები დაიწყო. ხელისუფლებამ მიწის რეფორმის დეკრეტი გამოსცა. და რადგან ეს ოლიგარქიული მთავრობა იყო, ამასთან, დამოკიდებული შეერთებულ შტატებზე, ეს დეკრეტი არც ლატიფუნდიების განაწილებას ითვალისწინებდა და არც იმ მიწების გლეხებისათვის გადაცემას, რომელიც შეერთებული შტატების კონცერნს ეკუთვნოდა. ეს უკანასკნელი ჰონდურასის ტერიტორიაზე უდიდეს ბანანის

პლანტაციებს ფლობს. ხელისუფლებას ეწადა ჰონდურასელი გლეხებისათვის ის მიწები დაერიგებინა, რომელსაც სალვადორელი გლეხები ფლობდნენ. ეს კი ნიშნავდა, რომ 300 ათასი ემიგრანტი თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, სადაც არაფერი არ გააჩნდათ. სალვადორის ოლიგარქიული ხელისუფლება წინააღმდეგი იყო ამ გლეხების უკან დაბრუნებისა, რადგან ეს გლეხურ რევოლუციას მოასწავებდა.

ჰონდურასის ხელისუფლება ამას მოითხოვდა, სალვადორის - წინააღმდეგი იყო. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა, ორივეს გაზეთები ზიზღისა და სიძულვილს აღვიკებდნენ. რას არ უწოდებდნენ ერთმანეთს - ჰიტლერელებს, სადისტებს, აგრესორებს, არაშხადებს. ერთმანეთს ხოცავდნენ, მაღაზიებს უწყევდნენ.

და აი, ასეთი ატმოსფეროს არსებობისას სალვადორისა და ჰონდურასის ფეხბურთის ნაკრებებს შორის მატჩი გაიმართა. გადამწყვეტი შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მექსიკაში მოეწყო (სალვადორმა 3:2 გაიმარჯვა). ჰონდურასის გულშემატკივრები სტადიონის ერთ მხარეს დასხეს, სალვადორისა - მეორე მხარეს. მათ შორის კი დაჯდა ხუთი ათასი მექსიკელი პოლიციელი, რომლებიც ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებული.

ფეხბურთის მატჩმა კიდევ უფრო გაამწვავა ამ ქვეყნებს შორის დამოკიდებულება და ურაპატრიოტული ისტერია გააღვივა, რაც ასე აუცილებელი იყო ომის გასაჩაღებლათა და ორივე ქვეყანაში ოლიგარქიული ხელისუფლების გასაძლიერებლად.

პირველმა სალვადორმა შეუტია, რომელსაც გაცილებით ძლიერი არმია ჰყავდა და ადვილი გამარჯვების იმედიც ჰქონდა.

ამ ომში გამარჯვებული არავინ დარჩენილა. საზღვრები, რომლებიც მთიან და ბუნქებიან ადგილებში გადის, არ შეცვლილა, არადა, ამ ადგილების მიმართ ორივე ქვეყანასა აქვს პრეტენზია.

ემიგრანტთა ნაწილი სალვადორში დაბრუნდა, დანარჩენი კვლავაც ჰონდურასში ცხოვრობს.

ორივე ქვეყნის მთავრობა კმაყოფილი დარჩა ომით, რამეთუ რამდენიმე დღის განმავლობაში სალვადორსაც და პონდურასსაც მთავარი ადგილი ეკავათ მსოფლიო პრესაში და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მთავარ ობიექტებად იქცნენ. მესამე, მეოთხე და დანარჩენი სამყაროს ქვეყნებს ხომ მხოლოდ მაშინ უჩნდებათ შანსი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრონ, როდესაც იქ ომი და სისხლისღვრა იწყება. სამწუხარო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს მართლაც ასეა.

### რატომ იტაცებენ პარტიზანები დიპლომატებს?

ამის გაგება შეიძლება, თუ გვეცოდინება ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური პატიმრის მდგომარეობა.

კერძოდ, მას, ვინც ჩივის არსებული რეჟიმის მიმართ ან მის წინააღმდეგ გამოდის, ციხეში სვამენ.

ამ ადამიანს რაიმე კონკრეტული დანაშაული არ მიუძღვის.

ვინაიდან მას რაიმე ბრალი არ ედება, მისი სასამართლო პროცესიც არ გაიმართება. მაშასადამე, განაჩენსაც არ გამოუტანენ. საქმეში არც პროკურატურა ჩაერევა და არც დაცვის მხარე, არ არის აპელაცია ან ამნესტია. არ არის აღიარება, საბრალდებულო აქტი. არაფერი. მოწმე შეიძლება გახდეს დამნაშავე, დამნაშავე - უდანაშაულო. არც ერთი სასამართლო არავის არაფერში არ ადანაშაულებს. პატიმრის სიტუაცია პრაქტიკულად უბრალო ფორმულამდე დადის: რატომ ზის? იმიტომ, რომ ჩასვეს.

პატიმარი ციხიდან შეიძლება გამოვიდეს ერთი წლის, ათი წლის შემდეგ, ან შეიძლება საერთოდ არ გამოვიდეს. მრავალ ამ პატიმარს ათავისუფლებენ, როდესაც ახალ პრეზიდენტს ირჩევენ, ანუ მიდის ის პრეზიდენტი, რომელმაც ისინი დაიჭირა. ყველა პრეზიდენტს თავისი პატიმრები ჰყავს. ამ უკანასკნელთა ბედი მის ბედთანაა დაკავშირებული. ახალი პოლიტიკოსი იკავებს პრეზიდენტის სავარძელს და ახალი

პატიმრები ავსებენ საკნებს. ამიტომ ამა თუ იმ პრეზიდენტის არჩევასთან ერთად ქვეყანას ადამიანთა გარკვეული ჯგუფი სტოვებს - ესენი მისი პირადი მტრები არიან, რომელთაც იციან, რომ გისოსებს იქით ჩაჯდომა არ ასცდებათ. მაგრამ ასეთი ლიბერალური ურთიერთობები ბატონობენ ლათინური ამერიკის მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის რაღაც ფორმები მაინც არის, სამაგიეროდ იმ ქვეყნებში, სადაც დიქტატურა მძვინვარებს, პატიმარს იოტი სოდენა იმედიც არა აქვს, რომ თავისუფლებას მოიპოვებს და უპირველეს ყოვლისა, რომ ცოცხალი დარჩება.

ეს გვატემალის შემთხვევაა. დაპატიმრებულს ჯერ აწამებენ. თუ ის წამებას გაუძლებს, შემდეგ ციხეში სვამენ. ამის შემდეგ მისი წამება გრძელდება და მთავრდება იმით, რომ მის გვამს თხრილში პოულობენ.

აქ არ არსებობს რაიმე ლეგალური გზა სიმართლის დამტკიცების ან პატიმრის გამართლების. ის სამართალს ვერ იპოვის. მისი გათავისუფლება შეიარაღებული გზით შეუძლებელია: გვატემალაში პოლიტპატიმართა ციხე სამხედრო ბანაკის ტერიტორიაზეა, ციხეს რამდენიმე ან რამდენიმე ათეული კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი, ტანკები და არტილერია იცავს.

მხოლოდ ერთი გზა რჩება: გაიტაცონ მოწინააღმდეგე და ის პატიმარზე გაცვალონ. ამასთან, მისი გატაცების აქტი შემთხვევითი როდია, მას დაუფიქრებლად არ მოიტაცებენ. ამის გაკეთებამდე მიდის დიდი კამათი და დასაბუთება.

### კვლავ აფრიკაში

სულები. აფრიკაში ადამიანებს სკეპტიკურად დამოკიდებულება აქვს ცეცხლსასროლი იარაღისადმი. ყოველ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ვიღაც ასეთი იარაღით მოკლეს, აქ ურწმუნოდ ეკიდებიან. ჯერ ერთი - არ არსებობს ადამიანი, რომელსაც გასროლილ ტყვია ექნებოდა დანახული. ამიტომ როგორ უნდა

დაადგინო, რომ ვილაცის სიკვდილის მიზეზი ის გახდა, რომ ვილაც სხვამ ცეცხლსასროლი იარაღით ისროლა?! მეორეც - ყოველთვის არსებობს მეთოდი, რომ გასროლილი ტყვიის მსვლელობის გზა შეიცვალოს. ამისათვის შეიძლება გამოიყენონ იუ-იუს სხვადასხვა სახეობა, რომელიც გაცილებით უფრო საიმედოა, ვიდრე ფოლადის ჯაგშანი. დასავლეთ ნიგერიის ყოფილი პრემიერი - შეიე აკინტოლა დახვრიტეს არა კედელთან მიყენებული, როგორც ამას უმეტეს შემთხვევაში აკეთებენ ხოლმე, არამედ შუა აივანზე, რადგანაც თავდამსხმელებმა იცოდნენ, რომ იუ-იუ, რომელიც აკინტოლას ჰქონდა, მას ტყვიაშეუვალად აქცევდა, თუკი ის კედელს შეეხებოდა. ევროპული საზოგადოებრივი აზრი არა ერთხელ შემფოთებულა კონგოდან იმ ცნობების მიღებისას, რომ მოკლულთა გვამებს ასახიჩრებნო. ეს არაა საღიზმის გამოვლინება, როგორც ამის ახსნას ისინი ცდილობდნენ. ადამიანის გვამისადმი ამგვარი მოპყრობა გამომდინარეობდა იმ მეტაფიზიკიდან, იმ რწმენიდან, რომ ადამიანი არა მხოლოდ სხეულისაგან, არამედ სხეულის შემავსებელი სულისაგან შედგება. მრავალ თეორიკანიანს სწამს, რომ ადამიანი შედგება სულისა და სხეულისაგან. მაგრამ ერთ სულის რწმენა ადამიანური არსის რთული გამოცანის ძალზე პრიმიტიულ გაუბრალოებას წარმოადგენს. სინამდვილეში, რადგან ადამიანის სხეული შევსებულია მრავალი სულით, რომლებიც ადამიანის სხეულის მრავალ ორგანოში არიან ჩასახლებული, ამ სულების ძალმოსილება ძალზე ძლიერია. თუკი ისინი ცოცხლები დარჩებიან, მათ ძლისხმევით შესაძლებელია სხეულის აღორძინება. გულუბრყვილო იქნებოდა შეხედულება, თითქოს სულების მთელი ეს რთული სამყარო, რომელსაც ადამიანის ყოველ უჯრედში დაუდვია ბინა, შეიძლება ერთი ტყვიის საშუალებით მოსპო.

### ციხე აკრში

ციხე - ეს არის ძალიან საინტერესო ობიექტი, რომელიც აკრში ააშენეს და 20 მილიონი დოლარი დაჯდა (მაშინ,

როდესაც ამ ქალაქში ჰურის ყიდვაც კი ძნელი იყო), მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გახსნიდან ოთხი დღის შემდეგ (1966 წელი) მასში აფრიკის ქვეყნების მეთაურებს თათბირი გაემართათ. კონფერენციის შემდეგ ნაგებობა დაიკეტა, ახლა დგას ცარიელი და ნადგურდება. ტროპიკულ ადგილებში გამოუყენები შენობა, რამდენიმე წელიწადში ნანგრევებად იქცევა.

ამ ობიექტის აშენების იდეა, რომელსაც სახელმწიფო სახლი ეწოდა, ნკრუმახს ეკუთვნის. არქიტექტორებმა გვემა შეიმუშავეს. დავალება იყო, რომ ნაგებობა მონუმენტალური, თანამედროვე და მაქსიმალურად უსაფრთხოც ყოფილიყო. მშენებლებმა მიზანს მიაღწიეს.

სახლი 12 სართულიანი, ვეებერთელა შენობაა. მასში უდიდესი სააქტო დარბაზი და ასევე უშველებელი მისაღებაი. მთავარი ნაგებობა სამოც აპარტამენტადაა დაყოფილი - ყოველი სახელმწიფო მეთაურისათვის საკუთარი ოფისი. საკუთარი ოფისი ჰქონდა ასევე ყოველი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრსაც. აპარტამენტი დიდი ფუფუნებით მორთულ-მოკაზმული ათი ოთახისაგან, ორი სააბაზანოსაგან და ა. შ. შედგებოდა. როდესაც რ. კაპუშჩინსკი ლიბერიის პრეზიდენტის, ტუბმანის აპარტამენტში შევიდა, განცვიფრებას ვერ ძალავდა, თუმცა ამქვეყნად მრავალი რამ ჰქონდა ნანახი.

ამასთან, ნაგებობაზე მეტად განსაცვიფრებელი მისი დაცვის სისტემა იყო. ეს ობიექტი ისეთი მეთოდითაა აგებული, რომ მასში შევალბთ თუ არა კარს, სადაც არ უნდა წავიდეთ, სადაც არ უნდა დავდგეთ, კედლებით ვართ შემოსაზღვრული. შენობა აგებულია სათამაშო რუსული ბებიის (რუსკაია ბაბუშკა) მსგავსად. დიდ ბებიამი ჩასმულია პატარა, პატარაში კიდევ უფრო პატარა და ასე შემდეგ. აქაც იგივეა. ერთი კედლის შემდეგ მეორეა, მეორეს იქით მესამე და ასე დაუსრულებლივ. მხოლოდ მათ შუაშია აპარტამენტი.

ამრიგად აფრიკის ლიდერები გარედან თავდასხმისაგან დაცული იყენენ. ხელის იარაღით აღჭურვილი ჯარი ამ ნაგებობის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა. ავტომატის ტყვია

ნაგებობის კედელს ვერაფერს დააკლებს. თუმცა ნაგებობის კედლები მსუბუქი და საშუალო კალიბრის არტილერიისაგან დასაცავადაცაა გაანგარიშებული. ის დაცულია ასევე 160 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევის საწინააღმდეგოდაც. ეს სახელმწიფო სახლი მხოლოდ საზღვაო არტილერიის ტყვიებს ან საჰაერო თავდასხმას თუ შეუძლია გაანადგუროს. თუმცა მოვლენების ასეთი განვითარებაც გათვალისწინებულია. სახელმწიფო სახლს მიწისქვეშეთში სარდაფები (სამალაგები) აქვს დაყოლებული, ისინი ნაგებობის ნებისმიერ წერტილს უკავშირდებიან. სამალაგები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, სასმელი წყლით, ჰაერის გაწმენდის სისტემით და ა.შ. აქ მყოფი აფრიკის ლიდერები დაბომბვისაგანაც კი დაცული იქნებიან.

ერთი ვგაა, თავს ატომური ბომბისაგან ვერ დაიცავენ.

ისიც გათვალისწინებულია, რომ თუ ალფა დიდხანს გაგრძელდება, სამყოფი სურსათის ჰქონდეთ, რათა დამშეული ლიდერები მტერს არ დანებდნენ. სახელმწიფო სახლის მარჯვენა ფლანგზე მდებარეობს უდიდესი სამაცხარო კომპლექსი, - რამდენიმე თვის სამყოფი სურსათით აქვეა შენახული სამედიცინო პრეპარატებიც, წყლისა და ალკოჰოლური სასმელის მარაგი.

სახლში დამონტაჟებულია ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროც (ერთი მარაგდება ელექტროსადგურიდან, მეორე - გენერატორია). სახლს აქვს დამოუკიდებელი სატელეფონო კავშირებიც, რომლებითაც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილთან შეიძლება დაკავშირება.

ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ სახელმწიფო სახლს აქვს აუნები, კაფე-ბარები, საკუთარი სტამბა, ცენტრალური კლიმატიზაცია, ფოსტა, ტელესტუდია და ა.შ.

## ლიბერია

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კაპუშჩინსკი რომელიმე ქვეყანაში ჩასვლასა და მის შესახებ რაიმეს დაწერამდე, საგულდაგულოდ ეზხადებოდა.

1821 წელს, სადღაც იმ სასტუმროს ახლოს, კაკუშჩინსკი რომ დაბინავდა (მონროვია ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე, ნახევარკუნძულზეა გაშენებული) მოცურდა გემი და ამერიკიდან ჩამოიყვანა ამ ქვეყნის კოლონიური საზოგადოების აგენტი რობერტ სტოკტონი. მან რევოლუერი მიაღო შუბლზე ადგილობრივი ტომის ბელადს, მეფე პეტეროვს და - ექვსი მუშკეტისა და ერთი ყუთი ფსალმუნების საფასურად აიძულა მისთვის მიეყიდა მიწა, რომელზეც ამ საზოგადოებას ბამბის პლანტაციების თავისუფალი ადამიანების სტატუსიანი მონები დაასახლა (ძირითადად ვირჯინიის, ჯორჯიისა და მერილანდის შტატებიდან). სტოკტონის საზოგადოებას ლიბერალური და ჰუმანიტარული ხასიათი ჰქონდა. მისი ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ მონათმფლობელობის გამო ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად, კარგი იქნებოდა, თუ მონობის უღლისაგან გათავისუფლებულ ადამიანებს დაასახლებდნენ იქ, საიდანაც იყვნენ მათი წინაპრები, - აფრიკაში.

იქიდან მოყოლებული გემებით ყოველწლიურად აქ ჩამოჰყავდათ ყოფილი მონები, რომლებიც დღევანდელი მონროვიას ტერიტორიაზე სახლდებოდნენ. მათ დიდი საზოგადოება არ შეუდგენიათ. როდესაც 1847 წელს ლიბერიის რუსპუბლიკა გამოაცხადეს, ისინი ექვსი ათასს არ აღემატებოდნენ და ქვეყნის მოსახლეობის ერთ პროცენტსაც ვერ შეადგენდნენ.

ძალზე საინტერესოა ამ ახალმოსახლეთა ქცევა და ბედი (ისინი თავიანთ თავს ამერიკელ-ლიბერიელებს უწოდებენ). ჯერ კიდევ გუშინ ისინი ამერიკელი პარიები და მისი სამხრეთი შტატების პლანტაციების უწყლებო მონები იყვნენ. უმრავლესობა სრულიად უწიგნური იყო, არ გააჩნდა რაიმე პროფესია. მათი მამები წლების წინ აფრიკიდან გაიტაცეს, ბორკილებით ამერიკაში ჩაიყვანეს და მონათა ბაზარზე გაყიდეს. ახლა ისინი, იმ უბედური ხალხის შთამომავლები, თავადაც ამ ბოლო დრომდე შავი მონები, კვლავ აფრიკაში, წინაპართა მიწაზე, მათ სამყაროში მოხვდნენ, ერთი ფეხის მქონე ძმებს შორის და იგივე კანის ფერით ლიბერალური აზრის გამტარებელმა თუთრკანიანმა ამერიკელებმა

ისინი კვლავ აქ დააბრუნეს და საკუთარი ბედის წინაშე პირისპირ აღმოჩნდნენ. ახლა როგორ უნდა მოქცეულიყვნენ? რა გაეკეთებინათ? და აი, მიუხედავად მათი კეთილისმყოფელთა მოლოდინისა, მათ წინაპრების მიწისათვის კოცნა არ დაუწყიათ და აქაური აფრიკელები მკერდში არ ჩაუკრაათ.

ამ ამერიკელ-ლიბერიელებმა საკუთარი გამოცდილებით მხოლოდ მონათმფლობელური საზოგადოება იციან, რადგან ასეთი წყობა არსებობდა მაშინ ამერიკის სამხრეთ შტატებში. ამიტომ აფრიკაში ჩამოსვლის ერთ-ერთ მიზნად მსგავსი საზოგადოების აშენება დაისახეს, ოღონდ ახლა ბატონები ისინი, - გუშინდელი მონები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მონებად ადგილობრივი, მასპინძელი ხალხი, რომელსაც ისინი დაიმორჩილებდნენ და იბატონებდნენ.

ლიბერია - ესაა მონათმფლობელური წესრიგის გაგრძელება თავად მონების ნებითა და ძალისხმევით, რომელთაც არა უსამართლო სისტემის დანგრევა, არამედ მისი შენარჩუნება, განვითარება და მისით სარგებლობა სწადიათ. როგორც ჩანს, მონობას შეჩვეულ გონებას, „მონობაში დაბადებულ აზროვნებას, მონობის არტახებით შებოჭვილს“ არ შეუძლია უკეთესი, თავისუფალი სამყაროს წარმოდგენა, სადაც ყველანი თანასწორნი იქნებიან.

ლიბერიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ხშირი, ტროპიკული, ნესტიანი, მაღარიული ჯუნგლები იკავებს. იქ ცხოვრობენ მცირე, ღარიბი და სუსტად ორგანიზებული ტომები (მდიდრები, ძლიერი სახელმწიფო და სამხედრო სტრუქტურებით, უპირატესად სავანას გაშლილ, ფართო სივრცეებში ცხოვრობს. აფრიკის ჯუნგლების კომუნიკაციისა და ჯანმრთელობისათვის რთული და მძიმე პირობები ხელს უშლიდნენ აქ ასეთი სტრუქტურების ჩამოყალიბებას). ახლა აქ, ამ ადგილებში, რომელიც ტრადიციულად ადგილობრივ, მონაიესავე ხალხს ეკავა, შემოპყავთ ოკეანესგალმელი ხალხი. მათ შორის ურთიერთობა თავიდანვე მტრული იყო. ამერიკელ-ლიბერიელები უპირველეს ყოვლისა, აცხადებენ, რომ მხოლოდ ისინი არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები. დანარჩენებს - ანუ მოსახლეობის 98% პროცენტს

ამ სტატუსზე უარს ეუბნებიან. მიღებული კანონებით, დანარჩენი მოსახლეობა მხოლოდ ტრიბესმენ (ტომის წევრი), უკულტურო, ველურ, წარმართ ხალხს წარმოადგენს.

უფრო ხშირად ორი საზოგადოება ცხოვრობს ერთმანეთისაგან შორს, ძალზე იშვიათად აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა. ახალმა ბატონებმა დაიკავეს ლამაზი ზღვისპირა ადგილები და იქ დასახლდა (მათგან ყველაზე დიდი მონროფიაა). მხოლოდ ლიბერიის დაფუძნებიდან ასი წლის შემდეგ მისი პრეზიდენტი, ვილიამ ტუმენი ჩავიდა პირველად ქვეყნის სიღრმეში. ამერიკიდან ჩამოსულები, რომლებიც ადგილობრივებისაგან კანის ფერთა და ფიზიკური აღნაგობით არ განირჩეოდნენ, ცდილობდნენ რაღაც სხვა გზით გაესკათ ხაზი თავიანთ გამორჩეულობისა და აღმატებულობისათვის. ლიბერიისათვის დამახასიათებელ სამინლად ცხელ კლიმატში, მამაკაცები დღესაც კი, ჩვეულებრივ ფრაკებსა და სპენცერებში (მოკლე ქურთუკი) გამოწყობილი დადიან, ახურიათ შლიაპა და თეთრი ხელთათმანები მოსავთ ქალბატონები ძირითადად სახლში საქმიანობენ, მაგრამ თუ ქუჩაში გაუღენ (XX საუკუნის შუა წლებამდე მონროფიაში არ იყო ასფალტი და არც ტროტუარები), მხოლოდ მტკიცე ხაბარდამი გამოწყობილნი, ხშირი პარიკითა და კაბაზე ყვავილით მიეღი ეს მაღალი, ექსკლუზიური საზოგადოება ისეთი სტილის სახლებში ცხოვრობს, რომლებიც ზუსტად იმეორებენ იმ სახლების ფასადსა და მოდელს, რომელსაც იშენებდნენ სამხრეთ ამერიკაში პლანტაციების მფლობელი თეთრი ამერიკელები. ამერიკელ-ლიბერიელები ჰქმნიან ასევე ვიწრო რელიგიურ წრეს, რომელში შესვლაც ადგილობრივ აფრიკელს ეკრძალება. ჩამოსულები მგზნებარე ბაპტისტები და მეთოდისტები არიან. ახალ მიწაზე აშენებენ თავიანთ უბრალო ეკლესიებს, მათში ატარებენ მთელ თავიანთ თავისუფალ დროს, მღერიან საღმრთო სიმღერებს, ჰიმნებს და სისტემატურად ესწრებიან წირვალოცვებს. ზოგჯერ ეს ღვთის სახლები ახლობლების საზეიმო თაშყერის ადგილად, ერთგვარ ჩაკტილ კლუბს ემსგავსება.

მანამდე, დიდი ხნით ადრე, ვიდრე თეთრი აფრიკოსები სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდს (გარკვეული ნიშნის მიხედვით

მოსახლეობის დაყოფა) შემოიღებდნენ, ეს სისტემა უკვე XX საუკუნეში შავი მონების შთამომავლებმა - ლიბერიის მმართველებმა გამოიგონეს და ცხოვრებაში დანერგეს. უკვე თავად ბუნება და გაუვალი ჯუნგლები განაპირობებდა იმას, რომ ჩამოსულთა და ადგილობრივთა შორის ეარსება ბუნებრივ, ერთმანეთისაგან დამამორებელ საზღვარს, რომელიც მოსახლეობის ასეთ სეგრეგაციას უწყობდა ხელს. ეს გამყოფი ზოლი იყო დაუსახლებელი, უპატრონო სივრცე. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მონროვიის მცირე, ბიგოტერიულ სამყაროში აკრძალულია ახლო კონტაქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან, უპირველეს ყოვლისა კი - ცოლ-ქმრული ურთიერთობები. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ „ველურებმა თავისი ადგილი იცოდნენ“. ამ მიზნით მონროვიის ხელისუფლება ყოველ ტომს (ლიბერიაში თექვსმეტი ტომია) თავის ტერიტორიას, ტიპიურ ჰომელანდს უსაზღვრავს, სადაც ის უნდა იმყოფებოდეს. ეს სისტემა შეიქმნა თექვსმეტი წლით ადრე, ვიდრე მას პრეტორიის თეთრკანიანი რასისტები შემოიღებდნენ. ვინც კი ამის წინააღმდეგ გამოვიდოდა, მკაცრად სჯიდნენ, ბუნტისა და საპროტესტო გამოსვლების ადგილებში ხელისუფლება ჯარსა და სადამსჯელო ექსპედიციას გზავნიდა. ჯიუტი და დაუმორჩილებელი ხალხის ბელადებს ადგილზევე ხოცავდნენ, თავად მეაბოხეებსაც ასევე, ან ხოცავდნენ ან ციხეში სვამდნენ, მათ სოფლებს ანადგურებდნენ, ხოლო მოსავალს უწვამდნენ. ძველი, ტრადიციული, მსოფლიოში გავრცელებული ჩვეულების თანახმად, აქაც ეს ექსპედიციები და ბრძოლები ერთ მიზანს ემსახურებოდა: წამოესხათ მონები. ამერიკელ-ლიბერიელებსაც ხომ სჭირდებოდათ მუქეთი სამუშაო ძალა. და მართლაც, უკვე XIX საუკუნის II ნახევარში ისინი თავიანთ საამქროებსა და მეურნეობებში საკუთარ მონებს ამუშავებდნენ. მეტიც: მათ სხვა კოლონიებსაც მიასყიდებდნენ. XX საუკუნის ოციანი წლების ბოლოს მსოფლიო პრესამ გამოაქვეყნა, თუ რა აქტიურად იყენებდა ამგვარ მეთოდებს ლიბერიის ოფიციალური ხელისუფლება. ამ საქმეში ჩაერია ასევე ერთა ლიგაც. მისი ზეწოლის შედეგად მაშინდელი პრეზიდენტი ჩარლს კინგი გადადგა.

თუმცა ეს პრაქტიკა, ამჯერად უკვე მალულად, კვლავაც გაგრძელდება.

ლიბერიაში ჩასვლის პირველივე დღეებიდანვე ამერიკიდან დაბრუნებული ყოფილი მონები იმაზე ფიქრობდნენ, თუ ახალ ქვეყანაში თავიანთი უპირატესი მდგომარეობა როგორ შეენარჩუნებინათ და გაეძლიერებინათ. თავდაპირველად ისინი ქვეყნის ძირძველ მოსახლეობას მმართველობის სადავეებთან არ უშვებდნენ, მოქალაქეობასაც კი არ აძლევდნენ. მათ ცხოვრება მხოლოდ თავიანთი ტომის ბინადრობის ადგილას შეეძლოთ. შემდეგ უფრო შორს წავიდნენ - ერთპარტიული მმართველობის სისტემა შემოიღეს. ლენინის დაბადებამდე ერთი წლით ადრე, კერძოდ კი, 1869 წელს, მონროვიაში წარმოდგა პარტია რომელიც ლიბერიაში ხელისუფლებას ხელთ III წელიწადს, ანუ 1980 წლამდე ჩაიგდებს. ამ პარტიის მმართველობა ანუ მისი პოლიტიკური ბიურო თავიდანვე ყველაფერს წყვეტდა: ვინ იქნებოდა პრეზიდენტი, ვინ დაიკაფებდა მინისტრთა საკარძლებს, როგორი პოლიტიკა გატარდებოდა, რომელ უცხოურ ფირმას მისცემდნენ კონცესიას, ვინ იქნებოდა პოლიციის უფროსი, ფოსტის დირექტორი და ა. შ. მოკლედ, ყოველ წერილმანში ერეოდა, უმდაბლეს დონემდე. ამ პარტიის თავმჯდომარეები იყვნენ რესპუბლიკის პრეზიდენტები და პირიქით, - რადგან ეს პოსტი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავდათ. მხოლოდ ამ პარტიის წევრს შეეძლო ცხოვრებაში რაიმე წარმატებისათვის მიეღწია. ოპონენტები ციხეში იხსდნენ ან ემიგრაციაში მიდიოდნენ.

## ოგადენი

გეტაკუნის ყოველდღიურად შედიოდა ბანაკში და ხალხის უდაბნოში წასასვლელად დაყოლიებას ცდილობდა. არხს ვთხრით, ამბობდა, წყალი წამოვა, სიმიინდი გაიზრდება. არ იცოდა, როგორ გამოიყურება არხი ან სიმიინდი როგორ იზრდება. ხალხი უკმაყოფილოდ ბუზლუნებდა, გეტაკუნის თარჯიმანს

უბრუნდებოდა და ეკითხებოდა, თუ რა უნდოდათ. სიმინდი არ უნდათ. მათი საკვები რძე და ხორცია. აქლემები უნდათ. მაგრამ თქვენ ზომ იცით, - ამბობდა გეტაჰუნი - რომ თქვენი აქლემები დაიხოცნენ?! ჰო, ეს სიმართლეა, ყველაფერი ალაჰის ნებაა. ხალხის რიცხოვნობა მცირდებოდა, მიდიოდნენ ქოხებში, ბუჩქებში, იკარგებოდნენ ჩრდილში. გეტაჰუნი ჯიუტობდა. ყოველ დილას ხელახლა კრებდა ხალხს. წარმოუდგენელი ენერჯია ჰქონდათ მას ხალხის დაყოლიების მცდელობაში, მათ - მის მოსმენასა და მისი ინიციატივის უარყოფაში. ამასობაში კვირები გადიოდა და არაფერი კეთდებოდა. დღიურ უღუფად ნახევარ კილოგრამ სიმინდს იღებდნენ. მის ნაწილს ჭამდნენ, რადგან სხვა არაფერი საჭმელი არ ჰქონდათ, ხოლო ნაწილს შავ ბაზარზე ჰყიდდნენ: შემოსავალს აქლემის შესაძენად აგროვებდნენ. ვინც იმდენს მოახერხებდა, რომ აქლემიც შეეძინა, თუნდაც რამდენიმე თხაც, ის უდაბნოში იკარგებოდა. ხშირად ნამდვილ სიკვდილზე მიდიოდნენ, უწყლოობით იხოცებოდნენ, უდაბნოში ვერავის ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ ბუნება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თვითგადარჩენის ინსტიქტი. მათთვის სიცოცხლე მოძრაობას, სოვრცეების გადალახვას ნიშნავდა, ერთ ადგილას გაჩერებულნი იფიტებოდნენ და კვდებოდნენ.

ეთიოპიასა და სომალს შორის საზღვარი მხოლოდ რუკაზეა დატანებული. რეალურად მისი გადაკვეთა თავისუფლად და ნებისმიერ დროს შეიძლება, ვიდრე ერთ-ერთი არმიის სამორიგეო არ შეგხვდებათ ეს უკანასკნელნი კი ძალიან მცირე რაოდენობითაა და ერთმანეთს რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაშორებული. არც ერთ ამ ქვეყანას არც ფინანსური სახსრები აქვს და არც ისე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს, რომ თავისი საზღვრები ფხიზლად დაიცვას. შეიძლება ასი-ასოცი კილომეტრი გაიარო ეთიოპიის შუაგულში, რომ ვერავინ შეგამჩნევს. ანალოგიური მდგომარეობაა სომალის მხარესაც. მუდმივი დასახლებები ამ ქვეყანაში მცირეა: რამდენიმე პატარა და ღარიბი სოფელი, თიხის ქოხები კანალიზაციისა და შუქის გარეშე. ვინც ასეთ დასახლებას ჩაიგდებს ხელთ, ახლო-მახლო ტერიტორიებსაც ის გააკონტროლებს.

ოგადენი უზარმაზარი უდაბნოა, უდიდესი საცეცხლური, რომელზედაც მთელი დღე შხით გავარჯარებული ჰაერია გაბატონებული. აქ ადამიანის მთელი ძალისხმევა ჩრდილისა და ნიავის ძებნისკენაა მიმართული. ვინც ჩრდილს ნახავს, მას ლატარეის ბილეთიც მოგებულები აქვს. ვინც ნიავს მიაგნებს, სიხარულიც მას დაუფლება. მთელი დღეს შხის ქვეშ გაძლება ადამიანის ძალებს აღემატება. ადრეულ ეპოქებში ყველაზე დახვეწილ წამებად ითვლებოდა ადამიანის გამიშვლება და მისი შხის ჰაპანაქებაში დატოვება.

მწერალი ეკითხება, ბოლო ომი თუ გახსოვსო? პასუხი დადებითი იყო. მწერალსაც ახსოვს, 1964 წელი იყო. მაშინ სომალიში იყო. ჰარგესისში იჯდა და მოგადიშში წასვლას ვერ ახერხებდა. მთელ ჰარგესისში ერთადერთი გამოსაჩენი ნაკებობა ბრიტანეთის ყოფილი გუბერნატორის რეზიდენცია იყო. მშრალ სეზონისას ჰარგესისი დიდ ქალაქად იქცეოდა ხოლმე, - აქ იყო წყალი, რომლისკენაც ყველა ახლო-მახლო მყოფი მომთაბარე მოიწევდა თავისი ფართი. გაზაფხულობით, როდესაც საძოვრები ამწვანებას იწყებდა, ქალაქი უკაცრიელდებოდა და უდაბნოში მიმავალ გზაზე ერთი შესვენების ადგილად იქცეოდა. ქალაქში ცხოვრება მხოლოდ ერთადერთ ადგილას - ბენზინგასამართ სადგურთან ჩანდა. მხოლოდ იქ შევეძლო ჩაიდაგელია და რადიოსთვის მოგესმინა. იქ მოსული სატვირთო ავტომანქანების მძღოლებისაგან, რაც იშვიათად ხდებოდა, შეგეძლო გაგეგო როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის - ჯიბუტის და აღენის ახალი ამბები. მწერალი იქ ყოველდღე მოდიოდა იქ იმ იმედით, რომ რომელიმე მანქანა მოვიდოდა, რომელიც მას მოგადიშამდე წაიყვანდა. მთელი კვირა გზა ცარიელი იყო, არავინ გამოჩენილა. ბოლოს, მოულოდნელად, მტვრის ღრუბლებში ოცი ახალი ლანდ-როფერი გამოჩნდა. ისინი ბერბერიდან მოგადიშამდე მიდიოდნენ. მწერალმა მძღოლებს სთხოვა, წაეყვანა. საშინელ უდაბნოში, წარმოუდგენელ უგზობაში, მტვრის ღრუბლებში ხუთი დღე მიდიოდნენ. ასეთი მტვრისაგან შოფრებს გზის დანახვა არ შეეძლოთ. ამ უკაცრი-

ელ, ამ უგზო ადგილას არა ერთმანეთის მიყოლებით, არამედ რიგებით მიდიოდნენ.

კაპუშინისკის მთელი ხუთი დღის განმავლობაში წყალი არ უნახავს. ერთადერთი დასალევი, ამჟღაროულად საკვებიც კი, აქლემის მწარე, მწკლარტე რძე იყო. ისინი მას იღებდნენ გზად მქებვედრილი მომთაბარეებისაგან, რომლებიც მოულოდნელად, კაცმა არ იცის, საიდან, გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მომთაბარეები ჭისა და საძოვრების ძიებაში თავიანთი აქლემების, თხებისა და ცხვრების ფარებით გადაადგილდებოდნენ.

ადგილი, სადაც მაშინ მიდიოდნენ, ოგადენის გული, ეთიოპიისა და სომალის საზღვარი იყო. ვინაიდან მასზე არავითარი გამოკვეთილი გზა არ ყოფილა, მხოლოდ ცალკეული კლდეები და განმარტოებით მდგარი აკაციის ხეები ჩანდა, რომელთა მიხედვითაც იღებდნენ მძლოლები ორიენტაციას. კაპუშინისკი ხშირად ეკითხებოდა ხოლმე ბედუინებს, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებოდნენ, მაგრამ დარწმუნებით არ იცოდნენ. ეს ნიშნავდა, რომ მათი აზრით, ისინი იყვნენ სომალიში, რადგან სწამდათ, რომ იქით გავეშურეთ, სადაც სომალიელთა კარვები იდგა. გეტაპუმის ორგანიზებით უხუცესთა საბჭო შეიკრიბა. ოთხი უხუცესი მოვიდა. კაპუშინისკი მათი ასაკით დაინტერესდა. ყველაზე უფროსი ორმოცდაოთხი წლის იყო. ადამიანის მიმართ მტრულად განწყობილი მიწა უფრო ხანგრძლივად სიცოცხლის საშუალებას არ იძლევა. ამბობენ, რომ წელიწადი იყოფა წვიმების სეზონად, რომელსაც გუ ეწოდება და მშრალ სეზონად, რომელსაც ჯალალი ჰქვია. წვიმა სიცოცხლის სიტკობებაა. მიწა ბალახით იფარება, ჭები კი წყლით ივსება. ეს არის საქორწილო კავშირების შეკვრის დრო, რადგან მამაკაცში ძალა მატულობს, ხოლო ქალში - ვნება-სურვილი იღვიძებს. მაგრამ გუ სწრაფად მთავრდება და დგება ჯილალის სეზონი. მზე წვაკს ბალახს და აშრობს ჭებს. მაშინ ბედუინები აკეცავენ კარვებს და საძოვრებისა და ჭების საძებრად გზას დაადგებიან. საშიში დრო დგება, ომები იწყება, რამეთუ საძოვრები ცოტაა და მასზე ყველა ფარა როდი დაეჭევა. თუ რომე-

ლიმე კლანი საძოვრის დაკავებას მოისურვებს, მან ომი უნდა წამოიწიოს. ხალხი იხოცება, რათა საქონელმა სიცოცხლე შეძლოს. მსგავსი ომები მიმდინარეობს ჭვების გამოც, რადგან მასში მეტი სმეტად ცოტა წყალი ყველას არ ეყოფა.

ყოველი ჭის ირგვლივ ადამიანის უამრავი ძვალი ყრია.

შემდეგ მწერალი კვლავ დედამიწის მეორე ნახევარსფეროში გადაისროლა ბედმა, ხოლო შემდეგ კვლავ აფრიკაში. „აზრი აქვს კვლავ გავაგრძელო ეს ისტორია? იმის თაობაზე მოყოლა, თუ როგორ გადავცურეთ ზამბეზი, მარშალ იდი ამინთან ვიზიტის ან ოგადენის ქვიშაში ხეტიალის თაობაზე? დედამიწის აღწერა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ხალხი ისეთ პატარა სამყაროში იცხოვრებდა, როგორშიც მარკო პოლოს დროს ცხოვრობდნენ. დღეს კი სამყარო უზარმაზარი და უსასრულოა და თანაც ზრდას არ წყვეტს. „მანამდე აქლემი ნემსის ყუნწში გაძვრება, კიდრე შესაძლებელი გახდება ყველაფერი იმის, რაც ჩვენს, რამდენიმე მილიარდი ადამიანის გარშემო ხდება, შევიცნობთ, შევიგრძნობთ და შევიმეცნებთ“.

„პერმან მილერის „შობი დიკს“ ვკითხულობ. ნაწარმოების გმირი, მეზღვაური ისმაილი, ოკეანეში მიცურავს. ის თავისი გემის ეკიპაჟთან ერთად ცდილობს გემბანზე ამოათრიოს საშიში და მოუხელთებელი ვეშაპი, რომელიც წყლიდან ამოსრიალდება და მათ საოცარ დარტყმას აყენებს. ის ამ დროს გაიგონებს, რომ გემის კაპიტანი, საშინელი, დაუნდობელი აპაბი ბრძანებას გაცემს: - სვლა მსოფლიოს გარშემო! - და მაშინ ისმაილი ფიქრობს: „მსოფლიოს გარშემო! არის ამ სიტყვებში რაღაც, რაც ადამიანს სიამაყის გრძნობით გაუსებს; მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი მოგზაურობა? ურიცხვი საფრთხის გავლის შემდეგ ის კვლავ იმ წერტილს დაუბრუნდება, საიდანაც დავიწყეთ მიწა იქ, სადაც ისინი უსაფრთხო ადგილას დავტოვეთ. ისედაც მთელი დრო პირველები იყენენ, ჩვენს წინ“.

მიუხედავად ამისა, ისმაილი მაინც განაგრძობს ცურვას“.

## ვიზიტი

1862 წელს ნილოსის შუა წელში გაცურვის დროს, სპეკემ უგანდამდე ჩააღწია, სადაც ბუგანდების მეფე - მუტესეს ეწვია. „სპეკე - წერს მუურუპიდი - იმ ტახტის წინ დასვეს, სადაც მეფე იჯდა. სპეკემ ლოდინი დაიწყო, თუ რა მოხდებოდა.

არაფერიც არ მომხდარა.

თითქმის ერთი საათი ეს ორი ადამიანი იჯდა ასე, პირისპირ და ერთმანეთს უყურებდა. სამარისებური სიჩუმე დასადგურებულიყო. ბოლოს სპეკეს რომელიღაც დიდებული მიუახლოვდა და შეეკითხა: ხომ ნახე მეფე? - როგორ არა, მთელი საათი ვუყურებ - უპასუხა სპეკემ. პასუხი დიდებულმა მეფეს მოახსენა, შემდეგ ადგა და სასახლის სიღრმისაკენ წავიდა.

## ირანში - „შაჰინშაჰი“

რ. კაპუშჩინსკის ჩვევად ჰქონდა წერილათვის საგულდაგულოდ მომზადებულიყო. არ უყვარდა რაიმეს ჰაიჰარად გაკეთება. მაგალითად, ვიდრე „შაჰინშაჰის“ დაწერას შეუდგებოდა, ამ საშხადისს მისი კოლეგა ვოიცებ გელჩინსკი შეესწრო. აი, რას იგონებს იგი: „სასტუმროს ოთახში, სადაც კაპუშჩინსკი ცხოვრობს, გაზეთებისა და წიგნების დასტები ისეა დახორავებული, ჭერამდე სწვდება. ერთი გვერდის დასაწერადაც კი მას უამრავი წიგნისა თუ გაზეთის წაკითხვა უხდება. იგი ეცნობა ბოლოდროინდელ ცნობებს, ითვალისწინებს პოლიტოლოგთა, პოლიტიკოსთა თუ იდეოლოგთა აზრებს და ა.შ. კითხვაზე, როგორ ვწეროთ, კაპუშჩინსკი პასუხობს: ჯერ კითხვა ვისწავლოთ“.

რ. კაპუშჩინსკი ირანის ცნობილი რეკოლუციის დროს ამ ქვეყანაში იმყოფებოდა და ამ დიდი მოვლენს ბევრი საინტერესო დეტალი გააცნო მსოფლიო საზოგადოებას.

აი, როგორ ანალიზს ურთავს მწერალი ცნობილი ფოტოს, რომელმაც თავის დროზე მსოფლიო შემოიარა: სტალინი, რუზ-

ველტი და ჩერჩილი ლამაზ აივანზე საგარბელოში სხედან. სტალინი და ჩერჩილი სამხედრო ფორმაში არიან გამოწყობილი. რუხველტს რუხი კოსტუმი აცვია. სურათი თეირანშია გადაღებული, 1943 წლის მზიანი დეკემბრის დღეს. ამ სურათზე ყველა მათგანს წენარი სახე აქვს, ეს ჩვენზე სასიამოვნოდ და დამაწყენარებლად მოქმედებს, რადგან ვიცით, რომ მიმდინარეობს ისტორიაში უსაშინლესი ომი და ამ ადამიანების სახის გამომეტყველება დედამიწაზე მცხოვრები თითოეული ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანია: მან ხალხს იმედი უნდა ჩაუნერგოს. რეპორტიორები თავიანთ საქმეს მორჩნენ და ახლა ეს დიდი სამეული დარბაზში პირისპირ საუბრისათვის გადის. რუხველტი ჩერჩილს ეკითხება, რა დაეძარათ ამ ქვეყნის მბრძანებელს, შაჰ რეზასო (რუხველტი თან ინტერესდება, სწორედ წარმოთქვამს თუ არა ამ გვარს). ჩერჩილი მხრებს იჩეჩავს და უხალისოდ ლაპარაკობს მასზე. შაჰი აღტაცებული იყო ჰიტლერით და ირგვლივ მისი ხალხი ჰყავდა შემორტყმული – ამბობს ის. მთელი ირანი გერმანელებით გაივსო. ისინი იყვნენ სასახლეში, სამინისტროებში, არმიაში. აბვერმა ძალიან მოიკიდა ფეხი თეირანში და შაჰი ამას სიამოვნებით უყურებდა. მას მოეწონა ჰიტლერის მიერ ინგლისისა და რუსეთისათვის შეტევა, იგი ამ ქვეყნებს ვერ იტანდა და მხარს უჭერდა ფიურერს წინსვლაში. ლონდონს ძალიან ეშინოდა ირანის ნავთობი არ დაეკარგა, რომელიც ინგლისის ფლოტის უმთავრესი საწვავი იყო, ხოლო მოსკოვს იმის შიში ჰქონდა, რომ გერმანელები ირანს დაიკავენდნენ და აქედან შეუტყვედნენ კასპიის ზღვის რეგიონს. თუმცა საქმე უმთავრესად ტრანციმბირის რკინიგზას ეხებოდა, რომლის საშუალებითაც ამერიკელებსა და ინგლისელებს სტალინისათვის იარაღი და სურსათი უნდა მიეწოდებინა. შაჰმა უარი განაცხადა აღნიშნული სარკინიგზო ხაზის ამ მიზნით გამოყენებაზე, ხოლო დრო მეტად დრამატული იყო: გერმანული დივიზიები თანდათან აღმოსავლეთისაკენ მიიწვედნენ. ამ სიტუაციაში მოკავშირეებს უადრესად პრინციპულად უნდა ემოქმედათ – 1941 წლის აგვისტოში ბრიტანეთის არმიისა და წითელი

არმიის ნაწილები ირანში შეიჭრნენ. ირანის თხუთმეტი დივიზია, თითქმის უბრძოლველად დანებდა მტერს. შაჰი ამ ცნობას არ იჯერებდა, არასწორად მიაჩნდა და როდესაც მის სისწორეში დარწმუნდა, ისე განიცადა, როგორც პირადი წყენა და დამცირება. დამარცხებული ჯარის ნაწილი სახლში გაუშვეს, ნაწილი კი ბანაკებში გამოკეტეს. შაჰმა, რომელსაც საყვარელი არმია უკვე აღარ ჰყავდა, საერთოდ შეწყვიტა ქვეყნის მართვა. ინგლისელებმა, რომლებიც იმ მონარქებსაც კი პატივს სცემენ, რომლებიც მათ განუდგნენ, შაჰს ღირსეული გამოსაყალი უჩვენეს – დაე მისმა უმაღლესობამ უარი თქვას ტახტზე თავისი ვაჟიშვილის, მემკვიდრის სასარგებლოდ. ჩვენ მასზე კარგი წარმოდგენა გვაქვს და მხარსაც დავუჭერთ – აღუთქვეს ინგლისელებმა. ამ უკანასკნელთაც შაჰი იმაში დაარწმუნეს, რომ მას სხვა გამოსაყალი აღარ დარჩენოდა. ამ წინადადებას შაჰი დაეთანხმა და 1941 წლის სექტემბერში ირანის ტახტზე ოცდაორი წლის ვაჟი მუჰამედ რეზა ფაჰლავი ავიდა. მოხუცი შაჰი უკვე კერძო პირი გახდა და პირველად თავის სიცოცხლეში ჩაიცვა სამოქალაქო კოსტუმი. ინგლისელებმა იგი გემით აფრიკაში, იოჰანესბურგში ჩაიყვანეს (სადაც სამი წლის შემდეგ მარტობასა და გარიყულობაში გარდაიცვალა, თუმცა მატერიალურად კარგად იყო უზრუნველყოფილი). - ჩვენ ავიყვანეთ ტახტზე და ჩვენვე გადავაგდეთ – ასე მოკლედ დაასრულა ამ თემაზე თავისი სიტყვა ჩერჩილმა.

წიგნიდან მეტად საინტერესო ცნობებს ვეცნობით საქართველოს დაუძინებელ მტერზე, ალა მაჰმად ხანზე. მას თავის დროზე, ტახტისათვის ბრძოლაში ბრძანება გასცა ამოეფლიტათ ან თვალები დაეთხარათ ქალაქ ქერმანის მთელი მოსახლეობისათვის. არავითარი გამონაკლისის დაშვება და უკან დახევა მან არ იცოდა და მის პრეტორიანელებსაც მეტი რა უნდოდათ?! აქაურებს რიგში აყენებდნენ და ისე სჯიდნენ, მოზრდილები კედელთან მიჰყავდათ, ხოლო ბავშვებს - თვალებს თხრიდნენ. მაგრამ ბოლოს, მიუხედავად ამ დასჯის პროცესებს შორის გარკვეული შესვენებებისა, პრეტორიანელები ისე დაიქანცნენ, რომ ხმლისა

თუ დანის ზეით აწევაც აღარ შექმლოთ. და მხოლოდ ამის წყალობით გადარჩა მოსახლეობის დარჩენილი ნაწილი განადგურებას. შემდეგ ამ ქალაქიდან დაიძრა უსინათლო ბავშვების პროცესია და მთელ ირანს მოედო. ამასთან, ზოგჯერ მათ გზა ერეოდათ უდაბნოში და უწყლობით იღუპებოდნენ. აი, ასეთ პირსისხლიან მბრძანებელთან ჰქონდა საქმე საქართველოს 1795 წელს, რომელიც, როგორ ტრაგიკულად დასრულდა, საყოველთაოდ ცნობილია.

კაკუშინსკი მეტად საინტერესო დასკვნას აკეთებს იმ ვითომ რეფორმების შესახებ, რომელთა გახორციელებასაც შაჰი ცდილობდა. ის თითქმის მთელ მსოფლიოში მილიარდების ღირებულების საქონელს ყიდულობდა. ირანის მიმართულებით ყველა ქვეყნიდან დაიწვეს ცურვა საქონლით საესე გემებმა. მაგრამ როდესაც ისინი სპარსეთის ყურეში მიცურდნენ, აღმოჩნდა, რომ ირანს არა აქვს სათანადო პორტები (რაც შაჰმა არ უწყობდა). მართალია, მათ არ ძალუძდათ ამხელა იემების მიღება. რამდენიმე დიდი გემი დადგა ყურეში და დასაცლელად ოჯის რიგს დაუწყო ლოდინი. ზოგ მათგანს თითქმის ნახევარი წელიწადი მოუწია ამ რიგში ყურყუტი. გემების დროზე მეტი ხნით გაჩერებისათვის ირანი მათ მფლობელებს წელიწადში მილიარდ დოლარზე მეტს უხდიდა. როგორც იქნა გემები კი დაცალეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქვეყანას საწყობები არ ჰქონდა საქონლის განსათავსებლად (რაც შაჰმა არ უწყობდა). ღია ცის ქვეშ, უდაბნოში კოშმარულ ტროპიკულ სიცხეში მილიონობით ტონა მრავალი სახის საქონელი ელაგა, რომლის ნახევარიც უკვე გაფუჭებული და გადასაყრელი გახდა. მათში ხომ სასურსათო პროდუქტიც იყო და სხვადასხვა სახის ქიმიური საქონელიც. მომდევნო ეტაპზე საჭირო გახდა შემოტანილი საქონლის ქვეყნის შიდა პროვინციებში გადაზიდვა, მაგრამ ქვეყანას ამისათვის საკმარისი ტრანსპორტი არ ჰქონდა (რაც შაჰმა არ უწყობდა). ანუ კი იყო ცოტა მანქანები და ვაგონები, მაგრამ ეს რას ვყოფოდა ამდენი საქონლის ტრანსპორტირებას. ამიტომ სასწრაფოდ ევროპიდან შემოიყვანეს რამდენიმე ათასი სატვირ-

თო ავტომანქანა, რომელმაც ახალი პრობლემა წარმოშვა - ირანს არ ჰყავდა მძღოლები (რაც შაჰმა არ უწყობდა). მრავალი თათბირის შემდეგ თვითმფრინავი გააგზავნეს, რომელმაც სეულ-იდან სამხრეთ კორეელი მძღოლები ჩამოიყვანა. მათ სატვირთო ავტომანქანები აამუშავეს და დაიწვეს ტვირთის გადაზიდვა. კორეელმა მძღოლებმა ისწავლეს ცოტაოდენი სპარსული და გაიგეს, რომ მათ ირანელ მძღოლებთან შედარებით მცირე ხელფასს აძლევდნენ. ამაზე ისინი გაბრაზდნენ, მიატოვეს მანქანები და სამშობლოში დაბრუნდნენ. ის ავტომანქანები კი დღესაც გამოუყენებელი ყრია, უდაბნოში ბანდერ აბასილამ თეირანისაკენ მიმავალ გზაზე და ქვიშით ფსება. დროთა განმავლობაში უცხო-ოური სატრანსპორტო კომპანიების საშუალებით ადგილზე გადაიზიდა მთელ მსოფლიოში შექნილი მოწყობილობები. დადგა დრო, როდესაც ისინი უნდა დაემონტაჟებინათ, მაგრამ აღმოჩნ-და, რომ ირანს არა ჰყავს სათანადო რაოდენობით ინჟინრები და ტექნიკოსები (რაც შაჰმა არ უწყობდა). ლოგიკურად თუ ვიმ-სჯელებთ, ვინც დიდი ცივილიზაციის შექმნას იწყებს, ეს პრო-ცესი ადამიანებიდან უნდა დაიწყოს, - მოაშაადღეს სპეციალ-ისტები, რათა შექმნას საკუთარი ინტელიგენცია. მაგრამ შაჰი-სათვის ასეთი გაგება მიუღებელი აღმოჩნდა. გახსნას ახალი უნივერსიტეტი, ახალი პოლიტექნიკური ინსტიტუტი? - ყოვე-ლი ასეთი სასწავლებელი ხომ კალიების ბუდეა, ყოველი სტუ-დენტი ხომ თავისუფლად მოაზროვნე მემამოხეა. ამიტომ განა შეიძლება შაჰის გაგვიკვირდეს, რომელსაც სულაც არ უნდო-და შოლტი ერტყა საკუთარი სხეულისათვის?

მონარქს უფრო უკეთესი მეთოდი ჰქონდა - სწავლის მო-სურნე ახალგაზრდობის უმეტესობას ირანიდან შორს აგზავნი-და. ამ მხრივ ეს ქვეყანა მთელ მსოფლიოში გამოირჩეოდა. 100 ათას ირანელზე მეტი სწავლობდა ევროპისა და ამერიკის სას-წავლებლებში. ეს, რა თქმა უნდა, ირანს გაცილებით მეტი უჯდე-ბოდა. ვიდრე ის, რომ მას თავად შეექმნა საკუთარი სასწავლო დაწესებულებები, მაგრამ ამ გზით რეჟიმი შედარებით უსაფრთხ-ოებასა და სიმშვიდეს უზრუნველყოფდა. ამ ახალგაზრდათა

უმეტესობა საერთოდ აღარ დაბრუნებულა სამშობლოში. ამიტომ ახლა სან ფრანცისკოსა და ჰამბურგში გაცილებით მეტი ირანელი ექიმია, ვიდრე თეირანსა და მეშქედში. მიუხედავად შაჰის მიერ შეთავაზებული მაღალი ანაზღაურებისა, მაინც არ დაბრუნდნენ: მათ სავაკის ემინოდათ და მეტად აღარ სურდათ ვინმესთვის ფეხსაცმელებზე ეკოცნათ. ასეთი მდგომარეობა უკვე დიდი ხანია, ტრაგედიაა ირანისათვის. შაჰის დიქტატურამ, მისმა რეპრესიებმა და დევნამ საუკეთესო მწერლები, არტისტები, მხატვრები, კომპოზიტორები აიძულა ემიგრაციაში წასულიყვნენ, გაჩუმებულიყვნენ ანდა ციხეში გამომწყვდეულიყვნენ. განათლებულ ირანელთან შეხვედრა გაცილებით ადვილი იყო მარსელსა თუ ბრიუსელში, ვიდრე ჰამადანში თუ ყაზვინში. ირანელს სამშობლოში არ შეეძლო თავისი გამოჩენილი მწერლის წიგნი წაეკითხა (რადგან ისინი მხოლოდ საზღვარგარეთ გამოდიოდა), არ შეეძლო ენახა თავისი გამოჩენილი რეჟისორების ფილმები (რადგან აკრძალული იყო მათი ირანში ჩვენება), არ შეეძლო ესმინა თავისი ინტელექტუალებისათვის (რადგან ისინი იძულებულნი იყვნენ გაჩუმებულიყვნენ).

ირანელებმა, თუნდაც უაღრესად მოწყურებულნი იყვნენ სწავლას, სად ისწავლონ, არ იციან. შაჰის განზრახვები სისრულეში რომ მოეყვანათ, დაუყოვნებლივ უნდა დაესაქმებინათ მინიმუმ სამოცდაათი ათასი ადამიანი. მცირე ფიქრის შემდეგ მოინახა უაღრესად მარტივი და უსაფრთხო გამოსავალი – სპეციალისტების შემოყვანა საზღვარგარეთიდან. ამ შემთხვევაში უსაფრთხოებას მართლაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ცხადი იყო, რომ უცხო ადამიანი ირანში გაფიცვებსა და დემონსტრაციებს არ მოაწყობდა, უკმაყოფილო არ იქნებოდა სავაკის საქციელით; – მას მხოლოდ ის აინტერესებს, როგორ შეასრულოს თავისი საქმე, გამოიმუშაოს ფული და სახლში წავიდეს. ამ ქვეყნად ალბათ არაავითარ რევოლუციებს აღარ ექნებოდა ადგილი, თუკი მაგალითად, ეკვადორელები იმუშავებდნენ პარაგვაიში, ხოლო ინდუსები – საუდის არაბეთში. მაშასადამე, საჭიროა ხალხის შერევა, აღრევა, გათქვეფვა, რათა ერთხელ და

სამუდამოდ მშვიდობა დამყარდეს დედამიწაზე. ამიტომ დაიწყეს ირანისაკენ ათასობით უცხოელის სამუშაოდ მოზიდვა. თეირანის აეროდრომზე თვითმფრინავები ერთმანეთის მიყოლებით სხდებიან. აქ ჩამოდიან მზარეულები ფილიპინებიდან, სანტე-ქნიკოსები – საბერძნეთიდან. ელექტრო მონტიორები – ნორვეგიიდან, მექანიკოსები – იტალიიდან, სამხედროები – შეერთებული შტატებიდან. ვათვლიერებ შაჰის იმ დროინდელ ფოტოსურათებს – შაჰი მონაკოვლ ინჟინერს ესაუბრება, შაჰი რაღაცას უმტკიცებს იტალიელ მშენებელს, შაჰი საუბრობს კუზნეცეელ ზეინკალთან. ეს ირანელები ვინღა არიან იქვე ახლოს დამდგანან? ესენი ირანის სამინისტროების თანამშრომლები ანდა სავაკის ოპერატიული მუშაკები. სამაგიეროდ ის ირანელები, რომელთაც სურათზე ვერ ვხედავთ, ვველაფერ ამას თანდათან უფრო გულდაწყვეტილები უყურებენ. უპირველეს ყოვლისა, ეს უცხოური არმია, თავისი მაღალი ოსტატობით, იმით, რომ უკეთ ერკვევა თანამედროვე ტექნიკის მართვაში, თუმცა ძალიან მორიდებულად იქცევა, მაგრამ მაინც დომინირებული ადგილის დაკავებას იწყებს, ეს კი ირანელებს მეორე ხარისხოვანი ადამიანების გარკვეულ კომპლექსს უქმნის - უცხოელს შეუძლია – მე კი არა – ფიქრობს იგი. ირანელები კი ამაყი ხალხია და უაღრესად აღიზიანებთ მათ ღირსებაზე ოდნავ უხეში შეხებაც კი. ირანელი არ აღიარებს რაიმე რომ არ შეეძლოს, - ეს მისთვის სირცხვილია, თავის მოჭრაა. ირანელები მალე აუღებენ ალლოს იმას, რაც შაჰს განუზრახავს – თქვენ იჯექით მანდ მეჩეთის ჩრდილში და ჰარსეთ ცხვარი. რადგან ვიდრე თქვენ რამეს გაიგებთ, მრავალი წელი გავა, მე კი მეჩქარება ამერიკელებთან და გერმანელებთან ერთად მსოფლიო იმპერია ავაშენო. სწორედ ამიტომ მიიღეს ირანელებმა „დიდი ცივილიზაცია“, როგორც დიდი შეურაცხყოფა.

მაგრამ ეს, ცხადია, საქმის ნაწილია. მალე ირანელები შეიტყობენ, თუ რამდენს გამოიმუშავენ ეს პროფესიონალები ქვეანაში, სადაც მრავალი გლეხისათვის ათი დოლარიც კი დიდი ფულია (გლეხი მხოლოდ ათ პროცენტს იღებს იმ საქონლის

ფასიდან, რომელიც შემდეგ ქალაქის ბაზარზე უნდა გაიყიდოს). ირანელებს განსაკუთრებით საგონებელში აგდებთ შაჰის მიერ შემოყვანილი ამერიკელი ოფიცრების ხელფასი, რომელიც ხშირად ორმოცდაათიდან ორას ათას დოლარს აღწევს წელიწადში. საკმარისია ამ ოფიცერმა ირანში ოთხი წელიწადი იმსახუროს, რომ თავის სამშობლოში ჯიბეში ნახევარი მილიონი დოლარით დაბრუნდება. ინჟინრებს გაცილებით ნაკლებს უხდიან, მაგრამ ირანელის შეხედულება ამ სფეროში ამერიკელთა მიერ მიღებულმა ხელფასებმა ჩამოაყალიბა. ძნელი არაა კაცმა წარმოიდგინოს, რას ფიქრობს საშუალო ირანელი, რომელსაც ცხოვრებას თავსა და ბოლოს ვერ აბამს, ეთაყვანება შაჰსა და მის ცივილიზაციას, როდესაც საკუთარ სამშობლოში ასე დაჩაგრულია, გვერდზე მიგდებულია, დამცირებულია ყველა ამ უცხოელისაგან, რომლებიც – თუმცა ცდილობენ ეს არ გამოხატონ. დარწმუნებულნი არიან თავიანთ აღმატებულობაში. ბოლოს რამდენიმე ფაბრიკა მაინც აშენდა, მაგრამ მაშინ აღმოჩნდა, რომ ქვეყანას არ ჰქონდა საკმარისი ელექტროენერჯია (რაც შაჰმა არ იცოდა). თუმცა უფრო სწორედ თუ ვიტყვი, მას ეს არც ეცოდინებოდა, რამეთუ იგი ქვეყნის მდგომარეობას სტატისტიკით ეცნობოდა, იქიდან კი იტყობდა, რომ ელექტროენერჯია საკმარისი რაოდენობით იწარმოებოდა. ეს მართალიც იყო, სტატისტიკა უჩვენებდა, თითქოს იწარმოებოდა ორჯერ მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე სინამდვილეში. იმ დროს შაჰს უკვე დანა ყელზე ჰქონდა მიბჯენილი, სურდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, საექპორტოდ სამრეწველო საქონელი გაეტანა. რა შედეგითი იყო იმისგან, რომ ასეთი ფანტასტიური რაოდენობის ფული შემოსდიოდა. ის ხომ დაუფიქრებლად ფანტავდა მას მარჯვნივ და მარცხნივ და ამის პარალელურად, უანგარიშოდ სესხულობდა. მაინც რატომ იღებდა ირანი ამდენ კრედიტს, რისთვის სჭიდებოდა იგი? იმისათვის, რომ უამრავი რაოდენობით იძენდა უცხოურ - ამერიკულ, გერმანულ და სხვა ქვეყნების უდიდესი კონცერნების აქციებს. ნუთუ ეს ასე აუცილებელი იყო? დიახ, აუცილებელი გახლდათ, რამეთუ შაჰს მსოფლიოზე გაბატონება სურდა. ბოლო წლებში იგი ყველას

ჭკუას არიგებდა, რჩევას აძლევდა შედეგებსა და ეგვიპტელებს, მაგრამ სურდა, რომ რეალური ძალაც სჭეროდა ხელში. ირანის სოფლები სილატაკისაგან სულს დაფარდა და საქონლის ნებებით თბებოდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუკი შაჰი მსოფლიო მნიშვნელობის ამბიციას შეეპყრო.

ეს ნაწარმოები გამოირჩევა არა მხოლოდ ზემოთ მოტანილი საინტერესო პოლიტიკური თუ ეკონომიკური დასკვნებით, არამედ ისეთი ლამაზი, რომანტიული ადგილებითაც, რომლებიც ნებისმიერი მწერლის რომანს დაამშვენებდა. მსგავსი ადგილები რ. კაკუშჩინსკის თითქმის ყველა ნაწარმოებშია, მაგრამ მე განსაკუთრებით ეს ფრაგმენტი მომწონს „შაჰინშაჰიდან“. მას მწერალი სპარსი ხალიჩებით მოვაჭრე ფირდოუსის პირით გამოთქვამს, ისევე, როგორც პლატონი სოკრატეს პირით:

„ყველაფერი გემოვნების ამბავია, ჩემო ბატონო - მეუბნება ის. - ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გემოვნება უნდა გქონდეს. ჩვენი სამყარო ნამდვილად უკეთესად იქნებოდა, ადამიანების უმრავლესობა ამ მხრივ უფრო დახვეწილი რომ იყოს. ყველაფერი საშინელება (მე ამას სწორედ ასე ვუწოდებ), ისეთობი, როგორიცაა სიცრუე, ღალატი, დანაშაული, დაბეზღება, საბოლოოდ ერთ მნიშვნელამდე დადის - ასეთ რამეს მხოლოდ უგემოვნო ადამიანები სჩადიან. მათ სწამთ, რომ ხალხი გადაიტანს. მშვენიერებას ვერაფერი გაანადგურებს, უნდა გახსოვდეთ, ჩემო ბატონო, - მეუბნება ის და თან მორიგ ხალიჩას შლის (რომელსაც, თუცა ვიცი, რომ არ ვიყიდი, მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ ვნახო, დავატკბო თვალი მისი მშვენიერებით), რომ ის, რამაც ჩვენ შეგვაძლებინა სპარსელებად დარჩენა 25 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ის, რამაც საშუალება მოგვცა საკუთარი ორიგინალურობის გადარჩენისა, ათასგვარი მომხდურისაგან თავის დაცვისა, ჩვენი სულიერი და არა მატერიალური სიმტკიცე, ჩვენი პოეზია და არა ტექნიკა, ჩვენი რელიგია და არა ფაბრიკები იყო,

ჩვენ რაღა მოვეცით სამყაროს? ჩვენ მოვეცით პოეზია, მინიატურები და ხალიჩა. როგორ თქვენ ხედავთ, ჩემო ბატონო, ძალზე

უსარგებლო საგნები მოხმარების თვალსაზრისით, მაგრამ სწორედ ამით გამოუხატავდით ჩვენს შეობას. მსოფლიოს მივეცი ეს სასწაულები, განუმეორებელი უსარგებლო ნივთები, რომლებიც არ აიოლებს ცხოვრებას, სამაგიეროდ ალამაზებს და ამკობს მას, თუკი საერთოდ აზრი აქვს ასეთი განსხვავებების გაკეთებას. თქვენ ხალიცას გადახრუკულ-გადაძწვარ უდაბნოში შლით, მასზე ჯდებით და თავს ისე გრძნობთ, თითქოს მწვანე, ხასხასა მდელივით იჯდეთ, ტყეში იყოთ. დიახ, ჩვენი ხალიჩები ყვეაილოვან ველებს მოგვაგონებს. თქვენ ხედავთ ყვავილებს, ხედავთ ბაღჩა-ბაღებს, ტბებსა და შადრვენებს, ბუჩქებს შორის ფარშეკანგები დადიან-დაგომანობენ. ხალიჩა კი უკვდავი რამაა, კარგი ხალიჩა დიდხანს ძლებს, საუკუნობით ინარჩუნებს თავის ხასხას ფერებს. ამგვარად, თუმცა ცხოვრობთ ტიტველა და მონოტონურ უდაბნოში, მაგრამ თავს ისე გრძნობთ, თითქოს ლამაზ პარკში იყოთ, რომელიც მუდმივია, უკვდავია, რომელიც არ კარგავს ფერებს და არც სინახასეს. თქვენ კიდევ იმის წარმოდგენა შეგიძლიათ, რომ ბალი სასიამოვნო სურნელსაც გამოისცემს, შეგიძლიათ წყაროების რაკრაკიცა და ჩიტების გალობაც მოისმინოთ და მაშინ თქვენ თავს აუცილებლად ლარად, კარგად, ხალისიანად, ამადლებულად, რომანტიულად იგრძნობთ“.

### ჟაკლინ კენედი და კაპუშჩინსკი

შეერთებული შტატების ყოფილი პირველი ლედი ჟაკლინ კენედი კაპუშჩინსკის შემოქმედების დიდი თავყანისმცემელი იყო. მას პოლონელი მწერალი ძალიან უყვარდა, თუმცა პირადად ერთმანეთს არ იცნობდნენ. ჟაკლინმა 1988 წელს წაიკითხა კაპუშჩინსკის „მაჰინშაჰი“, რომელიც აშშ-ში ინგლისურად იმ წელიწადს დაიბეჭდა. ამ დროს ჟაკლინს უკვე გამოძვემლობა „Doubleday“-ში საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა და მტკიცედ გადაწყვიტა ამიერიდან მწერლის წიგნები თავის გამოძვემლობაში დაებეჭდა. ჟაკლინი არა მხოლოდ მომხიბლავი ქალა, იყო, არამედ ახალგაზრდობაში თავადაც წერდა ლექსებს.

ყოველთვის ბევრს კითხულობდა და მწერლებს შორის მრავალი მეგობარიც ჰყავდა. გარკვეული დროის განმავლობაში ისიც, ისევე, როგორც „შაჰინშაჰი“-ს ავტორი, წარმატებული ფოტოხელოვანი იყო. 1953 წელს ცოლად გაჰყვა ჯონ კენედის, ხოლო შვიდი წლის შემდეგ შეერთებული შტატების პირველი ლედიც გახდა. მას დაწერილი ჰქონდა მშვენიერი სცენარი თეთრი სახლის მკვდირთა შესახებ. ჟაკლინ კენედის ბიოგრაფები იხსენებენ ასევე მის გატაცებას აფრიკით, კონტინენტის კულტურით. ჟაკლინს ამ თემაზე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

როდესაც მეორე ქმრის, ბერძენი მილიონერის, არისტოტელე ონასისის გარდაცვალების შემდეგ ჟაკლინი 1975 წელს შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, მან გამომცემლობა „Double-day“-ის ვიცეპრეზიდენტის პოსტი დაიკავა და გამოჩენილი მწერლების მოზიდვას შეუდგა. ამ საქმეში უჩვეულო ინსტიქტი აღმოაჩნდა. ქალი გამომცემლობაში 1994 წლამდე, თავის გარდაცვალებამდე მუშაობდა. ამ პერიოდში თვეში საშუალოდ ერთ წიგნს ამზადებდა გამოსაცემად. მისი წყალობით გამოიცა ისეთი ცნობილი წიგნები, როგორიცაა მაშინდელი ბეტსელერები: ედუარდ რაბინსკის „უკანასკნელი მეფე: მეფე ნიკოლოზ მეორის სიცოცხლე და სიკვდილი“, „კაიროს ტრილოგია“, რომლის ავტორი, ნაგუიბ მაჰფასიც ნობელის პრემიას მიიღებს, და სხვა.

„შაჰინშაჰი“-ს წაკითხვის შემდეგ, რომელიც კონკურენტმა გამომცემლობამ დაბეჭდა, მან დაუყოვნებლივ მოითხოვა კაპუშინსკის ინგლისურად და ფრანგულად დაბეჭდილი ყველა წიგნის მითიება. ნამდვილი ნადირობა დაიწყო მწერლის ნაწერებზე. შეერთებული შტატების ყოფილი პირველი დამას ცხადია უჩვეულო კავშირები ჰქონდა ელიტურ წრეებში. მის კუთვნილ მეგობრებს შორის იყო ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე, მსოფლიოში ცნობილი დიპლომატი, პოლონელი ჯგენი ვიზნერიც. სწორედ მას აცნობა ჟაკლინმა თავისი აღფრთოვანება „შაჰინშაჰი“-ით და გაუძხილა, რომ მის გამომცემლობას განზრახული ჰქონდა მომავალში მისი ნაწარმოებების დაბეჭდვა. არც ის დაუმაღაჯს, რომ მწერალს გაცილებით უკეთ-

სად აუნაზღაურებდნენ, ვიდრე მათი კონკურენტი გამომცემლობა. ჟაკლინი დიპლომატს თხოვდა კაპუშინისკისთან შუამავლობას. მას მწერალთან დაკავშირება სასწრაფოდ სურდა, რათა მომავალი წიგნების გამოცემაზე უკვე გაეფორმებინა კონტრაქტი. ამ უკანასკნელის ძალით მისი გამომცემლობა აშშ-ში კაპუშინისკის ერთადერთი ლიტერატურული აგენტი უნდა გამხდარიყო.

იმ დროს პოლონელი დიპლომატი შევბუღებაში იმყოფებოდა. მისი არყოფნის დროს დიპლომატის სახლსა და ვიზნერების საოჯახო საქმეებზე მისი ბიძაშვილი ზრუნავდა. ამ უკანასკნელმა წერილი სასტუმრო ოთახში, მაგიდაზე, სინზე დადო.

კაპუშინისკი ვიზნერების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ის მათ სახლს მასპინძლების შევბუღებაში ყოფნის დროსაც სტუმრობდა. მწერალი განსაკუთრებით დაუმეგობრდა ძაღლს, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლების მიმართ შიში ჰქონდა. რამდენჯერად არ უნდა სტუმრობოდა მათ კაპუშინისკი, მას გვერდი უნდა აეწყო იმ მაგიდისათვის, სადაც სხვა კორესპონდენციასთან ერთად გამომცემლობა „Doubleday“-დან გამოგზავნილი წერილი იდო. წერილით მას შეერთებულ შტატებში მთელი მისი შემოქმედების დაბეჭდვას ჰპირდებოდნენ. ქალბატონი კენედის ამ წინადადების თაობაზე კაპუშინისკიმ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ვიზნერები შევბუღებიდან დაბრუნდნენ. გვიანი იყო. მწერალი უკვე სხვა ვალდებულებებით იყო დატვირთული.

ასევე ვერ მოხერხდა მწერლისა და მის შემოქმედებაზე შეყვარებული შეერთებული შტატების ყოფილი პირველი ლედის, მომხიბლავი ჟაკლინ კენედის გაცნობა.

### კაპუშინისკი და ჰანგტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორია

კაპუშინისკი საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი ამერიკელი მეცნიერის სამუელ ჰანგტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების თეორიისადმი.

ცოტა რამ ჰანგტინგტონის შესახებ. მეცნიერს საყოველთაო აღიარება მოუტანა თეორიამ „ცივილიზაციათა შეჯახების“ თაობაზე. მეცნიერი საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკაზე მრავალწლიანი კვლევისა და დაკვირვების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთადერთი რეალური განსხვავება, რომელიც მსოფლიოში სხვადასხვა ხალხებს შორის დარჩა „ცივი ომის“ შემდეგ მდგომარეობს მათ კულტურულ მიკუთვნებულობაში. ჰანგტინგტონმა გამოთქვა აზრი, რომ არც თუ ისე შორეულ პერსპექტივაში მოსალოდნელია ნავთობით მდიდარი ისლამის ქვეყნებისა და მასთან ერთად მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ქვეყნის, - ჩინეთის და დასავლეთ სამყაროს შორის დაპირისპირება. ეს დაახლოებით იმის მსგავსი იქნება, როგორც იყო დაპირისპირება საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჰანგტინგტონის ეს მოსაზრება განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2001 წლის სექტემბრის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ.

ეთნოლოგ ვ. სნირელმენის მიხედვით, ჰანგტინგტონის ცივილიზაციათა თეორიას მხარს არ უჭერენ, უფრო მეტიც: უარყოფენ დასავლეთის აკადემიურ წრეებში, თუმცა ის ძალზე პოპულარულია საზოგადოებაში. ამ თეორიას ბევრი დამცველი ჰყავს შეერთებული შტატების რესპუბლიკურ პარტიაშიც.

კაპუშინსკის აზრით, ეს წმინდა წყლის ამერიკული თეორიაა, იმპერიალური აზროვნების ნაყოფი. ამ თეორიის წარმომშობის წყაროა იმის დაშვება, რომ ამერიკულ ჰეგემონიას მსოფლიოში შესაძლოა დაემუქროს სხვა ცივილიზაცია, - უპირველეს ყოვლისა კი, ჩინური ან მუსლიმანური, ან ორივე ერთად. და რომ ამასთან, ეს ქვეყნები ძალზე იცავენ თავს ამერიკული კულტურისაგან. ამავდროულად თანამედროვე ისტორია გვაჩვენებს, რომ ასეთი შეჯახება ჯერჯერობით უფრო მეტად ამავე ცივილიზაციის შიგნით ხდება და არა განხვავებულ ცივილიზაციებს შორის.

კაპუშინისკისათვის ჰანგტიგტონის ჰიპოტეზა იმ მენტალობის შედეგი იყო, რომელსაც „ბუნების მენტალობა“\* ეწოდება მისგან გამომდინარე ყველა შედეგით კერძოდ, გარე საფრთხეებისაგან დაცვის მიზნით შეიზღუდებოდა ადამიანის უფლებები, ქვეით დაიწვედა დემოკრატიის ხარისხი, შეიზღუდებოდა ადამიანის თავისუფლების არეალი.

ამ მენტალობას ის უპირისპირებდა მაღაიზიელი ინტელექტუალის ანვარ იბრაჰიმის აზრს იმის თაობაზე, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში მსოფლიო სიმძიმის ცენტრი არა ჩრდილოეთ ამერიკაში ან ევროპაში დარჩება, არამედ აზია გადავა. ამ 1997 წელს გამოსულ წიგნის სათაურია „აზიური რენესანსი“. იბრაჰიმის აზრით, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის ადგილს დაიჭერს ვაჭრობა, ხოლო დაჯახების ადგილს - დიალოგი.

სწორედ ეს მიაჩნდა კაპუშინისკის აზიას, აფრიკასა თუ ლათინურ ამერიკაში მილიონობით სიღარიბეში ჩაპარდნილი ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესების გზად.

### კაპუშინისკი ფოტორეპორტიორი

1982 წელს კაპუშინისკი შეწყვეტს ოფიციალურად მუშაობას როგორც პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოში, ასევე ჟურნალ „კულტურაში“ და მხოლოდ მოპოვებული მასალის დამუშავებით, წიგნების წერითა და საკუთარი ფოტოების ალბომის შექმნით დაკავდა. აღსანიშნავია, რომ კაპუშინისკი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ბლოკნოტებში ჩანაწერების გაკეთების გარდა, ფოტოებსაც იღებდა. ის ამ

---

\* ფრთიანი გამოთქმის განმარტებისათვის: როდესაც „უეიტრ-გეიტის სკანდალი“ აგორდა, რიჩარდ ნიქსონის იუსორ სახლში ამბობდნენ, რომ ის „თავშესაფარის მენტალობამ“ შიანთქა. ეს ნიშნავდა, რომ პრეზიდენტი ეძებდა დიდ უსაფრთხოებას საზოგადოებისაგან თვითიზოლაციის საშუალებით თავისი რეზიდენციის კედლებში.

საქმეში არანაკლებ იყო დაოსტატებული, ვიდრე ჟურნალ-ისტრიკასა თუ მწერლობაში. ეს მისთვის პობზე გაცილებით მეტი იყო. მის არქივში უამრავი ფოტოსურათია შემონახული. კაპუშინსკის განსაკუთრებით ბავშვებისათვის უყვარდა სურათის გადაღება. „ბავშვები გულუბრყვილოები, უმანკოები არიან, მათზე კულტურის არტახებს არ უმოქმედია. მათთვის პოზირება გართობაა, თამაშია, მსახიობობაა - წერს იგი. - აპარატის დანახვაზე ფოტოგრაფისაკენ გარბიან, თხოვენ მას ფოტოს, ბევრი ფოტოს გადაღებას, იღებენ შესაფერის პოზას, ერთმანეთის წინ დგებიან, ყველას უკეთ გამოჩენა უნდა. ისინი - ობიექტების საშუალებით - ნდობითა და ენთუზიაზმით ესალმებიან ყველას, მთელ სამყაროს, მათ ჯერ კიდევ სჯერათ, რომ ბედი მათ ყველაფერს საუკეთესოს უქადის და უწილადებს“.

ფოტოგრაფიასთან მისი დამოკიდებულება განსაკუთრებით ფაქიზია. მისთვის ყოველი ფოტოსურათი რაღაცის გახსენებაა და მის მსგავსად სხვა ვერაფერი ვერ გვახვედრებს დროის სწრაფმავლობას, მის სიძვიფეს. კაპუშინსკი ყველგან ფოტოაპარატით დადიოდა და ბევრ სურათსაც იღებდა. უყვარდა ფოტოსურათები და მრავლადაც ჰქონდა ისინი გადაღებული. ფოტოგამოფენებიც მოუწყვია. თუ ფოტოაპარატით სადმე მიდიოდა, მაშინ სამყაროს სრულიად სხვაგვარად უყურებდა, ვიდრე მაშინ, როდესაც მაგალითად, ამხანაგთან ერთად ვსეირნობდა და რაღაცაზე კამათობდა, რადგან მაშინ ის დისკუსია იყო მნიშვნელოვანი და არა მათ ირგვლივ არსებული სინამდვილე - ისინი მას ვერც კი ამჩნევდნენ. როდესაც ქალაქის, ხალხის თუ რაღაც სცენების გადასაღებად აპარატით მიდიოდა, მაშინ მართლაც რაღაც დეტალებზე იყო კონცენტრირებული. ეძებდა და ეძებდა... რადგან ფოტოგრაფია დეტალია, მათი კომპოზიცია, მათში მეტაფორის, სიმბოლოს პოინის მცდელობა და მისი დანახვა, მასზე დაკვირვება და დაფიქრება - სწორედ ამის შედეგად იცნობდა სამყაროს და ცდილობდა გაეგო, თუ რას ამბობდა ის ჩვენზე.

## ბოლო წლები

„დიდხანს მინდა ვიცოცხლო. დროის გასვლასთან ერთად, ვხედავ, რომ ვეითარდები. კიდევ ოციოდე წლის სიცოცხლე მჭირდება (მწერალი ამას 1986 წელს, ანუ გარდაცვალებამდე 31 წლით ადრე ამბობს), რათა ის ყოველივე დაეწერო, რაც მოფიქრებული მაქვს. 75 წლის ასაკამდე თუ მივადწიე, დასახული გვემის შესრულებას მეტ-ნაკლებად შევძლებ“. თითქოს გულმა უგრძნო, მართლაც 75 წელი იცოცხლა.

თავის მისიას, თავის მწერლულ შემოქმედებას კაპუშინსკიმ საკუთარი, პირადი ცხოვრება შესწირა. მეუღლე და მამა, რომელიც თვეობით ანებებს ოჯახს თავს და ხან აფრიკასა და ხანაც ლათინურ ამერიკაში მართო ცხოვრობს (მხოლოდ მექსიკაში შესძლო ცოლშვილის ჩაყვანა 4 თვით), ოჯახის წევრებში წყენას იწვევს. ცოლშვილი მის ცხოვრების წესს ძნელად ეგუებოდა. განსაკუთრებით ქალიშვილი. ამ უკანასკნელმა უარყო მამის გვარი, სახელიც შეიცვალა, მიატოვა ოჯახი, კანადაში გადასახლდა და მამის უბრალო მოხსენიებაც კი აღიზიანებდა. პოლონელ ჟურნალისტებს ინტერვიუების დროს უკვირდით ხოლმე, თუ როგორ უვლიდა გვერდს მამის სახელის ხსენებას ინტერვიუში.

თუმცა დაძაბული, მაგრამ ძალზე საინტერესო ცხოვრება ჰქონდა. მაგალითად, 2002 წელს დღიურში ჩაიწერს: „გუშინ საღამოს სახლში დაებრუნდი. 4 თვე პოლონეთში არა ვყოფილვარ. წელს 4 კონტინენტის ათ ქვეყანაში ვიყავი: ბულგარეთში, საფრანგეთში, იტალიაში, აშშ-ში, მექსიკაში, არგენტინაში, ბრაზილიაში, თურქეთში, საბერძნეთში და ესპანეთში. ამ მოგზაურობის დროს ათობით შეხვედრა და ლექცია მქონდა. მისი ლექციები ძირითადად მესამე სამყაროს პრობლემებს და ასევე გლობალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. ასზე მეტი ინტერვიუ მივეცი - პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. ბუენოს-აირესში ლათინური ამერიკის მომავალ რეპორტიორებს ამ პროფესიის საიდუმლოებებს ვასწავლი. დოქტორის „HONORIS

CAUSA” მომანიჭეს სოფიის უნივერსიტეტში, ჯილდოები PRIX TROPIQUE პარიზში და ლიბერპრუსს - ესპანეთში“.



ზოგჯერ კაპუშინისკისათვის უკითხავთ - ემიგრაციაში წასვლას ხომ არ აპირებდა, რაზედაც ის პასუხობდა, რომ უკვე ემიგრაციაშია, რომ მისი სახლი სადღაც სხვაგანაა, სხვა ქვეყანაში. მან უნდა იმოგზაუროს, იაროს. იქნებ სადღაც დაბინაუდეს, თუმცა არა აუცილებლად პოლონეთში (სადმე სხვა ადგილს დაუკსახლები, ამ საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ ადამიანი - გალაკტიონი). როდესაც მწერალს სადმე დიდხანს უწევდა გაჩერება, ძალიან სწყინდებო-

და, ადგილზე ვერ ჩერდებოდა, აუად ხდებოდა, იძულებული იყო გზა გაეგრძელებინა. საოცრად აინტერესებდა გარემომცველი სამყარო. ძალიან განიცდიდა, როდესაც ხედავდა, თუ რამდენი ადგილი იყო დარჩენილი, სადაც ის ჯერ კიდევ არ ყოფილიყო.



მწერალს ერთი ყველაზე დიდი ვნება ჰქონდა - წიგნების სიყვარული. სურდა, რაც შეიძლება ბევრი წიგნი ჰქონოდა. სიცოცხლის ბოლო წლებამდე ყიდულობდა და სახლში მიჰქონდა ისინი. 60-იან წლებში, როდესაც ნიგერიაში სერიოზულად დააუადდა, პოლონეთიდან თვითმფრინავი გაგზავნეს მის ჩამოსაყვანად. გდანსკის აეროდრომში მესაზღვრე შეეკითხა, თქვენი ბარჯი სადააო, რადგან მხოლოდ წიგნები, ჯანსის შარავლები და ფარანი მიჰქონდა თან.

როდესაც მწერალი ასაკში შევიდა, მისთვის პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით უკითხიათ კაპუშჩინსკის პენსიაზე გასვლა ძალიან უბრალო მიზეზის გამო ვერც კი წარმოედგინა: მის სპეციალობაში ზომ რაიმე მსგავსი არ არსებობს. რეპორტიორობა მისი ცხოვრების წესი იყო, უფრო მეტიც: ეს სამყაროს ხედვის, აღიქმის მეთოდი იყო და მას სხვა ვერაფერია მეთოდი ვერ შეცვლიდა.

„არიან მწერლები, რომელთაც აქვთ თავისი აკადემია, როგორც ანტიკურ საბერძნეთში და იქ ასწავლიან. მე გზის ადამიანი ვარ. მე მხოლოდ ვიზუალური პროფესორი შეიძლება ვიყო, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ატარებს ლექციას ან ლექციათა ციკლს“.

### კაპუშჩინსკი და პოლონეთის უშიშროების სამსახური

2007 წლის 27 მაისს გაზეთმა „Newsweek Polska“ გამოაქვეყნა იგორ რიციაკის წერილი. მასში ავტორი ამტკიცებს, 1965 (თუ 1977) წლებში კაპუშჩინსკი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროების ორგანოსთან თანამშრომლობდაო. ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტში (ემი) ინახება კაპუშჩინსკის მიერ მონახულებული ქვეყნებისა და მის მიერ გაცნობილი ადამიანების აღწერა. თუმცა, როგორც ემი-ს დოკუმენტებიდან ირკვევა, მას არაფერია ზიანი არ მიუყენებია

სამაგიეროდ, კაპუშჩინსკის მეუღლე, ალისია საპირისპიროს ამტკიცებს და აცხადებს, რომ საზღვარგარეთ წასული ყველა ჟურნალისტი უშიშროების ორგანოს საბუთებში ირიცხებოდა, როგორც პოტენციალური ინფორმატორი, სხვანაირად ისინი უცხოეთში ვერ წავიდოდნენო.

ორგანოს მიერ მწერალი განიხილებოდა როგორც ოპერატიული კონტაქტი. მის საქალაქში ინახება რამდენიმე ქვეყნის, სადაც კაპუშჩინსკიმ იმოგზაურა, პოლიტიკური ვითარების ანალიზი. ფულის, 350 პესოს მიღებაზეც აქვს უწყისში ხელი მოწერილი.

„Newsweek Polska“-მ ამ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების შესახებ აზრის გამოთქმა თხოვა ცნობილ ჟურნალისტს ერნესტ სკალსკის. ადრე ამ უკანასკნელსაც აქვს ხელი მოწერილი უშიშროებასთან თანამშრომლობაზე, რადგან სხვაგვარად საზღვარგარეთ სტიპენდიაზე არ გაუშვებდნენ. სკალსკის განცხადებით, კაპუშჩინსკი ცდილობდა ორგანოსთვის შედარებით უმნიშვნელო ცნობები მიეწოდებინა, ფრთხილობდა მისი თანამშრომლობა ორგანოსთან არაუვისთვის საზიანო არა აღმოჩენილიყო. ყველა მის მიერ დახასიათებული ადამიანი უცხოელი იყო, ერთი გამონაკლისის გარდა, და მანაც სამხრეთ ამერიკა დატოვა - განაცხადა სკალსკიმ.

მისივე განცხადებით, კაპუშჩინსკი მხოლოდ იმიტომ დათანხმდა ორგანოსთან თანამშრომლობას, რომ სხვაგვარად, როგორც რეპორტიორი, საზღვარს ვერ გადაკვეთდა.

„ოფიციალური სახელმწიფო სააგენტოს დოკუმენტის გარეშე მას გაუჭირდებოდა ბევრი კარის გაღება, ვერ შეძლებდა ვიზის მიღებას, ვერ აიღებდა ინტერვიუებს თითქმის მთელ მსოფლიოში. რომ არა ამ სახის თანამშრომლობა ორგანოსთან, მისი მშვენიერი წიგნები ვერ დაიწერებოდა“ - დაასრულა მან.

### კაპუშჩინსკი non-fiction

კაპუშჩინსკის გარდაცვალებიდან ორიოდე წლის გასვლის შემდეგ ვარშავაში გამოცა წიგნი, რომელმაც ფურორი მოახდინა ქვეყნის ლიტერატურულსა თუ არალიტერატურულ წრეებში. საქმე ეხება ჟურნალისტ არტურ დომოსლავსკის წიგნს „კაპუშჩინსკი ნონ-ფიქციონ“. ეს მეტად სოლიდური ნაშრომი შეიცავს მრავალ ფაქტსა და შეფასებას რიშარდ კაპუშჩინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. დომოსლავსკის ბრალდებები და შენიშვნები მწერლის მიმართ შეიძლება რამდენიმე პუნქტად ჩამოყალიბდეს:

- ახალგაზრდობაში კაკუშჩინსკი პოლონეთის ახალგაზრდათა კავშირის აქტიური წევრი იყო, რომლის მიზანსაც პოლონეთში კომუნისტების მშენებლობა წარმოადგენდა. უფრო მეტიც: ის არ იხსენებდა და იგნორირებას უკეთებდა წითელი არმიის მიერ პინსკის დაპყრობის ფაქტს, რომელიც მის ბავშვობის დროინდელ მეხსიერებაში უნდა შემორჩენილიყო. ამას კი შეუძლებელია რაიმე ეჭვი, ილუზია გაეჩინა ადამიანში საბჭოთა მთავრობის განზრახვაში პოლონელი ხალხის მიმართ ბიოგრაფს მიაჩნია, რომ კაკუშჩინსკის მიუღი თავისი ცხოვრების განმავლობაში ახასიათებდა მემარცხენე შეხედულებები, სწამდა ახალი, სამართლიანი პოლონეთის აშენების პერსპექტივის,

- კაკუშჩინსკი მიეკუთვნებოდა პოლონელი კომუნისტების ჯგუფს, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ გომულკას დათბობის პოლიტიკაზე და მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს დიდ მხარდაჭერას უცხადებდა, რაც მის იმდროინდელ წერილებში მოჩანს. თუმცა ჟურნალისტის აზრით, კაკუშჩინსკი არ ერიდებოდა იმდროინდელი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების გამოძეურებასა და დაგმობასაც. დროთა განმავლობაში გომულკას დროინდელი პოლონეთის რეალობამ მასში რწმენის დაკარგვა გამოიწვია, თუმცა კვლავაც პოლონეთის კომპარტიის ლოიალურ წევრად რჩებოდა.

- დომოსლავსკის აზრით, კაკუშჩინსკის განსაკუთრებულ პოზიციას, რაც გამოიხატებოდა, სხვათა შორის, საზღვარგარეთ მისი მივლინებების გულუხვი დაფინანსებით, პოლონელ რეპორტიორებს შორის მაშინ, როდესაც მისი სახელი ჯერ კიდევ არ იყო გაცდენილი პოლონეთის საზღვრებს, უპირატესად განაპირობებდა მისადმი გამოვლენილი პოლიტიკური მფარველობა კომპარტიის მაღალი თანამდებობის პირების მიერ. ჟურნალისტის აზრით, კაკუშჩინსკი პარტიის წევრებთან თავის ნაცნობობას კარგად იყენებდა.

- დომოსლავსკის აზრით, კაკუშჩინსკი ხშირად კარგავდა ჟურნალისტისათვის ასე აუცილებელ ობიექტურობას სწორედ იმის გამო, რომ ის იდეურად ანგაჟირებული, მიკერძობული

იყო. ამას კი განაპირობებდა ნაწილობრივ ის, რომ კომუნისტური სახელმწიფოს სააგენტოში მუშაობდა და კიდევ ისიც, რომ მემარცხენე იდეებს იზიარებდა. ჟურნალისტს მაგალითად მოჰყავს კაპუშჩინსკის ყოფნა ანგოლაში, რომელიც მის წიგნში „ცხოვრების კიდევ ერთი დღე“-შია აღწერილი. დომოსლავსკის განცხადებით, კაპუშჩინსკი არა მხოლოდ კომუნისტური დაჯგუფება „მპლა“-ს გვერდით იმყოფებოდა, არამედ იარაღითაც ეხმარებოდა მას.

- დომოსლავსკი კაპუშჩინსკის საყვედურობს მრავალ უზუსტობას, ფაქტების სუბიექტურ დახასიათებას, განსაკუთრებით წიგნებში „იმპერატორი“, „შაპინშაპი“ და „ქრისტე ატომატით მხარზე“. უფრო მეტიც, ის თვლის, რომ კაპუშჩინსკი მიზანმიმართულად აყალბებდა ფაქტებს, რათა აღწერისათვის უფრო მეტი დრამატიზმი შეეძინა.

- კაპუშჩინსკი ნონ-ფიციტიონ-ის ავტორი წინადადებას აყენებს აგრეთვე, რომ განვაცალკევოთ კაპუშჩინსკი მწერალი და კაპუშჩინსკი ამ მწერლის წიგნების გმირი. ამგვარი განცალკევების აუცილებლობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ, დომოსლავსკის განსაზღვრების მიხედვით, კაპუშჩინსკი თავისი თაუგადასავლების ნაწილის დრამატიზირებას ახდენს, განსაკუთრებით წიგნებში „საფეხბურთო ომი“ და „აბანოზი“. ბიოგრაფის მიხედვით, კაპუშჩინსკის ასეთი მიდგომა საკუთარი პერსონისადმი სრულად არ შეეფერება მის პიროვნულ ხასიათს.

- დომოსლავსკი აღწერს პოლონურ რეაქციას „იმპერატორზე“, რომელშიც გამოსჭვიოდა ის რწმენა, ჰაილე სელასიეს ეთიოპიის საიმპერატორო კარის აღწერა არსებითად არის სატირა პოლონეთში ელჟარდ გერეკის მმართველობის ეპოქის ურთიერთობებზე მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში. ბიოგრაფი ხაზს უსვამს, რომ კაპუშჩინსკი არ ემიჯნებოდა მისი წიგნის ამგვარად წაკითხვას, თუმცა ცდილობდა თავისი ნაწარმოები საზოგადოებისათვის უფრო უნვერსალური ხასიათის წიგნად წარმოედგინა. ამასთანავე, დომოსლავსკი 80-იანი წლების „სოლ-

იღარობის კარნავალს“ წარმოაჩენს, როგორც მომენტს, როდესაც კაპუშინსკის აზრები პრინციპულად კრიტიკული ხდება მაშინდელი ხელისუფლების მიმართ. ამასთან მწერალი დაუფარავ ენთუზიაზმს იჩენს საპროტესტო მოძრაობის ლიდერის ლებ ვალენსას მიმართ, ის ლოიალურია ასევე პოლონეთის კომპარტიის შიგნით მიმდინარე განახლებისადმი მიმართული მოძრაობის ლიდერებისადმი. ამის გამო მისი აქამომდელი ნაცნობები და მფარველები მას „მეორე მხარეზე“ გადასულად მოიხსენიებენ. კაპუშინსკი უკუაგდებს ამ დროს მისთვის შეთავაზებულ წინადადებას მესამე სამყაროს ნებისმიერ ქვეყანაში რეპორტიორად წასვლის თაობაზე.

- დომოსლავსკი ადასტურებს პრესაში გამოთქმულ ბრალდებებს კაპუშინსკის მიმართ, რომ ის უშიშროების ორგანოებთან თანამშრომლობდა, მაგრამ აცხადებს, რომ მისი ორგანოებისათვის მომზადებული მასალები გამოირჩეოდა სიმწირით, ჰქონდა დაბალი გამოსაყენებელი ღირებულება და არავისათვის ზიანი არ მიუყენებია. დომოსლავსკი იმასაც წერს, რომ საყოველთაოდ იყო გავრცელებული ამგვარი თანამშრომლობა უშიშროების ორგანოებისა ჟურნალისტებთან შეერთებულ შტატებშიც.

- დომოსლავსკის მიხედვით, პოლონეთის მესამე რესპუბლიკის პერიოდში კაპუშინსკი ძირითადად მხარს უჭერდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს, მხოლოდ ამ პროცესის ზოგიერთ ასპექტზე ჰქონდა უარყოფითი რეაქცია, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებზე ეკლესიის მხარდ გველენაზე. არ მოსწონდა ასევე პოლონეთის მონაწილეობა აშშ ბრძოლაში ტერორიზმის წინააღმდეგ.

- ბიოგრაფი აღწერს ზოგიერთ ეპიზოდს კაპუშინსკის პირადი ცხოვრებიდან. კერძოდ, მწერალი ავადმყოფურად იღებდა მისი შემოქმედების კრიტიკას, ალერგიულად ეპყრობოდა ბიოგრაფიაში კრიტიკულად ჩახედვის ყოველ მცდელობას და იშვიათად იყო გულწრფელი მეგობრებთან და ახლობლებთან. დომოსლავსკის წიგნის განსაკუთრებულად და საკამათოდ გამ-

ოიყურება ის ნაწილი, რომელიც კაპუშინსკის ოჯახურ ცხოვრებას, ცოლ-შვილისადმი მის პირად გრძნობებს ეხება. ამის გამოქვეყნებას მეტად უარყოფითი შეფასება მოჰყვა, როგორც კაპუშინსკის ოჯახის წევრების, ისე სხვა ჟურნალისტების მხრიდან.

ამასთანავე დომოსლავსკი პოზიტიურად აფასებს კაპუშინსკის მოღვაწეობას, მის ნაწარმოებებს, ხოლო თავის კრიტიკულ მოსაზრებებს მიიჩნევს კაპუშინსკის სახის, მისი პიროვნებისათვის ფარდის ჩამოსხნისა და მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მიუკერძოებელი სახით გამოჩენის მცდელობად. მისთვის რიშარდ კაპუშინსკი გამოჩენილ მწერლად და მოღვაწედ რჩება.

აღსანიშნავია, რომ დომოსლავსკის წიგნმა, როგორც მრავალი ჯილდო, ისე უამრავი კრიტიკა დაიმსახურა. კერძოდ, 2010 წელს დააჯილდოვეს წლის საუკეთესო ჟურნალისტის წოდებით, რის პარალელურად ის მკაცრად გააკრიტიკა პოლონეთის ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ სტეფან ბრატკოვსკიმ.

დომოსლავსკის წიგნით უკმაყოფილო რიშარდ კაპუშინსკის მეუღლემ, ალისიამ და ქალიშვილმა ჟურნალისტს სასამართლოში უჩივეს და წიგნის გამოცემის შეწყვეტა მოითხოვეს. მათი აზრით, ჟურნალისტმა ჩრდილი მიაყენა როგორც ოჯახს, ისე პირადად რიშარდ კაპუშინსკის კეთილ სახეს. ამასთან, ალისია კაპუშინსკი დომოსლავსკის საყვედურობს მწერლის ნდობის მოპოვებას და მისი არქივის თავისუფლად გაცნობის უფლებას, რაც მან ბოროტად გამოიყენა. სასამართლომ უარი განაცხადა წიგნის გამოცემის შეწყვეტის თაობაზე.

წიგნის გამოსვლის შემდეგ რიშარდ კაპუშინსკის ცოლ-შვილმა (თითოეულმა ცალკ-ცალკე) სამოქალაქო სასამართლოში გამოცემლობისა და ჟურნალისტის წინააღმდეგ ჩივილი განაგრძო. 2013 წლის სექტემბერში გამოცემლობა „წიგნის სამყარო“, რომელსაც მესაკუთრე შეეცვალა, ხელშეკრულება გააფორმა ალისია კაპუშინსკისთან, რომელშიც პირობას სდებდა, რომ გაა-

კუთხედა განცხადებას და წუხილს გამოთქვამდა როგორც წიგნის გამოცემის გამო, ისე ქვრივისა და მისი ქალიშვილის უფლებების შელახვის, ასევე გარდაცვლილის სახელის შებღალეს გამო. რიშარდ კაპუშჩინსკის ოჯახი და გამომცემლობა შეთანხმდნენ იმაზეც, რომ წიგნის შემდგომ გამოცემებიდან ამოიღებდნენ ოთხ თავს (დაახლოებით 30 გვერდს), რომლებშიც, კაპუშჩინსკის ოჯახის წევრების აზრით, შელახული იყო მათი სახელი.

დომოსლავსკიმ გააკრიტიკა გამომცემელი საკუთარი ავტორის დაუცველობაში, მის მიმართ არასოლიდარობის გამოჩენაში, უარი თქვა გამომცემელთან შეთანხმებაზე და განაცხადა, რომ საავტორო უფლების გამოყენებით წინ აღუდგებოდა წიგნის შემოკლებული ვერსიის დაბეჭდვას.

2015 წლის მაისში ვარშავის სასამართლომ თავისი განაჩენით გარკვეულწილად გაითვალისწინა ალისია კაპუშჩინსკის მოთხოვნა. მან დომოსლავსკის დააკისრა წერილობითი ბოდიშის მოხდა ქვრივის წინაშე, ხოლო მომავალ გამოცემაში წიგნიდან ათგვერდიანი თავის „სიყვარულისა და სხვა დემონების“ შესახებ“, ამოღება. ამასთან დომოსლავსკის რიშარდ კაპუშჩინსკის სახელობის ფონდში ჯარიმის სახით 50 ათასი ზლოტი (დაახლოებით 12 ათასი აშშ დოლარი) უნდა შეეტანა. არტურ დომოსლავსკი წერილობით ბოდიშის მოხდაზე დათანხმდა, ხოლო რაც შეეხება წიგნის შეკვეცას, ამაზე უარი განაცხადა და განაჩენის ეს ნაწილი პირველი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრა. საბოლოოდ დომოსლავსკიმ სასამართლოში გაიმარჯვა და წიგნის სრულად გამოცემის უფლება მოიპოვა.

საინტერესოა ასევე ა. დომოსლავსკის ზოგიერთი სხვა შეხედულებაც. კერძოდ, შეკითხვაზე, თუ როგორი მოსაუბრე იყო, რ. კაპუშჩინსკი, როდესაც მისგან ინტერვიუს იღებდა ხოლმე, პასუხობს:

„მიყვებოდა მეტად საინტერესო და არაბანალურ ამბებს. თუმცა მისი საუბარი არც ისე ეფექტური იყო. არა ყოფილა დიდად მომხიბლავი მოსაუბრე, სამაგიეროდ ინტერვიუსთვის ყოფელთავის საგულდაგულოდ ემზადებოდა. მაგიდაზე აწყობდა

ბარათებს, სადაც ჩამოწერილი ჰქონდა, რაზე უნდა ესაუბრა და გაემახვილებინა ყურადღება. არ სურდა რაიმე არსებითი გამორჩენოდა. ცხოვრებაში ის უფრო ისმენდა და იწერდა, ვიდრე საუბრობდა. ამ ბარათებით თავის თავს ეხმარებოდა“.

მეტად საინტერესოა ასევე ა. დომოსლავსკის აზრი რ. კაპუშჩინსკის, როგორც მწერლის შესახებ. ამის თაობაზე ის შემდეგს ამბობს:

„საერთოდ, ლიტერატურული რეპორტაჟი ავსტრალიურ იზენისკარტას ჰგავს. მას ბუმბული თხუნელასი აქვს, ფეხები ბაყაყის, კუდი - ვახტასი, რომელიც კვერცხს დებს. ლიტერატურული რეპორტაჟიც ასეთი საოცარი ცხოველია. რეპორტაჟი რომანიდან იღებს თხრობის ფორმას და ფართო საზოგადოებრივ კონტექსტს ემყარება; მოთხრობიდან ისეთ დრამატიზმს, რომელიც შესაძლოა მცირე ზომის ნაწარმოებში დაეტიოს, ესსეიდან - არგუმენტების მოტანის ტექნიკას; ფილმიდან - მონტაჟს. რეპორტიორს შეუძლია, ისევე, როგორც ფილმში, რიგრიგობით დაამონტაჟოს მოვლენები, თუმცა აუცილებელია მოთხრობილ ტექსტში რიგიიზობის დაცვა, ანუ რა იყო დასაწყისში და მას რა მოჰყვა - როგორც ეს ფილმშია. მას აბსოლუტურად არაფრის გამოგონება, შეთხზვა არ უწევს. ლიტერატურულ რეპორტაჟში რეალური ფაქტები უნდა აისახოს, სხვანაირად ეს რეპორტაჟი არ იქნება“.

## რ. კაპუშჩინსკი ნობელის პრემიაზე

რ. კაპუშჩინსკი ორჯერ - 2005 და 2006 წლებში იყო ნობელის პრემიაზე წარდგენილი. შედეგების აკადემიის წევრებმა მიიჩნიეს, რომ იგი - მწერალი, ფილოსოფოსი და ლიტერატურის თეორიტიკოსი ნამდვილად იმსახურებდა ამ ჯილდოს.

2005 წლის დასაწყისში მასთან ერთად პრემიაზე წარდგენილი იყვნენ ამერიკელი მწერალი ფილიპ როტი, ალბანელი ისმაილ კადარი, ისრაელელი - ამოს ოსი, შვედი პოეტი თომას ტრანსტომერი და სხვები.

თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე არ გამოირიცხავდა გარკვეულ ცვლილებებს ამ სიაში. ისინი მოელოდნენ, რომ წლის ბოლომდე შვედეთის აკადემია კიდევ არაერთ კანდიდატს დაასახელებდა, როგორც ეს პრაქტიკაში ხდებოდა ხოლმე. „თუმცა ეს ალბათ ხელს არ შეუშლის კაპუშინსკის ჯილდო მიღებაში“ - მიაჩნდა ევა ბონერს, შვედური გამომცემლობა „ევა ბონიერის“ ხელმძღვანელს. „ეფექტობ დადგადრო რეალისტური ლიტერატურის დაჯილდოებისა“ - აღიარა პორაციუს ენდაჰმა, შვედეთის აკადემიის პრეზიდენტმა.

თუმცა ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც სხვები, შეცდნენ თავიანთ პროგნოზში. 2005 წელს ნობელის პრემია 80 წლის ინგლისელ დრამატურგს, პაროლ პინტერს ერგო.

სამაგიეროდ ამ წელს რ. კაპუშინსკი სხვა მხრივ გამოარჩიეს. კერძოდ 2005 წლის ბოლოს პრინცმა ფილიპმა, ესპანეთის ტახტის მემკვიდრემ, მწერალს ისტორიის პრინციის მედალი გადასცა და განაცხადა, რომ იგი არის ამჟამად ყველაზე სახელგანთქმული ჟურნალისტიო.

რ. კაპუშინსკი ნობელზე შემდგომ, 2006 წელსაც წარადგინეს, მაგრამ ამჯერად ეს ჯილდო თურქმა მწერალმა, თურქეთის სოციალური და რელიგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი რომანის „თოვლი“-ს ავტორმა ფამუკმა მიიღო.

### **ქართველი მკითხველი რ. კაპუშინსკის შემოქმედებაზე**

წერილი ინტერნეტშია განთავსებული, მისი ავტორი ჩემთვის უცნობია:

„აღფრთოვანებული ვარ! რა მაგარია! რა საინტერესო იყო! საუკუნეა ასეთი გადარეული წიგნით არ ვყოფილვარ. ამაზე წინა პოსტებშიც ვიწუწუნე. საოცრად მოვიხიბლე კაპუშინსკით! ყველას ამაზე ვუყვები.“

ეს წიგნი, როგორც ყველა დანარჩენი, პეკინზე 33-ე ბიბლიოთეკაში ვიპოვე. ჩემს წინ ეს წიგნი გატანილი არავის ჰქონ-

და. მეც იმიტომ ავირჩიე, რომ ირანი მაინტერესებს, მითუქტეს 1978 წლის რევოლუცია. საერთოდ არ ვიცოდი ეს პერიოდი და მეორე, კაპუშჩინსკი პოლონელი ჟურნალისტი იყო და საინტერესოა, როგორ წერენ ჩემი კოლეგები მხატვრულ ნაწარმოებებს.

პირველივე ფურცლებიდან ისე შევედი წიგნში, იმხელა სიამოვნებაა თითოეული გვერდის კითხვა, ისეთი რეალისტურია ნაწარმოები, თანაც როცა კითხულობ, მაშინვე გრძნობ, რა დაგრჩება კითხვის დასრულების შემდეგ.

“შაჰინშაჰს” ამკარად ეტყობა (მე ასე მომეჩვენა), რომ ჟურნალისტის დაწერილია, მუდმივად ფაქტებს ეყრდნობა და ეჭვი არ შეგეპარება ნებისმიერი ეპიზოდის ისტორიულ სიზუსტეში. სიუჟეტს ფოტოსურათებით, ჩანაწერებით აგებს, ვარაუდებს სხვას ათქმევინებს, ფაქტებს ავტორის ტექსტად აქცევს (ჟურნალისტია!). როცა კითხულობ, ხვდები, რომ ერთ დღესაც კი არ დაჯდა დასაწერად, ასე ექსპრომტად, არამედ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ თემაზე.

წიგნი ირანის ბოლო შაჰზე და 1978 წლის რევოლუციასზეა, რომელსაც აიათოლა ჰომეინი ხელმძღვანელობდა. რევოლუცია (მართალია უსისხლო) ჩვენთანაც მოხდა და ბევრი რამ მეცნო, თუმცა ის, რომ ხალხი წყობილების შეცვლისთვის იბრძოდა, წავიდა შაჰ რეზა, მოვიდა ჰომეინი, მაგრამ რა? არავინ იცოდა როგორ დაეწყო სახელმწიფოს შენება. არადა სისტემის შეცვლა ქვედა ფენებიდან და აზროვნების შეცვლიდან იწყება.

შაჰი სწავლის მსურველებს საზღვარგარეთ აგზავნიდა, რადგან იცოდა სტუდენტებში საღი აზრი და მემბოხეები მატულობს. ამიტომ დღეს საფრანგეთსა და გერმანიაში უფრო მეტი ირანელი ექიმა, ვიდრე ირანში.

საინტერესო იყო ნავთობთან დაკავშირებული მოსაზრებაც.

“ნავთობი სრულიად განსხვავებული ცხოვრების, უქმი და არხეინი არსებობის ილუზიას უქმნის ადამიანს. ნავთობი არის ნედლეული, რომელიც ადამიანის აზროვნებას წამლავს, გონებას აბნელებს, ახდენს მის დემორალიზაციას, ნავთობი ნამდვილად

საოცნებო რამაა, ზღაპარია და როგორც ყველა ზღაპარი, ტყუილია და მეტი არაფერი“

საოცრად აქვს ნაჩვენები, თუ როგორ ზედაპირულად აშუქებს უცხოური მედია ირანში მიმდინარე მოვლენებს. კაპუშინისკი რევოლუციის დროს თავად იმყოფებოდა ირანში.

გამომცემლობა “ინტელექტის” მიერ გამოცემულ ამ წიგნს ბოლოს თან ახლავს კაპუშინისკის ინტერვიუები, სადაც ჟურნალისტიკაზეც საუბრობს. მისი აზრით, დღევანდელ მედიას რეალური ისტორიები აკლია, რაც საკითხს სრულად წარმოაჩენს. ამაზე სულ გვაქვს ხოლმე საუბარი რედაქტორთან, ამას ყველა განვიცდით და ვალიარებთ, თუმცა რეალურად რას ვაკეთებთ, ეს სხვა საკითხია.

ეს პოლონელი მწერალი, რეპორტიორი, პუბლიცისტი ნობელის პრემიაზე ორჯერ ყოფილა წარდგენილი, თუმცა არც ერთხელ არ მიუღია. ისეთი მოხიბლული ვარ მისი “შაჰინშაჰით”, ვფიქრობ, იმსახურებდა“.

რემინისცენცია რიშარდ კაპუშინისკის სტილში  
ზურაბ მარშანია

გამორჩეული ლიტერატურული ნაწარმოები იმით განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, რომ ის უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორებიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა.

ყველაფერი ეს დიდი ხელოვანის გამჭრიახი თვალითაა დანახული და აღწერილი პოლონელი მწერლისა და პუბლიცისტის, ნობელის პრემიის ორჯის ნომინანტის რიშარდ კაპუშინისკის ცნობილ ლიტერატურულ შედევრში „შაჰინშაჰი“, რომელიც გასული საუკუნის 70-ანი წლების მიწურულს, ჩვენს მახლობლად, ირანში დატრიალებულ დრამატიულ მოვლენებს ეძღვნება.

საოცრადაა გადაჯაჭვული იმდროინდელი ირანის ისტორია დღევანდელობასთან. როგორი ერთნაირი სიჯიუტითა თუ სიბრძნევით ავიწყდებოდათ „ძლიერთ ამა ქვეყნისა“ მაშინ და ავიწყდებათ დღესაც, რომ ისტორია, როგორც ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ჯ. ტონინი გვეუბნება, შეორდება, თანაც ისე, რომ გაჭრილი ვაშლივით ემსგავსება ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქებში ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული ერებისა თუ პოლიტიკური ლიდერების ბედ-იღბალი.

დღევანდელ საქართველოში კი, რიშარდ კაპუშჩინსკის „მაჰინშაჰის“ წაკითხვის შემდეგ, შეუძლებელია რეჰინისცენციის მძაფრი განცდა არ დაგეუფლოს...

თუმცა ვფიქრობ, რომ მაინც უმჯობესია დიდ პოლონელ „მაესტროს“ დაუვთმოთ ახლა „ტრიბუნა“, რომლის ნააზრევი იოტისოდენადაც არ შემოიკვლია. ქვემოთ წარმოდგენილ ამონარიდში „მაჰინშაჰიდან“, რომელიც მკითხველის სამსჯავროზე მაქვს გამოტანილი, მხოლოდ კომპოზიციური ქარგაა ჩემი და მეტი არაფერი.

ესარგებლობ შემთხვევით, რათა, უპირველეს ყოვლისა, პატივი მივაგო რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილი რიშარდ კაპუშჩინსკის ნათულ ხსოვნას და გულწრფელი მადლობა გადაუხადო „მაჰინშაჰის“ პოლონურიდან ქართველ მთარგმნელს ამბროსი გრიშკაშვილს იმისათვის, რომ მან საშუალება მოგვცა ეს დიდებული წიგნი მშობლიურ ენაზე წაგვეკითხა.

ერთი ირანელი მეორეს არაფერს უთმობს არასოდეს. მას პირველობა სურს, ისწრაფვის, თავისი შეხედულებები სხვას მოახვიოს თავზე. მე! მე! მე! მე პირველი ვარ, შენ - მეორე, შენ კი კვლავ მესამედ რჩები. ის მეორე და მესამე კი, არ კმაყოფილდებიან თავიანთი ბედით და დაუყოვნებლივ იწყებენ ინტრიგების ხლართვას. სწორედ ასეთი თამაშის წესების გამო ვერ ხერხდებოდა ვერასოდეს ირანში სოლიდური ოპოზიცი-

ური პარტიის შექმნა, რამეთუ პარტიის შიგნით დაუყოვნებლივ იწყებოდა ერთმანეთს შორის ძიძგილი, ბრძოლა ლიდერობისათვის. ამ ქვეყანაში ყველა და ყოველთვის საკუთარი პარტიის ჩამოყალიბებას ლაშობდა.

ვერცერთ შემთხვევას ვერ გაიხსენებთ ისტორიაში, ხალხს რომ დაეტირებინოს ირანში თავისი შაჰი და საბოლოო განსასვენებლამდე ტირილითა და მოთქმით გაეცილებინოს. ირანის ყველა შაჰმა თანამდებობა და სიცოცხლეც კი გაურკვეველ ვითარებაში დაკარგა. ხალხი მათ საშინელ ადამიანებად მიიჩნევდა, სულმდაბლობაში ადანაშაულებდა, მათ თანამდებობიდან გადადგომას სიხარულის შეძახილებითა და წყევლით ხვდებოდა. შაჰის სიკვდილი კი, როგორც წესი, ქვეშევრდომების ზეიმის საბაბი ხდებოდა.

ახალაყსაყდრებული შაჰი ჩვეულებრივ ასე შედიოდა ხოლმე ირანის დედაქალაქში - ერთ მხარეს რუსეთის ელჩი უმშვენებდაგვერდს, ხოლო მეორეს კი - ბრიტანეთისა. ასე იყო მაშინაც, როდესაც ირანის ბოლო მონარქის - მუჰამედ რეზა ფეჰლევის მამა, რეზა შაჰი შევიდა თეირანში. მისმა შვილმა - მუჰამედ რეზა ფეჰლევი მაცირანისათვის ტრადიციად ქცეულ სტილში, 1941 წელს, რუსულ-ბრიტანული „ხიშტების“ შემვეობით დაიმკვიდრა ძალაუფლება მამის ტახტიდან გადაყენებისა და გადასახლების შემდეგ.

ბრიტანელები და ამერიკელები ყველანაირად ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ირანის ახალგაზრდა შაჰისათვის ტახტი და ძალაუფლება. თუმცა, სულის სიღრმეში არც იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს. მიუხედავად ამისა, ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ 1953 წელს დაემხოთ შაჰის ძირითადი პოლიტიკური მოწინააღმდეგე - დემოკრატიულად არჩეული, პატრიოტულად განწყობილი და პოპულარული პრემიერ-მინისტრი მუჰამედ მოსადეკი.

მოსადეკის გადაყენების შემდეგ ვაშინგტონმა დიდი რაოდენობის ფულის გაგზავნა დაიწყო ირანში. რუზა ფეჰლევისაც დიდ პატივისცემაში ჰყავდა ამერიკელები, რადგან მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. უიმათოდ მყარად ვერ გრძნობდა თავს საკუთარ ქვეყანაში. განუწყვეტლივ დადიოდა ვაშინგტონში, თვეობით რჩებოდა იქ, ხვდებოდა „საჭირო“ ხალხს თეთრ სახლსა და კაპიტოლიუმში, ეთათბირებოდა, არწმუნებდა და პირობას დებდა.

ნიშანდობლივი იყო, თუ როგორ შეეძლო შაკს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით საბიუჯეტო თანხების მოხმარება. ბრძანებდა, რომ გაეზარდათ ხარჯები ინვესტიციებზე და – სრულდებოდა. ბრძანდებდა, რომ დაეწყოთ უდიდესი მოცულობის ტექნოლოგიების იმპორტი და – სრულდებოდა. გასცემდა სრულიად აბსურდულ ბრძანებას, შეექმნათ შეიარაღების თვალსაზრისით მსოფლიოში შესამე არშია. ესეც სრულდებოდა. მთელ მსოფლიოში ყიდულობდა პირადი მოხმარებისათვის ყველაფერს, რასაც მინდომებდა და „ოქროს ყულაბაში“ ინახავდა. თუ მოეპრიანებოდა, ფულს სულაც ზღვაშიც გადაუძახებდა. ათეულობით გაუაზრებელ განკარგულებას, ბრძანებდას თუ მითითებას იძლეოდა ის თავისი სასახლიდან. ამის შემდეგ კი რომელიმე ფემენებელურ მთიან კურორტზე მიემგზავრებოდა და თხილამურებზე სრიალებდა.

მხელი წარმოსადგენია ფულის ის მოცულობა, რომელიც შაკის, მისი ოჯახისა და ახლობლების ჯიბისკენ მიდიოდა. ის ფულიც კი, რომელსაც ამერიკა აძლევდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ირანს, ისევე უკან, შეერთებულ შტატებში, ბრუნდებოდა და იქ შაკის, მისი ოჯახის წევრებისა და უახლოესი გარემოცვის ანგარიშებზე იღექებოდა. ქვეყნიდან ფული ასევე გადიოდა უცხოელი მეგობრების, თანამდებობის პირების დასასახიუქრებლად, მათ მოსაქრთამავად და ათასგვარ გასართობებზე. ჩვეულებრივ იგი იმით მოისყიდდა ხოლმე ად-

ამიანებს, რომ მათ ძვირადღირებული სამხედრო კონტრაქტების დასადებად ავზაფნიდა. ასეთ გარიგებებში უდიდესი ფული კეთდებოდა, რომლის ნაწილიც შაჰისა იყო.

მთელი სახელმწიფო შემოსავლები შაჰმა ორ ნაწილად გაყო. მცირე ნაწილი ეკონომიკისა იყო, მოზრდილი კი – პოლიციისა და არმიის. წელიწადს გასვლასაც არ აცდიდა, ისე ზრდიდა ხუთჯერ ძალოვანი უწყებების ბიუჯეტს. არმიასაც მიეცა ერთხელ შესაძლებლობა დაეცვა სამშობლო, მაგრამ უცხო ქვეყნის მეომრების პირველსავე დანახვაზე შაჰის ჯარისკაცებმა იარაღი დაყარეს და გაიქცნენ. სამაგიეროდ მანამდეც და მას შემდეგაც მთელ მსოფლიოს სრულიად სხვა მხრივ დანახვებს მათ თავისი ძალა - უირაღო თანამემამულეების დემონსტრაციების დარბევა-დასჯის საქმეში.

ერთი სიტყვით, ირანის არმია და პოლიცია სხვა არაფერი იყო, თუ არა პოლიტიკური ტერორის ბრმა იარაღი. ირანში პოლიციური რეჟიმი ჩამოყალიბდა. “დიდი წმენდის”, დახვრეტებისა და ტერორის დაწყებამაც არ დააყოვნა. მუჰამედ რეზა ფეჰლევის არ უყვარდა პროცესებისა და ტრიბუნალების გამართვა. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორების სხვა მეთოდები ერჩივნა. უფრო ხშირად, შაჰის ბრძანებით ირანში ადამიანებს ლაჩრულად, სამალაჟიდან ხოცავდნენ ხოლმე. მიდი მერე და დაადგინე, ვინ მოკლა და სად არიან დამნაშავეები. იყო შემთხვევები, როდესაც მთელ ოჯახებსაც კი სვამდნენ ციხეში.

შაჰის დიქტატურამ და პოლიტიკურმა რეპრესიებმა საუკეთესო ირანელი მწერლები, რეჟისორები, არტისტები, მხატვრები, კომპოზიტორები, ბიზნესმენები და სხვა სფეროების სპეციალისტები აიძულა ემიგრაციაში წასულიყვნენ. ზემოთ აღნიშნულის შედეგად წარმოქმნილი „საკადრო კრიზისიდან“ კი მარტივი და უსაფრთხო გამოსავალი მოინახა - საზღვარგარეშიდან „სპეციალისტების მოწვევა“. უცხოელ სპეციალისტ-

თა ამ „არმიამ“ დომინირებული ადგილის დაკავება დაიწყო სახელმწიფოში, ამან კი ირანელებს მეორეხარისხოვანი ადამიანებისა და არასრულფასოვნების კომპლექსი შეუქმნა.

მუჰამედ რეზა ფეჰლევის ახალგაზრდობასთან ურთიერთობაშიც პქონდა საკუთარი „კარგი მეთოდები“. მაგალითად, სწავლის მოსურნეთა უმეტესობას შაჰი ირანიდან შორს აგზავნიდა, ამ გზით კი საკუთარი რეჟიმის უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს უზრუნველყოფდა, ვინაიდან ამ ახალგაზრდათა უმეტესობა საერთოდ აღარ ბრუნდებოდა სამშობლოში. თუმცა, იმავედროულად ბევრი სხვა ახალგაზრდა შეინიშნებოდა იმ დროს თეირანის ქუჩებში, ნარკოტიკებით რომ გაბრუებულიყვნენ და ბანცალ-ბანცალით დადიოდნენ. ზოგიც კიბეზე იჯდა და ცივი, უსიცოცხლო თვალებით უაზროდ იყურებოდა. სხვები გამეფელებს ეძიძგილავენდნენ და მუშტებით აშინებდნენ. „კი, მაგრამ როგორ ითმენს ამას პოლიცია?“ - კითხულობდნენ ერთნი. „მოითმენს, აბა, რას იზამს. ეს ხალხი ხანდახან მათთვის ძალზე საჭირო ხდება. ხვალ რამდენიმე გრომს მიუგდებენ, სამაგიეროდ დაურიგებენ რეზინის ჯოხებს და ხალხის დასარბევად გაუშვებენ. შემდეგ გაზეთები დაწერენ ჯანმრთელი, პატრიოტი ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც შაჰის მოწოდებას გამოეხმაურნენ და საკადრიის პასუხი გასცეს საზოგადოებრივ პარაზიტებს“ - პასუხობდნენ მეორენი.

შაჰის ერთგული ირანული „ელიტა“ კი ინტრიგებითა და კონკურენციით იძკვიდრებდა თავის ადგილს სამეფო კარზე, რეზა ფეჰლევის მადლიერების მოსაპოვებლად. „რჩეულთა“ ადგილის დაკავება შეიძლებოდა მომხდარიყო ერთ წაშში, ერთი დღის განმავლობაში. ამისათვის შაჰის მხოლოდ ერთი სიტყვა იყო საკმარისი. მონარქის კეთილგანწყობას კი მხოლოდ ის მოიპოვებდა, ვინც ლეკვივით კუდის ქიცინს შეძლებდა და „მამასა და მარჩენალს“ მისდამი თაყვადებდასა და ერთგულებაში დაარწმუნებდა.

ეს ერთი მუჭა პრევილევირებული ფენა, რომელიც ინგლისურ ენაზე საუბრობდა, თავისუფალ დროს თეირანის ამერიკულ ლამის კლუბებში ატარებდა. ბავშვებს საზღვარგარეთ აგზავნიდა საწავლებლად. ისინი უდიდესი სიმპათიით იყვნენ განმსჭვალულნი ამერიკისა და ევროპის მიმართ და აგდებულად ეპყრობოდნენ ყველაფერ ეროვნულს.

თვითგადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე, ირანული „ელიტა“ კარგად გრძნობდა, თუ რა, წარმატალი და მოჩვენებითი იყო მათი კეთილდღეობა; ამიტომაც, მუდამ „ჩალაგებული ჰქონდა ჩემოდნები“. ირანელი მაღალჩინოსნები ფულს მხოლოდ საზღვარგარეთ ინახავდნენ. უძრავ ქონებას ყიდულობდნენ ევროპასა და ამერიკაში. იმდენი ფული იშოვეს, რომ სად წაეღოთ, აღარ იცოდნენ. თეირანში თანდათან აღმოცენდნენ დასახლებები, რომელთა კომფორტი და სიმდიდრე მნახველს ანცვიფრებდა. მრავალი სახლის ღირებულება მილიონ დოლარს აღემატებოდა. ასეთი სიმდიდრე წესით უცხო თვალს მოფარებული მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ როგორ გეკადრებათ! თუ დამალავ და არ გამოაჩენ, რა საჭიროა მაშინ ქონება? დაე, ყველამ თვალები დააჭყიტოს საარაკო სიმდიდრის დანახვისას!

საერთაშორისო რეისებზე ბილეთები თეირანიდან ყოველთვის წინასწარ იყო გაყიდული. მრავალი თვითმფრინავი მიფრინავდა ყოველდღე პარიზისაკენ და ორლის აეროპორტში ჯდებოდა. შეკვეთილ ლიმიუზინებს მგზავრები ელევანტურ სასტუმროში მიჰყავდათ. ისადილებდნენ თუ არა, ყველანი იმავე თვითმფრინავით უკან, თეირანში ბრუნდებოდნენ, სადაც ამჯერად უკვე საკუთარ სახლებში ვახშამი ელოდათ. არცთუ ისე იაფი იყო ეს რეისი, იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ბილეთი ორი ათასი დოლარი ღირდა. თუმცა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც შაჰის ფავორიტთა რიცხვში შედიოდნენ, რა იყო ორი ათასი დოლარი?!

მდუმარე და გაბოროტებული ირანელი ხალხის თვალწინ ჩამოყალიბდა მმართველი ფენა, რომელსაც ზომა და თავშეკავება არაფერში არ ჩვეოდა, რომლის ცინიზმსაც საზღვარი აღარ ჰქონდა. აშკარა იყო, რომ ეს ყველაფერი ისეთ ხანძარს გამოიწვევდა, რომელიც თავის ცეცხლის ენებში შთანთქავდა ამ ფენასაც და მის წარმოშობსაც.

მსოფლიო პრესა კი გაუთავებლად ბეჭდავდა შაჰის საქმე-ბარ წერილებს, აღწერდა მის დამსახურებებს. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, მაშინ როდესაც ირანი ვითომდა პოლიტიკურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ოაზისად რჩებოდა.

რეზა ფეჰლვეი დასაუფლეთის ქვეყნებში ძალიან ბევრ ადამიანს აძლევდა საშუალებას ხელი მოეთხო ქვეყნის სიმდიდრეზე, ოღონდ ირანის საზღვრებს გარეთ ცუდი არაფერი წამოსცდნოდათ შაჰზე. იმ პერიოდისათვის ნიშანდობლივი იყო ასეთი ფაქტი: ერთი ირანელი სტუდენტი რომელიღაც ევროპულ აეროპორტში ცდილობდა მგზავრებისათვის მიეჩქებინა ლოზუნგები იმის თაობაზე, რომ მის ქვეყანაში ადამიანებს ზოცაუდნენ და აწამებდნენ, მაგრამ ეს არავის აინტერესებდა, რადგან ძალიან ბევრ გავლენიან ჟურნალისტსა თუ პოლიტიკოსს დასაუფლეთში, სიმართლის თქმას ირანის შაჰის ხარჯზე „ჯიბის გასქელება“ ერჩივნა.

ამერიკასა და ევროპაში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ირანის შაჰის მიერ წარმოებული “დიდი ცივილიზაციის მშენებლობისა და განვითარების” ლოზუნგი მაქსიმალურად გაპიარებულიყო მთელ მსოფლიოში. თერტიუმ ნონ დატურ (მესამე გზა არ არსებობს) ანუ, „შაჰს ირანში ალტერნატივა არ ჰყავს“ – აი, ასეთი იყო მათი პრინციპი.

ყოველივე ამის მიუხედავად, შაჰისა და მისი ხელისუფლების მიერ შეთხზული ქვეყნის „განვითარების“ პროგრამა ჩაფლავ-

ვდა. ირანში აღარაფერი აღარ ფუნქციონირებდა, ბაზარი თანდათან ცარიელდებოდა, ცხოვრება ძვირდებოდა, ბინის ქირა და კომუნალური გადასახადები აღამიანთა შემოსავლების სამ მეთხელს შთანთქმავდა. შაჰის უსუსური, მაგრამ ხარბი ელიტა მარცკავდა ქვეყანას, უცხოურ ფირმებს კი ქვეყნიდან უდიდესი თანხები გაჰქონდათ.

მაინც რას ნიშნავდა მაშინდელ ირანთან მიმართებაში დასავლეთში დამკვიდრებული ეს “კბადაღებული” სიტყვა – „განვითარება“?

განვითარება შეიძლება მიმართული იყოს იქით, რომ გაამდიდროს საზოგადოება, ხალხის ცხოვრება გახადოს უკეთესი, თავისუფალი და სამართლიანი. თუმცა, მას შეიძლება სრულიად საპირისპირო ხასიათიც ჰქონდეს. სწორედ ასე ხდება ერთპიროვნული მმართველობის არსებობისას. მაშინ, როდესაც კორუპციონებული ელიტა თავის ინტერესს სახელმწიფოს ინტერესთან აიგივებს. ასეთ ქვეყანაში „განვითარება“ მხოლოდ სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის გაძლიერებას, დიქტატურას, მონობასა და სახელისუფლებო პროპაგანდისტული „მანქანის“ მეშვეობით ხალხის „ტვინების გამორეცხვას“ ემსახურება მხოლოდ.

აი, ასეთი სახე მიიღო დასავლეთის მიერ ხოტბაშესხმულმა „განვითარებამ“ ირანში. და განა უნდა გაუკვირდეს ვინმეს, როცა ბოლოს და ბოლოს, საშინელი მსხვერპლის მიუხედავად, ირანელები აჯანყდნენ, „განვითარების“ ეს მოდელი უარყვეს და ისტორიის „სანაგვეზე“ მოისროლეს?!

შეთქმულება და გადატრიალება შეიძლება დაიგეგმოს, აჯანყება - არასოდეს.

ყოველი რევოლუცია დრამაა, ხოლო აღამიანი ინსტიტუტურად ერიდება დრამატულ სიტუაციას. ის უკანასკნელი სახის

იარაღს წარმოადგენს და ხალხი წყვეტს, გამოიყენოს ის თუ არა. ხალხი თუ ამ უკიდურეს გზას აირჩევს, ესე იგი იცის, რომ სხვა გზა აღარ დარჩენია, სხვა ცდამ ვერ გაუმართლა, ყველა სხვა იარაღმა უმტყუნა.

ავტოკრატიული ხელისუფლება მასზე გაღიზიანებულ, გაბრაზებულ ხალხს ვერ იტანს, ვინაიდან მმართველ ელიტას უკვე გაფლანგული აქვს ხალხის ნდობა. მას აღარაფერი გააჩნია, დაკარგული აქვს მოთმინება და მუშტებს კრავს. მდგომარეობა თანდათან იძაბება, მძიმდება და იხუთება.

რევოლუციას ყოველთვის ხელისუფლება იწვევს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც ელიტის წარმოადგენლებს შორის დაუსჯელობის სინდრომი ვითარდება: „ჩვენ ყველაფერი გვეპატიება, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია“.

ხალხი კი დუმს, იგი მომთმენი და ფრთხილია. მას ეშინია კიდევ, მაგრამ იმავდროულად, იგი ყველა დამარცხებასა და შეურაცხყოფას აღნუსხავს და ერთ მშვენიერ დღეს აჯამებს კიდევ.

მაგრამ სად გადის მოთმინების ფიალის აგსების ზღვარი? ხელისუფლებას, რომელმაც იცის ასეთი ზღვარის არსებობის შესახებ და ფრთხილობს, ცდილობს მას არ გადააბიჯოს, შეუძლია მშვიდად იყოს, მაგრამ ასეთი ხელისუფლება ბევრი არაა. მაინც რანაირად დაარღვია ირანის შაჰმა ეს საზღვარი და როგორ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი?

ირანის შაჰის რეჟიმი დააყადება იყო. წლების განმავლობაში არსებული ასეთი დიქტატურის შედეგად უბრალო მოქალაქეებიც ფსიქიკურად აშლილები გახდნენ. ნამდვილად არ იცოდნენ, თუ როდის გამოჯანმრთელდებოდნენ, როდის განიწმინდებოდნენ სულიერად და როდის დაიწყებდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

რელიგიური ეესტი - აი, ის უმთავრესი, რითიც შეიძლება და მაშინ უბრალო ირანელის გულის მოგება და იმის შემდეგ, როდესაც მუჰამედ რეზა ფეჰლევის ტირანიის „წყალობით“ ირანელ ხალხს ერთადერთი არჩევანი დარჩა: „ან შაჰი და ან რელიგია“, ცხადია, რომ ხალხმა მისთვის უფრო ახლობელი და ტრადიციული ისლამი არჩია.

ჩვეულებრივ, რევოლუციის მიეზეზად ობიექტურ პირობებს ასახელებენ ხოლმე - საყოველთაო სიღატაკეს, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, კორუფციას. ეს შეხედულება ცალმხრივია. ამგვარი პირობები ასზე მეტ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ რევოლუცია იქ არ მომხდარა. აუცილებელია სიტყვა, აუცილებელია ამხსნელი აზრი. ამიტომაც, რომ ტირანებს ნაღმსა და ხანჯალზე მეტად სიტყვისა ეშინიათ.

იმ სიტყვაზე, რომელიც „იატაკქვეშეთში“ იბადება, ტირანი-ას კონტროლის დაწესება არ შეუძლია. ამიტომაც უტევდა და აკრიტიკებდა გაუთავებლად პარიზიდან შაჰის ყველა გამოსვლას, მის ყოველ ღონისძიებას ირანის დევნილი ოპოზიციის ლიდერი და ერის რელიგიური წინამძღოლი აიათოლა ჰომეინი. მისი უამრავი მოკლე, რამდენიმე წინადადების შემცველი, უაღრესად უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით გადმოცემული მოწოდება იწყებოდა და სრულდებოდა უფლისადმი მიმართვით და ასეთი ფორმულირებით „ხალხო, გაიღვიძეთ!“

თუმცა, ხანდახან რევოლუციას საზეიმო ფორმით გამოთქმული და ხელისუფლების ბეჭდით დამოწმებული სიტყვებიც იწვევენ ხოლმე. „ისლამური რევოლუცია“ 1978 წლის 8 იანვარს, ირანის სახელისუფლებო გაზეთ „ეტელამი“ დაბეჭდილი ერთი წერილიდან დაიწყო, რომელშიც აიათოლა ჰომეინი იყო შეურაცხყოფილი. ამას თეირანში ხალხის მასობრივი ძღელვარება მოჰყვა.

ხალხის ქუჩებში გამოსვლას პოლიცია ჩვეულად „გამოებ-  
მაურა“. ერთმა პოლიციელმა თავის უფროსს დაუწერა მოხ-  
სენებითი ბარათი. ამ უკანასკნელმა კი პოლიციის სპეციალში  
გაგზავნა აღშფოთებული ხალხის დასაშინებლად და მას  
მოედნის ირგვლივ მდებარე სახლებზე პოზიციების დაკავება  
უბრძანა. ქალაქის ცენტრისკენ მიძავალ და ხმის გამაძლიერე-  
ბლით აღჭურვილ პოლიციის მანქანას, რომელიც დემონსტრან-  
ტებს დაშლისაკენ მოუწოდებდა, არაეინ უსმენდა.

და, პოლიციის მაღალჩინოსანმა სროლის დაწყების ბრძა-  
ნება გასცა...

ზემოთ აღნიშნული სისხლიანი მოვლენების ორმოცი დღის  
თავზე ქალაქის მეჩეთებში შეგროვდა ხალხი, რათა პატივი მიე-  
გოთ თეირანის ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა ხსოვნისათვის.  
პოლიციამ და არმიამ კვლავ ცეცხლი გახსნა, რასაც რამდენ-  
იმე ასეული ადამიანის დაიღუპვა მოჰყვა.

ორმოცი დღის გასვლის შემდეგ გააუბული და შიზლით სავსე  
ხალხი უკვე ირანის სხვა ქალაქების ქუჩებშიც გამოვიდა. შაჰის  
ხელისუფლებამ კვლავ ცეცხლი გახსნა, რასაც ისევ მრავალი  
ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. კვლავ გადის ორმოცი დღე და  
უკვე უამრავ ქალაქებში იმართება სამკლოვიარო პროცესიები.

ყოველი შემდეგი ხოცვა-ჟლეტა უმაგალითო სისასტიკით  
გამოირჩეოდა. ტერორს იყენებდნენ დასაშინებლად, მაგრამ  
ტერორი ხალხს მხოლოდ ახალი შეტევების განხორციელების  
და შემდგომი ბრძოლებისაკენ უბიძგებდა.

ჩვეულებრივ, დესპოტური ხელისუფლება მხოლოდ იქით  
ისწრაფვის, რომ იგი ძლიერად მიიჩნიონ და უფრო ნაკლებად  
ცდილობს, ხალხს თავისი გონიერება აჩვენოს. ძალის განუწ-  
ყვეტელი ჩვენება აუცილებელია, ვინაირად ყოველი დიქტატ-

ურის საფუძველი უმდაბლესი ინსტინქტებია, რომლებიც მან ქვეშევრდომებში გამოიწვია - ესაა შიში და აგრესია თანამომ-  
მის მიმართ, ესაა მლიქვნელობა და ლაქიაობა. აქედანაა დილ-  
ეტანტებისა და უვიცების ასეთი მოძალება პოლიტიკაში,  
რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ, თუკი ხელისუფლე-  
ბა ჩაუვარდებათ ხელში, ქვეყნის მართვა შეძლებენ.

წარმოდგენელია მთელი ერი გადასახლდეს სადმე. ვინაიღ-  
ან იგი არა „სივრცის“, არამედ „დროის“ ემიგრაციაში მიდის  
ხოლმე, ანუ უბრუნდება საკუთარ წარსულსა და ფესვებს. ამი-  
ტომაც მოდის დრო, როდესაც პურიტა და სანახაობით მაძღარ  
ხალხს აღარ სურს მორჩილად ყოფნა, იწყებს უფრო მეტის  
მოთხოვნას, ვიდრე გართობაა. ხალხი თავისუფლებასა და სა-  
მართლიანობას ითხოვს!

დესპოტი კი შეფიქრიანებულია. რეალობა მას უბიძგებს,  
რომ ადამიანს შეხედოს როგორც მთლიან, ერთიან ფენომენს,  
შეიცნოს მისი მდიდარი ბუნება, მაგრამ ეს დიქტატურას როდი  
სურს! თავისუფლების მოსურნე ადამიანი მას სძულს. იგი მისი  
მტერია და ამიტომაც ხელისუფლება ამრავლებს და აძლიერებს  
ჯარს, რათა მოსპოს და გაანადგუროს ადამიანი.

ამავე დროს, დიქტატორი ყველანაირად ცდილობს ხალხ-  
ის აღიარება მოიპოვოს და მიისწრაფვის, ლეგიტიმურობის  
ილუზია მაინც შეიქმნას. მცდელობას არ აკლებს, საკუთარ  
თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცოს, რომ ხალხის მხარდაჭერა  
და ნდობა აქვს მოპოვებული. და თუნდაც ხალხის მხარდაჭერა  
იყოს მხოლოდ მოჩვენებითი - ეს მას უჩვეულო კმაყოფილებასა  
და სიამოვნებას ჰკვრის. მერე რა, ეს რომ ილუზია, მოჩვენები-  
თია? განა დიქტატურის მთელი სამყარო ილუზიებით არაა სავსე?

ირანის შაჰსაც ასევე სჭირდებოდა ხალხის მხარდაჭერა.  
ამიტომ, ერთ ირანულ ქალაქში ჯერ კიდევ არ აედოთ ბოლო  
ხოცვა-ჟლეტვის მსხვერპლთა გვამები, რომ მეორე ქალაქის

ქუჩებში უკვე შაჰის მხარდამჭერი დემონსტრაცია იმართებოდა. მოედნებზე სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები იკრიბებოდნენ.

ამბობენ, პოლიტიკოსი პრინციპული უნდა იყოსო. ირანის შაჰიც პრინციპული იყო, რათა თანამდებობაზე მყარად ყოფილიყო და ამის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ხალხსაც ესროდა და რეჟიმის ფასადის მოჩვენებით გადემოკრატიულობასაც ცდილობდა. ზოგს ციხეში სვამდა, ზოგს - უშვებდა. ერთს რომ თანამდებობას ართმევდა, მეორეს აძლევდა, ერთს აქებდა, მეორეს, პირიქით - აძაგებდა.

საპროტესტო მოძრაობამკი მთელი ირანი მოიცვა. დაიწყო გაფიცვები, გაჩერდა მრეწველობა და ტრანსპორტი. მიუხედავად ათიათასობით მსხვერპლისა, დემონსტრაციები და გაფიცვები უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ შაჰი მაინც ტახტზე რჩებოდა და ჯიუტად არ ტოვებდა თავის სასახლეს.

კარგადაა ცნობილი, რომ გაცილებით ადვილია სტრუქტურისათვის სულის ჩაბერვა, ვიდრე მისი განადგურება. მუჰამედ რეზა ფეჰლევამ ისეთი სახელმწიფო სისტემა შექმნა, რომ მას მხოლოდ შაჰის დაცვა შეეძლო. სამაგიეროდ, სისტემა უძლური იყო რაიმეთი დაეკამყოფილებინა უბრალო ადამიანების მოთხოვნები. სწორედ ეს იყო შაჰის მმართველობის სისუსტე და უმთავრესი მიზეზი მისი დამარცხებისა. ყოველივე ამის ფსიქოლოგიური საფუძველი კი არის საკუთარი ხალხის ზიზღი და უგულვებლყოფა, იმის რწმენა, რომ ყოველთვის შეიძლება ბნელი მასის მოტყუება რაღაც ამაო დაპირებების გამჟღავნებით.

მაგრამ ირანული ანდაზა გვეუბნება: “დაპირებას მხოლოდ მისთვის აქვს რაიმე ფასი, ვინც მას იძლევა”.

მაინც რა იყო საბოლოო ჯამში დასავლური პრესის მიერ ქება-დიდებათ შეძკული შაჰის ეს “დიდი ცივილიზაცია” ისლ-

მური რევოლუციის შედეგად ნანგრევებად რომ იქცა? ეს იყო უცხო სხეული, უცხო თესლი, რომელმაც მშობლიურ ნიადაგზე ვერ გაიხარა. უცხო ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და ღირებულებების ირანელ ხალხზე თავსმოხვევის ცდა; ქირურგიული ოპერაცია, რომლის უმთავრეს მიზანსაც პაციენტის გადარჩენაზე მეტად ის წარმოადგენდა, რომ თავად ეს ოპერაცია განხორციელებულიყო.

უკლებლივ ყველა რევოლუცია ანგრევს ერთ ქანდაკებას და მის ადგილას აუცილებლად დგამს მეორეს - საკუთარს, რადგან სურს, მყარად იდგეს და ამ მეტაფორული გზით გადარჩეს. რევოლუციის (ეცხლსა და ბოლში იცვლებიან ხელისუფლებები, ეცემიან მთავრობები, საგარძღვებში ახალი ხალხი სხდება, მაგრამ ერთი რამ რჩება უცვლელი და განაგრძობს არსებობას - უსასობა, უიმედობა და უპერსპექტივობა.

რა არის აქ ყველაზე მნიშვნელოვანი?

ის, რომ რევოლუციონერ პოლიტიკოსებს თავიანთ ბრძოლაში ამბიცია უფრო მეტი შემოაქვთ, ვიდრე ცოდნა. შედეგად, ყოველი რევოლუციური გადატრიალებისას ქვეყანა როგორღაც ამოსაუალ მდგომარეობას უბრუნდება, ნულიდან იწყებს ცხოვრებას, ვინაიდან გამარჯვებულმა მთავრობამ თავიდან უნდა ისწავლოს ის ყველაფერი, რისი სწავლაც ასე დიდ ჯაფად დაუჯდა იმ თაობას, რომელიც მან საგარძღვებიდან გადმოყარა.

ნიშნავს კი ეს იმას, რომ ისინი, ვინც მათ ცვლიან, სამართლიანები და გონიერები არიან? სრულიადაც არა!

როდესაც ვსაუბრობთ რომელიმე დიქტატურის დამხობაზე, არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ მის ლიკვიდაციასთან ერთად დესპოტიის ფენომენიც უკვალოდ ქრება. დიქტატურის ფსიქოლოგიური „აჩრდილი“ ყოველთვის რჩება. ამ უკანასკნელის არსებობის პირობა კი ბრბოს სიბნელე და გაუნათლევ-

ბლობაა. ამიტომაც ცდილობენ დიქტატორები, რომ რაც შეიძლება დიდხანს ამყოფონ ხალხი სიბნელეში.

ტირანიული მმართველობა ღრმა ფსიქოლოგიურ „იარებს“ უტოებს ერის ცნობიერებას. საჭიროა თაობების შეცვლა, რათა მდგომარეობა გამოსწორდეს და ხალხში სინათლე გაბატონდეს, რათა არ დარჩეს საშიშროება იმისა, რომ ვინც დიქტატორს შეცვლის, თავისდაუნებურად გახდება „ღირსეული“ შემკვიდრე იმისა, ვისაც ასე სასტიკად ებრძოდა.

### რ. კაპუშჩინსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო თბილისის უნივერსიტეტში

ფანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გუშინ ცნობილი პოლონელი მწერალი და ჟურნალისტი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე ორჯერ წარდგენილი რიშარდ კაპუშჩინსკი (1932-2007) გაიხსენეს.

საღამოს ორგანიზების ინიციატორი იყო ქრისტოფ ლუკი-ანოვიჩი, რომელიც საქართველოში სტაჟირებას გადის, არის თბილისის უნივერსიტეტის მეორე კორპუსში განთავსებული აღმოსავლეთ ევროპის კვლევის კავკასიური ცენტრის წარმომადგენელი და მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე, რომელიც პოლონეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებს ეხება. მის ინიციატივას მხარი დაუჭირა ვარშავის უნივერსიტეტმა და კიდევ პოლონეთის საელჩომ საქართველოში, რომლის წარმომადგენლებმაც ბიბლიოთეკაში შეკრებილთ პოლონელი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული გამოფენაც შესთავაზეს.

რ. კაპუშჩინსკის შემოქმედებიდან ქართულ ენაზე მხოლოდ ორი ნაწარმოებია თარგმნილი და წიგნად გამოცემული. "იმპერი-ისა" და "შაპინშაპის" მთარგმნელია ამბროსი გრიშეკაშვილი,

რომელიც საღამოს ქრისტოფ ლუკიანოვიჩთან ერთად უძღვებოდა. მთარგმნელისთვის მთავარია, საინტერესო იყოს ტექსტი, რომელსაც თარგმნისო, აღნიშნა გრიშკაშვილმა და მოკლედ ისაუბრა ავტორზე, რომლის ნაწარმოებებზე მუშაობაც მისთვის სასიამოვნო აღმოჩნდა. კაპუშჩინსკი ყველაზე ხშირად თარგმნილი პოლონელი ავტორების ხუთეულში შედის და მისი მემკვიდრეობა, როგორც შევტიყვეთ, დაახლოებით 32 ენაზეა თარგმნილი. მისდამი ინტერესი ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ მწერალი ტოტალიტარულ სახელმწიფოებს იკვლევდა და ყველაზე ხშირად სწორედ ირანსა და საბჭოთა კავშირზე წერდა.

რ. კაპუშჩინსკის ბიოგრაფიულ მონაცემებს თუ გადავხედავთ, წავიკითხავთ, რომ მან ვარშავის უნივერსიტეტი დაამთავრა. მუშაობდა ერთ-ერთ პოლონურ გაზეთში, საიდანაც 1956 წელს თამამი რეპორტაჟისთვის გაათავისუფლეს. 1962 წლიდან იყო პოლონური სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობდა. არაერთხელ იმყოფებოდა აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში. 1970 წლიდან თანამშრომლობდა პარიზის ჟურნალთან "კულტურა", ხოლო მას შემდეგ, რაც მოძრაობა "სოლიდარობას" შეუერთდა, მხოლოდ უცხოეთში იბეჭდებოდა, რადგანაც ამის უფლება საშობლოში აღარ ჰქონდა. მისი რეპორტაჟებისა და ნარკვევებისადმი ინტერესი განპირობებული იყო იმით, რომ აქტუალურ თემებზე ძალიან საინტერესოდ წერდა. კაპუშჩინსკის მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით ცნობილია სამი ნარკვევისგან შედგენილი კრებული, რომელშიც შესულია "იმპერია" (1993), "შავი ხე" (1999), "მოგზაურობა პეროდოტესთან" (2004). არის არაერთი პრემიის ლაურეატი და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნობელის პრემიაზეც ორჯერ იყო წარდგენილი.

მისი პიროვნებისა და შემოქმედებისადმი დამსწრეთაგან (ჩემსავით) ბევრს გაუჩნდებოდა კითხვა, მაგრამ ამჯერად დიალოგი არ შედგა და საღამო ისე იყო აწყობილი, რომ დაახლოებით ერთი საათი "ეყო" მწერლის წარდგენას და მცირე თეატრალიზებულ წარმოდგენას, რომელშიც პოლონური ენით დაინ-

ტერესებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ (ინსტენიერების ავტორი და რეჟისორი დომენიკა მალჩევსკა).

"ვფიქრობთ, რომ რიშარდ კაპუშინსკი იყო არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ მთელი მსოფლიოში ცნობილი მწერალი, პოეტი და ჟურნალისტი. მან მოიარა ბევრი ქვეყანა, იმოგზაურა კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, და შემიძლია გითხრათ, რომ ჩემმა მშობლებმა თქვენი ქვეყნის შესახებ სწორედ კაპუშინსკის ჩანაწერებიდან და ნარკვევებიდან შეიტყვის. ის, როგორც წესი, ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრებაზე წერდა და, ცხადია, პოლიტიკასაც ეხებოდა, მაგრამ მკითხველს უპირველესად მაინც საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებდა. 2007 წელს ერთ-ერთ პოლონურ ჟურნალში მასზე გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღნიშნეს, რომ მწერალი საბჭოთა კავშირის დროს პოლონეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა, მაგრამ ეს ფაქტი კაპუშინსკის ცოლმა გააპროტესტა და ყველას გასაგონად განაცხადა, რომ ის იყო დრო, როდესაც ყველა, ვინც საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ინფორმაციორად ითვლებოდაო..."

საღამო პოლონეთის საელჩოს დახმარებით მოვაწვევთ და შევეცადეთ, თქვენთვის გაგვეცნო ავტორი, რომელიც პოლონეთში ძალიან პოპულარულია და არ მეგულება ადამიანი, რომელსაც მისი ერთი ნაწარმოები მაინც არ ექნება წაკითხული". - გვითხრა ქრისტოფ ლუკიანოვიჩმა.

### პროფესია: რეპორტიორი

დარწმუნებული ვარ, კაპუშინსკის არა მხოლოდ ნანახი ექნებოდა, მისი ერთ-ერთი გამორჩეული იქნებოდა მიქელანჯელო ანტონიონის 1975 წლის ფილმი „პროფესია: რეპორტიორი“. მოდით, გავიხსენოთ და თუ საშუალება გვაქვს, ვუყუროთ კიდევ ამ ფილმს, მით უმეტეს, რომ მკითხველი და ფილმის მაყურებელი გარკვეულ მსგავსებას შეამჩნევს ფილმის მთავარ გმირსა და რ. კაპუშინსკის შორის. და არა მხოლოდ იმიტომ.

რომ კაპუშინსკის ნაწარმოებებიც ძირითადად აფრიკასა და მის მკვიდრთ ეხება.

ფილმის შინაარსია ისტორია კაცზე, რომელსაც უნდა თავისივე ცხოვრებიდან გაიქცეს: მთავარი გმირი არის გამოფიტული ჟურნალისტი, რომელსაც ჯექ ნიკოლსონი ანსახიერებს. ფილმი წარდგენილი იყო 1957 წლის კანის ფესტივალზე.

დევიდ ლოკი (ჯექ ნიკოლსონი) - ცნობილი ინგლისელი ტელერეპორტიორია. სამი თვის განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა დოკუმენტური ფილმის გადაღებას შუაგულ საპარამში, ადგილობრივ დიქტატორსა და სამამულო ომის შედეგებზე. სამუშაოს ბოლო არ უჩანდა. როდესაც მისი „ლენდ როერი“ უდაბნოს ქვიშაში ეფლობა და მეგზური სადღაც ქრება. ლოკი რჩება მარტო უკიდევანო სიცარიელეში. შემდეგ, ფლემბეკში, იხსნება ლოკის სულიერი მდგომარეობა: მძიმე დეპრესია, იმედგაცრუება ცხოვრებაზე, რომელსაც თან ახლავს როგორც პროფესიული, ასევე ოჯახური სირთულეები.

უეცრად ლოკს ცხოვრების თვიდან დაწყების შანსი ეძლევა, მას შეუძლია დაიფიწყოს თავის ცხოვრება და დაქმნაცველი სამუშაო. სასტუმროში, სადაც ის იყო გაჩერებული, აღმოაჩინა დევიდ რობერტსონის გვამი. წინა დღეს რობერტსონი ელაპარაკებოდა ლოკს, თუ რა კარგია ცხოვრება ოჯახისა და მეგობრების გარეშე, როგორ კარგია მსოფლიოს გაშემო მოგზაურობა და გართობა. საერთო წლოვანების, სიმაღლის და წონის გამო ლოკს არ გასჭირვებია ადგილობრივი მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ გარდაცვლილი თვითონ - დევიდ ლოკი იყო და არა დევიდ რობერტსონი. ლოკმა ფრთხილად შეცვალა პასპორტის სურათები (თავის სურათი რობერტსონის პასპორტში ჩააკრა და პირიქით), მიცვალებული თავის ოთახში გადაასვენა და რობერტსონის სამოსი ჩაიცვა.

ლოკმა ახალი ცხოვრება დაიწყო, რომელშიც ასევე ვერ პოვა ბედნიერება და რობერტსონის მსგავსად მანაც თავი მოიკლა.

რაც შეეხება კაპუშინსკის მან ბოლომდე ატარა რეპორტიორის მძიმე ხვედრი და შთამომავლობას საუკეთესო საგან-

ძური დაუტოვა თავისი წიგნების, სტატიების და ფოტოების სახით. მისი მემკვიდრეობა ძვირფასია დღეს და კიდევ უფრო ძვირფასი იქნება მომავალში, რადგან გლობალიზაციის პროცესები ნიველირებას უკეთებს ერებს, ეთნოსებს მათ ტრადიციებსა და ადათ-წესებს, რომელთა ხილვისა და გაცნობის საშუალება მომავალ თაობებს რიშარდ კაპუშჩინსკის მემკვიდრეობის საშუალებით ექნება.

ლიტერატურული რედაქტორი — რაულ ჩილაჩავა

რედაქტორი — ლია პიტურიშვილი

გარეკნის მხატვარი — ლევან სამნაშვილი

დიზაინერი — ნასყიდა დარბუაშვილი

კორექტორი — ნინო გრიშიკაშვილი

